BIBLIONTEKA.COM

ჯ.დ.სელინჯერი

თაშაში ჭვავის ყანაში

BIBLIONTEKA.COM

ჯერომ დევიდ სელინჯერი

თ ა მ ა შ ი ჯ ვ ა ვ ი ს ყ ა ნ ა შ ი

მართლა თუ გაუნტერესებთ ჩემი თავგადასავალი პირველად, ალბათ, იმას მკითხავთ, სად დავიბადე, რა საძაგელი ბავშვობა მქონდა, მშობლები რას აკეთებდნენ, და ათასგვარ დავით კოფერფილდისებურ აბლაბუდას. მაგრამ მართალი გითხრათ, სულაც არმეპიტნავება ამეების გახსენება. ჯერ ერთი, გუს ამირევს და მეორეც _ ჩემი მშობლების პირადი საქმეები რომ ჩამოგითვალოთ, თითო ამბის ხსენებაზე საწყლებს ორ-ორჯერ მაინც ჩაექცევათ ტვინში სისხლი. ძალიან ახლოს მიაქვთ ხოლმე ამისთანა ამბები გულთან, განსაკუთრებით მამაჩემს. რა მეთქმის, კარგი ხალხია... განა იმას ვამბობ... მაგრამ საშინელი ფხუკიანები არიან. ეგეც არ იყოს, ვის რაში სჭირდება, რომ ავდგე და მთელი ჩემი წყეული ავტობიოგრაფია წვრილად ჩავუკაკლო. მე მხოლოდ ის ფეთIანი ამბავი მინდა გიამბოთ, შობის დღესასწაულებში რომ შეემთხვა. სწორედ მაშინ იყო, ფეხები რომ კინაღამ გავფშიკე და გამოსაჯანმრთელებლად აქ გამომგზავნეს. ერთი სიტყვით, რაც დ.ბ.-ს ვუამბე, იმაზე მეტს არც თქვენ გეტყვით რამეს. დ.ბ. კი, ბოლოს და ბოლოს, ჩემი ძმაა. ჰოლივუდში ცხოვრობს, არც თუ ისე შორს ამ ბინძური სახლიდან, და თითქმის ერთ შაბათს არ გამოტოვებს, რომ არ მოვიდეს და არ მნახოს. შინ წასაყვანადაც მან უნდა მომაკითხოს, ალბათ. იმ თვეში. სწორედ ამასწინათ იყიდა «იაგუარი». ერთი მოციცქნილი ინგლისური მანქანაა, საათში ორას მილს გადის. ბარე ოთხი ათასი დოლარი დაუჯდა. იცოცხლე, ფული ჩეჩქივით აქვს ახლა. უწინ ქესატად გახლდათ. შინ რომ იჯდა, მწერალიც მაშინ იყო. იმისთანა პატარ-პატარა მოთხრობებს წერდა, რომ შიშით სული გაგძვრებოდა. იქნებ გაგიგონიათ კიდეც მოთხრობების წიგნი «დამალული ოქროს თევზი». ამ წიგნში ყველაზე საუკეთესო მოთხრობას სწორედ «დამალული ოქროს თევზი» ჰქვია. ერთი პატარა ბიჭის ამბავია, თურმე არასდიდებით არ აჩვენებდა სხვას თავის ოქროს თევზს, ჩემი ფულით მაქვს ნაყიდიო. მომკლა და გამათავა! ახლა ჰოლივუდშია დ.ბ., ხელიდან წავიდა. ყველაზე უფრო კინოს ვერ ვიტან _ ჭირივითა მძულს, ნურც მიხსენებთ.

სწორედ იმ დღიდან მინდა დავიწყო ჩემი ამბავი, როცა პენსიდან წამოვედი. პენსი ეგერსტაუნის მოსამზადებელი სკოლა გახლავთ, პენსილვანიის შტატში. ალბათ, გაგეგონებათ. რეკლამები მაინც გექნებათ ნახული. ბეჭდავენ და ბეჭდავენ ატასობით ჟურნალში რეკლამებს _ შემჯდარა ცხენზე ვიღაც გაჯგიმული ბიჭი და მესერზე უნდა გადაახტუნოს. ასე გეგონება, პოლოს თამაშის მეტს არაფერს აკეთებდნენ პენსიში. სკოლაში კი არა და, იმ არემარეზე თვალიც არ მომიკრავს ცხენისთვის. ბიჭის სურათის ქვეშ კი წარწერაა _ «ჩვენი სკოლა 1888 წლიდან აყალიბებს მამაცსა და საღად მოაზროვნე ჭაბუკებს». ჭმევაც ამას ჰქვია! ერთი სხვა სკოლებში აყალიბებენ, და მეორე იქ! არც მამაცი მინახავს იქ ვინმე და არც საღად მოაზროვნე. დიდი დიდი ერთი-ორი კაცი და ისინიც, ალბათ უკვე მამაცები მივიდნენ სკოლაში.

ერთი სიტყვით, შაბათი იყო და ფეხბურთს ვეთამაშენოდით საქსონ ჰოლის გუნდს. პენსელებს მუდამ დიდ ამბად მიაჩნდათ ხოლმე საქსონ ჰოლთან თამაში. სეზონის უკანასკნელი მატჩი გახლდათ და პენსის ძველი გუნდის წაგებას თავის მოკვლას და ამოწყვეტას ვამჯობინებდით ყველანი. მახსოვს, ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა და რაღაც ჯანდაბად თომსენის გორაკზე ვიდექი, ზედ იმ

დაფხავებულ ზამბარასთან, რომელიც განმათავისუფლებელი ომის შემდეგ სულ იქ გდია. იქიდან ხელისგულივით ჩანს მინდორი, იმასაც დიდებულად გაარჩევ, როგორ ასკდება ორი გუნდი ერთმანეთს. ტრიბუნებს ვერა ვხედავდი ხეირიანად, მაგრამ ღრიალი კარგად მესმოდა, ჩვენებს უჭერდნენ მხარს _ რადგან მთელი სკოლა იქ იყო, ჩემს გარდა. საქსონ ჰოლის ტრიბუნებიდან კი მისუსტებული კნავილიღა აღწევდა; ასეა ხოლმე _ ჩამოსულ გუნდს ხალხი ცოტა ახლავს.

გოგოებს იშვიათად ნახავთ ფეხბურთზე. მხოლოდ უფროსკლასელებს აქვთ გოგოების წამოყვანის უფლება. როგორც გენებოთ ისე ჩამომართვით, მაგრამ საძაგელი სკოლაა. ხანდახან კაცს გინდა ისეთ ადგილზე წავხიდე, რომ გოგოები ნახო, თუნდაც თავისთვის ისხდნენ, ცხვირს იწმენდნენ და სულელურად ჭუკჭუკებდნენ. სელმა თარმეტი _ ჩვენი დირექტორის გოგო _ სულ იქა გდია, მაგრამ რად გინდა, გული არ მიგივა. თუმცა ცოდი გოგო არ ეთქმის, ერთხელ ეგერსტაუნიდან მოვდივარ და მის გვერდით მოვხვდი ავტობუსში. ლაპარაკი გავუბი. მომეწონა. ჩამოგრძელებული ცხვირი ჰქონდა, ფრჩხილებიც სულ დაკვნეტილი _ ლამის სისხლი სდიოდა _ ის ოხერი ლიფიც ასე გამოეტენა რაღაცით, რომ აქეთ-იქით უყანყალებდა. მაგრამ მაინც შეგეცოდებოდა კაცს. განსაკუთრებით ის მომეწონა, რომ ტვინს გიხვრეტდა _ ასეთი დიდი ვინმეა მამაჩემიო. ალბათ, თვითონვე გრძნობს, რა ხეპრე და ქლესა ვაჟბატონიც ბრძანდება.

თომსენის გორაკზე იმიტომ მოვხვდი და ფეხბურთის თამაშს იმიტომ არ ვესწრებოდი, რომ მოფარიკავე გუნდთან ერთად ახალი დაბრუნებული ვიყავი ნიუ-იორკიდან. რაღაც ჯანდაბად მოფარიკავეთა გუნდის კაპიტანი გახლდით. დიდი ვინმე კი ვყოფილვარ! იმ დილით წავედი ნიუ-იორკში, მაკ-ბერნის გუნდს უნდა შევხვედროდით. მაგრამ აღარ შევხვედრილვართ. დაშნა, კოსტუმი და საერთოდ მთელი მორთულობა იმ ოხერ მეტროში დამრჩა. მთლად ჩემი ბრალიც არ ყოფილა. წამდაუწუმ ფეხზე ვდგებოდი და სქემას ვაშტერდებოდი, ჩვენს სადგურს არ გავცდეთ-მეთქი. ერთი სიტყვით, სადილს ვეღარ ჩამოვუსწარით, სამის ნახევარი იყო პენსიში რომ დავბრუნდით. ბიჭებმა ცხვირი ამიბზუეს და გამრიყეს ეზოში. სასაცილო კია, მე და ჩემმა ღმერთმა.

მეორე მიზეზი ფეხბურთზე არდასწრებისა ის იყო, რომ მოხუც სპენსერს _ ჩემი ისტორიის მასწავლებელს _ უნდა გამოვმშვიდობებოდი. გრიპით იყო ავად და ვიფიქრე, საშობაო არდადეგების დაწყებამდე ვეღარ ვნახავ-მეთქი. წერილი გამომიგზავნა, მანამ შინ წახვიდოდე, უსათუოდ მომინახულეო. იცოდა, რომ აღარ დავბრუნდებოდი.

დამავიწყდა მეთქვა. გამომაპანღურეს. საშობაო არდადეგების შემდეგ სკოლაში აღარაფერი მესაქმებოდა _ ოთხ საგანში ჩავიჭერი, არაფერს არ ვაკეთებდი და ათასი ჯანდაბა. რამდენჯერ გამაფრთხილეს _ ტვინი გაანძრიე, რამე გააკეთეო. განსაკუთრებით შუა მეოთხედში, როცა დედაჩემი და მამაჩემი მოხუც თარმერს ეახლნენ კონფერენციაზე... მაგრამ ყურშიაც არ შემიშვია მათი ჩიჩინი. ადგნენ და გამომაპანღურეს. პანტა-პუნტით რიცხავენ ბავშვებს. კარგად არის სწავლის საქმე დაყენებული პენსიში. ნამდვილად.

ერთი სიტყვით, დეკემბერი იდგა, ციოდა _ ძაღლი არ გაიგდებოდა კარში. წარმოიდგინეთ, რა სუსხი იქნებოდა იმ იდიოტურ გორაკზე. მე კი ქურთუკის ამარა ვიდექი, არც თათმანები, არც ჯანდაბა და დოზანა. სწორედ ერთი კვირის წინ ამაწაპნა ვიღაცამ ჩემი ოთახიდან აქლემის ბეწვის ქურქი, და ბეწვის თბილი ხელთათმანებიც გააყოლა _ ქურქის ჯიბეში მეწყო. ჯიბგირებით არის

გამოტენილი პენსი. მდიდარი ოჯახის შვილებსაც ბევრს შეხვდები, მაგრამ საერთოდ ჯიბგირებითაა სავსე. რაც უფრო ძვირფასიანია სკოა, მით უფრო მეტ ჯიბგირს ნახავ იქ... ღმერთმანი. ერთი სიტყვით, იმ დაფხავებული ზარბაზნიუს გვერდით ვიდექი, მინდორს გადავყურებდი და სიცივისაგან უკანალი მეწოდა. მაგრამ თამაშის ცქერით მაინცდამაინც არ ვიწუხებდი თავს. უფრო იმიტომ ვიდექი, რომ სკოლასთან გამომშვიდობების გრძნობა განმეცადა. რამდენი სკოლა და საცხოვრებელი ადგილი გამომიცვლია, და ერთხელაც არ მომსვლია თავში გამომშვიდობება. ჭირის დღესავით მძულს. ერთხელაც არ დავფიქრებულვარ _ ან მწუხარებას ხომ არ განვიცდი ამ განშორებით ან რამე უსიამოვნებას-მეთქი. მაგრამ უნდა განვიცადო კი, რომ ნამდვილად ვშორდები აქაურობას. თუ ამას ვერ განვიცდი, ძაღლის გუნებაზე დადგები.

ბედმა გამიღიმა, უცებ ისეთი რაღაც მომაგონდა, რომ ხელადვე ვიგრძენი _ საბოლოოდ ვტოვებ ამ ოხერ სკოლას-მეთქი. გამახსენდა, ერთხელ ოქტომბერში რა თავგადადებით ვთამაშობდით ზედ სკოლის წინ ფეხბურთს მე, რობერტ ტიჩნერი და პოლ ქემბელი. ღმერთივით ბიჭები იყვნენ, განსაკუთრებით ტიჩნერი. უკვე ბნელდებოდა, სადილობის დრო მოახლოვებულიყო, მაგრამ ისე გამწარებით დავდევდით ბურთს, რომ აღარაფერი გვახსოვდა. სულ უფრო და უფრო ჩამობნელდა, ძლივსღა ვარჩევდით ბურთს, მაგრამ თავის დანებება გვენანებოდა. მაინც დაგვანებებინეს. ბიოლოგიის მასწავლებელი რომაა, მისტერ ზამბესი, გამოჰყო სკოლის ფანჯრიდან თავი და, საერთო საცხოვრებელში წადითო, გადმოგვძახა, სადილისთვის მოემზადეთო. ამისთანა რამე თუკი მოიგონე, სკოლის მიტოვებაზე გულს რაღა დაგწყვეტს! მე კი ასე მომდის და რა ვიცი. გამახსენდა თუ არა ეს, ხელადვე მივტრიალდი და სირბილით დავეშვი, სპენსერის სახლისკენ გავუპირდაპირე. სკოლაში არა ცხოვრობდა სპენსერი, ანტონი უეინის ქუჩაზე იდგა.

სულ სირბილით მივადექი იმ ქუჩას და ცოტახნით შევდექი სულის მოსათქმელად. უნდა გამოგიტყდეთ, სუნთქვა ვერა მაქვს კარგი. ანკი საიდან მექნება _ თუთუნს თუთუნზე ვწევ ესე იგი, ვწევდი. აქ დამანებებინეს თავი. ტანაც, მარტო შარშან მთელი ექვსნახევარი გოჯი მოვიმატე სიმაღლეში. ალბათ, ტუბერკულიოზიც ამიტომ შემეყარა და ამ ოხერ საავადმყოფოში მიკრეს თავი სამკურნალოდ. ისე კი ჯანმრთელი ვარ.

ერთი სიტყვით, ცოტა რომ მოვიბრუნე სული, ისევ გავიქეცი. ქუჩა სულ ყინულივით იყო გალიპული, კინაღამ გავიშხლართე. ნეტა რა მიმარბენინებდა... ალბათ, ასე მეხალისებოდა. ქუჩა რომ გადავჭერი, მომეჩვენა, რაღაცნაირად გავქრი-მეთქი. ფეთიანი დღე იყო, საშინლად ციოდა, არც მზე ჩანდა და არც არაფერი, ქუჩაზე რომ გადახვიდოდი, გეგონებოდა _ ვქრები და ეს არისო.

ჰოი, ბიჭო, რა ვრეკე და ვრეკე ზარი, მოხუცი სპენსერის სახლს რომ მივადექი! გათოშილი ვიყავი. ყურები მჩხვლეტდა. თითებიც ვერ გამენძრია. «ჩქარა, ჩქარა, _ ვყვიროდი, _ გააღეთ ეს ოხერი კარი!» როგორც იქნა, დედაბერმა მისის სპენსერმა გამიღო. არც მოსამსახურე ჰყავდათ და არც არავინ, თვითონვე აღებდნენ ხოლმე კარს. ფული მაინცდამაინც არ გადასდით თავს.

_ ჰოლდენ! _ მითხრა მისის სპენსერმა, _ როგორ გამახარე! შემოდი, ჩემო კარგო! არ გაითოშე?!

მგონი მართლაც გაუხარდა ჩემი ნახვა. ვუყვარდი. მე კი ასე მეჩვენებოდა და რა ვიცი!

იცოცხლე შევვარდი სახლში!

_ როგორ გიკითხოთ, მისის სპენსერ? მისტერ სპენსერი როგორ ბრძანდება?

_ ქურთუკი აქ მომეცი, ჩემო კარგო! _ მითხრა მან. არც კი გაუგონია, მისტერ სპენსერის ამბავი რომ ვკითხე. ცოტას მოიყრუებდა.

ქურთუკი დერეფნის კარადაში დაკიდა. მე თმაზე გადავისვი ხელი. მოკლედ ვიკრეჭ ხოლმე, სავარცხელიც არ მჭIრდება.

_ როგორა ბრძანდებით, მისის სპენსერ? _ ახლა უფრო ხმამაღლა ვკითხე, იქნებ გაიგონოს-მეთქი.

_ კარგად ვარ, ჰოლდენ, _ კარადა მიხურა, _ შენ როგორღა ხარ?

ისე მკითხა, რომ, შევატყვე, მოხუც სპენსერს უკვე ეამბნა ჩემი გამოპანღურების ამბავი.

კარგად მეთქი, მეც ვუპასუხე.

_ მისტერ სპენსერი როგორ ბრძანდება? გრიპმა არ გაუარა?

_ გაუარაო! ეჰ, ჰოლდენ, ისე იქცევა, რომ... აღარ ვიცი პირდაპირ. თავის ოთახშია, გენაცვალე, შედი.

2

თავთავისი ოთახი ჰქონდა ორივეს. დაახლოებით სამოცდაათი წლისა იქნებოდნენ. თითქმის მეტიც. მაგრამ მაინც სიტკბოებას ნახულობდნენ ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა, რომ ცალი ფეხი სამარეში ედგათ. ვიცი, სიმდაბლეა ასეთი ლაპარაკი, მაგრამ განა იმისთვის ვამბობ. რა ჩემი ბრალია _ სულ თვალწინ მედგა მოხუცი სპენსერი, ხოლო როცა ბევრს ფიროობ მასზე, არ შეიძლება არ გაგიკვირდეს _ რა ცას გამოეკერება ეს ბერიკაციო! სულ მოკაკული და დამგრეულია. ცარცი რომ დაუვარდება დაფასთან, პირველი მერხიდან უნდა წამოხტეს ვინმე და მიაწოდოს. ამაზე დიდი საშინელება იქნება?! ისე, კაცმა რომ თქვას, ურიგოდ როდი ცხოვრობს. ერთ კვირა დღეს, მაგალითად _ როცა ბიჭები ცხელ შოკოლადზე დაგვპატიჟა, _ გამოიტანა და გაცრეცილი ინდური საბანი გვაჩვენა, მისის სპენსერსა და მას ეყიდა ვიღაც ინდიელისაგან იელოუსტონის პარკში. ხელადვე შეატყობდი, რომ მოხუცი სპენსერი სიხარულით ფეხზე არ იდგა, ეს რა ვიყიდეო. აი, ეს მინდოდა მეთქვა. ზოგჯერ ვინმეზე ფიქრობ, გადამღრძვალი ბერიკაციაო, და თურმე საბნის ყიფვაც კი უდიდეს სიხარულს ანიჭებს.

ოთახის კარები ღია ჰქონდა, მაგრამ მაინც დავაკაკუნე, ხომ იცით _ ზრდილობაო, ესაო... კარებიდანვე დავინახე _ მე რომ გითხარით, იმ საბანში გახვეულიყო და ტყავის დიდ სავარძელში მიყუჟლიყო. რომ დავაკაკუნე, თავი წამოსწია.

_ ვინ არის? _ დაიღრიალა მან. _ კოლფილდი ხარ? შემოდი, ყმაწვილო.

სულ ღრიალებდა, როცა კლასში არ იყო. პირდაპირ ნერვებზე მოქმედებდა. შევდგი თუ არა ფეხი ოთახში, უცებ ვინანე, რატომ მოვედი-მეთქი. «ატლანტიკ მანთლისა» კითხულობდა, ირგვლივ სულ წამლის შუშები და აბები ეყარა, და სურდოს წვეთების სუნი იდგა. გულს ჩაგწყვეტდა. საერთოდ, ავადმყოფების ნახვაზე მაინცდამაინც არ ვკარგავ ჭკუას. ყველაზე უფრო იმან ამირია გული, რომ მოხუცი სპენსერი რაღაც უბადრუკ, ერთიანად დაძონძილ აბანოს ხალათში გახვეულიყო, დარწმუნებული ვარ, ამავე ხალათში დაიბადა და გაჩენის დღIდან აღარც მოუშორებია. გული მერევა ხოლმე, ბერიკაცებს პიჟამოსა და აბანოს ხალათებში გახვეულს რომ დავინახავ. ამობზეკილი ბებრული მკერდი გარეთა

აქვთ გამოჩრილი. ახლა ფეხები! პლაჟზე რომ გინახავთ ბერიკაცების თეთრი და უბალნო ფეხები!

_ გამარჯობათ, სერ, _ მივმართე მე, _ თქვენი ბარათი მივიღე, _ მწერდა, მანამ არდადეგები დაიწყებოდეს, ჩემთან შემოიარე და გამომეშვიდობეო; იცოდა, რომ უკან აღარ დავბრუნდებოდი. _ წერილი არც გინდოდათ, ისედაც გამოგემშვიდობებოდით.

_ აგერ დაჯექი, ყმაწვილო, _ მითხრა მოხუცმა სპენსერმა, საწოლზე მიმითითა.

დავჯექი.

_ თქვენი გრიპი რასა შვრება? სერ?

_ ეჰ, ყმაწვილო, ცოტა უფრო უკეთ რომ ვგრძნობდე თავს, უსათუოდ ექიმს მოვაყვანინებდი, _ მითხრა _ მოხუცმა სპენსერმა. ტავისივე სიტყვებმა გააცინა. გიჯივით მოჰყვა ხარხარს. მერე წელში გასწორდა და მითხრა: _ ტამაშზე რატომ არა ხარ? მე მეგონა, საფინალო თამაში იყო დღეს.

_ არის კიდეც. მეც ვიყავი. ოღონდ, ის იყო მოფარიკავეებთან ერთად დავბრუნდი ნიუ-იორკიდან და პირდაპირ იქ წავედი. _ ჰოი, ბიჭო, რა ქვასავით ლოგინი ჰქონდა.

უცებ ჯოჯოხეთივით დაიბღვირა. ვიცოდი, რომ ასე იზამდა.

_ მაშ გვტოვებ, ჰა?

_ დიახ, სერ. როგორც ვატყობ, უნდა წავიდე.

სიტყვა არც კი დამემთავრებინა, რომ თავის კანტურს მოჰყვა. ჩემს დღეში არ შევხვედრილვარ კაცს, ამდენი თავის კანტური შესძლებოდეს. ვერც გაუგებ, რას აუტყდა ეს თავის კანტური _ რამეზე ჩაფიქრდა, თუ სიბერისაგან გამოფშუტურდა და აღარაფერი ესმის.

_ რაო, დოქტორ თარმერმა, რა მინდაო? გავიგე, დიდხანს გიმუსაიფიათ.

_ მართალი ბრძანდებით. ბევრი ვილაპარაკეთ. მთელი ორი საათი ვეჯექი კაბინეტში.

_ მერე რა გითხრა?

_ რა ვიცი... მოჰყვა, ცხოვრება თამაშიაო. ამ თამაშში ყოველგვარი წესები უნდა დაიცვაო. მშვენივრად ილაპარაკა. ესე იგი, მწარე არაფერი უთქვამს. სულ ამას ჩამჩიჩინებდა, ცხოვრება თამაშიაო. თქვენც ხომ იცით.

_ ცხოვრება მართლაც თამაშია, ყმაწვილო. ისეთი თამაშია, საცა ყველა წესი უნდა დაიცვა.

_ ვიცი, სერ, მეც ვიცი, განა არ ვიცი!

კაი თამაში კია, თქვენმა მზემ! იმ მხარეს თუ მოხვდი, საცა მაგარი ბიჭები არიან, არა გიშავს რა, მართლაც თამაშია, რა მეთქმის. მაგრამ მეორე მხარეს თუ მოხვდი და არც ერთი მაგარი მოთამაშე არ გირევიათ! მაშინაც თამაშია?! რაღა თამაში გამოვა!

_ უკვე მისწერა შენს მშობლებს დოქტორ თარმერმა? _ მკითხა მოხუცმა სპენსერმა.

_ ორშაბათს მივწერო.

_ შენ თვითონ არ შეატყობინე?

_ არა, სერ, არ შემიტყობინებია, ოთხშაბათ საღამოს ხომ უნდა ჩავიდე, და ბარემ მაშინ ვეტყვი.

_ მერე როგორ გგონია, რას იტყვიან?

_ რა ვიცი... მაგრად გაბრაზდებიან, _ მივუგე მე, _ რა თქმა უნდა, გაბრაზდებიან. უკვე მეოთხე სკოლა გამოვიცვალე. _ თავი გავაქნიე. წარამარა თავის ქნევა ვიცი. _ ჰოი, ბიჭო! _ ვთქვი მე. ამ «ჰოი, ბიჭოსაც!» წარამარა ვისვრი ხოლმე. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ როგორღაც სიტყვები არა მყოფნის, მეორეც _ ზოგჯერ ჩემი ასაკისათვის სავსებით შეუფერებლად ვიქცევი. მაშინ თექვსმეტი წლისა ვიყავი, ახლა უკვე ჩვიდმეტისა ვარ, და მაინც ისეთ რამეს გავაკეთებ ზოგჯერ, რომ ცამეტი წლის ბიჭი გეგონებით. სასავცილო კია, რადგან აყლაყუდა ვარ _ მთელი ექვსი ფუტი და ორნახევარი დიუმი; თმაც შეჭაღარავებული მაქვს! კი არ გეხუმრებით, ერთ მხარეს _ მარჯვნივ _ მილიონობით თეთრი მირევია. ბავშვობიდანვე ასე მაქვს. და მაინც ისეთ რამეს გავაკეთებ ხანდახან, თორმეტი წლის ბიჭი გეგონებით. სულ ამას მსაყვედურობენ, გამსაკუთრებით მამაჩემი. ნაწილობრივ მართლებიც არიან, მაგრამ არც მთლად მასეა. მეც რა მენაღვლება, ეგონოთ. _ ეს არის, რომ გული მერევა, როცა მარიგებენ _ უკვე დიდი ხარ და დიდივით მოიქეციო. ზოგჯერ იმაზე უფრო დიდივით ვიქცევი, ვიდრე ვარ... ღმერთმანი... მაგრამ ამას ვინ დაინახავს. საერთოდ, ვერაფერსაც ვერ ხედავს ხალხი.

მოხუც სპენსერს ისევ თავის კანტური აუტყდა და თან ცხვირის ჩიჩქნასაც მოჰყვა. თითქოს ისრესსო, უნდა ეჩვენებინა, მაგრამ დამჭკნარ ცერს პირდაპირ ნესტოში კი იჩრიდა: ჩემს მეტი არავინ ყოფილა ოთახში და ალბათ იფიქრა, ამისთანა რამეები შეიძლებაო. მეც რა მენაღვლებოდა, თუმცა შეგეზიზღება კი, ცხვირის ჩიჩქნას რომ უყურებ.

მერე დაიწყო:

_ ამ რამდენიმე კვირის წინათ მე პატივი მქონდა, დედაშენი და მამაჩენი გამეცნო, დოქტორ თარმერთან რომ ჩამოვიდნენ სასაუბროდ. დიდებული ხალხია.

_ დიახ, მართალი ბრძანდებით. ძალიან კარგი ხალხია.

«დიდებული»! ჭირივით მძულს ეგ სიტყვა. მეტისმეტად გატყლარჭულია. გულს მირევს ხოლმე.

უცებ ისეთი სახე გაუხდა მოხუც სპენსერს, თითქოს ძალიან კარგი და ჭკვიანური რამე უნდა თქვასო. სავარძელში გასწორდა და მობრუნდა. სულ ფუჭი გამოდგა შიში: კალთიდან «ატლანტიკ მანთლი» აიღო და ლოგინისკენ ისროლა, საცა მე ვიჯექი. მაგრამ ააცილა. სულ ორ გოჯზე იდგა საწოლი, მაგრამ მაინც ააცილა. ავდექი, ჟურნალი ავიღე და ლოგინზე დავდე. უცებ საშინლად მომინდა ამ ოთახიდან წავსულიყავი _ თუნდაც ჯანდაბაში. ვგრძნობდი, რომ გულისამრევი ქადაგება დაიწყებოდა. ილაპარაკონ, რა მენაღვლება. მაგრამ, არაფრად მეპიტნავებოდა ახლა ქადაგების მოსმენა, როცა ირგვლივ წამლის სუნი იდგა და პიჟამასა და ხალათში გახვეული ბერიკაცი იქვე მეჯდა. ვერაფერი სასიამოვნო იყო.

მართლაც დაიწყო.

_ რა ღმერთი გიწყრება, ყმაწვილო?! _ კარგა მკვახედ მითხრა. მისგან არ ვიყავი დაჩვეული, _ რამდენი საგანი ჩააბარე ამ მეოთხედში?

_ ხუთი, ბატონო.

_ ხუთი. რამდენში ჩაიჭერი?

_ ოთხში. _ საწოლზე შევიშმუშნე. ამისთანა მაგარ ლოგინზე ჯერაც არ ვმჯდარიყავი. _ ინგლისური კარგად ჩავაბარე, _ განვაგრძე მე, _ რადგან «ბიოვულფი» და «ლორდო რენდალ, საყვარელო შვილო ჩემო» ჰუტონის

სკოლაშივე მქონდა ნასწავლი. ინგლისურზე ბევრი არ მიწვალია, გარდა იმისა, რომ დროგამოშვებით სავარჯიშოებსა ვწერდი.

არც კი მისმენდა. ასეთი ზნე სჭირს _ შენ რაღაცას ეუბნები, ის კი არ გისმენს.

- ისტორიაში იმიტომ ჩაიჭერი ინჩი-ბინჩი არ გაგეგებოდა.

- ვისი, სერ. განა არ ვიცი. რა თქვენი ბრალია.

- ინჩიბინჩი, - გაიმეორა მან. აი რა მშლის ჭკუაზე! ორჯერ რომ გაგიმეორებენ გამოჯიბრებით, მიუხედავად იმისა, რომ მაშ.ინვე დავეთანხმე. მესამედაც კი გაიმეორა, - ინჩი - ბინჩი! არა მგონია, მთელს მეოთხედში ერთხელ მაინც გადაგეშალოს წიგნი. ჰა მართალი მითხარი, ყმაწვილო?

- როგორ არა, ერთი-ორჯერ კი გადავხედე, - მივუგე მე. არ მინდოდა მეწყენინებინა. ისტორიაზე პირდაპირ ჭკუას კარგავდა.

- მაშ გადახედე, ჰა? - დაცინვით მკითხა, - აგერ მიდევს, თაროზე, შენნი საგამოცდო ნამუშევარი. აბა, ერთი მომაწოდე.

ამისთანა სისაძაგლე გაგონილა! მაგრამ მაინც მივუტანე, მეტი რაღა ჩარა იყო. მერე ისევ ისე ჩამოვჯექი მის ცემენტის ლოგინზე. ჰოი, ბიჭო, გულზე ვსკდებოდი - რამ გამასულელა და გამოსამშვიდობებლად რამ მომიყვანა-მეთქი.

ისე ჩამომართვა საგამოცდო ნამუშევარი, თითქოს ნეხვი ყოფილიყოს.

- ეგვიპტეს ჩვენ ოთხი ნოემბრიდან მოყოლებული ორ დეკემბრამდე ვსწავლობდით, - თქვა მან, - შენ თვითონ აირჩიე საგამოცდოდ ეს თემა. არ გინდა მოისმინო, რა დაგიწერია?

- არა, სერ, არც ისე.

მაინც წაიკითხა. მასწავლებელმა რამე მოინდომოს, და შენ გააჩერებ?! ჯიბრით გააკეთებს!

«ეგვიპტელები კავკასიური წარმოშობის უძველესი რასა იყო და აფრიკის ჩრდილო ნაწილში ცხოვრობდნენ. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ ნახევარსფეროს უდიდეს კონტინენტს წარმოადგენს».

მე კიდევ ვიჯექი და ვისმენდი ამ სისულელეს. მართლაც არ გაგონილა ასეთი სისაძაგლე!

«ეგვიპტელებით ჩვენ დღეს ბევრი რამის გამო ვართ დაინტერესებულნი. თანამედროვე მეცნიერებას ჯერაც ვერ გაუხსნია ის საიდუმლო, თუ როგორ შეახვევდნენ ხოლმე ისინი თავიანთ მიცვალებულებს ისე, რომ სახე საუკუნეების განმავლობაში არ გაფუჭებოდათ. ეს საოცარი გამოცანა ჯერ კიდევ მედიდურად იწვევს ამოსახსნელად მეოცე საუკუნის თანამედროვე მეცნიერებას».

კითხვა შეწყვიტა და რვეული დასდო. თითქოს ერთბაშად შემძუოდა ეს კაცი.

- აქა მთავრდება თქვენი უკაცრავად პასუხია ესეი, - მითხრა მან ისეთივე გამქირდავი კილოთი. რას ვიფიქრებდი, ბერიკაცს ამდენი ქირდვა შეეძლო. - თუმცა ქვემოთ კიდევ მიგიწერია პატარა შენიშვნა ჩემთვის, - დასძინა მან.

- დიახ, მახსოვს, - მივუგე მე. ერთბაშად მივახალე, იქნებ ეს მაინც არ წაიკითხოს-მეთქი. მაგრამ რას შეაჩერებდი. მაშხალასავით ფეთქდებოდა.

«ძვირფასო მისტერ სპენსერ! (ღრიალით წაიკითხა) სულ ეგ არის - ეგვპიტელებისა მეტი აღარაფერი ვიცი. თქვენი ლექციები ძალიან საინტერესოა, მაგრამ თვითონ ეგვიპტელებმა ვერ დამაინტერესეს. თქვენ ჩამჭრით თუ არა, ამას უკვე აღარაფერი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ინგლისურს გარდა, ყველაფერში ჩავიჭერი. თქვენი პატივისმცემელი ჰოლდენ კოლფილდი».

უკანვე დასდო ჩემი წყეული რვეული და ისე გადმომხედა, თითქოს სულ დავენგრიე პინგ-პონგის თამაშში. არასოდეს არ ვაპატიებ, რომ სისულელე ასე

ხმამაღლა წამიკითხა. მისი დაწერილი რომ ყოფილიყო, არასდიდებით არ წავუკითხავდი ხმამაღლა. ღმერთმანი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის ოხერი შენიშვნა აკი იმიტომ მივაწერე, ორიანის დაწერა არ გაუჭირდეს-მეთქი.

- ხომ არ მიბრაზდები, რომ ჩაგჭერი, ყმაწვილო? - მკითხა მან.

- რასა ბრძანებთ, სერ! - სულაც არა. - მივუგე მე. ეს «ყმაწვილო» რაღას დაიჟინა!

ჩემი საგამოცდო რვეულიც მოიქნია ლოგინისკენ. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ააცილა. ისევ წამოვდექი, ავიღე და «ატლანტიკ მანთლის» დავადე ზემოდან. გული ამირია ყოველ ორ წუთში ერთი და იგივე საქმის კეთებამ.

- შენ რას იზამდი ჩემს ადგილას? - მკითხა მან, - მართალი მითხარი, ყმაწვილო.

ეტყობა, მართლა ძალიან აწუხებდა ჩემი ჩაჭრა. ახლა მე დავიქოქე. ჭკუათხელი ვარ-მეთქი, ვუთხარი, და ათას ამისთანა სისულელეს მოვჰყევი. თქვენს ადგილას რომ ვყოფილიყავ, მეც სწორედ ასე მოვიქცეოდი-მეთქი, ბევრს წამოდგენაც კი არა მაქვს, მასწავლებლობა რა ძნელი ხელობაა-მეთქი და ამისთანა სისულელეები. ერთი სიტყვით, მაგრად დავიქოქე.

სასაცილო ის არის, რომ მანამ ასე ვქაქანებდი, ფიქრით სულ სხვა რამეს ვფიქრობდი. ნიუ-იორკში ვცხოვრობ და თვალწინ ცენტრალური პარკის ტბა მიდგას, სამხრეთით რომ ტყაა. ნეტა გამაგებინა, შინ რომ დავბრუნდები, ის ტყა გაყინული დამხვდება თუ არ, ან თუ გაიყინება - იხვები სადღა წავლენ-მეთქი. ვერ წარმომედგინა, სად უნდა წასულიყვნენ იხვები, როცა ტბას მთლიანი ყინული დაჰფარავდა! იქნებ საბარგო მანქანით ჩამოუარონ და ზოოპარკში წაასხან, ან სადმე სხვაგან. ანდა იქნება თვითონვე გაფრინდნენ სადმე.

იღბლიანი კაცი ვარ, კარგად გამომივიდა. რაც ენაზე მომადგება, ყველაფერს ვეუბნები მოხუც სპენსერს, თან კი იხვებზე ვფიქრობ. სასაცილოა. მასწავლებელს რომ ელაპარაკები ფიქრით არ უნდა შეიწუხო თავი. ვაყრი სხაპასხუპით სიტყვებს და უცებ შემაწყვეტინა. შეწყვეტინება ჩვეულებადა სჭირს.

- მერე რას ფიქრობ, ყმაწვილო? ძალიან მაინტერესებს ამის გაგება, ძალიან მაინტერესებს.

- რაზე მეკითხებით? პენსიდან რომ გამომაპანღურეს? - ვკითხე მე. ამ გამობზეკილ მკერდზე მაინც დაიფარვდეს ხალათს. ვერაფერიშვილი სანახავი იყო.

- თუ არ ვცდები, ჰუტონის სკოლასა და ელქტონ-ჰოლშიაც ასეთივე უსიამოვნება შეგხვდა. - ეს მარტო გაქირდვით კი არ უთქვამს, ისედაც ბინძურად გამოუვიდა.

- ელქტონ-ჰოლში სულაც არ შემხვედრია უსიამოვნება - არც ჩავჭრილვარ და არც არაფერი. ისე წამოვედი, ჩემი გუნებით.

- მაინც რატომ წამოხვედი, არ შეიძლება გკითხო?

- რატომ? ეჰ, ეს ამბავი შორს წაგვიყვანს, სერ. ძაან დახლართული საქმეებია. - სულაც არ მეხალისებოდა ამეების მოყოლა. სულერთია, მაინც ვერ გაიგებდა. ანკი ვინ ეკითხებოდა. ელქტონ-ჰილიდან წამოსვლის მიზეზი ის გახლავთ, რომ იქ თავიდან ბოლომდე ყველაფერი სიყალბეზე იყო აგებული. ეგ არის და ეგ. ყველაფერი გამოსაჩენად ჰქონდათ. თუნდაც თვითონ დირექტორი ავიღოთ - მისტერ ჰაასი, იმისთანა ფუყესა და თვალთმაქც ნაბიჭვარს ჩემს დღეში არ შევხვედრივარ. თარმერზედაც ათჯერ უარესი იყო. გამოიჯგიმებოდა კვირაობით და ყველა ჩამოსულ მშობელს ჩამოართმევდა ხოლმე ხელს. სულ დატკბებოდა და

დაითაფლებოდა. მაგრამ ყველას როდი ექცეოდა ასე. უნდა გენახათ, როგორ შეხვდა ერთი ჩემი ამხანაგის მშობლებს. საქმე ის არის, რომ ზოგის დედა ჩასუქებული გახლდათ და სოფლელ დედაკაცსა ჰგავდა, მამა კი სასაცილოდ მხრებაბზეკილ კოსტუმში იყო გახვეული და ფეხზედაც სოფლურად აჭრელებული ფეხსაცმელი ეცვა. ამისთანა ხალხს უგულოდ გაუწვდიდა ხელს, ერთს თვალთმაქცურად გაუღიმებდა და მერე ვინმე სხვა მშობელს გაუმართავდა ბარე ნახევარსაათიან საუბარს. ამისთანა რამეს ვერ ვიტან. ლამის ჭკუიდან შემშალოს. ისეთ საძაგელ გუნებაზე დამაყენებს, რომ გაგიჟებას ცოტაღა მიკლია. ჭირის დღესავით მძულდა ის ოხერი ელქტონ-ჰოლი.

მოხუცმა სპენსერმა რაღაც მკითხა, მაგრამ არ გამიგონია. მე იმ ჰაასზე ვფიქრობდი.

- რა მიბრძანეთ, სერ? - ჩავეკითხე ბერიკაცს.

- არ ნანობ მაინც, პენსიდან წასვლას?

- რა ბრძანებაა, ვნანობ კიდეც, რა თქმა უნდა... მაგრამ ძალიან არა. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არა. ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ მოვსულვარ გონზე. ასე უცბად ვერა ვხვდები ხოლმე, დრო არის საჭირო. ახლა სულ იმაზე ვფიქრობ, ოთხშაბათს, შინ როგორ დავბრუნდები-მეთქი. მაკლია ცოტა.

- მომავლის ბედი სულ არ გაწუხებს, ყმაწვილო?

- როგორ არა. ცოტათი მაწუხებს. აბა რა! როგორ არ მაწუხებს! - ერთი წუთით ჩავფიქრდი, - მაგრამ არცთუ ისე ძალიან. არცთუ ისე ძალიან.

- როცა იქნება, შეგაწუხებს, - მითხრა მოხუცმა სპენსერმა, - შეგაწუხებს, ყმაწვილო, შეგაწუხებს, მაგრამ გვიანღა იქნება.

არ მესიამოვნა მისი სიტყვები. რა ამბავია, ხომ არ მოვმკვდავარ! ძაღლის გუნებაზე დამაყენა.

- ალბათ, შემაწუხებს, - ესღა ვუთხარი.

- მინდა თავში რამე ჩაგიდო, ყმაწვილო, ვცდილობ დაგეხმარო, გიშველო რამე.

მართლაც ცდილობდა. ზედვე ეტყობოდა, რომ ცდილობდა. მაგრამ სულ განსხვავებული შეხედულება გვქონდა ცხოვრებაზე - ის ალთას იყო, მე - ბალთას.

- ვიცი, რომ ცდილობთ, სერ, - მივუგე მე, - დიდი მადლობელი ვარ. ღმერთმანი. დიდი მადლობყელი ვარ და დიდადაც ვაფასებ, ნამდვილად, - წამოვდექი. ჰოი, ბიჭო! ათ წუთსაც ვეღარ გავძლებდი იმ ლოგინზე, სიკვდილი მერჩივნვა, - ახლა უნდა წავიდე, ფიზკულტურის დარბაზში ათასი რამე მიყრია და შინ წასაღებად უნდა შევკრა. ღმერთმანი.

შემომხედა და ისევ თავის კანტური აუტყდა. სახე ძალიან სერიოზული გაუხდა. უცებ საშინლად შემეცოდა. მაგრამ იქ ხომ არ დავსახლდებოდი! მით უმეტეს, ის ალთას მიიწევდა, მე ბალთას, თან რაც კი ისროლა ლოგინისკენ, ყველაფერი ააცილა!.. ახლა ეს გაცრეცილი ხალათი და გარეთ გამოჩრილი მკერდი! თან გრიპის წამლებით აყროლებული ოთახი!

- იცით რა, სერ, ჩემზე ნუ ინაღვლებთ, - განვაგრძე მე, - მე არაფერი მიჭირს. ეტყობა, გარამავალ ასაკში ვარ. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ხომ ასეა?

- რა ვიცი, ყმაწვილო, აბა რა გითხრა!

ამისთანა პასუხს ვერ ვიტან.

- რა თქმა უნდა, ჩვეულებრივია. აბა რა. თავის შეწუხებადაც არ ღირს. თუ ღმერთი გწამთ, ჩემზე ნუ ინაღვლებთ, - ხელი მხარზე დავადე, - ხომ?

- იქნებ ერთი ფინჯანი ცხელი შოკოლადი დაგელია წასვლის წინ, მისის სპენსერს ძალიან...

- დიდი სიამოვნებით დავლევდი, სერ, მაგრამ უნდა წავიდე. ფიზკულტურის დარბაზში უნდა შევიარო. დიდი მადლობა. დიდი, დიდი მადლობა, სერ.

მერე ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და ათასი ამნაირი სისულელე, ძაღლის გუნებაზე დავდექი.

- წერილს გამოგიგზავნით. მაგ გრიპს ნუ გაუთამამდებით.

- ნახვამდის, ყმაწვილო.

კარი რომ გამოვიხურე და სასადილო ოთახში გამოვედი, რაღაც მომაძახა, მაგრამ კარგად ვერ გავარჩიე. დარწმუნებული ვარ «გზა მშვიდობისა» მომაძახა. თუმცა ვინ იცის. ღმერთმა ნუ ქნას. ჩემს დღეში არ ვერტყვი კაცს, გზა მშვიდობისა-მეთქი. საშინელებაა რომ დაფიქრდები.

3

ჩემისთანა ტყუილების გუდას, ალბათ, ჯერაც არ შევხვედრივართ ცხოვრებაში. ამაზე დიდი საშინელება რა უნდა იყოს! აგერ მაღაზიაში მივდივარ ჟურნალის საყიდლად, მეკითხებიან საით გაგიწევიაო. ნუ გაგიკვირდებათ რომ ვუპასუხო - ოპერაში მივდივარ-მეთქი. საშინელებაა! მოხუც სპენსერს რომ ვუთხარი, ფიზკულტურის დარბაზში უნდა შევიარო-მეთქი, ესეც მტკნარი სიცრუე იყო. ფიზკულტურის დარბაზში რა ჯანდაბა მინდოდა, საერთოდ არაფერსაც არ ვინახავ იქ.

პენსიში რომ ვსწავლობდი, ჩვენი ახალი საერთო საცხოვრებელი ოსენბერგერის სახელობის ფლიგელში იყო მოთავსებული. მხოლოდ უფროსები და უმცროსები ვცხოვრობდით იქა. მე უმცროსი ვიყავი, ჩემი ოთახის მეგობარი - უფროსი. ის ოსენბერგერიც პენსიში სწავლობდა თურმე. როცა დაამთავრა, დამკრძალავი ბიურო მოაწყო და დიდძალი ფულიც მოხვეტა. მთელს შტატში ჩამოაყალიბა ამისთანა ბიუროები. თუ ვინმე ნათესავი მოგიკვდებოდა, მიხვიდოდი, ხუთ დოლარს გადაიხდიდი და დამარხავდი. ეს იყო მთელი მისი საქმიანობა. ნეტა გენახათ ის ოსენბერგერი, ალბათ ტომარაში ჩატენიდა მკვდარს და პირდაპირ მდინარეში გადაუძახებდა. პენსის სკოლას კი კარგა ბევრი ფული შესწირა და იმიტომაც შეარქვეს ჩვენს ფლიგელს მისი სახელი. საფეხბურთო სეზონის პირველ მატჩზე თავისი დიდებული კადილაკით ჩამობრძანდა. ჩვენ ტრიბუნებზე ჩაგვამწკრივეს და გვაბღავლეს - ესე იგი, «ვაშა» გვაძახებინეს... მეორე დილას ეკლესიაში ათსაათიანი სიტყვა წარმოთქვა. ჯერ ანეგდოტებით დაიწყო, ბარე ორმოცდაათი უკბილო ანეგდოტი გვიამბო - ვითომ, შემხედეთ, რა უბრალო კაცი ვარო. ეხუმრები! მერე მოდგა და რა არ წამოროშა - გასაჭირში რომ ჩავვარდები ან რამე უბედურება შემემთხვევა, სულაც არ მერცხვინება - დავიჩოქო და ღმერთს შევავედრო თავიო. ჩვენც ასე გვირჩია, სულ უნდა ილოცოთ და რა დროც არ უნდა იყოს, ღმერთს ესაუბროთო. ქრისტე ისე უნდა იგულოთ, როგორც თქვენი ძმაკაცო. მეც, პირადად, სულ ქრისტეს ვესაუბრები, მაშინაც კი, როცა საჭეს ვუზივარო. ამან მომსპო! წარმოვიდგინე, როგორ გადაჰყავს ამ გამოქექილ ნაბიჭვარს მანქანა პირველ სიჩქარეში და თან ქრისტესა სთხოვს, ცოტა უფრო მეტი მკვდარი გამომიგზანეო. მაგრამ ლაპარაკის საღერღელი რომ აეშალა და ეშხში შევიდა, ნამდვილი სეირი სწორედ მაშინ მოხდა. გადაიქაჭა - ასეთი ბიჭი ვარო, ამისთანა მოხერხებულიო, რა არ გამომივა ხელიდანო, და ამ დროს, უცებ, ედგარ მარსალამ, რომელიც ჩემს წინ იჯდა, აიღო და ერთი მაგრად ბრიგა. რა თქმა უნდა, დიდი სიბრიყვე მოუვიდა, ტაძარში როგორ შეიძლებოდა!.. მაგრამ

ძალიან სასაცილო კი იყო. ყოჩაღ, მარსალა! სახურავი კინაღამ გაანგრია. ხმამაღლა არავის გაუცინია, ოსენბერგერს წარბიც არ შეუხრია - ვითომ არ გაუგონია. მაგრამ ბებერ თარმერს, ჩვენს დირექტორს, რომელიც ოსენბერგერის გვერდით იჯდა კათედრაზე, ხელადვე შეეტყო, რომ მშვენივრად გაიგონა. ჰოი, ბიჭო, რას გაწიწმატდა! მაშინ არაფერი მაგრამ მეორე საღამოს სასკოლო დარბაზში შეგვყარა ყველა და დაიქოქა. ის მოსწავლე, რომელმაც ეკლესიაში აღმაშფოთებელი დანაშაული ჩაიდინა, სკოლაში გაჩერების ღირსი არ არისო. მარსალას შევეხვეწეთ, მაგრამ თარმერს სიტყვა დაუმთავრებია, ერთი კიდე ბრიგეო. მაგრამ გუნებაზე ვერ იყო. ერთი სიტყვით, პენსიში ყოფნის დროს ოსენბერგერის სახელობის ფლიგელის ახალ საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი.

შვებით ამოვისუნთქე, როცა მოხუცი სპენსერისაგან წამოსულმა თავი ისევ ჩემს ოთახში ამოვჰყავი. ყველანი ფეხბურთზე გაკრეფილიყვნენ და, რაღაც შემთხვევით, ოთახში თბილოდა კიდეც. მყუდროობა ვიგრძენი. ქურთუკი გავიხადე, ყელსახვევი მოვიძრე, საკინძე გავიხსენი და იმ დილით ნიუ-იორკში ნაყიდი ქუდიც მოვიხადე. ეს იყო კარტუზჩამოგრძელებული წითელი სანადირო ქუდი. გამოვედით თუ არა მეტროდან, სადაც ის ოხერი დაშნები დამრჩა, სპორტული მაღაზიის ვიტრინაში მოვკარი თვალი ამ ქუდს. სულ ერთი დოლარი ღირდა. უკუღმა დავიხურე, კარტუზი კისკრისკენ მოვაქციე... ვიცი, დიდი სისულელეა, მაგრამ ასე მომეხუშტურა. უფრო მომიხდა კიდეც. მერე დაწყებული წიგნი გადმოვიღე და სავარძელში მოვიკალათე. თითო ოთახში ორ-ორი სავარძელი იდგა. ერთი სავარძელი ჩემი იყო, მეორე - ჩემი ოთახის ამხანაგის უორდ სტერდლეიტერისა. სახელურები მოყანყალებული ჰქონდა სავარძლებს, რადგან ყველა ზედ აჯდებოდა, მაგრამ ისე სასიამოვნო და მოხერხებული იყო.

ეს წიგნი ბიბლიოთეკიდან შეცდომით წამოვიღე. შეეშალათ და სხვა მომცეს. მანამ შინ არ მოვედი, არც შემიმჩნევია. ისაკ დინსენის წიგნი მოეცათ, «აფრიკის ტევრებში». ნაგავი იქნება-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ მოვტყუვდი. მშვენიერი წიგნი გამოდგა. დიდი განათლებული არ გახლავართ, მაგრამ კითხვით ბევრს ვკითხულობ. ჩემი საყვარელი მწერალია დ.ბ. - ჩემივე ძმა. მეორე საყვარელი მწერალი რინგ ლარდნერია. სწორედ ჩემმა ძმამ მაჩუქა დაბადების დღეს რინგ ლანნერის წიგნი, მანამ პენსის სკოლაში შევიდოდი. პიესები იყოგ წიგნში - ძალიან სასაცილო პიესები - და, გარდა ამისა, ერთი მოთხრობაც მოძრაობის მომწესრიგებელ პოლისმენზე. პოლისმენს შეუყვარდება ერთი მშვენიერი გოგო, რომელსაც მუდამ სადღაც მიეჩქარება და მოძრაობის წესებს არღვევს. მაგრამ პოლისმენი ცოლიანია და ამ გოგოს ვერც შეირთავს და ვერც ვერაფერი. მერე გოგო კვდება, რადგან სულ ფაცხა-ფუცხით დადის. ჭკუა კინაღამ დავკარგე ამ მოთხრობაზე. საერთოდ, ყველაზე უფრო ისეთი წიგნები მიყვარს, სადაც სასაცილო რამეებია. კლასიკური წიგნებიც ბლომად მაქვს წაკითხული, მაგალითად «სამშობლოში დაბრუნება» და ამისთანები, მომწონს კიდეც. ომზედაც ყველაფერი წამიკითხავს, დეტექტივებიც, და რა ვიცი, მაგრამ ამისთანა რამეებზე მაინცდამაინც არ ამომდის მზე. უფრო ისეთ წიგნებზე ვგიჟდები, კითხვას რომ გაათავებ და ინატრებ - ნეტა ამის დამწერი და მე კაი ძმაკაცები ვიყოთო, და ტელეფონითაც რომ დაურეკავ, როცა მოგინდება. ეს კი იშვიათად ხდება. თუმცა რა, სიამოვნებით დავურეკავდი ისაკ დინსენს. რინგ ლარდნერსაც დავურეკავდი, მაგრამ დ.ბ.-მ მითხრა მოკვდაო. აბა «ადამიანური ტვირთი» ნახეთ, სომერსეტ მოემის დაწერილია. შარშან ზაფხულში წავიკითხე. კარგი წიგნია, რა მეთქმის, მაგრამ სომერსეტ მოემისთვის დარეკვა სულაც არ მომდომებია. ვისთანაც მე

ლაპარაკი მინდა, ისეთი კაცი ვერ არის ალბათ. მორჩა და გათავდა. თომას ჰარდის უფრო სიამოვნებით დავურეკავდი. მომწონს მისი იუსტისია ვეი.

ერთი სიტყვით, თავზე ახალი ქუდი წამოვიკოსე, სავარძელში მოვკალათდი და «აფრიკის ტევრების» კითხვას შევუდექი. ერთხელ წაკითხული მქონდა, მაგრამ ახლა ზოგიერთი ადგილის ხელმეორედ გადაკითხვა მომინდა. სამი გვერდის წაკითხვა ძლივს მოვასწარი, რომ ფარდაჩამოფარებულო შხაპის კაბინიდან ვიღაც გამოვიდა. არც კი გამიხედია, ისე მივხვდი, ვინც იქნებოდა. რობერტ ეკლი იყო, მეზობელ ოთახში ცხოვრობდა. ჩვენს ფლიგელში ყოველ ორ ოთახს შორის საზიარო შხაპის კაბინა იყო მოწყობილი, და ეს რობერტ ეკლი დღეში ბარე ოთხმოცდახუთჯერ შემოალაჯებდა ხოლმე ჩემს ოთახში. ამასთან, ჩემს გარდა, იგი ერთადერთი ბიჭი იყო, რომელიც ფეხბურთზე არ წასულა. საერთოდ, იშვიათად თუ სადმე წავიდოდა. ახირებული კაცი გახლდათ. უფროსი იყო, მთელი ოთხი წელი გაეტარებინა პენსიში, მაგრამ სახელს მაინც არ ეძახდნენ, გვარით მიმართავდნენ ხოლმე - «ეკლი». მისი ოთახის ამხანაგსაც კი, ჰერბ გეილს, ერთხელ არ დაუძახია მისთვის «ბობ», ან უბრალოდ «ეკ». ოდესმე ცოლს თუ ეღირსა, ისიც, ალბათ, «ეკლის» დაუძახებს. აყლაყუდა იყო - ექვსი ფუტი და ოთხი დუიმი - კბილებჩამპალი... რაც ჩემს მეზობლად ცხოვრობდა, ერთხელაც არ შემინიშნავს, რომ კბილები გაეხეხოს. სულ ჩაყვითლებულ-ჩაჟანგული ჰქონდა და როცა სასადილოში პირს კარტოფილით ან მუხუდოთი გამოიტენიდა, მე გული მერეოდა. სულ დამუწუკებული იყო. მარტო შუბლსა და ნიკაპზე კი არ, ბიჭებს რომ აქვთ ხოლმე, მთელი სახე ზღმურდლით ჰქონდა დაფარული. ეს კიდევ არაფერი, საერთოდ აუტანელი კაცი იყო. ბილწი და გაიძვერა. მართალი თუ გნებავთ, გულზე დიდად არ მეხატა.

ვიგრძენი, რომ ზედ კაბინის ფარდასთან იდგა, ჩემი სავარძლის უკან, და ოთახში იჭყიტებოდა - სტრედლეიტერი ხომ არ არისო. სტრედლეიტერს ვერ იტანდა, როცა იგი შინ იყო, არც შემოვიდოდა. ანკი ვის იტანდა, მთელი სკოლა სძულდა.

ფარდა გადასწია და შემოვიდა.

- ჰეი! - მითხრა. ისე იტყოდა ხოლმე ამას, თითქოს საშინლად დაღლილი და გასავათებული ყოფილიყოს. თავის ისე იჭერდა, ვითომ სტუმრად კი არ შემოსულიყოს შენთან; თითქოს შემთხვევით შემოვიდა. ისე ღმერთი უშველის!

ჰეი-მეთქი, მეც ვუპასუხე, მაგრამ წიგნისთვის არ მომიშორებია თვალი. აბა სინჯე და, ეკლი რომ თავზე დაგადგება, წიგნი გვერდზე გადადე! მორჩა, წასულია შენი საქმე. ისედაც წასულია შენი საქმე, მაგრამ თუ წიგნი გიჭირავს ხელში, უფრო დიდხანს გაუმაგრდები.

დინჯად გაიარ-გამოიარა, ვითომც არაფერიო. მაგშიდასა და თაროზე რაც ნივთები მეწყო, ყველას შეავლო სათითაოდ ხელი. ასეთი ჩვეულება ჰქონდა, აიღებდა ნივთებს და კარგად დაათვალიერებდა. უჰ, ნერვებს მიშლიდა.

- რა ქენით, იფარიკავეთ? - უნდოდა როგორმე წიგნისთვის დამენებებინა თავი და სიამოვნება ჩამშხამებოდა. ფარიკაობა ფეხებზე ეკიდა. - ვინ მოიგო? ჩვენ თუ იმათ?

- არავისაც არ მოუგია, - ვუპასუხე მე. არც ახლა ამიხედავს ზევით.

- რაო? - ასეთი ზნე სჭირდა, - ორჯერ გათქმევინებდა.

- არაივსაც არ მოუგია. - ცერად გავხედე, ჩემს თაროზე რას აწვალებს-მეთქი. სალი ჰეისის სურათს მიშტერებოდა. ნიუ-იორკელი გოგოა, ხშირად დავდიოდი ხოლმე მასთან ერთად. ხუთიათასჯერ მაინც ექნებოდა ეს სურათი ხელში

აღებული და ერთხელაც თავის ადგილზე არ დაუდია. განზრახ, რასაკვირველია, მაგას რა ბევრი ჩიჩინი უნდა.

- არავის არ მოუგია? - იკითხა მან. - როგორ?

- ის ოხერი დაშნები და მორთულობა მეტროში დამრჩა, - არც ახლა ამიხედია.

- მეტროშიო? რა ღმერთი გაგიწყრა! დაგიკარგავს და ეგ არის.

- შეცდომით სხვა მეტროში მოვხვდით. მთელი გზა, სულ იმ ოხერ სქემას მივჩერებოდი კედელზე.

მოვიდა წინ ამეყუდა, სინათლეზე ჩამომეფარა.

- ეი, - ვუთხარი მე. - რაც შენ შემოხვედი, აგერ ოცჯერ ვკითხულობ ერთ წინადადებას.

ვინც არ უნდა ყოფილიყო, ეკლის გარდა, ყველა მიხვდებოდა ჩემს გადაკრულ სიტყვებს. ეს კი ვერ მიხვდა.

- მერე არ გადაგახდეივნებენ, თუ იცი? - მკითხა მან.

- რა ვიცი. ფეხებზე არ მკიდია! იქნებ დაჯდე, ან რამე ქნა, ჰა, ეკლი, ბალღო! თორემ სულ დამიბნელე ეს სინათლე. - როდი მოსწონდა «ეკლი, ბალღო». თვითონ სულ ბალღს მეძახდა, რადგან მე თექვსმეტი წლის ვიყავი, ის კი თვრამეტისა იყო. «ეკლი ბალღო-მეთქი» რომ ვეტყოდი, ცოფდებოდა.

არც განძრეულა. ამისთანა ვაჟბატონი გახლდათ - სინათლეზე მომეცალეო რომ ეტყოდი, ფეხსაც არ მოიცვლიდა. ბოლოს და ბოლოს მოგეცლება, სხვა რა გზა აქვს, მაგრამ თუ სთხოვე, განზრახ გააჭიანურებს.

- რა ჯანდაბას კითხულობ?

- წიგნს ვკითხულობ.

შეაბრუნა ჩემი წიგნი და დახედა.

- კარგია?

- განსაკუთრებით ეს წინადადებაა აგასაგიჟებელი! - გუნებაზე თუ ვარ, მეც იმისთანა შხამიან სიტყვებს ვისვრი ხოლმე! მაგრამ ესეც შეიტყაპუნა. მერე ისევ ოთახში ყიალს მოჰყვა. ერთხელ კიდევ შეავლო ხელი ჩემს ნივთებს, სტრედლეიტერის ნივთებსაც. ბოლოს იატაკზე დავახეთქე წიგნი. სულერთია, ეკლისთანა კაცი თუ გადგას თავზე, მაინც ვერაფერს წაიკითხავ. რას დაგანებებს!

სავარძელს გადავაწექი და შორიდან დავუწყე ყურება, როგორ გაშინაურდა ეკლი ჩემს ოთახში. ნიუ-იორკში მგზავრობამ და მთელი დღის ამბებმა საშინლად დამქანცა, და მთქნარება დამაწყებინა. ბოლოს ავურიე. ასე ვიცი ხოლმე ზოგჯერ, როცა მომწყინდება: წაღმა შევაბრუნე ჩემი სანადირო ქუდი და კარტუზი თვალებზე ჩამოვიფხატე. ვერაფერს ვეღარ ვხედავდი:

- ვაიმე, მგონი ვბრმავდები! - წამოვიძახე ჩახრინწული ხმით, - ვაი, დედა, როგორ დამიბნელდა ყველაფერი.

- შერეკილი ხარ ნამდვილად, შე ოხრო, - მითხრა ეკლიმ.

- ვაიმე დედილო, ხელი მომაშველე! რატომ ხელს არ მომაშველებ?!

- გეყოფა ერთი!

წრიალს მოვყევი ბრმასავით, მაგრამ სკამიდან არ წამომვდგარვარ. თან გავკიოდი:

- ვაიმე, დედილო, რატომ ხელს არ მომაშველებ?!

რა თქმა უნდა, ისე ვურევდი. ზოგჯერ ამითაც ვერთობი ხოლმე. თანაც ვიცოდი, რომ ეკლი გაცოფდებოდა. ბევრჯერ გამიმწარებია ასე. ბოლოს მოვეშვი. ქუდი ისევ შევაბრუნე და სავარძელს გადავაწექი:

- ეს ვისია? - იკითხა ეკლიმ. ჩემი მეგობრის გეტრებს ატრიალებდა. არაფერს არ დატოვებდა, რომ ხელი არ შეევლო. ყველაფერს უნდა წაპოტინებოდა. თასმა რომ თასმაა - იმასაც არ გაუშვებდა. სტრედლეიტერისაა-მეთქი, ვუთხარი. ცივად უშვა ხელი და სტრედლეიტერის ლოგინზე დააგდო: ჩამოღებით თაროდან ჩამოიღო, და ახლა ჯიბრით დააგდო ლოგინზე.

მერე მობრუნდა და სტრედლეიტერის სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა. მოკვდებოდა და სავარძელში არ ჩაჯდებოდა. სახელურზე უნდა წამოსკუპებულიყო.

- ეს ქუდი სად ჯანდაბაში გიყიდია?

- ნიუ-იორკში.

- რა მიეცი?

- ერთი დოლარი.

- კარგად გაუფქვნიხართ. - ასანთის ღერით თავისი ფრჩხილების წმენდას მოჰყვა. იწმენდდა და იწმენდდა ამ ფრჩხილებს. სასაცილო კი იყო! კბილები - ჩაჟანგულ-ჩაშავებული, ყურები - ჩაბინძურებული, ეს კი მოდგება და ფრჩხილებს ისუფთავებს, ერთი შემხედეთ, რა სუფთა ბიჭი ვარო. ფრჩხილების წმენდა არც შეუწყვეტია, ერთხელ კიდევ შეათვალიერა ჩემი ქუდი.

- ჩვენში მაგნაირი ქუდით დადიან ხოლმე სანადიროდ, ღმერთმანი, - თქვა მან, - სანადირო ქუდია, - ნადირს ხოცავენ.

- სანადირო კი არადა ის არის! - მოვიხადე და ხელში შევატრიალე. ცალი თვალი მოვხუჭე, თითქოს მიზანში ვიღებდი, - ნადირს კი არა და, ხალხს უნდა ესროლო, - ვთქვი მე. - მე ხალხს ვესვრი.

- სახლში იციან შენი გამოპანღურების ამბავი?

- არა.

- ეს სტრედლეიტერი სადღა ჯანდაბაშია?

- ფეხბურთზეა. პაემანიაქვს, - დავამთქნარე. მთქნარებამ წამომიარა. ოთახში ისე ჯოჯოხეთურად ცხელოდა, რომ ძილი მომერია. პენსიში ასეა ხოლმე - ან გაიყინები, ან სიცხით დაიხრჩობი.

- დიდი სტრედლეიტერი! - თქვა ეკლიმ, - ეი, მაკრატელს ვერ მათხოვებ ერთი წუთით? ახლოს გაქვს?

- არა. უკვე შევინახე. კარადაშია, ზემო თაროზე.

- მომეცი ერთი წუთით. ფრჩხილები წამომზრდია, უნდა დავიჭრა.

ფეხებზე არ ეკიდა - შეინახე თუ არ შეინახე, ზემო თაროზეა თუ ქვემოზე! რაღა ჩარა იყო - გამოვუღე მაკრატელი. მაგრამ ცოტას გაწყდა, ზედ არ გადავყევი. გავაღე თუ არა კარადის კარი, სტრედლეიტერის ჩოგანი - ისიც ხის ჩარჩოში ჩადებული, - ბახ, პირდაპირ თავზე დამეცა. გამამწარა, მაგრამ რა გამამწარა. აქეთ ეკლიც კინაღამ გაგიჟდა; საზიზღარი წრიპინა ხმა აქვს - რომ აუტყდა ქირქილი, ლამის მუცელზე გაიფხრიწა. ისე ჩამოვიღე ჩემოდანი და გავხსენი, სული არ მოუთქვამს. ეკლისათვის სულერთია - ქვაც რომ მოხვდეს კაცს თავში, სიცილით დაიხრჩობა.

- ეკლი, ბალღო, კაი იუმორის გრძნობა გქონია, იცი?! - და მაკრატელი გავუწოდე. - თუ გინდა მენეჯერობას გაგიწევ და რადიოში მოგაწყობ, - ისევ სავარძელში ჩავჯექი, ეკლიმ კი რქის სიმსხო ფრჩხილების დაჭრა დაიწყო. - იქნებ მაგიდაზე დაგეჭრა, ჰა? - ვუთხარი მე, - მაგიდაზე დაყარე. ვერაფერი დიდი სიამოვნება იქნება შენს ბინძურ ფრჩხილებზე ღამით ფეხშიშველა სიარული.

თქვენც არ მომიკვდეთ, პირდაპირ იატაკზე ყრიდა. საზიზღარი ჩვეულებაა. რას იზამ.

- ვისთანა აქვს პაემანი? - მკითხა მან. სულ იმას კითხულობდა, სტრედლეიტერი ვისა ხვდებაო, დასანახავად კი სძულდა.

- არ ვიცი. შენ რაში გეკითხება?

- ისე. ვერ ვიტან მაგ ძაღლისგაგდებულს. დასანახად მძულს.

- ის კიდე გიჟდება შენზე! ნამდვილი პრინციაო, მითხრა. - არევა რომ მომინდება, მაშინ ვეუბნები ხოლმე ხალხს, ნამდვილ პრინცსა ჰგავხარ-მეთქი, რა ვქნა, ვერთობი.

- სულ იბღინძება! - თქვა ეკლიმ, - ვერ ვიტან მაგისთანა ძაღლიშვილებს. კაცს გეგონება...

- მაგიდაზე დაიჭერი-მეთქი ფრჩხილები, არ გეყურება! ორმოცდაათჯერ ხომ არ უნდა გითხრა!..

- სულ გაბღენძილი დადის, - განაგრძო ეკლიმ, - ერთი ნამცეცი ჭკუა არა აქვს მაგ ძაღლისგაგდებულს, და ჭკუისკოლოფად კი მოაქვს თავი, ვითომ დიდი...

- ეკლი! მაგიდაზე დაიჭერი-მეთქი ეგ შენი ბინძური ფრჩხილები. ორმოცდაათჯერ გითხარი!

როგორც იქნა, დამიჯერა, მაგრამ თუ არ დაუღრიალებდი, ისე ვერაფერს ვერ გააკეთებინებდი.

ერთხანს ვუყურებდი, მერე ვუთხარი:

- ვიცი რატომაც ხარ სტრედლეიტერზე გაწიწმატებული: ხანდახან მაინც გაიხეხე კბილებიო, გითხრა. განა საწყენად გითხრა. არც განზრახ უთქვამს და არაფერი. ღმერთო! შენი წყენინება რაში სჭირდებოდა. თუ გითხრა, იმიტომ გითხრა, რომ უფრო კოხტა გამოჩნდე და, საერთოდ, უკეთესად იყო, ათასში ერთხელ თუ გაიხეხავ კბილებს.

- ძალიან კარგადაც ვიხეხავ. რა თავს იგდებ!

- აბაროდის იხეხავ! სულ გითვალთვალებ და არ იხეხავ. - ვუთხარი მე. მაგრამ ღვარძლიანად არ მითქვამს. მართალი თუ გინდათ, ცოტათი შემეცოდა კიდეც. განა არ ვიცი, რომ ვერაფერი სასიამოვნოა, კაცი ჩაგაცივდეს - კბილებს რად არ იხეხავო. სტრედლეიტერს რას ერჩი. არც ისე ცუდი ბიჭია, - განვაგრძე მე, - როცა არ იცნობ, არ უნდა ილაპარაკო.

- მე კიდევ გეუბნები ძაღლიგაგდებულია-მეთქი. გაბღენძილი და ძაღლისგაგდებული.

- ცოტათი კი უყვარს გაბღენძვა, მაგრამ ბევრ რამეში ძალიან გულგაშლილია. ნამდვილად, - ვუთხარი მე, - დამიჯერე. ვთქვათ, სტრედლეიტერს ყელსახვევი აქვს, ან თუ გინდა სხვა რამე, და შენც მოგწონს ეს ყელსახვევი. ამას ისე გეუბნები, სიტყვაზე... იმისთანა ყელსახვევი უკეთია, რომელზედაც შენ ჭკუას კარგავ. იცი, რას იზამს? მოიხსნის და შენ გაჩუქებს. ნამდვილად გაჩუქებს. ანდა იცი, რას იზამს? ადგება და შენს ლოგინზე დააგდებს, ან სხვა რამეზე. მოცემით კი უსათუოდ მოგცემს. აბა მითხარი, სხვა ვინ გიზამს...

- ერთი! - შემაწყვეტინა ეკლიმ, - მაგდენი ფული რომ მომცა, მეც ვაჩუქებდი.

- არაფერიც. შენ არ აჩუქებდი. - თავი გავაქნიე, - არაფრის დიდებით არ აჩუქებდი, ეკლი, ბალღო. შენ რომ იმისი ფული მოგცა, შენისთანა...

- ბალღი აღარ დამიძახო! სადაურიმ ბალღი ვარ, ლამის მამად გეკუთვნი.

- არაფერიც, - ჰოი, როგორ გამაცეცხლებდა ხოლმე ზოგჯერ. როგორც კი იშოვიდა საბაბს, არ შეიძლებოდა არ ეგრძნობინებინა - შენ თექვსმეტი წლისა ხარ

და მე თვრამეტისო, - ჯერ ერთი, რომ სახლში ცხვირს არ შემოგაყოფინებ, - ვუთხარი მე.

- მაშ, ნუღარც დამიძახებ...

უცებ კარი გაიღო და სტრედლეიტერი შემოჯლიგინდა. სულ ასე ფეთიანივით დადიოდა. სულ სადღაც ეჩქარებოდა, რაღაც დიდ საქმეზე. მოვარდა და ერთი აქედან შემომკრა, ერთი იქიდან. კაი ჩვეულებაა, შენ ნუ მომიკვდები.

- მოიხედე, ამაღამ სადმე ხომ არ მიდიხარ?

- რა ვიცი, იქნებ წავიდე კიდეც. რა ამბავია - თოვლი მოდის?

პალტო სულ დათოვლილი ჰქონდა.

- ჰო, მოიხედე, თუ არსად მიდიხარ, შენი ნატის ქურთუკი მათხოვე.

- ვინ მოიგო? - ვკითხე მე.

-ჯერ არ დამთავრებულა. ადრე წამოვედით, - მითხრა მან - ჰა, გჭირდება თუ არა ამაღამ? ჩემს ნაცრისფერ ქურთუკზე რაღაც ოხრობა გადავისხი.

- არა მჭირდება, მაგრამ გამიგანიერებ. შენ ოხერ ბეჭებს რა მოადგება! - სიმაღლით ტოლები ვიყავით, მაგრამ თითმის ორ ჩემდენს იწონიდა. მხარბეჭიანი იყო.

- არ გაგიგანიერებ, - დიდი ფაცხაფუცხით მივარდა კარადასთან, - შენ რაღა იქ, ბიჭო ეკლი? - მიმართა მან ეკლის. კარგი საამხანაგო ბიჭი იყო სტრედლეიტერი. ეკლისაც კი ესალმებოდა ყოველთვის, მართალია გულით არა, მაგრამ თავაზიანად ესალმებოდა და მეტი რა უნდა ექნა.

ეკლიმ რღაც ჩაიდუდღუნა, როცა ჰკითხეს, რასა იქო. სულაც არ ეხალისებოდა პასუხის მიცემა, მაგრამ ვაჟკაცობა არ ეყო და მაინც ჩაიდუდღუნა. მერე მე მითხრა:

- წავედი. მერე გნახავ.

- აგრე იყოს, - მივუგე მე. მადლობა ღმერთს, გულს არა მწყვეტდა მისი წასვლა.

სტრედლეიტერმა ქურთუკი გაიხადა და ახლა ყელსახვევს იხსნიდა.

- მოდი უცებ გავიპარსო?! - ხელად ეზრდებოდა წვერი. სქელი წვერი ჰქონდა.

- გოგო სადა გყავს? - ვკითხე მე.

- შემოსასვლელში მელოდება. - საპარსავი მოწყობილობა აიღო, პირსახოცი იღლიაში ამოიჩარა და ოთახიდან გავიდა. არც პერანგი, არც არაფერი. წელამდე ტიტველი დადიოდა ხოლმე. ჩამოსხმული ტანი მაქვსო, ფიქრობდა. მართლაც ტანადი იყო, უნდა გამოვტყდე.

4

საქმე არაფერი მქონდა და მეც პირსაბანში შევყევი, მანამ ის წვერს გაიპარსავს, მე ცოტათი ენას მოვიფხან-მეთქი. ჩვენს გარდა არავინ ყოფილა იქა, ფეხბურთიდან ჯერ არ დაბრუნებულიყვნენ. ჯოჯოხეთის სიცხე იდგა და ფანჯრები სულ შეორთქლილიყო. ათი პირსაბანი მაინც იყო - სულ კედელზე მიყუდებული. სტრედლეიტერს შუა პირსაბანი ამოერჩია. მე ხელმარჯვნით ჩამოვუჯექი და ცივი წყლის ონკანს დავუწყე წვალება - ხან მოვუშვებდი, ხან დავკეტავდი. ეს ნერვიულობისაგან დამჩემდა. სტრედლეიტერი იპარსავდა და თან «ინდურ სიმღერას» უსტვენდა. ყურისწამღები სტვენა იცოდა და ვერასოდეს სწორედ ვერ მიჰყვებოდა მოტივს. არადა უსათუოდ ისეთი ჰანგი უნდა ამოერჩია, რომელიც სასტვენად ძალიან გამოჩენილი ოსტატებისთვისაც კი ძნელი

იქნებოდა. მაგალითად, «ინდური სიმღერა» ან «მკვლელობა მეათე ავენიუზე». ისე, რისი სტვენაც არ უნდა დაეწყო, სულერთია, დაამახინჯებდა.

თუ გახსოვთ, ზემოთ ვთქვი, ეკლი საშინელი ბინძური კაცი იყო-მეთქი. არც სტრედლეიტერი ყოფილა მაინცდამაინც წმინდა, ოღონდ განსხვავდებოდა. სტრედლეიტერის სიბინძურე უფრო შეუმჩნეველი იყო. თვალში არ გეცემოდა. მაგრამ უნდა გენახათ, რა დანით იპარსავდა პირს: ერთიანად ჩაჟანგებულ, ჭუჭყიან სამართებელს ზედვე მიხმობოდა საპნის ქაფი და ბეწვები. მე შენ გეტყვი, გასწმენდდა, ან რამე. შესახედავად ყოველთვის ლამაზი ჩანდა, როცა მოირთვებოდა, ისე კი, ჩემსავით თუ იცნობდა ვინმე, ნამდვილი სიბინძურის განსახიერება იყო. კოპწიაობით იმიტომ კოპწიაობდა, რომ გაგიჟებით უყვარდა თავი. მთელს დასავლეთ ნახევარსფეროზე იმაზე ლამაზი თუ დადიოდა ვინმე, ვერ დააჯერებდი. მართლაც ლამაზი იყო, რა მეთქმის, მაგრამ ისეთი სილამაზე ჰქონდა, რომ როცა ბავშვების მშობლები ჩამოვიდოდნენ და მის პორტრეტს ნახავდნენ სასკოლო ალბომში, ხელადვე იკითხავდნენ - «ეს ბიჭუნა ვინ არისო». ერთი სიტყვით, საალბომო სილამაზე ჰქონდა. თვით პენსის სკოლაშიაც კი ათჯერ იმაზე უფრო ლამაზი ბიჭები იყვნენ, მაგრამ სასკოლო ალბომში რომ გენახათ მათი სურათები, არ იტყოდით ლამაზიაო. ხან ცხვირი მოგეჩვენებოდათ ჩამოგრძელებული, ხან ყურები - გადმოფლაშული. ამაში არ მოვტყუვდები.

ერთი სიტყვით, პირსაბანზე ვიჯექი სტრედლეიტერის გვერდით და წყლის ონკანს ვაწვალებდი. თავზე ისევ ჩემი წითელი სანადირო ქუდი მეხურა უკუღმა. ძაან შემიყვარდა ეს ქუდი.

- ჰეი, ერთი დიდი სათხოვარი მაქვს.

- რა იყო? - ვკითხე არცთუ ისე ხალისიანად. სულ ასე არ იცოდა! ერთი დიდი სათხოვარი მაქვსო. ეს ლამაზი ბიჭები - ანდა იმისთანები, ვისაც ლამაზებად მოაქვთ თავი - სულ იმის ფიქრში არიან, ვის რა დასაქმონ. რაკი თვითონ გაგიჟებით შეჰყვარებიათ თავი, ასე ჰგონიათ, სხვებიც ჩვენზე გიჟდებიან, და ოღონდ კი რამე დავავალოთ, მოკვდებიან და შეასრულებენო. სასაცილოა, აბა რა არი.

- მიდიხარ სადმე ამაღამ?

- იქნებ წავიდე, იქნება - არა. რა ვიცი. რას მეკითხები?

- ორშაბათისთვის ისტორია მაქვს სასწავლი, მთელი ასი გვერდი, - მითხრა მან, - ინგლისურის დავალებას ვერ დამიწერ? ორშაბათს რომ არ ჩავაბარო, შავად წამივა საქმე, და იმიტომაც გთხოვ. ჰა?

სასაცილოდ ამიღო და ეგ არის! ასეა ნამდვილად.

- მე თვითონ გამომაპანღურეს ამ ოხერი სკოლიდან, და შენ კიდევ რაღაც დავალების დაწერასა მთხოვ?!

- ვიცი, ვიცი. მაგრამ რომ არ ჩავაბარო, ჩემი საქმეც შავად წავა. გამიწიე ძმობა, რაც იქნეს, იქნეს. რას იტყვი?

მაშინვე არ მიპასუხი. ამისთანა ნაბიჭვრები უნდა აწვალო, ახია.

- მაინც, რა უნდა დავწერო? - ვკითხე ბოლოს.

- რაც მოგეგუნებოს. რამე ამიწერე. ოთახი. ან სახლი. ან რამე ადგილი, სადაც გიცხოვრია. ან სხვა რამე, რაც შენ გინდოდეს. ოღონდ მხატვრულად ამიწერე. - ესა თქვა და ლაზათიანად დაამთქნარა. მოდი და ნუ გასკდები გულზე! რაღაცას გთხოვს, გეხვეწება, თვითონ კი არხეინად ამთქნარებს! - ძალიანაც ნუ გამოიდებ თავს, - განაგრძო მან, - ამ ქოფაკ ჰარტსელს ინგლისურის დიდი მცოდნე

ჰგონიხარ. ისიც იცის, რომ ჩვენ ერთ ოთახში ვცხოვრობთ. ასე რომ, ეს მძიმეები და წერტილები ცოტა აურდაურიე. საცა საჭირო იყოს, იქ ნუ ჩასვამ.

მოდი და მართლა ნუ გასკდები გულზე. კაცი მშვენივრად წერ და თხზავ, ეს კი მოსულა და მძიმეებზე ატარტალებს ენას. თუმცა სტრედლეიტერისაგან რა უნდა გამიკვირდეს. თითქოს იმიტომ გამოსდის საძაგელი თხზულება, რომ მძიმეების თავის ადგილზე ჩასმა არ იცის. ამისთანებში ეკლის არ ჩამოუვარდებოდა. ერთხელ ეკლის გვერდით ვზივარ კალათბურთზე. გუნდში ერთი მშვენიერი მოთამაშე გვყავდა - ჰოვი კოილი - შუა მოედნიდან ისე კოხტად ჩასვამდა ბადეში ბურთს, რომ არც ფიცარს შეეხებოდა და არც არაფერს. ეკლიმ დაიჟინა და მთელი თამაში აღარ მომასვენა, ეს შენი კოილი მაღალია და იმიტომო. ღმერთო, როგორ ვერ ვიტან ამისთანა რამეებს.

პირსაბანზე ჯდომა რომ მომწყინდა, წამოვდექი და იატაკზე ფეხების ტყაპუნს მოვყევი - ისე გასართობად. ცეკვა რა ჩემი საქმეა, მაგრამ ტუალეტში ქვის იატაკი ეგო და კარგი სატყაპუნებელი იყო. კინოში ერთი ყმაწვილი ცეკვავს და იმას მივბაძე. რაღაც მუსიკალური ფილმია. ჭირის დღესავით მძულს კინო, მაგრამ მსახიობების წაბაძვა მიყვარს. სტრედლეიტერი თან იპარსავდა, თან სარკეში მიყურებდა. მე კიდევ,, ოღონდ ვინმემ მიყუროს და ათასნაირ ოინბაზობას მოვიგონებ.

- მე გუბერნატორის შვილი ვარ, - ვთქვი და კიდევ უფრო მაგრად ავატყაპუნე ფეხები. - მამაჩემს არ უნდა, მოცეკვაე გამოვიდე, ოქსფორდში მაგზავნის. მაგრამ სისხლში მაქვს გამჯდარი ეს ცეკვა!

სტრედლეიტერს გაეცინა. ცოტა იუმორის გრძნობაც ჰქონდა.

- დღეს «ზიგფილდის» პრემიერაა, - უკვე სულს ვეღარ ვიბრუნებდი. ძალიან ცუდი სუნთქვა მაქვს. - მთავარი გმირი ვერ გამოვა. რუმბივით გალეშილი გდია. ვინ უნდა შესცვალოს? ვინა და მე. საწყალმა გუბერნატორის შვილმა.

- ეს ქუდი საიდან გამოაძვრინე? - ჩემს სანადირო ქუდზე მეკითხებოდა სტრედლეიტერი. ახლაღა შენიშნა.

ერთიანად შემეკრა სუნთქვა და მაიმუნობას თავი დავანებე. ქუდი მოვიხადე და ბარე მეათასეჯერ დავხედე.

- ნიუ-იორკში ვიყიდე ამ დილას. ერთი დოლარი მივეცი. მოგწონს?

სტრედლეიტერმა თავი დააქნია.

- პეწიანია, - თქვა მან. ნამდვილად მომელაქუცა, რადგან მაშინვე მოაყოლა: - მოიხედე. დავალებას ხომ დამიწერ? ახლავე უნდა ვიცოდე.

- დრო თუ მექნა - დაგიწერ, არა და - არ დაგიწერ. - მივუგე მე. ისევ გვერდზე მივუჯექი. - პაემანი ვისთანა გაქვს? ფიტცჯერალდთან?

- დაიკარგოს აქედან! აკი გითხარი, მაგ ღორს თავი დავანებე-მეთქი.

- რას ამბობ?! მაშ მე დამითმე, ბიჭო. არ გეხუმსრები. სწორედ საჩემოა.

- გყავდეს... ძაან დიდი იქნება შენთვის.

უცებ - სრულიად უმიზეზოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ არევის გუნებაზე ვიყავი - მომინდა წამოვმხტარიყავი და სტრედლეიტერისათვის ერთი მაგარი ნელსონი მეთავაზებინა. იქნებ არ იცოდეთ - ეს ერთ-ერთი ილეთი გახლავთ ჭიდაობაში - კისერზე მკლავებს შემოაჭდობ მოწიააღმდეგეს და გაგუდავ, თუკი გინდა. წამოვხტი კიდეც და ჯიქივით მივვარდი.

- მომეშვი, ჰოლდენ, თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე! - იყვირა სტრედლეიტერმა. არ უყვარდა არევა. მით უმეტეს, ახლა წვერს იპარსავდა. - რასა შვრები, ყელს გამოვიღადრავ!

მაინც არ გავუშვი. მაგრად მყავდა
ჩაბღუჯული.
- აბა სცადე და შენ თვითონ გაითავისუფლე თავი!
- ო, ღმერთო. - სამართებელი დადო, ერთბაშად მოიქნია ხელები და დამისხლტა. ძაან ჯანიანი ბიჭი იყო. მე ძალიან სუსტი ვარ. - ახლა გეყოფა! - თქვა მან და პარსვა განაგრძო. ორ-ორჯერ ჩამოისვამდა ხოლმე თავის ჭუჭყიან დანას, რომ ლამაზი გამოჩენილიყო.
- მაშ ვის უნდა შეხვდები, ფიტცჯერალდი თუ გაუშვი? - ვკითხე მე. ისევ მის გვერდით ჩამოვჯექი, პირსაბანზე. - იმ გაწლიკვულ ფილის სმითს?
- არა. იმას უნდა შევხვედროდი, მაგრამ ყველაფერი აირდაირია. ბედ თოუს მეგობარი მელოდება... ჰო, კინაღამ დამავიწყდა. შენც გიცნობს.
- ვინ მიცნობს?
- ჩემი გოგო.
- მართლა? - გავიკვირვე, - რა ჰქვია? - მაგრად დავინტერესდი.
- დამაცა, მოვიგონო... ჰო, ჯინ გალაჰერი.
ჰოი, ბიჭო, კინაღამ გავთავდი კაცი, ეს რომ გავიგონე.
- ჯეინ გალაჰერი! - შევძახე მე. წამოვხტი კიდეც პირსაბანიდან. კინაღამ გავთავდი, - როგორ არ ვიცნობ! შარშანწინ ზაფხულში სწორედ ჩემს გვერდით ცხოვრობდა. იმოდენა დობერმან პინჩერი ჰყავდა რომ... იმან გაგვაცნო ერთმანეთი. ჩვენს ეზოში გადმოდიოდა ხოლმე მისი ძაღლი...
- სინათლეზე ნუ მეფარები, ჰოლდენ, - მითხრა სტრდელეიტერმა, - რაღა აქ გამომეჯგიმე!
ჰოი, ბიჭო, რა ბაგაბუგი დამიწყო გულმა, ღმერთმანი.
- სად არის? - ვკითხე მე, - წავალ, მივესალმები, რამეს ვეტყვი. სად არის? შემოსასვლელში?
- ჰო.
- როგორ გამიხსენა! სად სწავლობს ახლა, ბრიმორში? ამბობდა კიდეც, იქნებ იქ მოვეწყოო. ან იქა და ან შიპლიშიო. მე შიპლიში მეგულებოდა. მაინც, როგორ გამიხსენა, ჰა? მაგრად ამაფორიაქა, ღმერთმანი.
- მე საიდან უნდა ვიცოდე, როგორ გაგიხსენა! არ ადგები? ჩემს პირსახოცზე დამჯდარხარ. - მართლაც მის ოხერ პირსახოცზე ვიჯექი.
- ჯეინ გალაჰერი! - ავიმეორე მე. გონს ვეღარ მოვეგე. - ღმერთო ჩემო.
სტრდელეიტერმა ბრიოლინი წაისვა თმაზე. ჩემი ბრიოლინი.
- იცი როგორ ცეკვავს! - ვთქვი მე, - ბალეტი გინდა, რა გინდა!.. დღე არ გავიდოდა, რომ ორი საათი არ ევარჯიშნა, თუნდაც გაგანია სიცხე ყოფილიყო. სწუხდა, ფეხები გამიფუჭდებაო... დამიმსხვილდებაო, და რა ვიცი, შაშს ვთამაშობდით გაუთავებლად.
- რასაო?
- შაშს.
- შაში რაღა ჯანდაბაა?
- დამას რომ გავიდოდა, ადგილიდან კი არ დასძრავთდა. გაიყვანდა დამას და მერე ხელს აღარ ახლებდა. სულ უკანა ხაზზე ედგა. ჩაამწკრივებდა ხოლმე ბოლო ხაზზე. და ხელსაც არ ახლებდა. ასე უფრო მოსწონდა, ერთ ხაზზე ჩამწკრივებული.
სტრედლეიტერს არაფერი უთქვამს, ასეთი ამბები ბევრს არ აინტერესებს.

- დედამისიც ჩვენს კლუბში დადიოდა, - განვაგრძე მე, - მე ზოგჯერ გოლფის ჯოხები დამქონდა ხოლმე, ფულს ვაკეთებდი. ერთი-ორჯერ დედამისსაც წავუღე ჯოხი. ბარე ასსამოცდაათჯერ ჩააგდო ცხრა ორმოში.

სტრედლეიტერი არც კი მისმენდა. თავის მშვენიერ კულულებს ივარცხნიდა.

- უნდა წავიდე. მივესალმები მაინც, - ვთქვი მე.

- რაღას უცდი?

- ამ წუთში წავალ.

თავიდან შეუდგა თმის გაყოფას. მთელი საათი ივარცხნიდა ხოლმე.

- მაგისი დედა ქმარს გაშორდა და ვიღაც ლოთს გაჰყვა, - განვაგრძე მე. - ცარიელი ძვალი და ტყავი იყო ის საწყალი. ბანჯგვლიანი ფეხები ჰქონდა. კარგად მახსოვს. ტრუსების ამარა დადიოდა ხოლმე. ჯეინი ამბობდა მწერალიაო, პიესებსა სწერდა თურმე, თუ რაღაც ოხრობას, რას გაუგებ. მაგრამ რამდენჯერაც ვნახე, სულ გალეშილი იყო და რადიოში იმ სულელურ დეტექტივებს უსმენდა. ტიტველი დატანტალებდა მთელს სახლში. არც ჯეინს ერიდებოდა, არც არავის.

- რას ამბობ? - შესძახა სტრედლეიტერმა. როცა ვთქვი ტიტველი დატანტალებდა ის ლოთი სახლში და ჯეინსაც არ ერიდებოდა-მეთქი, მაშინღა დაინტერესდა. დიდი გაფუჭებული კაცი იყო ეს სტრედლეიტერი.

- საშინელი ბავშვობა ჰქოდნა საწყალ გოგოს. არ გეხუმრები.

ეს კი აღარ აინტერესებდა სტრდელეიტერს, უწმაწურ რამეს თუ იტყოდი, იცოცხლე ცქვეტდა ყურებს!

- ჯეინ გალაჰერი. ღმერთო ჩემო! გონს ვეღარ მოვეგე. ვეღარ ამოვიგდე თავიდან. - გავიქცევი და ვნახავ, მივესალმები მაინც.

- მერე ვერ წახვალ?! გადმოგიგდია ენა და დგახარ!

ფანჯარასთან მივედი, მაგრამ არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა, ტუალეტში ისე ცხელოდა, რომ სულ შეორთქლილი იყო მინები.

- ახლა გუნებაზე არა ვარ. - ვთქვი მე. მართლაც არ ვიყავი გუნებაზე. უგუნებოდ როცა ხარ, ასეთი რამეები არ შეიძლება. - მე კიდე შიპლის სკოლაში მეგონა. დარწმუნებულიც ვიყავი, რომ შიპლიში სწავლობდა. - გავიარ-გამოვიარე. საქმე არაფერი მქონდა. - თამაში მოეწონა? - ვკითხე ბოლოს.

- მგონი მოეწონა. რა ვიცი.

- არ გითხრა შაშს ვთამაშობდითო, ან სხვა რამე არ გიამბო?

- არ ვიცი. ანკი საიდან მეცოდინება, ახლახანს გავიცანი. - კულულები დაივარცხნა და ახლა თავის ბინძურ დანას და საპარს მოწყობილობას ალაგებდა.

- მოიხედე, ჩემგან მოკითხვა გადაეცი.

- გადავცემ, - შემპირდა სტრედლეიტერი. მაგრამ ვიცოდი, რომ არაფერსაც არ გადასცემდა. სტრედლეიტერისთანა ვაჟბატონებს მოკითხვისთვის სცხელათ სწორედ!

სტრედლეიტერი ოთახისკენ წავიდა. მე ცოტახანს კიდევ დავრჩი ტუალეტში, ჯეინზე ვფიქრობდი. მერე მეც შევედი ოთახში.

სტრედლეიტერი სარკესთან იდგა და ყელსახვევს ისკვნიდა. ნახევარი სიცოცხლე სარკესთან ექნება გატარებული. ჩემს სავარძელში ჩავჯექი და სტრედლეიტერს დავუწყე ცქერა.

- ეი, მივმართე მე, - ჩემი გამოპანღურების ამბავი არ უთხრა.

- არ ვეტყვი.

ეს ერთი კარგი თვისება ჰქონდა სტრედლეიტერს. არ ჩაგაცივდებოდა, შეკითხვებით გულს არ გაგიწვრილებდა, ეკლის არა ჰგავდა. ალბათ, იმიტომ, რომ

ყველაფერი ფეხზე ეკიდა. ნამდვილად ასეა. ეკლი სულ სხვა ვინმე იყო. ყველგან თავის ბინძურ ცხვირსა სჩრიდა.

ჩემი ნატის ქურთუკი ჩაიცვა სტრედლეიტერმა.

- ფრთხილად, არ გამიგანიერო, ორჯერ მეტად არა მცმია, - ვუთხარი მე.

- ფიქრი ნუ გაქვს. ჩემი სიგარეტები სად ჯანდაბაში წავიდა!

- მაგიდაზე დევს, - ყველაფერს ასე მიაბეცებდა ხოლმე და მერე აღარ ახსოვდა, - შენი კაშნეს ქვეშ, - აიღო სიგარეტები და თავის ქურთუკის ჯიბეში ჩაიყარა - ჩემი ქურთუკის ჯიბეში.

სანადირო ქუდი უცებ ისევ უკუღმა შევაბრუნე. ნერვებმა მიღალატა. სულ დაწიწკნილი მაქვს ნერვები.

- მოიხედე. სად უნდა წაიყვანო? - ვკითხე მე. - უკვე გადაწყვეტილი გაქვს?

- თვითონაც არ ვიცი. დრო თუ დარჩა, ნიუ-იორკში წავალთ. - მიჰქარა და მხოლოდ ათის ნახევრამდე დაეთხოვა.

- ალბათ არ იცოდა, რა კოხტა და მომხიბლავი არამზადა ხარ. რომ სცოდნოდა, დილის ათის ნახევრამდე დაეთხოვებოდა.

- ესეც სწორია, - თქვა სტრდელეიტერმა, - აგრე ადვილად ვერ აადუღებდი. ძალიან მოჰქონდა თავი. - ახლა გეყოფა. ის დავალება უსათუოდ დამიწერე. - ქურთუკი ჩაიცვა და წასასვლელად გაემზადა. - ძალიანაც ნუ გამოიდებ თავს. ისე ეცადე, მხატვრული იყოს. კარგი?

არაფერი მიპასუხნია. გუნებაზე არ ვიყავი ესღა ვუთხარი:

- აბა ერთი ჰკითხე, დამებს ისევ უკანასკნელ ხაზზე ამწკრივებს?

- ვკითხავ, მითხრა სტრედლეიტერმა, მაგრამ ვიცოდი, არა ჰკითხავდა.

- აბა, კარგად იყავი, - თქვა და კარები გაიჯახუნა.

ნახევარი საათი იქვე ვიჯექი. ესე იგი, ჩემს სავარძელში ვიჯექი, არც განვძრეულვარ. ჯეინი არ მშორდებოდა თავიდან, ვფიქრობდი, როგორ წავიდნენ ისა და სტრედლეიტერი ერთად. ისე დამეწიწკნა ნერვები, რომ ლამის გავგიჟდი. აკი გითხარით, სტრედლეიტერი გარყვნილი ნაბუშარაა-მეთქი.

უცებ ისევ ეკლიმ არ შემოალაჯა! გადასწია შხაპის კაბინის ფარდა და შემოვიდა. პირველად მოხდა, რომ მისი დანახვა გულით გამეხარდა. ახლა უკვე შემეძლო სხვა რამეზე ფიქრი.

სადილობამდე მეჯდა ოთახში, ბიჭებსა ჭორავდა, რომლებიც მას სძულდა, თან ხელით უზარმაზარ მუწუკს იჩიჩქნიდა ნიკაპზე. ცხვირსახოციც კი არ ამოუღია. მართალი თუ გინდათ, მგონი სულაც არ ჰქონდა ცხვირსახოცი. ყოველ შემთხვევაში, ერთხელაც არ დამინახავს მის ხელში.

5

შაბათობით ყოველთვის ერთნაირი სადილი გვქონდა ხოლმე და დიდებულ სადილადაც ითვლებოდა, რადგან ბივშტექსს გვაძლევდნენ. ათას დოლარს ჩამოვალ, რომ ამას განგებ შვრებოდნენ. კვირაობით ბიჭების უმრავლესობას მშობლები ჩამოსდიოდათ და ბებერმა თარმერმა კარგად იცოდა, რომ ყველა დედა ჰკითხავდა თავის საყვარელ შვილს გუშინ რა გაჭამესო. ისიც უპასუხებდა - ბივშტექსიო. ასეთი თვალთმაქცობა გაგონილა! ერთი ისიც უნდა გენახათ, რა ბივშტექსი იყო, რაღაც მოციცქნილი, გამომხმარი, დანითაც ვერ გაჭრიდი. ბივშტექსს კარტოფილის დაკოშტოლებულ პიურესაც მოაყოლებდნენ ხოლმე, დესერტად კი - «ყავისფერ ბეტის», მაგრამ პირს არავინ აკარებდა. ზოგი

პირველკლასელი თუ შეჭამდა, რადგან უკეთესი არაფერი ენახა, და კიდევ ეკლისთანა ვაჟბატონები, რომლებიც ყველაფერს თქვლეფავდნენ.

მშვენიერი ამინდი იდგა, სასადილო ოთახიდან რომ გამოვედით, მიწაზე სამი გოჯის სისქე თოვლი იდო და ზევიდანაც გადარეულივით მოდიოდა და მოდიოდა ფანტელები. ლამაზი საყურებელი იყო. გუნდაობა გავაჩაღეთ და სულ ავიკელით იქაურობა. ბალღობაა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ყველანი გავერთეთ და გავხალისდით.

საქმე არაფერი მქონდა, არც შეპირებული მყავდა ვინმე. ასე რომ, მე და ჩემმა მეგობარმა, მოჭიდავეთა გუნდის წევრმა მალ ბროსარდმა, გადავწყვიტეთ ავტობუსში ჩავმსხდარიყავით და ეგერსტაუნში თითო შნიცელი გვეჭამა. მერე კი იქნებ რამე ბითურული ფილმიც გვენახა. მთელი ღამე ბაიყუშივით ოთახში ჯდომა არც ერთს გვეხალისებოდა და არც მეორეს. ეკლიც ხომ არ წაგვეყვანა-მეთქი, მალსა ვკითხე. ეს იმიტომ, რომ ეკლი შაბათობითაც კი არ გამოდიოდა გარეთ, იჯდა თავის ოთახში და მუწუკებს იჩიჩქნიდა. წამოვიდეს, რა მენაღვლებაო, მალმა მიპასუხა, მაგრამ ეტყობოდა სიხარულით არ დაუკარგავს ჭკუა. არ უყვარდა მაინცდამაინც ეგ შენი ეკლი. ერთი სიტყვით სახლში შევედით, რომ წასასვლელად გავმზადებულიყავით. მანამ კალოშებს ვიცვამდი და ვემზადებოდი, ჩემი ოთახიდანვე გავძახე ეკლის, კინოში ხომ არ წამოხვიდოდი-მეთქი. ხმა მშვენივრად გადიოდა შხაპის კაბინის ფარდებში, მაგრამ მაშინვე არ მიპასუხა. მაგისთანა ხალხი უცებ რას გიპასუხებს! მერე შხაპის ფარდებში გამოძვრა, ზღურბლზე შედგა და, კიდევ ვინ მოდისო, მკითხა. უსათუოდ უნდა გაიგოს, ვინა და ვინ მოდის. ახლავე დავიფიცებ, გემის მარცხშიაც რომ მოხვდეს და გადასარჩენად ნავი მიაყენო, ჯერ უთუოდ იმას გკითხავს, ნიჩბებს ვინ მოუსვამსო. მალ ბროსარდი მოდის-მეთქი, ვუთხარი.

- ეს ნაბიჭვარი?! კარგი. ცოტა ხანს დამიცადე. - მითხრა მან. ასე გეგონებოდა დიდი წყალობა მოიღოო.

ხუთი საათი მაინც უნდა მორთვას. მე ამასობაში ფანჯარასთან მივედი, გამოვაღე და შიშველი ხელებით გუნდა გავაკეთე. თოვლი ძალიან კარგად გუნდავდებოდა. მაგრამ აღარ მისვრია, თუმცა თავიდან სწორედ იმიტომ დავაგუნდავე, რომ უნდა მესროლა. ქუჩაში მანქანა იდგა და იმას მოვარტყამ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ გადავიფიქრე. ისეთი გაკრიალებულ-გაქათქათებული ჩანდა მანქანა! მერე წყალსაქაჩავს მოვუღირე, მაგრამ ისიც თეთრი და სუფთა იყო. საბოლოოდ აღარ მისვრია, ფანჯარა მოვკეტე და ოთახში გავიარ-გამოვიარე, გუნდა კი ისევ ხელში მეჭირა და სულ უფრო და უფრო ვამკვრივებდი. ხელშივე შემრჩა, რომ მე, ბროსარდი და ეკლი ავტობუსში შევედით, შოფერმა კარი გააღო და გადამაგდებინა. არავის არ ვესვრი-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ არ დამიჯერა. ვინ დაგიჯერებს - ურწმუნოა ხალხი.

სურათი ბროსარდსაც ენახა და ეკლისაც. ასე რომ შნიცელი ვჭამეთ, ცოტა პინბოლი წავითამაშეთ და ავტობუსით უკანვე დავბრუნდით, სკოლაში. მართალი გითხრათ, სულ არ დამწყვეტია გული - კინო რატრომ ვერ ვნახე-მეთქი. რაღაც კომედია გადიოდა, კერი გრანტის მონაწილეობით - სისულელე იქნებოდა, რაღა თქმა უნდა. ამას გარდა, ადრეც ვყოფილვარ ბროსარდსა და ეკლისთან ერთად კინოში. აფთარივით ხარხარებდნენ იმისთანა რამეზე, რაც სულაც არ იყო სასაცილო. აბა, რა სასიამოვნო იქნებოდა იმათთან ერთად კინოში ჯდომა!

ცხრას თხუთმეტი აკლდა, საერთო საცხოვრებელში რომ დავბრუნდით. ბროსარდი ბრიჯის გიჟი იყო და მოვედით თუ არა, პარტნიორებს დაუწყო ძებნა.

ეკლიმ კი ჩემთან გადაწყვიტა დროის მოკვლა. ოღონდ სტრედლეიტერის სავარძელზე კი აღარ ჩამოჯდა ამჯერად, პირდაპირ ჩემს ლოგინზე დაეგდო და ცხვირ-პირი ბალიშში ჩარგო. თან რაღაცას დუდღუნებდა, თავისი გულისგამაწვრილებელი ხმით, თან კი მუწუკებს იჩიჩქნიდა. რა ნართაული სიტყვები არ გადავკარი, მაგრამ ვერა და ვერ მოვიშორე თავიდან. იწვა და მომონოტონურად დუდღუნებდა, ვიღაც გოგოს ამბავსა ჰყვებოდა, რომელიც თითქოს წარსულ ზაფხულს შეაცდინა. ასჯერ მაინც მქონდა ეს ამბავი მოსმენილი, და სულ სხვადასხვანაირად სხვადასხვა ვარიანტებით. ჯერ მითხრა, თითქოს თავისი ბიძაშვილის მანქანაში შეეყვანოს, მერე პლიაჟის კაბინაში... და რა ვიცი. რა თქმა უნდა, თავიდან ბოლომდე არ ყოფილა ქალთან. ის კი არა და, ვეჭვობ, ამისთანა რამე თუნდაც ეგრძნობინებინოს ქალისთვის. ბოლოს, რაკი ისე ვეღარაფერს გავხდი, ავდექი და პირდაპირ ვუთხარი, - სტრედლეიტერს დავალება უნდა დავუწერო და ახლავე აითესე, რომ ხეირიანად მოვიფიქრო-მეთქი. როგორც იქნა, წავიდა, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, ახლაც დიდხანს მაწვალა. პიჟამა და აბანოს ხალათი ჩავიცვი, თავზე სანადირო ქუდი დავიხურე და დავალების წერას შევუდექი.

დავჯექი, მაგრამ ვერასდიდებით ვერ გავიხსენე ისეთი ოთახი ან სახლი, რომლის მხატვრული აღწერაც ყოფილიყოს შესაძლებელი, როგორც ეს სტრედლეიტერს დაავალეს. საერთოდ, ოთახებისა და სახლების აღწერაზე მაინცდამაინც არა ვკარგავ ჭკუას. ბოლოს ისევ ჩემი ძმის - ელის მარცხენა საბეისბოლო ხელთათმანის აღწერას შევუდექი. კარგი ასაწერიც იყო. ღმერთმანი, ჩემს ძმას მარცხენა ხელის თათმანი ჰქონდა. ცაცია იყო. კარგი ასაწერია-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ სულ ლექსად იყო აჭრელებული - თითებზე, ჯიბეზე, ყველაფერზე ლექსი ეწერა. თანაც მწვანე მელნით. ლექსები იმიტომ სჭირდებოდა, რომ კითხვით ირთობდა თავს, როცა თამაშის დროს ბურთს არავინ მიაწვდიდა, მოკვდა ჩემი ძმა. 1946 წლის 18 ივლისს მოკვდა, სისხლის გათეთრებით. მაშინ მეინში ვცხოვრობდით. არ შეიძლებოდა არ მოგწონებოდათ. ჩემზე ორი წლით პატარა იყო, მაგრამ ათჯერ უფრო ჭკვიანი. მასწავლებელი მუდამ მადლობის წერილებს სწერდნენ დედაჩემს - დიდად სასიამოვნოა, ლისთანა ბიჭი რომ გვყავს კლასშიო. განა ელაქუცებოდნენ, გულითა სწერდნენ. მარტო უჭკვიანესი როდი იყო მთელს ოჯახში, ყველაფერში სასიამოვნო და სანატრელი ბავშვი იყო. არც გაანჩხლება იცოდა და არც არაფერი. ხომ იტყვიან ხოლმე, წითური ხალხი ადვილად ანჩხლდებაო. ელის წითელი თმა ჰქონდა, მაგრამ ერთხელაც არ გაანჩხლებულა. ახლავე გეტყვით, რა წითურიც იყო. ასე ათი წლისა ვიქნებოდი, გოლფის თამაში რომ დავიწყე. ერთ ზაფხულს, მახსოვს, მაშინ, ალბათ, თორმეტის წლისა ვიყავი, გამწარებით დავდევ ბურთს და თან ვფიქრობ, მოვიხედავ თუ არა უკან, ელის დავინახავ-მეთქი. მართლაც მოვიხედე და ვხედავ, ასორმოცდაათი იარდის დაშორებით ელი თავის ველოსიპედზე ზის, ღობის გდაღმა - ღობე სათამაშო მოედანს ერტყა ირგვლივ. მე მიყურებს. აი, რა წითელი თმა ჰქონდა! მაგრამ ჰოი, რა კეთილი და სანატრელი ბავშვი იყო. უცებ რაღაც მოაგონდებოდა სადილობის დროს და ისე გულიანად გადაიკისკისებდა, სკამზე ძლივს მაგრდებოდა. ცამეტისა ვიყავი მაშინ, მეტისა არა, და კინაღამ ფსიქიატრთან წამიყვანეს, რადგან სულ ჩავამტვრიე გარაჟის ფანჯრები. განა მშობლებს ვამტყუნებ. არა, ღმერთანი. ელი, რომ მოკვდა, იმ ღამეს გარაჟში მეძინა და სულ მუშტებით ჩავლეწე ის ოხეროი მინები, არ ვიცი რა მომელანდა. ის კი არა და, იმ ზაფხულს ავტობუსი გვქონდა და იმისი მინების ჩალეწვას მოვინდომე, მაგრამ

დასერილი ხელებით ვეღარ მოვახერხე. დიდი სისულელეა, არ შეგედავებით, მაგრამ თვითონვე არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი, თანაც ვერ წარმოიდგენთ, რა ბიჭი იყო ელი. ზოგჯერ ახლაც წამომტკივა ხოლმე ხელი, როცა წვიმს, მუშტიც ვერ შემიკრავს ხეირიანად, მაგრამ რაში მენაღვლება, ქირურგობას მე არ ვაპირებ და ვიოლინოზე დაკვრას...

ერთი სიტყვით, ამაზე დავწერე სტრედლეიტერის დავალება. ელის ბეისბოლის თათმანზე. შემთხვევით ჩემოდანში აღმოაჩნდა ეს თათმანი. ამოვიღე და რაც ზედ ლექსები ეწერა, სულ გადავწერე. გვარიღა შევცვალე ელისა, რომ არავინ მიმხვდარიყო, ეს სტრედლეიტერის ძმა არ ყოფილაო. დიდად არ მეჭაშნიკებოდა გვარის შეცვლა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. თანაც უსათუოდ მინდოდა ამის დაწერა. მთელი საათი მოვუნდი, რადგან სტრედლეიტერის დანჯღრეულ მანქანაზე ვბეჭდავდი და წარამარა მისხლტებოდა. ჩემი მანქანა ვიღაც ბიჭს ვათხოვე.

თერთმეტის ნახევარი იქნებოდა, საქმეს რომ მოვრჩი. დაღლას სულაც არ ვგრძნობდი, და ფანჯარაში დავიწყე ცქერა. აღარ თოვდა. შორიდან მანქანის ხმა ისმოდა - ქოქავდნენ და ვერაფრით ვერ დაექოქათ. მეზობელი ოთახიდან ეკლის ხვრინვა გამოდიოდა. სულ ვერ იჭერდა ხმას ის ოხერი ფარდები. ჰაიმორიტი აწუხებდა და ძილში გაჭირვებით სუნთქავდა. ნეტა რა არ აწუხებდა, რომელი ერთი ჩამოგითვალოთ - ჰაიმორიტიო, მუწუკებიო, დამპალი კბილები, პირის სიმყრალე, დაკვნეტილი ფრჩხილები და რა ვიცი... შეგეცოდებოდათ კიდეც ეს ძაღლიშვილი.

6

ზოგ რამეს ვერასდიდებით ვერ გაიხსენებ. ახლაც რამდენს ვფიქრობ, რა დროს დაბრუნდა ჯეინისაგან იმ ღამეს სტრედლეიტერი. ვერაფრით ვერ მომიგონებია, რას ვაკეთებდი, როცა მისი წყეული ფეხის ხმა გავიგონე. ალბათ, ისევ ფანჯარაში ვიყურებოდი, მაგრამ დანამდვილებით, რა ვქნა, არ მახსოვს. ძალიან აფორიაქებული ვიყავი და იმიტომ. როცა რამეზე აღელვებული ვარ - მტრისას! ზოგჯერ ტუალეტშიაც კი მომინდება ხოლმე წასვლა, აღელვებული როცა ვარ, მაგრამ არ მივდივარ. ისე ვარ აღელვებული, რომ წასვლის თავიც არა მაქვს. ვერანაირად ვერ მომიხერხებია. აბა, ერთი თქვენც იცნობდეთ სტრედლეიტერს, იმასაც ვნახავდი, როგორ არ აღელდებოდით. ორჯერ ვახლდი იმ ნაბიჭვარს პაემანზე და ვიცი, რასაც ვამბობ. ყოვლად უტიფარი კაცია. ნამდვილს გეუბნებით.

დერეფანში ლინოლეუმი ეგო და შორიდანვე გაიგონებდით როგორ უახლოვდებოდა ოთახს. ისიც ვეღარ მომიგონებია, როცა შემოვიდა, სად ვიჯექი - ფანჯარასთან, ჩემს სავარძელში თუ იმისაში. რა ვქნა, ვერასდიდებით ვერ მომიგონებია.

შემოვიდა და მაშინვე წუწუნს მოჰყვა, ისეთი სიცივეა, რომ ძაღლი არ გაიგდებაპ კარშიო. მერე იკითხა:

- სად ჯანდაბაში წავიდნენ? რა ამბავია. კაცის ჭაჭანება არ არის, სამარეა, თუ რა?

პასუხის გასაცემად თავი არც კი შესწუხებია. თუკი ამისთანა შტერია, რომ ვერ მიმხვდარა - შაბათ საღამოს ან სასეირნოდ იქნებიან გასულები, ან ეძინებათ, ან არადა შინ გაემგზავრებოდნენ, - მე რაღა თავი ვიტეხო და ვეჩიჩინო. გახდას შეუდგა. ჯეინზე ერთი სიტყვაც არ დაცდენია. კრინტიც არ დაუძრავს. არც მე

მითქვამს რამე. გაჩუმებული ვუყურებდი. ბოლოს ქურთუკისათვის მადლობა გადამიხადა. ეს იყო და ეს. საკიდ ჯოხზე გადააცვა და კარადაში დაჰკიდა.

- ყელსახვევს რომ იხსნიდა, მაშინღა მკითხა - ის ოხერი დავალება თუ დამიწერეო. შენს ლოგინზე დევს-მეთქი, ვუთხარი. მივიდა და მანამ საკინძეს გაიხსნიდა, კითხვა დაიწყო. დგას, გამოთაყვანებული სიფათი ნაწერისთვის მიუშტერებია და თან შიშველ მკერდსა და მუცელზე ხელს ისვამს. ასეთი ჩვეულება ჰქონდა - ან მკერდი უნდა ესრისა ან მუცელი. დიდ პატივისცემაში ჰყავდა თავი.

უცებ წამოიძახა:

- ეს რა ჯანდაბაა, ჰოლდენ! ეს ოხერი ბეისბოლის თათმანი საიდან გამოატყვრინე!

- აბა რა გინდოდა? - გაყინული ხმით ვუპასუხე.

- რა მინდოდა, რასა ჰქვიან! აკი გითხარი - ან ოთახი ამიწერე და ან სახლი, ან სხვა ამნაირი რამე-მეთქი.

- შენ მითხარი, რამე აღწერილობა იყოსო - სულერთი არ არის, რას აღწერ! ბეისბოლის თათმანმა რაღა დააშავა?!

- ჯანდაბას შენი თავი, - საშინლად გაბრაზდა, გაცოფდა პირდაპირ. - სულ ასეთი უკუღმართი ხარ, - ახლაღა შემომხედა, - ახია, რომ გამოგაპანღურეს, - განაგრძო მან, - არ შეიძლება რომ კაცი მოგენდოს, არაფერი წესიერი არ გამოგივა ხელიდან. სულ ტყუილია, არაფერი.

- კარგი, აგერ მომეცი, - ვუთხარი მე. მივედი, ხელიდან გამოვგლიჯე და იქვე დავფხრიწე.

- რასა შვრები, ეს რა ჯანდაბაა? - იყვირა.

არც კი მიპასუხნია, სანაგვე კალათაში ჩავყარე. მერე ლოგინზე წამოვწექი. არც იმას ამოუღია კარგა ხანს ხმა და არც მე. იგი იხდიდა, ტრუსებს გარდა სულ გაიხადა ყველაფერი, მე კი ვიწექი და სიგარეტს ვაბოლებდი. საერთო საცხოვრებელში პაპიროსის მოწევა აკრძალული იყო, მაგრამ გვიან ღამით - როცა ზოგს ეძინა, ზოგი წასული იყო, ვინ გამიგებდა, თანაც სტრედლეიტერის ადუღება მინდოდა. წესრიგის დარღვევას ვერასდიდებით ვერ იტანდა. ერთხელაც არ მოუწევია ოთახში. მე კიდევ არ ვეპუებოდი.

მაინც არ დასძრა ჯეინზე კრინტი. ბოლოს ისევ მე ვთქვი:

- ძაან დაიგვიანე, აკი ათისნახევრამდე ჰქონდა ნებართვა! ასე დაიგვიანე?

ლოგინზე ჩამომჯდარიყო და ფრჩხილებს იჭრიდა ფეხზე.

- ორიოდე წუთი, - თქვა მან, - ვინ იქნება ისეთი სულელი, რომ ათის ნახევრამდე დაეთხოვოს, და ისიც შაბათს!

ო, ღმერთო, უცებ როგორ შემძულდა!

- ნიუ-იორკში იყავით? - ვკითხე.

- გაგიჟდი?! ნიუ-იორკში წასვლას რას მოვასწრებდით, ათის ნახევრამდე ჰქონდა ნებართვა!

- სამწუხაროა.

თავი ასწია და შემომხედა.

- პაპიროსის მოწევა თუ გინდოდა, საპირფარეშოში მოწევდი! შენ რა გიჭირს, მაინც მიდიხარ, მე უნდა ვეგდო აქ, მანამ დავამთავრებდე.

აინუნშიაც არ ჩამიგდია მისი სიტყვები, ფეხებზე დავიკიდე, ვქაჩავდი და ვქაჩავდი. ესღა გავაკეთე, რომ გადმოვბრუნდი და ყურება დავუწყე, როგორ

იქნიდა თავის ოხერ ფრჩხილებს. ესეც სკოლაა! ზოგი ფრჩხილებს იჭრის შენს ცხვირწინ, ზოგი მუწუკს იჩიჩქნის და რას არ აკეთებს.

- ჩემი მოკითხვა გადაეცი?

- ჰო.

გადასცა, როგორ არა! ნაბუშარი!

- რაო მერე? - ვუთხარი მე, - არა ჰკითხე - დამებსისევ ბოლო ხაზზე თუ ამწკვრივებს?

- არა, არ მიკითხავს. შენ რა - ხომ არ გგონია, მთელი ღამე შაშს ვთამაშობდით!

ხმა არ გამიღია. ღმერთო, როგორ მძულდა!

- აბა სად იყავით, ნიუ-იორკში თუ არ წასულხართ? - ვკითხე ცოტა ხნის შემდეგ. ვცდილობდი ხმა არ გამბზარვოდა. ჰოი, ბიჭო, როგორ დამეწიწკნა ნერვები. ვგრძნობდი, რომ რიგიან-პირიანად ვერ იყო საქმე.

როგორც იქნა ფრჩხილებს მორჩა. ლოგინიდან წამოდგა, ისევ ტრუსების ამარა, და რაღაც ეშმაკმა წამოარა. ჩემთან მოვიდა, დაიხარა და ბეჭებზე დამიწყო მუშტის ცემა.

- თავი გამანებე, - ვეუბნები, - მაშ სად წახვედით, ნიუ-იორკში თუ არ ყოფილხართ?

- არსადაც არ წავსულვართ. მანქანაში ვიყავით შეყუჟულები. - ისევ მოჰყვა თავის სულელურ ბღლარძუნს - მუშტები დამიშინა.

- თავი გამანებე, - ვუთხარ იმე, - ვისი მანქანა იყო.

- ედი ბენკისა.

ედი ბენკი კალათბურთის მწვრთნელი იყო სკოლაში. სტრედლეიტერი კიდევ, მის ერთ-ერთ გამორჩეულ მოთამაშედ ითვლებოდა - ცენტრს თამაშობდა სკოლის გუნდში და ბენკი მანქანას არასოდეს არ უჭერდა ხოლმე. მოსწავლეებს აკრძალული გვქონდა მასწავლებლისათვის მანქანის თხოვნა, მაგრამ ეს ნაბიჭვარი სპორტსმენები პატივში ჰყავდათ. რომელ სკოლაშიაც არ მივსულვარ ეს ნაბიჭვარი სპორტსმენები ყველგან დიდ პატივში ჰყავთ.

სტრედლეიტერი თითქოს კრივში ვარჯიშობსო, მიშენს და მიშენს ბეჭებზე მუშტებს. კბილის ჯაგრისი ეჭირა ხელში და ახლა პირში გაიჩარა.

- მერე, რა ქენით? ედ ბენკის მანქანაში ჭყლიტე? - ისე ამიკანკალდა ხმა, რომ მტრისას!

- რას მიჰქარავ! ხომ არ გინდა პირი საპნით ამოგილესო.

- ჰა, ჭყლიტე?

- ეს პროფესიული საიდუმლოა, ძმობილო.

დანარჩენი კარგად აღარ მაგონდება. ისღა მახსოვს, რომ ლოგინიდან წამოვდექი, თითქოს საპირფარეშოში თუ სადღაც ვაპირებდი გასვლას. უცებ რაც ძალი და ღონე მქონდა. პირში გაჩრილ ჯაგრისს მოვუქნიე, რომ ის მყრალი ყელი სულ ჩამეხია. მაგრამ ვერ მოვახვედრე. ავაცდინე. მგონი თავზე მომიხვდა ხელი. ტკენით კი ეტკინა, ალბათ, მაგრამ მე რომ მინდოდა, ისე არა. იცოცხლე, გავამწარებდი, მაგრამ მარჯვენა ხელი იყო და მაგრად ვერ მოვმუშტე. გითხარით

კიდეც, როგორ ვიტკინე ეს ხელი.

მერე უცებ იატაკზე აღმოვჩნდი. ის მკერდზე მაჯდა, ერთიანად გაჭარხლებული. მუხლები პირდაპირ გულზე ქონდა მობჯენილი. მთელ ტონას იწონიდა. მაჯები გამიკავა, რომ მოქნევა აღარ შემძლებოდა. იქვე გავათავებდი!

- რა მოგივიდა, რა ჯანდაბა მოგივიდა! - იმეორებდა და გამოთაყვანებული სიფათი სულ უფრო და უფრო უწითლდებოდა.

- მომაშორე ეს ჭუჭყიანი მუხლები! - ლამის შევბღავლე. ღმერთმანი. - აეთრიე, თავიდან მომწყდი, შე ბინძურო ნაბუშარო!

ყურიც არ გაუპარტყუნებია. ზედ მაჯდა და მაჯებს მიგრეხდა. მე კი მთელი ათი საათი ვაგინებ და ვაგინებ - ძაღლისგაგდებულო-მეთქი, და რა ვიცი. აღარც კი მახსოვს, რა სიტყვებით ვთათხე, - შენ გგონია, ყველას მიჭყლიტავ, ვინც კი მოგეხუსტურება-მეთქი. შენ-მეთქი, მე ვუთხარი, ფეხებზე გკიდია - გოგო ბოლო ხაზზე გაამწკრივებს დამებს თუ სად დადებს-მეთქი. მიიტომ გკიდია ფეხებზე, რომ ღვთისგლახა და უტვინო ხარ-მეთქი. - ვერ იტანდა, უტვინოს რომ დაუძახებდი. ვერც ერთი უტვინო ვერ იტანს, უტვინოს რომ დაუძახებ.

- მოკეტე, ჰოლდენ! - დაიღრიალა და თავისი გაბრტყელებული და გამოთაყვანებული სიფათი წითლად შემომანათა, - გეყოფა, მოკეტე!

- შენ ისიც კი არ იცი - ჯინი ჰქვია თუ ჯეინი, შე ღვთისგლახავ, შე უტვინოვ!

- მოკეტე-მეთქი, ჰოლდენ! გირჩევნია, გაჩკმდე. - იცოცხლე, მე ის გავამწარე, - თუ არ გაჩუმებულხარ, ახლავე გაგაბრტყელებ.

- ეს ბინძური და აქოთებული მუხლები მომაშორე!

- რომ მოგშორდე, გაჩუმდები?

პასუხის ღირსიც არ გავხადე.

ისევ გამიმეორა:

- ჰოლდენ, რომ მოგშორდე, გაჩუმდები?

- ჰო.

ადგა და მეც წამოვდექი. იმ ბინძური მუხლებისაგან მკერდი მეწოდა.

- ბინძური ხარ, უტვინო და ძაღლისგაგდებული! - მივახალე მე.

ახლა კი ნამდვილად გაცოფდა. თავის კოტიტა თითებს სახეში მატაკებს და მეუბნება:

- ჰოლდენ. გაფრთხილებ.. ეს უკანასკნელი იყოს: ახლავე თუ არ ჩაიწყვიტე...

- რატომ უნდა ჩავიწყვიტო! - ვუთხარი მე... გიჟივით ვღრიალებდი, - მაგრამ ყველა უტვინოს ერთი უბედურება გჭირთ. ლაპარაკიც არ შეგიძლიათ ადამიანურად. სწორედ ეგ არის უტვინობის პირველი ნიშანი. ლაპარაკიც არ შეუძლიათ ადამ...

ამან მთლად შეშალა. მეტაკა და მერე, მახსოვს, ისევ იატაკზე აღმოვჩნდი. ისიც ვეღარ მომიგონებია - გრძნობა დავკარგე თუ არა. მგონი, არ დამიკარგავს. არც თუ ისე ადვილია, კაცს ერთი შემოკვრით გრძნობა დააკარგვინო. ეს მარტო კინოებში იციან. ცხვირიდან კი საშინლად მომთქრიალებდა სისხლი და სულ ამოთხვრილი ვიყავი. თვალი რომ გავახილე, ზედ თავზე მადგა სტრედლეიტერი. ხელში პირსაბანი მოწყობილობა ეჭირა.

- რატომ არ გაჩუმდი, ხომ გითხარი!..

ხმაზე ეტყობოდა, მაგრად დაფეთებულიყო. ალბათ, იფიქრა, იატაკზე რომ დავენარცხე, თავი ან რამე გავუტეხეო, ნეტა მართლა გამეტეხა.

- აკი გთხოვე და გაგაფრთხილე, ეშმაკმა დასწყევლოს! - განაგრძო მან. ჰოი, ბიჭო, რა შეშინებული ჩანდა.

არც კი ვცდილვარ წამოდგომას. ვიწექი და ძაღლისგაგდებულ უტვინოს ვეძახდი. ისე ვიყავი გაცოფებული, რომ სულ ვღრიალებდი.

- კარგი ახლა. წამოდი, დაიბანე, - მითხრა სტრედლეიტერმა, - არ გეყურება?

წადი და შენ თვითონ დაიბანე შენი უტვინო სიფათი-მეთქი. ვიცი, რომ ეს ბალღობაა, მაგრამ საშინლად ვიყავი გაცოფებული. ფეხსადგილისკენ გაიარე და

მისის შმიდტი თუ შეგხვდეს მიჭყლიტე-მეთქი. მისის შმიდტი ჩვენი დარაჯის ცოლი იყო, სამოცდახუთი წლის დედაბერი.

მანამ სტრედლეიტერი არ გავიდა, არც მე განვძრეულვარ. მაშინღა წამოვდექი, როცა მისი ფეხის ხმა გავიგონე. ტუალეტისაკენ მიდიოდა. ჩემი დაწყევლილი სანადირო ქუდი არსად სჩანდა. ბოლოს მაინც ვიპოვე. საწოლქვეშ შევარდნილიყო. დავიხურე, კარტუზი ჩემებურად უკან მოვაქციე, სარკესთან მივედი და ჩემი გამოლენჩებული სიფათი შევათვალიერე. ჩემს დღეში არ მენახა ამდენი სისხლი. ცხვირ-პირი, ნიკაპი, თვით პიჟამო და ხალათიც კი სისხლში მქონდა მოთხვრილი, თან შევშინდი და თან ცოტათი გავხალისდი კიდეც. ბანდიტსა ვგავდი. სულ ორჯერ მიჩხუბნია მთელს ჩემს სიცოცხლეში, და ორივეჯერ მე გამოვედი ნაცემი. ვერ ვყოფილვარ ყოჩაღი ბიჭი. მართალი თუ გინდათ, პაციფისტი ვარ.

რატომღაც მომეჩვენა, რომ ეკლის ეღვიძა და ყველაფერი ესმოდა. ფარდა გადავსწიე და მის ოთახში შევედი, რას აკეთებს-მეთქი. იშვიათად თუ შევიდოდი მასთან. სულ ყარდა იქაურობა - საშინელი ბინძური კაცი.

7

ფარდის ჭუჭრუტანაში ჩვენი ოთახიდან სინათლის პატარა ჭავლი ატანდა და გავარჩიე, რომ ეკლი იწვა. ვიცოდი, ნამდვილად ეღვიძა.

- ეკლი! - ვთქვი მე, - გღვიძავს?

- ჰო.

ბნელოდა. იატაკზე ვიღაცის ფეხსაცმელს წამოვედე და თავით კინაღამ წავედი. ეკლი წამოიწია და იდაყვს დაეყრდნო. სახე ერთიანად წაეთხუპნა თეთრი რაღაცით. სიბნელეში მოჩვენებას ჰგავდა.

- რა ჯანდაბას აკეთებ? - ვკითხე მე.

როგორ თუ რას ვაკეთებ?! დაძინება მინდოდა, მაგრამ ვინ დაგაძინა - ისეთი აურზაური ასტეხეთ! ნეტა რა გაჩხუბებდათ?

- სინათლე სადა გაქვთ? - ხელის ცეცებით შემოვიარე მთელი კედელი, მაგრამ ამომრთველს ვერ მივაგენი.

- რა ოხრობად გინდა? - მანდვეა, ხელმარჯვნივ.

როგორც იქნა ვიპოვნე და ავანთე. ეკლიმ თვალებზე ხელი მიიფარა.

- ღმერთო! - შესძახა მან, - ეს რა მოგსვლია? - ახლაღა დაინახა ჩემი გასისხლიანებული სახე.

- მე და სტრედლეიტერი ცოტათი წავკინკლავდით, - ვუთხარი. მერე პირდაპირ იატაკზე მოვირთხი ფეხი. სკამს წამლად ვერ ნახავდი იმათ ოთახში. ვერ გამიგია, რა ოხრობას უშვებოდნენ სკამებს.

- მოიხედე, - ვუთხარი მე, - ერთი ხელი კანასტა არ გინდა?

კანასტის გიჟი იყო.

- სისხლი გდის. რამე დაიდევი მაინც.

- თავისით შემიდედდება. მოიხედე, კანასტა არ გინდა?

- კანასტა?! რა გეკანასტება - ნეტა თუ იცი რა დროა!

- ჯერ ადრეა. თერთმეტი იქნება. დიდი-დიდი, თორმეტის ნახევარი.

- დიდი-დიდი, თორმეტის ნახევარი! - გამომაჯავრა ეკლიმ, - შენ რა გენაღვლება! ხვალ უთენია უნდა წამოვხტე და წირვაზე გავვარდე. თქვენც რაღა შუაღამისას მოგინდათ ჩხუბი და ღრიალი. ვიცოდე მაინც რა ოხრობამ აგტეხათ!

- გრძელი ამბავია. თავს არ მოგაბეზრებ. ხომ ხედავ, როგორა ვზრუნავ შენზე, ეკლი! - ეგღა მაკლდა, რომ ეკლისთვის გადამეშალა გული. სხვას რომ თავი დავანებოთ, სტრედლეიტერზე უფრო სულელი იყო. ამასთან შედარებით სტრედლეიტერი გენიოსი მოგეჩვენებოდათ. - ე, - ვუთხარი მე, - მოდი ელის ლოგინში ჩავწვები ამაღამ! ხვალ საღამომდე მაინც არ დაბრუნდება, კარგი?

ვიცოდი, რომ არ დაბრუნდებოდა. ყოველ შაბათს შინ მიემგზავრებოდა ხოლმე.

- ეშმაკმა იცის, როდის დაბრუნდება, - თქვა ეკლიმ.

ჰოი, ბიჭო, როგორ გამიწვრილდა გული!

- ვითომ რა, არ იცი, როდის დაბრუნდება?! როდის ყოფილა, რომ კვირა საღამომდე დაბრუნებულიყოს!

- ეგეც მართალია, მაგრამ რა ჩემი საქმეა, სხვის ლოგინში ჩაწოლის ნებას როგორ მოგცემ!

ამამნ მთლად მომსპო. არ ავმდგარვარ ისე, იატაკიდან წამოვიწიე და მხარზე ხელი მოვუთათუნე.

- ნამდვილი პრინცი ხარ, ეკლი-ბალღო, - ვუთხარი, - ნამდვილი პრინცი!

- არა, განა იმას ვიძახი... მაგრამ სხვის ლოგინში ჩაწოლის ნება როგორ უნდა მოგცე!..

- ნამდვილი პრინცი ხარ. ჯენტლმენი და სწავლული ხარ, ბალღო, - ვუთხარი მე. და მართლაც ასე იყო, - შემთხვევით, სიგარეტი ხომ არა გაქვს? ნუ მეტყვი, «არაო», თორემ ახლავე ფეხბსა ვფშიკავ.

- არა, არა მაქვს. მოიხედე, მითხარი, - რაზე იჩხუბეთ?

არ ვუპასუხე. წამოვდექი და ფანჯარას მივადექი. უცებ ისეთი ნაღველი შემომაწვა! ნეტა ახლავე გამაცხებინა სული-მეთქი, ვინატრე.

- მაინც, რა ჯანდაბაზე იჩხუბეთ? - ბარე ორმოცდაათჯერ ჩამეკითხა ეკლი. - მანამ ტვინს არ გაგიხვრეტდა, რას მოგეშვებოდა!

- შენ გამო ვიჩხუბეთ.

- ჩემ გამო?! ნეტა რას ბოდავ!

- ნამდვილად. შენს ღირსებას ვიცავდი. დაიჟინა, ეკლი ბინძური კაციაო, ამას მოვუთმენდი?

ერთბაშად აპილპილდა.

- მართლა ასე თქვა? ნუ მომატყუებ. ასე გითხრა?

გეხუმრები-მეთქი, ვუთხარი. მერე მოვბრუნდი და ელის ლოგინზე წამოწექი. ჰოი, ბიჭო, რა ძაღლის გუნებაზე ვიყავი. როგორ მეწურებოდა გული!

- ყარს აქაურობა, - ვთქვი მე, - შენი წინდების სუნი აქა მცემს. ერთხელ მაინც არ გინდა გაარეცხინო?

- თუ არ მოგწონს, იცი, რა ქენი... - მითხრა ეკლიმ. სულ ჭკუით იყო გატენილი. - ამ ოხერ სინათლეს აღარ ჩააქრობ?

მის სიტყვაზე მაინც არ ჩავაქრე. ვიწექი ელის ლოგინში, ვფიქრობდი ჯეინზე და ათას რამეზე. ვგიჟდებოდი პირდაპირ, როცა წარმოვიდგენდი, როგორ იყვნენ მოყუჟული ჯეინი და სტრდელეიტერი იმ გასიებულ ედ ბენკის მანქანაში. რამდენს გავიფიქრებდი, იმდენი ფანჯრიდან გადახტომა მომინდებოდა. თქვენ არ იცით, ვინა ბრძანდება სტრედლეიტერი, მე კი ვიცი. ზოგ-ზოგი ბიჭები ბევრს ბაქიბუქობდნენ, გოგოებს ასე და ისე ვუშვრებითო... ეკლისთანა ვაჟბატონები, მაგალითად... მაგრამ ტყუოდნენ. სტრედლეიტერი კი ნამდვილად აკეთებდა. მაგის ნათრევ ერთ-ორ გოგოს ვიცნობდი კიდეც. არ გეხუმრებით.

- ეკლი, ბალღო, მოდი ერთი შენი მომხიბლავი თავგადასავალი მიამბე, - ვუთხარი მე.

- აღარ ჩაქრობ მაგ ოხერ სინათლეს?! დილით წირვაზე ვარ წასასვლელი.

ავდექი და ჩავაქრე. ეს თუ მიანიჭებდა ბედნიერებას, როგორ დავაყვედრებდი. მერე ისევ ელის ლოგინში ჩავწექი.

- შენ რა, - ელის ლოგინში დაძინებას აპირებ? - მკითხა ეკლიმ. ჰოი, ბიჭო, რა მასპინძლობა გამოიჩინა.

- იქნებ დავიძინო კიდეც, იქნებ - არა. შენ ნუ ღელავ.

- მე კი არა ვღელავ, მაგრამ ვერაფერი სასიამოვნო იქნება, უცებ ელი დაბრუნდეს და ლოგინში დაუხვდე...

- ნუ გეშინია. აქ არ ვაპირებ დაძინებას. ბოროტად არ გამოვიყენებ შენს სტუმართმოყვარეობას.

ორ წუთს არც გაუვლია, რომ გიჟივით ხვრინვა ამოუშვა. მე კი ვიწექი სიბნელეში და ვცდილობდი არ მეფიქრნა, როგორ იყვნენ მოყუჟულნი იმ ოხერი ედ ბენკის მანქანაში ჯეინი და სტრედლეიტერი. ვცდილობდი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. უბედურება ის იყო, რომ მშვენივრად ვიცოდი, რა გაქნილიც ბრძანდებოდა სტრედლეიტერი. და ეს კიდევ უფრო მიშხამავდა გუნებას. ერთხელ, სწორედ იმ ედ ბენკის მანქანაში ვსხედვართ და თან ჩვენი გოგოები გვახლავს. სტრედლეიტერი და მისი გოგო უკან სხედან, მე კი წინ ვზივარ და გოგოც გვერდითა მყავს, ჰოი, რა გაქნილი ვაჟბატონი ბრძანდებოდა. რომ მიანაზა ხმა და მოხსნა გუდა, სულიც აღარ მოათქმევინა გოგოს... თან რა გულითადი ხმით ელაპარაკება, ვითომდა - მარტო ლამაზი და მოხდენილი კი არა ვარ, ისედაც ალალი ბიჭი გახლავარო. ლამის გული ამერია, მისი სიტყვები რომ გავიგონე. გოგოს კი - არა და არაო, დაუჟინია. ნუო, ნუ გინდაო. მაგას ნუ იზამო. მაგრამ ერთი რომ დაიქოქა სტრედლეიტერი, სული აღარ მოათქმევინა. ისე მინაზებული და გულითადი ხმით ელაქუცებოდა - გეგონებოდა, აბრამ ლინკოლნი გამოგვეცხადაო. მერე ერთბაშად გაიტრუნენ მანქანის უკანა სავარძელში. ძაან უხერხული იყო. არა მგონია, იმ დღეს რამე ექნას იმ გოგოსთვის, მაგრამ არც რამე დაუკლია. ნამდვილად არ დაუკლია.

ვიწექი და ვცდილობდი, ამეებზე არ მეფიქრა. უცებ გავიგონე, როგორ შემოვიდა პირსაბანიდან სტრედლეიტერი, როგორ მიჰყარ-მოჰყარა თავისი ბინძური პირსაბანი მოწყობილობა და ფანჯარა გამოაღო. სუფთა ჰაერის გიჟი იყო. ცოტა ხნის შემდეგ სინათლეც ჩაქრო. არც კი მიუხედ-მოუხედავს, ნეტა სად წავიაო.

ქუჩაშიაც გულისგამაწყალებელი სიჩუმე იყო. მანქანის ხმასაც კი ვერ გაიგონებდი. ისეთი სიმარტოვე ვიგრძენი და ისე მომეწურა გული, რომ ეკლის გაღვიძება გადავწყვიტე.

- ჰეი, ეკლი! ჩურჩულით გადავძახე, რომ ფარდებს იქით სტრედლეიტერს არ გაეგონა.

მაგრამ ეკლიმ ვერ გაიგონა.

- ჰეი, ეკლი!

ვერც ახლა გავაგონე. მკვდარივით ეძინა.

- ჰეი, ეკლი!

როგორც იქნა, გაიგონა.

- რა ჯანდაბა მოგივიდა? - თქვა მან, - ძლივს ჩამეძინა.

- მოიხედე, მონასტერში როგორ უნდა შევიდეს კაცი? - ვკითხე მე. უცებ გადავწყვიტე მონასტერში შევსულიყავი, - უსათუოდ კათოლიკე უნდა იყო, თუ არა?

- ალბათ. ამისთვის გამაღვიძე, შე ნაბიჭვარო, შე...

- კარგი ერთი, ისევ დაიძინებ. სულერთია, მაინც არ წავალ მონასტერში. იმისთანა იღბალი მაქვს, რომ ყველაზე საშინელ ბერებთან მოვხვდები. რაც ქვეყანაზე შტერები და ნაბიჭვრებია, სულ იქ იქნებიან თავმოყრილი.

ვთქვი თუ არა ეს, ეკლი გველნაკბენივით წამოხტა ლოგინიდან.

- იცი რა გითხრა, - თქვა მან, - პირადად ჩემზე რამდენიც გენებოს ილაპარაკე, მაგრამ ჩემი რელიგიის გამასხარავება თუ დაიწყე...

- დამშვიდდი, კაცო, ვის რაში სჭირდება შენი ოხერი რელიგიის გამასხარავება.

ელის ლოგინიდან წამოვდექი და კარებისაკენ გავემართე. ვეღარ გავძელი იმ სიმყრალეში. ეკლისთან შევჩერდი, მისი ხელი ავიღე და მაგრად ჩამოვართვი. სწრაფად გამომტაცა ხელი.

- რა დაგესიზმრა? - მკითხა მან.

- არაფერიც არ დამსიზმრებია. მადლობა მინდა გითხრა, ასეთი დიდებული პრინცი რომ ხარ. ეგ არის და ეგ, - ისე გულწრფელად ვუთხარი!.. ყოჩაღი ბიჭი ხარ, ეკლი, ბალღო! - განვაგრძე მე, - იცი, რა ყოჩაღი ბიჭი ხარ!

- დიდი ჭკუის კოლოფი მყავხარ! ერთხელაც იქნება, გაგიხეთქავენ მაგ გოგრას და...

აღარ შემიწუხებია თავი მისი ლაპარაკის მოსასმენად. გამოვიუხრე კარები და დერეფანში გამოვედი.

ზოგს ეძინა, ზოგი სადღაც იყო გასული, ზოგიც შინ გამგზავრებულიყო, და დერეფანში საშინელი, გულისშემაღონებელი სიჩუმე იდგა. ლეჰისა და ჰოფმანის კარებთან კბილის პასტის დაცარიელებული კოლოფი ეგდო. გავკარი ჩემი ბეწვშემოვლებული ფოსტლების ჭვინტი და წინ გავიგდე. თან კიბისაკენ მივდიოდი, თან ფეხსა ვკრავდი. გადავწყვიტე, ქვევით ჩავსულიყავი და ჩემი ძველი მელ ბროსარი მომენახულებინა - აბა ერთი რას აკეთებს-მეთქი. მაგრამ ერთბაშადვე გადავიფიქრე. უცებ გადავწყვიტე, ავმდგარიყავი და პენსი სულ მიმეტოვებინა... მაშინვე, იმღამესვე. ოთხშაბათამდე რაღა ჯანდაბისთვის უნდა მეცადა რა უნდა მეკეთებინა? გული დამიმძიმდა, საშინელი მარტოობა დამეუფლა. ვიფიქრე, ვიფიქრე და გადავწყვიტე, ნიუ-იორკში ჩავსულიყავი და სასტუმროში ოთახი დამეჭირა... რომელიმე იაფფასიან სასტუმროში... მულერთი იყო, ოთხშაბათამდე იოლას გავიდოდი. დავისვენებდი კიდეც მანამდე, გუნებაც გამომიკეთდებოდა და შინ ისე მივიდოდი. ჩემის ვარაუდით, დედაჩემსა და მამაჩემს სამშაბათ-ოთხშაბათამდე არც უნდა მიეღოთ თარმერისაგან ჩემი გამოპანღურების ამბავი. არ მინდოდა შინ დაბრუნება მანამ წერილს მიიღებდნენ და ამ ამბავს შეურიგდებოდნენ. რა სასიამოვნო იყო შინ ყოფნა, როცა პირველად წაიკითხავდნენ წერილს! დედაჩემს ისტერიკა ემართება ხოლმე. მერედამერე არა უშავს, როცა შეეჩვევა და შეეგუება. მე კიდე ცოტა დასვენება მჭირდებოდა. ნერვები სულ მოშლილი მქონდა, საშინლად გაღიზიანებული ვიყავი.

ერთი სიტყვით, ასე ვამჯობინე. ოთახში შევბრუნდი, სინათლე ავანთე და ბარგის ჩალაგებას შევუდექი. ბევრი რამე უკვე ჩალაგებული მქონდა. სტრედლეიტერს არც კი გაუღვიძია. სიგარეტი გავაბოლე, ჩავიცვი და მერე ჩემი ორი ჩემოდანი ჩავალაგე. ორიოდ წუთში მოვრჩი. ხელად ვალაგებ ხოლმე ბარგს.

ჩალაგების დროს, ცოტა არ იყოს ერთმა რამემ დამაღონა. სულ ახალთახალი ციგურები ჩავაწყვე ჩემოდანში, დედაჩემმა ორიოდე დღის წინ გამომიგზავნა. წარმოვიდგინე, როგორ შედის დედაჩემი სპორტულ მაღაზიაში, ათას სულელურ რაღაცას ეკითხება ნოქარს... მე კი აგერ გამომაპანჩურეს! საშინლად დამწყდა გული. სულ ასე არ მემართება! რამეს მაჩუქებენ და საბოლოოდ უსათუოდ გული უნდა დამწყდეს ხოლმე.

ჩალაგებას რომ მოვრჩი, ფული დავითვალე. კარგად არ მაგონდება, რამდენი მქონდა, მაგრამ ისე ბლომად იყო. სწორედ წინა კვირაში გამომიგზავნა ბებიაჩემმა. ბებია მყავს - სულ არ ენანება ფული. მთლად დალაგებული ვერ არის ჭკუაზე - გადამღრძვალი დედაბერია - და წელიწადში ბარე ოთხჯერ მიგზავნის დაბადების დღეზე ფულს. ერთი სიტყვით, ფული ბლომად მქონდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე - ზედმეტი ვის მოსჭარბებია-მეთქი, რა იცი, რაში დამჭირდება. ასე რომ, დერეფანს დავუყევი და ფრედერიკ ვუდრაფი გავაღვიძე. ჩემი საბეჭდი მანქანა იმას ჰქონდა. რამდენს მომცემ მაგ მანქანაში-მეთქი, ვკითხე. კაი შეძლებული ბიჭ იყო. არ ვიციო, მითხრა. მართალი თუ გინდა, ყიდვას არც ვაპირებდიო. ბოლოს მაინც იყიდა. ორმოცდაათამდე დოლარი ღირდა, მაგრამ ოცზე მეტი არ მომცა. განაწყენებულიც კი დამირჩა - რას გამაღვიძეო.

წასასვლელად რომ გავემზადე, - როცა ჩემოდნებიც ჩავალაგე და ყველაფერი, - კიბის თავში შევდექი და უკანასკნელად გავხედე იმ ოხერ დერეფანს. ტირილი მომერია. არ ვიცი, რატომ. ჩემი წითელი სანადირო ქუდი დავიხურე, კარტუზი უკან მოვაქციე ჩემებურად და რაც ძალი და ღონე მქონდა, დავიღრიალე: «მაგრად იძინეთ, თქვე კრეტინებო!» თუნდა სანაძლეოს ჩამოვალ, რაც ჩემს სართულზე ნაბიჭვრები იყო, სულ გავაღვიძე. ვიღრიალე და კიბეზე დავეშვი. ვიღაც ჩერჩეტს საფეხურებზე თხილის ნაჭუჭები დაეყარა და კისერი კინაღამ მოვიტეხე.

8

ტაქსს ან რამე სად იშოვიდი ამ შუაღამისას და ისევ ფეხით დავადექი სადგურის გზას. შორს არ ყოფილა მაინცდამაინც, მაგრამ საშინლად ციოდა და ძნელი სასიარულო იყო თოვლზე. ახლა ეს ოხერი ჩემოდნებიც! ფეხებზე მედებოდა. თუმცა გარეთ გამოსვლა და სუფთა მაინც მესიამოვნა. ეგ იყო, რომ ცხვირიც წამეყინა, და ტუჩებიც. სტრედლეიტერმა მომარტყა სწორედ ამ ადგილას. ისე მდრუჭა, რომ ტუჩი კბილს მიასრისა, და ახლა მაგრად მტკიოდა. ყურები კი თბილად მქონდა შეფუთნული. ჩემს ახალნაყიდ ქუდს გამოსაშვები საყურეები ჰქონდა და ჩამოვიფარე - ფეხებზე არ მეკიდა, რა შესახედავიც ვიქნებოდი! თანაც კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ყველა ლოგინში იყო შეყუჟული.

იღბლად, დროზე მივედი სადგურში, ათი წუთიღა აკლდა მატარებლის გასვლას. მანამ მატარებელს ვუცდიდი, პეშვით თოვლი ავიღე და სახე მოვიბანე - სულ სისხლი მქონდა შემხმარი.

მიყვარს მატარებდით მგზავრობა. განსაკუთრებით ღამით. ვაგონი გაჩახჩახებულია, ფანჯრები ჩაბნელებული, აგერ ბიჭი შემოდის და შემოაქვს ყავა, სენდვიჩები და ჟურნალები. მე ჩვეულებად მაქვს - ლორის სენდვიჩსა და სამ-ოთხ ჟურნალს ვიყიდი ხოლმე. მატარებელში როცა ვარ, ღამე, ჟურნალებში დაბეჭდილი სულელური მოთხრობებიც კი შემიძლია წავიკითხო - არც გული ამერევა და არც არაფერი. თქვენც გეცოდინებათ ეს მოთხრობები. სახეჩამოგრძელებული ქლესა ბიჭები რომ ჰყავთ გამოყვანილი, ყველას დავითი

ჰქვია, და იქვე თვალთმაქცი გოგოებიც არიან - ლიდა თუ მარსია ჰქვიათ. და იმ ოხერ დავითს წარამარა ცეცხლს უკიდებენ ჩიბუხზე. მატარებელში ამისთანა ნაგავსაც კი წაიკითხავთ ღამით. მაგრამ ახლა ნურას უკაცრავად, აღარ მქონდა კითხვის თავი. ვიჯექი გამოლენჩებული და არაფერს არ ვაკეთებდი. ერთადერთი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ სანადირო ქუდი მოვიხადე და ჯიბეში შევინახე.

ტრენტონში ვიღაც ქალი ამოვიდა გვერდში მომიჯდა. ვაგონი ამ შუაღამისას თითქმის ცარიელი იყო, მაგრამ ეს ქალი თავისუფალ სკამზე კი დაჯდა, მე მომიჯდა გვერდში, რადგან ვეებერთელა ჩანთა ჰქონდა, მე კი წინა სკამზე ვიჯექი. აიღო და პირდაპირ გასასვლელში გამოდგა ეს ჩანთა. ვისაც არ უნდა გაევლო - კონდუქტორი იქნებოდა თუ სხვა ვინმე - უსათუოდ ფეხს წამოჰკრავდა. ეტყობოდა, რაღაც დიდი მეჯლისიდან თუ კამპანიიდან ბრუნდებოდა, და თან ჯადვარის თაიგული მოჰქონდა. ორმოცი-ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა, მაგრამ ძალიან ლამაზი კი იყო. ქალებმა მომიღეს ბოლო. ღმერთმანი. იმას კი არ ვამბობ, თითქოს დიდი მუსუსი და ქალებს გადაყოლილი ვიყო, მაგრამ ვნებიანი ნამდვილად ვარ. ერთი სიტყვით, მომწონს ქალები. მუდამ გასასვლელში უნდა გამოდონ ხოლმე თავიანთი ოხერი ჩანთები.

ვსხედვართ და უცებ მეუბნება:

- ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ ეს მგონი პენსის ნიშანი უნდა იყოს, არა?

ზემო ბადეზე შემოდებულ ჩემს ჩემოდნებს შეჰყურებდა.

- დიახ, - მივუგე მე. ერთს ჩემ ჩემოდანს მართლაც ეკრა პენსის ნიშანი.

- აჰ, მაშ პენსის სკოლაში სწავლობთ? - მკითხა მან. მშვენიერი ხმა ჰქონდა. ტელეფონში ისმის ხოლმე სასიამოვნოდ ასეთი ხმა. თან უნდა ატაროს ტელეფონი.

- დიახ, იქა ვსწავლობ, - ვუთხარი მე.

- უჰ, რა სასიამოვნოა! ჩემი ბიჭიც გეცნობათ, ალბათ, ერნესტ მოროუ. ისიც პენსიში სწავლობს.

- დიახ, ვიცნობ. ერთ კლასში ვართ.

რაც ეს ბინძური სკოლა არსებობს, ამის შვილზე საზიზღარ ნაბიჭვარს ალბათ ჯერაც არვის შემოუდგამს ფეხი იქ. შხაპქვეშ რომ იბანავებდა, დერეფანში გამოვიდოდა და თავისი სველი პირსახოცით დაერეოდა ყველას. აი, იმისთანა ვაჟბატონი გახლდათ.

- რა სასიამოვნოა! - თქვა მან. მაგრამ ლაქუცით არ უთქვამს. მომხიბლავი ქალი იყო. - უსათუოდ ვეტყვი ერნესტს. არ შეიძლება, თქვენი გვარი გავიგო?

- რუდოლფ შმიდტ, - პირდაპირ მივახალე. არავითარი სურვილი არა მქონია, ჩემი ვინაობა გამეცნო მისთვის.; რუდოლფ შმიდტი ჩვენი კორპუსის შვეიცარი იყო.

- გიყვართ პენსი? - მკითხა ქალმა.

- პენსი? არა უშავს რა. სამოთხეა-მეთქი, ვერ ვიტყვი და ვერაფერი, მაგრამ სხვა სკოლებსაც არ ჩამოუვარდება. ზოგი მასწავლებელი საკმაოდ კეთილსინდისიერია.

- ერნესტი პირდაპირ აღმერთებს.

- ვიცი, - დავეთანხმე მეც. და იცოცხლე. მოვხსენი თავი ტყუილების გუდას. სული აღარ მოვათქმევინე, - ძალიან საყვარელი კაცია. ღმერთმანი. მე ის მინდა გითხრათ, რომ ყველას ადვილად ეთვისება, იცის ვისთან როგორ დაიჭიროს თავი.

- მართლა? - გაფაციცებით მკითხა. ეტყობოდა, ძალიან დაინტერესდა.

- ერნესტი? რასა ბრძანებთ! - მივუგე მე. მერე ვხედავ, ხელთათმანებს იძრობს. ჰოი, ბიჭო, რა ბეჭდები ჰქონდა.

- ახლა გავიფუჭე ფრჩხილი, ტაქსიდან რომ გადმოვდიოდი, - მითხრა მან. შემომხედა და გამიღიმა. ძალიან უხდებოდა ღიმილი. ღმერთმანი. ხალხი ხომ საერთოდ სულაც არ იღიმება. ან თუ გაიღიმებს, სიცოცხლეს შეგაძულებს, - მე და ერნესტის მამას კი ძალიან გვაწუხებს მისი ამბავი, - განაგრძო, - თითქოს შემგუებელი ვერ არისო, ზოგჯერ გვეჩვენება.

- როგორ?

- როგორ გითხრათ. ძალიან მგრძნობიარე ყმაწვილია. ბიჭებთან მეგობრობას რაღაცნაირად ვერასოდეს ვერ ახერხებს. იქნებ ზედმეტი სერიოზულობით მოსდის. მისი ასაკისათვის შეუფერებელი სერიოზულობით.

«მგრძნობიარეაო!» ამან მომსპო. ფეხსადგილის ფიცარი უფრო მგრძნობიარე იქნება, ვიდრე ეს ვაჟბატონი, ეს მოროუ!

კარგად შევათვალიერე. სულ არ ჰგავდა შტერს. შესახედად ისეთი ქალი იყო, თითქოს უნდა სცოდნოდა, რა ნაბიჭვარის დედაც ბრძანდებოდა, მაგრამ დედებს რას გაუგებ. ცოტად თუ ბევრად, ყველა დედა შერყეულია. მოროუს დედა კი, მართალი თუ გინდათ, მომეწონა. კარგი ქალი იყო.

- სიგარეტს ხომ არ ინებებთ? - ვკითხე მე.

მიიხედ-მოიხედა.

- არ ამგონია, ეს ვაგონი მწეველების იყოს, რუდოლფ, - თქვა მან. «რუდოლფ» - ამან მომიღო ბოლო.

- არა უშავს რა. მანამ გვიყვირებენ, შეგვიძლია მოვწიოთ. - ვუთხარი. სიგარეტი გამომართვა. მე მოვუკიდე.

პაპიროსმა კიდევ უფრო დაამშვენა. ნაფაზსაც არტყამდა და ყველაფერი, მაგრამ ისე გამწარებით არა, ამ ხნის ქალებმა რომ იციან. ძალიან მომხიბლავი იყო. ქალური მიმზიდველობაც ჰქონდა, მართალი თუ გინდათ.

- იქნებ ვცდებოდე, მაგრამ, მგონი ცხვირიდან სისხლი უნდა გდიოდეთ, გენაცვალე, - მითხრა მან.

მე თავი დავუქნიე და ცუხვირსახოცი ამოვიღე.

- თოვლის გუნდა მომხვდა. - ვთქვი, - საშინლად გაყინული.

განა სიმართლეს არ ვეტყოდი, მაგრამ ამის მოყოლას ბევრი წილადობილა დასჭირდებოდა. ძალიან არ მომეწონა, რაც მართალია მართალია. ბოლოს გული დამწყდა, რომ ნამდვილი სახელი და გვარი არ ვუთხარი.

- ერნი, ერნი, - ვთქვი მე, - იქნებ არც კი იცოდეთ: თვალში რომ ჩაუვარდეთ, თითს არ ამოისვამენ მთელს სკოლაში, ისე უყვართ.

- ეგ არ ვიცოდი.

მე თავი დავუქნიე.

- პირველად უკარება ჩანს - დიდხანს ვერ დაუახლოვდები. საოცარი კაცია. ახირებული ხასიათი აქვს... ხომ გამიგეთ? თუნდაც მე რომ გავიცანი. ჯერ რაღაცნაირი გაბღენძილი მომეჩვენა. თავში მომეჩვენა ასე. მაგრამ სულ სხვა გამოდგა. რაღაცნაირი თავისებური კაცია, და ერთბაშად ვერ გაიცნობ.

მისის მოროუ გაიტრუნა. კრინტი არ დაუძრავს, მაგრამ, ჰოი ბიჭო, ერთი უნდა შეგეხედათ, როგორ მივაკარი ადგილს. დედების ამბავი ხომ იცით - ოღონდ შვილი უქეთ, და მეტი არა უნდათ რა.

ახლა კი მთლად ავიშვი და ავიწყვიტე.

- არჩევნებზე არაფერი უთქვამს? - ვკითხე მე, - კლასის არჩევნებზე?

თავი გააქნია. ეტყობა, სულ მოვაჯადოვე ეს ქალი. ღმერთმანი.

- თითქმის ყველას, ერთხმად, კლასის მამასახლისად გვინდოდა აგვერჩია. და თუ მართალი გნებავთ, მასავით სხვა ვერავინაც ვერ გაუძღვებოდა საქმეს, - ჰოი ბიჭო, რა ავიწყვიტე! - მაგრამ სხვა აირჩიეს - ჰარი ფენსერი. რატომ, არ იკითხავთ?! სულ უბრალო და მარტივი მიზეზის გამო - არასდიდებით არ დაგვასახელებინა თავი. ნამეტანი მორცხვი და მოკრძალებულია. თავი მოიკლა, არ მინდაო... ჰოი ბიჭო, რა მორცხვია! როგორმე უნდა გადააჩვიო, - შევხედე, - თქვენთვის არ უამბნია?!

- არა, არაფერი არ უთქვამს.

თავი დავაქნიე.

- აკი ვამბობ. რას გეტყოდათ! მისი ერთადერთი ნაკლი ეგ არის - ნამეტანი მორცხვი და მოკრძალებულია. უნდა გააჩვიოთ თანდათანობით.

ამ დროს კონდუქტორი მოგვადგა მისის მოროუს ბილეთის გასასინჯად და მეც გაჩუმების საბაბი მომეცა. თუმცა ჩემი თავის კმაყოფილი ვიყავი, რომ ამდენი რამე წამოვროშე. მოროუსთანა

ვაჟბატონები - სველ პირსახოცს რომ გირტყამენ ხოლმე და უნდათ როგორმე გაგამწარონ - მარტო ბავშვობაში კი არ არიან ლაჩრები, მთელ თავიანთ დღეს და მოსწრებას ლაჩრობაში ატარებენ. მაგრამ, თუნდა სანაძლეოს ჩამოვალ, რომ ჩემი მონაჭორის შემდეგ, მისის მოროუ თავს შვილს ყოველთვის მეტისმეტად მორცხვ და მოკრძალებულ ყმაწვილად წარმოიდგენს. ეხუმრებით - კლასის მამასახლისადაც კი არ დაგვასახელებინა თავი. ნამდვილად ასე იქნება. ასეა. დედას ადვილად მოატყუებ ამისთანა რამეებით.

- კოკტეილს არ ინებებთ? - ვკითხე მე. თვითონვე მომინდა კოკტეილი, - შეგვიძლია ვაგონ-რესტორანში გავიდეთ. არ გნებავთ?

- ჰო, მაგრამ, გენაცვალე, სასმელის დაკვეთის ნება გაქვთ? - მკითხა მან. ოღონდ ცხვირაბზეკით კი არა. ისეთი მომხიბლავი ქალი იყო, არც შეიძლებოდა ცხვირაბზეკით ეთქვა.

- არა, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ მაინც ვახერხებ, სიმაღლენ მიწყობს ხელს, - ვუპასუხე მე, - თანაც ჭაღარაცა მაქვს, - თავი მოვაბრუნე და თეთრი თმა ვაჩვენე. დამის გავაგიჟე. - წავიდეთ, ხათრს ნუ გამიტეხთ, ვითომ რატომ არ უნდა დალიოთ! - ძალიან მომინდა მასთან ერთად დალევა.

- არა მგონია, საჭირო იყოს. დიდი მადლობელი ვარ, გენაცვალე, - თქვა მან, - ვაგონ-რესტრანიც, ალბათ, დაკეტილი იქნება. ძალიან გვიან არის. - სულ გადამავიწყდა, რა დრო იყო.

მერე შემომხედა და სწორედ ის მკითხა, რისიც ყველაზე უფრო მეშინოდა.

- ერნესტი მწერდა, ოთხშაბათს ჩამოვალო, საშობაო არდადეგები ოთხშაბათს გვეწყებაო. იმედია, ავად არავინ გაგხდომიათ...

ეტყობა, მართლაც შეაწუხა ამის გაფიქრებამ. მოსაჩვენებლად კი არა, ზედვე ეტყობოდა, რომ ნამდვილად შეწუხდა.

- არა, შინ ყველანი კარგად არიან, - მივუგე მე, - მე თვითონა ვარ საოპერაციო.

- უი, რას მეუბნებით! რა სამწუხაროა! - თქვა მან. მართლაც, ძალიან შეწუხდა. მეც შევწუხდი, რატომ ვიცრუე-მეთქი, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

- ისეთი არაფერია. ტვინზე პატარა სიმსივნე მაქვს.

- კარგით ერთი! - ხელი უცებ ტუჩებზე მიიფარა.

- ოჰ, ეგ არაფერი, გავუძლებ! გან შიგ ტვინში - ქერქზე მაქვს სიმსივნე, და ისიც ერთი ბეწო. ორ წუთში ამომკვეთავენ.

ჯიბიდან განრიგი ამოვიღე და კითხვა დავიწყე. მინდოდა ამ ტყუილების როშვისათვის ბოლო მომეღო. ერთი თუ ავაწყვე და თუკი არ მომბეზრდა, საათობით შემიძლია ვიქაქანო. არ გეხუმრებით, საათობით!

ამის შემდეგ ბევრი აღარ გვილაპარაკია. მისის მოროუს «ვოგი» ჰქონდა თან და იმაში ჩარგო თავი. მე კი ერთხანს ფანჯარაში ვიყურებოდი. იგი ნიუ-იორკში ჩამოხტა. ჯანმრთელობა მისურვა, ოპერაციას კარგად ჩაევლოსო. სულ რუდოლფს მეძახდა. მერე დამპატიჟა კიდეც - ამ ზაფხულს ერნის ეწვიე გლოსტერში, მასაჩუსეტშიო. ჩვენი სახლი პირდაპირ ზღვას გადაჰყურებს, თან ჩოგბურთის კორტიც გვაქვსო; მაგრამ მადლობა გადავუხადე - ბებიაჩემს სამხრეთ აფრიკაში უნდა გავყვე-მეთქი. ისევ ტყუილი გამოვაცხვე: ბებიაჩემი ათასში ერთხელ თუ გაბობღდება შინიდან, და ისიც წირვაზე წასასვლელად, მაგრამ ქვეყნის ფულიც რომ მომცენ, იმ გარეწარ მოროუს მაინც არ ვესტუმრები, თუნდაც სულ უსახლკარო ვიყო.

9

ჩამოვხტი თუ არ აპენსილვანიის სადგურზე, მაშინვე ტელეფონის ჯიხურს ვეცი. მინდოდა, ვინმესთვის დამერეკა. ჩემოდნები იქვე დავაწყვე, ჯიხურიდან რომ მეცქირა. მაგრამ ჯიხურში რომ შევედი, ისეთი ვეღარავინ მოვიგონე, რომ დამერეკა. ჩემი ძმა დ.ბ. ჰოლივუდში იყო. ჩემი პატარა და - ფიბი - ცხრაზე უკვე ლოგინშია, როგორღა დავრეკავდი! გაღვიძებისათვის კი არ გამიბრაზდებოდა, მაგრამ მარტო ის ხომ არ იყო სახლში. ან დედაჩემი მოვიდოდა ტელეფონთან ან მამაჩემი. ასე რომ, შინ ვერ დავრეკავდი. ერთი პირობა ვიფიქრე, ჯეინ გადაჰერის დედას დავურეკავ და ვკითხავ, ჯეინს არდადეგები როდის ეწყება-მეთქი, მაგრამ აღარ დამიჯდა ჭკუაში, ჯერ ერთი, ამ შუაღამისას დარეკვაც უხერხული იყო. მერე გადავწყვიტე, იმ გოგოსთვის დამერეკა, რომელსაც ხშირად ვხვდებოდი ხოლმე - სალი ჰეისს, ვიცოდი, სკოლიდან უკვე დათხოვილი იყო საშწობაოდ, თვითონვე მომწერა უშველებელი ბითური წერილი, მეპატიჟებოდა: მესტუმრე და ნაძვის ხე მომართვევინეო. მაგრამ შემეშინდა, ვაითუ დედამისი მოვიდეს ტელეფონთან-მეთქი. დედამისი დედაჩემს იცნობდა, და თვალნათლივ წარმომიდგა, რა კისრისტეხით მივარდებოდა ტელეფონს და ხელადვე შეატყობინებდა, შენი ბიჭი ნიუ-იორკშიაო. ამას გარდა, იმ დედაბერ მისის ჰეისთან საუბარიც ვერაფერი სასიამოვნო იყო. ერთხელ სალის უთხრა თურმე ჩემზე - ველურიაო. ველურია და თანაც ცხოვრებაში არავითარი მიზანი არ გააჩნიაო. მერე კარლ ლიუსსთან დარეკვა დავაპირე - მე და ის ბიჭი ჰუტონის სკოლაში ვსწავლობდით ერთად. მაგრამ მზე არასოდეს ამომდიოდა მასზე. ასე რომ, საბოლოოდ აღარავისთვის დამირეკია. ასე. ოცი წუთის შემდეგ ჯიხურიდან გამოვედი, ჩემოდნები ავიღე, გვირაბში გავძვერი და ტაქსის გაჩერებასთან ტაქსი დავიჭირე.

ისეთი დაბნეული კაცი ვარ, რომ შოფერს ბინის მისამართი მივეცი, ალბათ ჩვეულების მიხედვით - სულ გადამავიწყდა, რომ არდადეგების დაწყებამდე ორი დღე სასტუმროში უნდა გამეტარებინა. შუა პარკს რომ მივაღწიე, მაშინღა გამახსენდა.

- ეი, - ვუთხარი შოფერს, - სადაც მოგიხერხდეს, მოაბრუნეთ მანქანა, შეცდომით სხვა მისამართი გითხარით. ქალაქის ბოლოში უნდა გავიდეთ.

კაი გაქნილი შოფერი შემხვდა.

- აქ ვერსად ვერ მოვაბრუნებ, მაკ. ცალმხრივი მოძრაობაა. მეცხრამეტე ქუჩაზე უნდა გავიდეთ.

ჩხუბს ხომ არ დავუწყებდი.

- აგრე იყოს. - ვუთხარი მე და უცებ რაღაც მომაგონდა: - ერთი ეს მითხარით, ცენტრალური პარკის სამხრეთით რომ ტყაა, იმაში იხვები თუ გინახავთ? აი, პატარა ტბა რომაა? შემთხვევით ხომ არ იცით, სად მიდიან ის იხჯვები, ტყა რომ იყინება? იქნებ ყური გქონდეთ მოკრული.

მართლაც შემთხვევით თუ ეცოდინებოდა.

თავი მოატრიალა და ისე შემომხედა, თითქოს გიჟი ვყოფილიყო.

- შენ რა, დამცინი ძმობილო? მაპამპულებ?

- არა, მართლა მაინტერესებს, რატომ უნდა დაგცინოთ!

აღარაფერი უპასუხნია და არც მე მითქვამს რამე. პარკს რომ გავცდით და მეცხრამეტე ქუჩაზე გავედით, ისევ მომიბრუნდა.

- ახლა საით, ძმობილო?

- აქეთ ნაცნობების შეხვედრას ვერიდები და ამიტომ ისტ საიდის სასტუმროში არ ჩამოვხტები. ინკოგნიტოდ ვმოგზაურობ, - ვუთხარი მე. ძალიან კი მეჯავრება ამისთანა გაცვეთილი სიტყლვები - «ინკოგნიტოდ ვმოგზაურობ» და ამისთანები. მაგრამ შტერს რომ გადაეყრები, შენც შტერულად უნდა ილაპარაკო. - შემთხვევით ხომ არ იცით, რა ორკესტრი გამოდის ან ტაფტში ან ნიუ-იორკერში?

- ახრზე არა ვარ, მაკ.

- კარგი... მაშ «ედმონტში» წამიყვანეთ, - ვუთხარი მე, - გზაში იქნებ სალმე გამიჩეროთ და კოკტეილი დავლიოთ. ჩემს ხარჯზე. ფული ჩეჩქვივითა მაქვს.

- არ შემიძლია, მაკ, ბოდიშს გიხდი.

კაი თანამგზავრი კი შემხვდა, თქვენ ნუ მომიკვდეთ. დიდებული პიროვნება!

მივადებით სასტუმრო «ედმონტს» და მე ოთახი გავიფორმე. ტაქსში რომ ჩავჯექი, ჩემი წითელი სანადირო ქუდი დავიხურე - ისე, თავშესაქცევად. სასტუმროში რომ შევედი, ისევ მოვიხადე, გიჟი არავის ვეგონო-მეთქი. სასაცილო კია. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ეს ოხერი სასტუმრო სულ კრეტინებით და გაფუჭებული ხალხით იყო გამოტენილი. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გიჟს შეხვდებოდი.

ერთი სამაგელი ოთახი მომცეს, ფანჯრიდან, სასტუმროს მეორე კორპუსის კედლის გარდა, არაფერი არა ჩანდა. მაგრამ რა მენაღვლებოდა: ძაღლის გუნებაზე ვიყავი და გახედვის თავი ვიღას ჰქონდა, თუნდაც ძალიან ლამაზი ხედი ყოფილიყო. დერეფნის მორიგემ, სამოცდახუთი წლის ბერიკაცმა, ნომერი გამიღო. რაღა ჩემი ოთახი და რაღა ეს ბერიკაცი - ამის დანახვაზე კიდევ უფრო მომეწურა გული. პოსლიკა იყო და, ბევრი მელოდი ვაჟბატონის მსგავსად, მოტვლეპილი თავის დასაფარად, ამას საფეთქლებიდან და კინჩხიდან წამოეღო თმა. ამისთანა ქოჩორს ისევ კოტორა თავი მირჩევნია! საერთოდ, რა ბერიკაცის საქმეა ასეთი სამსახური - უნდა ათრიო ჩემოდნები და უცადო, რს მაჩუქებენო! ალბათ სხვაგან არსად გამოდგებოდა. საშინელება კი იყო.

ის რომ წავიდა, ერთხანს ფანჯარასთან დავდექი პალტოსგაუხდელად და ყურება დავიწყე. საქმე არაფერი მქონია. რომ დაგენახათ, სასტუმროს იქითა კორპუსში რა ხდებოდა, თმა ყალყზე დაგიდგებოდათ. ფარდის ჩამოშვებისთვის

თავი არც კი შეუწუხებიათ. ერთი ჭაღარაშერთული და კარგი შესახედავი კაცი ტრუსების ამარ დატანტალებდა ოთახში და ისეთ რამეებს აკეთებდა, არც დამიჯერებთ რომ გითხრათ. ჯერ აიღო და ჩემოდანი ლოგინზე დადო. მერე ამოალაგა და ამოალაგა ქალის ტანსაცმელი, და თვითონ ჩაიცვა, ნამდვილი ქალის ჩასაცმელები - აბრეშუმის ყეკლიანი წინდები, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, ბიუსტგალტერი და რაღაცნაირი კორსეტი, ზედ რეზინები რომ ჩამოკონწიალებთ ხოლმე. ბოლოს ტანზე შემოტმასნილი შავი, საღამური ვიწრო კაბა გადაიცვა. ღმერთმანი. მერე კი ოთახში ბაკა-ბუკს მოჰყვა ქალის ნაბიჯებით, თან სიგარეტს აბოლებდა და სარკეში იყურებოდა. სულ მარტოკა იყო, თუ სააბაზნოში არა ჰყავდა ვინმე. ეს ვეღარ შევამჩნიე. ზედ იმის თავზე, ზემო სართულის ფანჯარაში ვიღაც კაცი და ქალი პირით წყალს ასხამდნენ ერთმანეთს. იქნებ წყალი არც კი იყო, და კოკტეილს ასხურებდნენ. ვერ შევნიშნე, რა ჰქონდა ჭიქაში. ჯერ კაცი გაივსებდა პირს და შეასხურებდა, მერე - ქალი. რიგრიგობით ასხურებდნენ. ღმერთმანი, ერთ ნახვად ღირდა. იცინოდნენ, იცინოდნენ - ისტერიკა დაემართათ. გეგონებოდა, ამაზესასაცილო აღარაფერი უნახავთო. არ გეხუმრებით. სულ შტერებით იყო სასტუმრო გამოტენილი. მთელს შენობაში ერთადერთი ნორმალური კაცი ალბათ მე ვიყავი. ამის შემდეგ თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, როგორ ყოფილა საქმე. ცოტას გაწყდა, დეპეშა არ გავუგზავნე სტრედლეიტერს, პირველივე მატარებელს ჩამოჰყევი ნიუ-იორკში-მეთქი. მთელი სასტუმროს მეფე გახდებოდა.

უბედურება ის არის, რომ უნდა დადგე და, გინდა თუ არა, ამისთანა უხამსობას უყურო. თუნდაც ის გოგო ავიღოთ, წყალს რომ ასხურებდნენ სახეში; მშვენიერი შესახედავი იყო. ჩემი უბედურებაც ეგ არის. გულში ალბათ დიდი გაფუჭებული ადამიანი ვარ. ჩემისთანა გარყვნილი კაცი არც გეყოლებათ ნახული. ზოგჯერ ისეთ სიბინძურეს გავიფიქრებ... და თვითონვე შემიძლია გავაკეთო, შემთხვევა რომ მომეცეს. ისიც კი მშვენიერ გასართობ და თავშესაქცევ ამბად მეჩვენება, ორივენი მთვრალები იყვეთ და გოგოს სახეში დაუწყო წყლის პურჭყება, - წყალი იქნება თუ რაც იქნება, - და იმან კიდევ შენ გაპურჭყოს. ისე კი მართალი თუ გინდათ, ვერაფერი ხუმრობაა. კარგად რომ დაუფიქრდე, დიდი სიბინძურეც არის. ჩემის აზრით, თუ გულით არ გიყვარს გოგო, რაღას მაიმუნობ, ხოლო თუ გიყვარს - მისი სახეც უნდა გიყვარდეს, და სახე თუ გიყვარს, ბინძური რამე - შეფურთხება იქნება თუ შეპურჭყება - არც უნდა აკადრო.

ძალიან სამწუხაროა, რომ ხანდახან ამისთანა უხამსობა ხუმრობა გგონია. ისე, გოგოებიც კაი ბედოვლათები არიან - ზოგჯერ ცდილობ ძალიან დიდი უხამსობა არ გამოგივიდეს და არ გააფუჭო მთელი სილამაზე, მაგრამ რა მერე - თვითონვე გიშლიან ხელს. ერთ გოგოს ვიცნობდი ამ ორი წლის წინათ, თითქმის ჩემზე უფრო გაფუჭებული იყო! ვითომ ვხუმრობდით, თავს ვიქცევდით, ნამდვილად კი უხამსობა გამოდიოდა. საერთოდ ამ სექსუალური ამბებისა ბევრი არაფერი გამეგება. კაცმა არ იცი, რა ჯოჯოხეთში იგდებ თავს. მე თვითონვე ვადგენ ხოლმე ჩემთვის წესებს ამ საქმეში, მაგრამ მევე ვარღვევ. შარშან, მაგალითად, პირობა მივეცი თავს, რომ აღარ დამეწყო მაიმუნობა ისეთ გოგოებთან, რომლებიც ჭირისდღესავით მძულს. რა გამოვიდა, ერთ კვირას არც კი გაუვლია, რომ გავტეხე სიტყვა... მართალი თუ გინდათ, იმავე ღამეს გავტეხე. ერთი საშინელი კოკობზიკა გოგოა - ანა ლუიზა შერმანი - მთელი ღამე ვკოცნიდი და ვეხვეოდი. ეს ისეთი რამეა, რომ ასავალ-დასავალს ვერ გაუგებ. ღმერთმანი, ვერ გაუგებ.

ვიდექი ფანჯარასთან და ვფიქრობდი, ჯეინს როგორ დავურეკო-მეთქი. პირდაპირ მინდოდა, კოლეჯში დაკავშირება. აბა დედამისთან დარეკვას და იმის გაგებას, როდის ჩამოაო, რა აზრი ჰქონდა. მართალია შუაღამისას დარეკვა და სტუდენტების დაღვიძება არ შეიძლება, მაგრამ ამასაც შემოევლება.. და მოვიფიქრე კიბეც. ბიძა ვარ-მეთქი, ვეტყოდი, ტელეფონთან ვინც მოვიდოდა. მამიდამისი მანქანამ გაიტანა და სასწრაფოდ უნდა ველოაპარაკო-მეთქი. რაღა თქმა უნდა გაჭრიდა ეს. მაგრამ გუნებაზე არ ვიყავი და აღარ დამირეკია. გუნებაზე თუ არა ხარ, ტყუილია, ამისთანა საქმე არ გამოგივა.

ცოტა ხნის შემდეგ სავარძელში ჩავჯექი და ერთი-ორი სიგარეტი გავაბოლე. უნდა გამოვტყდე, საშინლად დაძმარული ვიყავი. უცებ რაღაც მომაგონდა. წარსულ ზაფხულს რაღაც შეკრებულებაში ერთი ბიჭი გავიცანი, პრინსტონში სწავლობდა, და მისამართი მომცა. საფულე ამოვიღე და იმ მისამართს დავუწყე ძებნა. როგორც იქნა, მივაგენი. სულ გაცრეცილ-გაყვითლებულიყო საფულეში, მაგრამ მაინც გავარჩიე. ეს იყო ვიღაც გოგოს მისამართი - მთლად ხელიდან წასული არ არის, მაგრამ ზოგჯერ იკისრებსო იმ პრინსტონელმა ბიჭმა მითხრა. ერთხელ თურმე კოლეჯში მიიყვანა საცეკვაოდ, და კინაღამ გამაპანღურეს - ეს ვინ მოგიყვანიაო. კაბარეებში ცეკვავდა, მთლად დედიშობილა ერთი სიტყვით, ტელეფონთან მივედი და დავურეკე. ფეით კავენდიში ერქვა და «სტენფორდის» სასტუმროში ცხოვრობდა, სამოცდამეხუთე ქუჩისა და ბროდვეის შესახვევში. სანაგვე სორო იქნებოდა, რაღა თქმა უნდა.

ჯერ ვიფიქრე, შინ არ არის-მეთქი. დიდხანს არავის გაუცია ხმა. ბოლოს, როგორც იქნა, აიღეს მილი.

- ალო, - ხმა დავიბოხე, რომ ჩემს ასაკზე ეჭვი არ აეღოთ. ისედაც ბოხი ხმა მაქვს, ნუ გეშინიათ.

- ალო! - ვიღაც ქალი გამომეპასუხა, მაგრამ არც მაინცდამაინც ხალისიანად.

- მის ფეით კავენდიშია?

- ვინ ლაპარაკობს? ამ შუაღამისას რა რეკვა აგიტყდა!..

ცოტა არ იყოს შევცბი.

- ვიცი, რომ ძალიან გვიან არის, - მივუგე მე დაბოხებული ხმით, - მაგრამ იმედი მაქვს, მაპატიებთ. ისე ძალიან მინდოდა თქვენი ნახვა!.. - დიდის თავაზიანობით ვუთხარი. ღმერთმანი.

- ვინ ლაპარაკობს? - იკითხა მან.

- თქვენ მე არ მიცნობთ, დი ბერდსელის მეგობარი ვარ. ქალაქში თუ მოხვდეო, ელიმ მითხრა, უსათუოდ დაურეკე და კოკტეილზე დაპატიჟეო.

- ვინაო? ვისი მეგობარი ვარო? - ჰოი, ბიჭო, რა ვეფხვივით ქალი ყოფილა. ისევ მიღრიალა და მიღრიალა!

- ედმუნდ ბერდსელი. ედი ბერდსელი! - ვუპასუხე მე. აღარც კი მახსოვს, ედმუნდი ერქვა თუ ედუარდი. მხოლოდ ერთხელ შევხვდი რაღაც ბითურულ შეკრებულებაში.

- მაგისთანას არავის ვიცნობ, ჯეკ. და შენ თუ გგონია, ძალიან სასიამოვნოა ამ შუაღამისას...

- ედი ბერდსელი! პრინსტონიდან! - აღარ მოვეშვი მე.

გავიგონე, როგორ იმეორებდა ამ გვარს:

- ბერდსელი, ბერდსელი... პრინსტონიდან... პრინსტონის კოლეჯიდან!

- ჰო, ჰო! - შევძახე მე.

- თქვენც პრინსტონის კოლეჯიდანა ხართ?

- ჰო, თითქმის.

- აჰა... ედი რასა იქმს? - თქვა მან, - მაგრამ მაინც დიდი ახირებაა შუაღამისას ხალხის წამოგდება. ღმერთო ჩემო!

- კარგად არის. მოგიკითხათ.

- მადლობელი ვარ, ჩემი მოკითხვაც გადაეცით. - თქვა მან, - დიდებული ბიჭია. ახლა რას აკეთებს? - ხელადვე გამიშინაურდა.

- ისევ ისეა, ხომ იცით... - სად ჯანდაბიდან უნდა ვიცოდე, ახლა რას აკეთებს! ხეირიანად არც ვიცნობდი. ისიც კი არ ვიცოდი, ისევ პრინსტონში იყო თუ არა. - რას იტყვით - ვკითხე მე, - კოკტეილზე არ დამეწვევით?

- იქნებ შემთხვევით წარმოდგენა გქონდეთ, ახლა რა დროა, - მითხრა მან, - თქვენი სახელიც არ ვიცი! - უცებ ინგლისური აქცენდით მოუქცია. - ხმაზე ძალიან ახალგაზრდა ჩანხართ.

გამეცინა.

- ქათინაურებისათვის მადლობელი ვარ, - ვუთხარი დიდის თავაზით, - მე ჰოლდენ კოლფილდი ვარ, - მოგონილი სახელი უნდა მეთქვა, მაგრამ უცებ ვერ მოვისაზრე.

- ჰოდა, მისტერ კოფლ, ჩვეულებად არა მაქვს, შუაღამისას დავუნიშნო ხალხს პაემანი, მე ვმუშაობ.

- ხვალ ხომ კვირაა, - ვუთხარი მე.

- ჰო, მაგრამ ძილი მაინც ტკბილია, ხომ იცით.

- ვიფიქრე, თითო კოკტეილს დავლევთ-მეთქი. არც ისე გვიანია.

- დიდ თავაზიანობას იჩენთ, - თქვა მან. - მაინც საიდან რეკავთ? სადა ხართ?

- მე? ავტომატიდან ვრეკავ.

- აჰ, - თქვა მან. ამას კარგა ხნის დუმილი მოჰყვა. - იცით რა, მისტერ კოფლ, თქვენთან შეხვედრა ძალიან სასიამოვნო იქნება. მომხიბლავი კაცი ჩანხართ. ხმაზე გეტყობათ, მომხიბლავი კაცი ხართ. მაგრამ ახლა ძალიან გვიან არის.

- მე მოვალ თქვენთან.

- დიდი სიამოვნებით მიგიღებდით. კოკტეილზედაც ხალისით დაგეწვეოდით, მაგრამ ამხანაგი გამიხდა ავად. წუხელ მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს!.. ეს წუთია წასთვლიმა, ხომ იცით! ასეა საქმე.

- ძალიან სამწუხაროა.

- სად ჩამოხტით? ხვალ მე აღარ შემიძლია, მარტო ამაღამ მქონდა დრო. - ვინ მექაჩებოდა! რას წამოვროშე!

- ო, ძალიან სამწუხაროა.

- ედის მოკითხვას გადავცემ.

- მართლა? იმედი მაქვს, ნიუ-იორკში კარგ დროს გაატარებთ. დიდებული ქალაქია.

- ვიცღი, გმადლობთ. ღამი ნებისა, - ვუთხარი და მილი დავდე.

ჰოი, ბიჭო, მე თვითონვე არ გავიფუჭე საქმე! სახვალიოდ უნდა დამებარებინა. კოკტეილს მაინც დავლევდით.

10

ჯერ ისევ ადრე იყო. დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რა დრო იქნებოდა, მაგრამ ძალიან გვიან არ უნდა ყოფილიყო. ჭირის დღესავითა მძულს დაწოლა, როცა სულაც არა გრძნობ დაღლილობას. ასე რომ ჩემოდნები გავხსენი, სუფთა პერანგი

ამოვიღე, მერე სააბაზანოში შევედი, დავიბანე და პერანგი გამოვიცვალე. ვიფიქრე, დაბლა ჩავალ და ვნახავ ერთი, იისფერ დარბაზში რა ხდება-მეთქი. სასტუმროში ღამის კლუბი ჰქონდათ მოწყობილი - იისფერ დარბაზს ეძახდნენ.

პერანგს რომ ვიცვლიდი, გავიფიქრე რა იქნება ჩემს პატარა დას - ფიბის - დავურეკო-მეთქი. ძალიან მომინდა მასთან ლაპარაკი. ჭკვიანი გოგო იყო - ყველაფერს გაგიგებდა. მაგრამ დარეკვა არ შეიძლებოდა, რადგან ჯერ სულ პატარა იყო და დაძინებული იქნებოდა, ტელეფონთან ვინ მიუშვებდა. თუ დედა ან მამა მოვიდა ტელეფონთან, მაშინვე დავუკიდებ-მეთქი, მაგრამ მაინც არ შეიძლებოდა: მიხვდებოდნენ, რომ მე ვიყავი. დედაჩემს რას გამოაპარებ. დიდი ფსიქოლოგია. ისე ძალიან გულით კი მომინდა ფიბისთან ცოტახნით ლაქლაქი.

უნდა ნახოთ, რა გოგოა. თქვენს სიცოცხლეში არ გეყოლებათ ნახული იმისთანა ლამაზი და ჭკვიანი ბავშვი. ნამდვილი ჭკუისკოლოფია. რაც სკოლაში შევიდა, სულ ხუთებს ღებულობს. მართალი თუ გინდათ, მთელს ოჯახში ერთი მე გამოვედი შტერი. ჩემი ძმა დ.ბ. ხომ მწერალია და ყველაფერი, მეორე ძმა, ელი, - მომიკვდა-მეთქი რომ გითხარით, - პირდაპირ ჭინკა იყო. ერთი მე გამოვედი შტერი. მაგრამ ნეტა ფიბი განახათ. თმა, ელისა არ იყოს, მასაც მოწითალო აქვს, ზაფხულობით სულ დაუმოკლდება ხოლმე, ყურს უკან იკეცავს. ისეთი პატარა, კოხტა ყურები აქვს! ზამთრობით ჩამოიშვებს ხოლმე თმას. ზოგჯერ უწნავს დედა, ზოგჯერ არა. სულერთია, მაინც შვენის. ჯერ ათი წლისაა. ჩემსავით ჩამომხმარი. მაგრამ უხდება სიგამხდრე. მოციგურავედაა გაჩენილი. ერთხელ ფანჯრიდან დავინახე - პარკში მიდიოდა და მეხუთე ავენიუ გადაჭრა. მაშინ ვიფიქრე პირველად, ისეთი გამხდარი და კოხტაა, მოციგურავედ არის-მეთქი გაჩენილი. თქვენც მოგეწონებოდათ. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ რაზედაც არ უნდა გამოელაპარაკოთ, იმ წუთში გაგიგებთ, ყველაფერი იცის. სადაც გინდოდეს, წაიყვანე. ვთქვათ, ბითურ სურათზე წაიყვანე, მაშინვე მიხვდება, რომ ბითურ სურათია. კარგ სურათზე წაიყვან - კარგი სურათიაო, გეტყვის. ერთხელ მე და დ.ბ.-მ ფრანგული სურათი ვაჩვენეთ - «ხაბაზის ცოლი», რაიმო რომ თამაშობს. მოკვდა საწყალი გოგო. ყველაზე უფრო «ოცდაცხრამეტი საფეხური» უყვარს, აი რობერტ დონათი რომ არის შიგ. ზეპირად იცის მთელი ფილმი, იმიტომ რომ ათჯერ მაინც გვექნება ნახული. ეს დონათი რომ პოლიციელებს გამოექცევა და შოტლანდიურ ფერმაში იმალება, მერე შოტლანდიელი ბიჭი რომ კითხავს, «ქაშაყს თუ სჭასმო?» ფიბი იმ ბიჭთან ერთად ხმამაღლა წამოიძახებს ხოლმე ამ სიტყვებს კინოში. ზეპირად იცის მთელი დიალოგი. მერე ის პროფესორი გერმანელი ჯაშუში რომ აღმოჩნდება და თავის წაჭრილ ნეკს რომ მიუშვერს რობერტ დონათს... ფიბი წაასწრებს და სიბნელეში წინასწარ მატაკებს სახეში თავის ნეკს. კარგი გოგოა. თქვენც მოგეწონებათ. ოღონდ ზოგჯერ ძალიან მგრძნობიარეა. ისე განიცდის ყველაფერს, რომ ბავშვს არცა ჰგავს. არ გეხუმრებით. საქმეც რომ გაიჩინა - წიგნებს წერს! მაგრამ ერთხელაც არ დაუმთავრებია. ერთი გოგოს ამბავს აღწერს - ჰაზელ უეთერფილდი ჰქვია იმ გოგოს, ოღონდ ჰასლს უწოდებს. ეს ჰასლ უეთერფილდი პოლიციის მაძებარია. ყველას ობოლი ჰგონია, მაგრამ მამა გამოუჩნდება. მამამისი კი ყოველთვის ასეა დამახასიათებელი - «მაღალ-მაღალი მომხიბლავი ჯენტლმენი, ასე 20 წლისა». გაგიჟდები კაცი. ასეთი გახლავთ ჩემი ფიბი. ნამდვილად მოგეწონებათ. ღმერთმანი. სულ პაწაწკინა გოგო რომ იყო, ჭკუა მაშინაც ჰქონდა. პაწაწკინა რომ იყო, მე და ელის ბაღში დაგვყავდა ხოლმე, განსაკუთრებით კვირაობით. ელის აფრიანი ნავი ჰქონდა და კვირაობით იცოდა გაშვება, და ფიბიც მუდამ თან

დაგვყავდა. წამოიცვამდა თეთრ ხელთათმანებს და შუაში ჩაგვიდგებოდა. ნამდვილი ლედი გეგონებოდათ. მე და ელი რომ საუბარს გავაბამდით, ფიბი გვისმენდა. ზოგჯერ იქნებ გადაგავიწყდეს კიდეც, თან რომ გახლავს - ნამცეცა გოგოა! ნუნრას უკაცრავად - მაშინვე შეგახსენებს თავს, ხან ელის წაჰკრავს ხელს, ხან მე: «ვინ? რომელმა უთხრა: ბობიმ თუ იმ ქალმა?» ჩვენც ვუპასუხებთ, რომელმა უთხრა და ფიბი იტყვის: «აჰ» - და ისევ გიგდებს ყურს დიდის ამბით. ელისაც აგიჟებდა ხოლმე. მე ის მინდა გითხრათ, რომ ელისაც ძალიან უყვარდა. ახლა უკვე ათი წლისაა, უკვე აღარ არის ისეთი პაწაწკინა, მაგრამ მაინც ყველას აგიჟებს - ვისაც რამე ესმის, რა თქმა უნდა.

ერთი სიტყვით, ისეთი გოგო იყო, რომ უსათუოდ მოგინდებოდა ტელეფონით გამოლაპარაკება. მაგრამ შემეშინდა, დედა ან მამა არ მოვიდნენ ტელეფონთან-მეთქი. გაიგებდნენ ნიუ-იორკში არისო, და იმასაც მიხვდებოდნენ, რომ სკოლიდან გამომაპანღურეს. ამასობაში პერანგიც ჩავიცვი. გავემზადე და ლიფტით დაბლა დავეშვი, დარბაზში - ვნახო, რა ამბავია-მეთქი.

რამდენიმე მოსუტენერო ტიპისა და კახპის გარდა კაციშვილი არ იყო ვესტიბიულში. იისფერი დარბაზიდან კი მუსიკის ხმა გამოდიოდა და მეც იქითკენ წავედი. არც იქ ყოფილა დიდი ჭედვა, მაგრამ მაინც ერთი ქეციანი მაგიდა გამომირჩიეს სადღაც კუნჭულში და დამსვეს. ერთი დოლარი უნდა ჩამეჩარა ოფიციანტისათვის. ჰოი, ბიჭო, ნიუ-იორკში ფულს, თუ გინდა, ენას ამოუდგამ... არ გეხუმრებით.

საძაგელი ორკესტრი იყო. ბადი სინგერი. სულ ზანზარებდა იქაურობა, ოღონგდ სასიამოვნოდ არ ზანზარებდა, საძაგლად ზრიალებდა. ჩემი ტოლებიც ძალიან ცოტანი იყვნენ დარბაზში. მართალი თუ გინდათ, ერთიც არ ყოფილა ჩემი ხნისა. უმთავრესად ბებრები იყვნენ. გამოპრანჭული ბერიკაცები თავთავიანთი მანდილოსნებით. მხოლოდ ერთი მაგიდა იყო გამონაკლისი, ჩემს მარჯვნით. ამ მაგიდას სამი ქალი უჯდა, ასე ოცდაათ-ოცდაათი წლისა. საკმაოდ მახინჯები იყვნენ და შლიაპებზე შეატყობდით, რომ ნიუ-იორკელები არ უნდა ყოფილიყვნენ. თუმცა ერთ მათგანს, ქერას, არა უშავდა რა. ეშხიანი გოგო ჩანდა ის ქერა, და ეშმაკურადაც დავუწყე ყურება, მაგრამ ამ დროს ოფიციანტი მომადგა. ვისკი დავუკვეთე სოდით, ოღონდ ნუ აურევ, ცალკ-ცალდკე მომიტანე-მეთქი, ვუთხარი. სხვაპასხუპით მივაყარე, რადგან ზოზინით თუ ამოღერღე, იფიქრებს, ოცდაერთი წლისა არ ყოფილაო, და ალკოჰოლს აღარ მოგიტანს. მაინც არ გასჭრა.

- ბოდიშს კი ვიხდი, სერ, მაგრამ იქნებ რაიმე საბუთი გქონდეთ სრულწლოვანებისა! თუნდაც შოფრობის მოწმობა იყოს.

გამგმირავი თვალებით შევხედე, თითქოს დიდი შეურაცხყოფა მოეყენებინოს, და ვუთხარი:

- უწლოვანს რა მიგავს!

- ბოდიშს ვიხდი, სერ, მაგრამ ჩვენ ჩვენი...

- კარგი, კარგი, - ვუთხარი მე და გუნებაში ჯანბადისკენ გავისტუმრე, - კოკა-კოლა მომიტანეთ.

წასვლა დააპირა, მაგრამ მოვაბრუნე.

- იქნებ ცოტაოდენი რომი ან რამე აურიოთ! - ძალიან თავაზიანად ვთხოვე, - ამისთანა ადგილას ასე ცხვირჩამოშვებული ხომ არ ვიჯდები. იქნებ ცოტა რომი აურიოთ, ან სხვა რამე!

- დიდ ბოდიშს ვიხდი, სერ, მაგრამ... - პირდაპირ მომახალა, არც ვამტყუნებ. სამსახურს დაკარგავს, უწლოვანს რომ ალკოჰოლიანი სასმელი მოუტანოს. მე კიდე, ჩემდა სავალალოდ, უწლოვანი ვარ.

ისევ გადავხედე ჩემს მეზობელ ქაჯებს. ესე იგი, ქერას გადავხედე. ის ორი მილასლასებული იყო შიმშილისაგან. ტლანქად კი არ მივშტერებივარ, ისე გადავხედე სასხვათაშორისოდ. მაგრამ რა ქნეს, როგორ გგონიათ, შტერივით მოჰყვნენ ხვიხვინს სამივენი. ალბათ იფიქრეს, ეს ცინგლიანი ბიჭი ასე მუშტრის თვალით რას მოგვჩერებიაო. საშინლად მეწყინა. ვითომ რაო, ცოლობას ვუპირებდი რომელიმეს თუ რა! ახი იქნებოდა, ერთი მაგრად შემებღვირა, მაგრამ უბედურება ის იყო, ომ ცეკვა მომინდა. ზოგჯერ ასე წამომივლის ხოლმე ცეკვის ჟინი. უცებ გვერდზე გადავიხარე და მივმართე: - ცეკვა არ გინდათ, ქალიშვილებო? - ტლანქად კი არ მიმიმართავს, პირიქით, თავაზიანად ვთხოვე. მაგრამ ღმერთმა დასწყევლოს, რა მოელანდათ. ისევ ხვიხვინი აუტყდათ. არ გეხუმრებით, შტერივით ხვიხვინებდნენ. - გამოდით, ვიცეკვოთ. სათითაოდ გაცეკვებთ. ჰა, რას იტყვით? გამოდით! - მართლაც ძალიან მომინდა ცეკვა.

ბოლოს ის ქერა გოგო წამოდგა. ეტყობა მიხვდა, რომ იმას მივმართავდი. საცეკვაო მოედანზე გამოვედით. იმ ორ საფრთხობელას პირდაპირ ისტერიკა დაემართა. ძაან ბედუკუღმართი უნდა იყო კაცი, რომ ამისთანებს გადაეყარო.

მაგრამ ღირდა კი, რაც მართალია მართალია. ამისთანა მოცეკვავეს ჯერაც არ შევხვედროდი. არ გეხუმრებით. ზოგი გოგო სულელია, მაგრამ ცეკვით ღმერთივით ცეკვავს! ჭკვიან გოგოს შეხვდები - ჩაგჭიდებს ხელს და თვითონვე გაჩინდრიკებს აქეთ-იქით; ანდა თავიდანვე იცი, რომ საზიზღარი მოცეკვავეა და გული აღარც გიწევს საცეკვაოდ, გირჩევნია იჯდე და მასთან ერთად სვა.

- ღმერთივით ცეკვავთ, - ვუთხარი იმ ქერას, - ნამდვილი პროფესიონალი მოცეკვავე ხართ. არ გეხუმრებით. პროფესიონალთანაც მიცეკვია, მაგრამ თქვენ ასწილად უკეთ ცეკვავთ, მარკო და მირანდა გაგიგონიათ?

- რაო? - არც კი მისმენდა, სულ აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.

- მარკო და მირანდა თუ გაგიგონიათ-მეთქი?

- არ ვიცი. არ გამიგონია.

- მოცეკვავეები არიან. მოცეკვავვეა ის ქალი. მაგრამ ვერაფერიშვილია. თითქოს ყველაფერს წესზე და რიგზე აკეთებს, მაგრამ არ შვენის, ლაზათი აკლია. იცით, როგორ უნდა მიხვდე ქალი კარგად ცეკვავს თუ არა?

- რაო? - ისევ ჩამოკითხა. ყურს არ მიგდებდა. სულ სხვა რამეზე ფიქრობდა.

- თუ იცი-მეთქი, როგორ უნდა მიხვდე, ქალი კარგად ცეკვავს თუ არა?

- ააა!..

- ასე ხომ მიჭირავს ხელი ზურგზე. თუ ამ ხელის ქვევით ვერაფერს ვერა გრძნობ - ვერც დუნდულებს, ვერც ფეხებს, ვერც ტერფებს და ვერც ვერაფერს, მაშინ ნამდვილად კარგი მოცეკვავე ყოფილა.

საქმეში ხართ - მაინც არ მიგდებდა ყურს. მეც გავჩუმდი. უხმოდ ვუსვამდი ფეხს. ჰოი, ბიჭო, რას ცეკვავდა ეს შტერი გოგო. ბადი სინგერი და მისი აქოთებული ორკესტრი «ერთი რამა მწამს ამ ქვეყნად»-ს უკრავდა, მაგრამ მაინც ვერ უშლიდა ცეკვაში ხელს. დიდებული სიმღერა კია. უბრალოდ ვცეკვავდი, ბევრი მანჭვა-გრეხა არ დამიწყია. არ მიყვარს, პრანჭვას და ტყლარჭვას რომ მოჰყვებიან. ისე კი ციბრუტივით ვატრიალებდი და კარგადაც მომყვებოდა. მე სულელს მგონია, რომ თელის გატაცებით ცეკვავს-მეთქი, და უცებ სისულელე არ წამოროშა!

- მე და ჩემმა მეგობრებმა წუხელ პიტერ ლორი ვნახეთ, - მითხრა მან, - აი, კინოს მსახიობი რომაა. სიცოცხლეში ვნახეთ. გაზეთს ყიდულობდა. პეწიანი ვინმეა!

- ბედი გქონიათ, - ვუთხარი მე, - ნამდვილად! ბედი გქონიათ. - შტერია აბა რა არის! მაგრამ დიდებულად კი ცეკვავს. თავი ვეღარ შევიკავე და ზედ გამოთაყვანებულ კინკრიხოში ვაკოცე. სწორედ იქ, საცა თმა ჰქონდა გაყოფილი, აიტკიცა.

- ე, ეს რა ამბავია!

- არაფერი. რა უნდა იყოს. ღმერთივით მოცეკვავე ყოფილხართ, - ვუთხარი მე, - და მყავს ერთი, ჯერ ღლაპია, მეოთხეში სწავლობს, არაფრით არ ჩამოვარდებით, ის კი გლეჯვაზე ცეკვავს.

- ცოტა უფრო წესიერად ილაპარაკეთ.

ჰოი ბიჭო, ნამდვაილი ლედი არ გამომიჩნდა! დედოფალი!

- სადაურები ხართ? - ვკითხე მე.

ხმაც არ გაუცია. სულ აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. ალბათ პიტერ ლორს ელოდა.

- სადაურები ხართ-მეთქი, - ჩავეკითხე.

- რაო?

- სადაურები ხართ? თუ არ გინდათ, ნუ მიპასუხებთ, ძალას კი არ გატანთ.

- სიტლიდანა ვარ, ვაშინგტონიდან, - ამოშაქრა მან. დიდი წყალობა კი მოიღო.

- კაი მოსაუბრე ყოფილხართ, - ვუთხარი მე, - არა?

- რაო?

აღარ გავუმეორე. მაინც არაფერი ჩასდიოდა თავში.

- მოდი, ჯიტერბაგი ციკვოთ, ჩქარა თუ დაუკრავენ! ლიპა ჯიტერბაგი კი კი არა - ჩინდრიკით და სკუპ-სკუპით, ნამდვილი ჯიტერბაგი. ჩქარი თუ დაუკრეს, ბებრებსა და სქელოებს გარდა ყველა დაჯდება და მეტი ხალვათობა იქნება. კარგი?

- ჩემთვის სულერთია, - თქვა მან, - ისე, მაინც რამდენი წლისა იქნებით?

ერთბაშად ჩამწყდა გული.

- რატომ აფუჭებთ ყველაფერს?! რა ჯანდაბა მოგივიდათ?! - ვუთხარი მე, - თორმეტისა ვარ, მაგრამ უფრო დიდი ვჩანვარ.

- მოიხედეთ. აკი გითხარით, უფრო წესიერად ილაპარაკეთ-მეთქი! - მითხრა მან, - კიდევ თუ დაგიწყიათ ჯანდაბებით ლაპარაკი, იცოდეთ წავალ და ჩემს მეგობრებთან დავჯდები.

ბოდიშებს მოვჰყევი გამწარებით, იმიტომ რომ ორკესტრმა ის იყო სწრაფი საცეკვაო დაიწყო, ჯიტერბაგზე გადავედით - ისე მსუბუქად და ლაღად მომყვა! ნამდვილად კარგი მოცეკვავე იყო. ხელის შეხების მეტი არაფერი უნდოდა. რომ მოტრიალდებოდა, ისე კოხტად უთრთოდა თავისი ჩამოქნილი თეძოები, რომ შენი მოწონებული! ლამის ჭკუიდან შემშალა. ღმერთმანი. ცეკვას რომ მოვრჩით, თითქმის შეყვარებული ვიყავი. ასე არიან ხოლმე გოგოები. შეხედავ - გული არ მიგივა, ზოგჯერ სულელიც არის, მაგრამ კოხტად გააკეთებს რამეს და ლამის თავს შეგაყვარებს, აღარ იცი რა ჯანდაბა გემართება. გოგოები? ეშმაკმა წაიღოს, ჭკუიდან შეგშლიან. სულ გაგაგიჟებენ.

თავიანთ მაგიდასთან არ მიმიპატიჟეს - ამდენი არ ესმოდათ - მაგრამ მე თვითონ მივედი და დავჯექი. ქერა გოგოს, რომელთანაც ერთად მე ვცეკვავდი, ბერნის ქრაბსი თუ კრებსი ერქვა, აღარ მახსოვს. იმ ორი მახინჯის სახელები კი

მართი და ლავერნი იყო. მე ჯიმ სტილად გავაცანი თავი - ფეხებზე არ მეკიდა! ერთი პირობა, ჭკვიანური ლაპარაკის გაბმა დავაპირე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! მკლავები უნდა გადაგეგრიხათ, რომ ერთი სიტყვა ამოგეღერღებინათ. გაგიჭირდებოდა თქმა - ამ სამში რომელი უფრო სულელი იყო. ერთი წუთიც არ დაუკარგავთ, სულ აქეთ-იქით აცეცებდნენ თვალებს, თითქოსდა მოელოდნენ - რაც ქვეყანაზე ის ოხერი კინო-ვარსკვლავებია, სულ აქ უნდა შემოლაგდნენო. ეტყობა, დარწმუნებულები იყვნენ, რომ როგორც კი ნიუ-იორკში მოხვდებოდნენ კინო-ვარსკვლავები, უსათუოდ მივიდოდნენ და იმ «იისფერ დარბაზში» დაიწყებდნენ წრიალს და არა «სტორკ-კლუბსა» თუ «ელ მოროკოში». ნახევარი საათი მაინც მოვუნდი იმის გაგებას და გარკვევას იმ თავიანთ სიტლიში რაზე მუშაობდნენ. გამოირკვა, რომ დაზღვევის კანტორაში მსახურობდნენ. ვკითხე, როგორ მოგწონთ თქვენი სამუშაო-მეთქი. როგორ გგონიათ, ამ სამი გამოთაყვანებული გოგოსაგან ადამიანურ პასუხს მიიღებდით? მომეჩვენა, რომ ის ორი მახინჯი - მართი და ლავერნი დები იყვნენ, მაგრამ როცა ვკითხე, ძალიან იწყინეს. ადვილად შეატყობდით, რომ არცერთს არ სიამოვნებდა მეორეს ჰგვანებოდა. ვერც დაძრახავდით, მაგრამ ძალიან კი გავერთე.

სამივე ვაცეკვე რიგრიგობით. იმ მახინჯთაგან ერთ-ერთს, ლავერნს, კიდევ არა უშავდა რა, რაღაცას ცოდვილობდა, მაგრამ მეორემ, მართიმ, მომსპო და მომათავა. იმასთან ცეკვას გერჩივნა თავისუფლების ქანდაკება დაგეჭირა ხელში და მთელს დარბაზში გეთრია. რამე გასართობი უნდა მომეგონა, თორემ ამ დაფეხვილი დედაკაცის თრევას ეხუმრებით! მოვიგონე კიდეც - ეგერ კინოვარსკვლავი გარი კუპერი-მეთქი, ვუთხარი.

- სადა? აბა სადა? - საშინლად აღელდა.

- ეეჰ, ვეღარ დაინახავთ. თვალს მიეფარა. რატომ მაშინვე არ გაიხედეთ, როცა გითხარით?

ხელადვე შეჩერდა და ზევიდან გადახედა მოცეკვავეების თავებს - იქნებ თვალი მოვჰკრაო.

- ეჰ! - ამოიგმინა. სულ ჩავწყვიტე გული. ახლა უკვე ვინანე, რატომ მოვატყუე-მეთქი. ახი კია მაგათზე. მაგრამ ზოგი უნდა დაინდო.

ყველაზე უფრო სასაცილო ის იყო, რომ ცეკვას როდესაც მოვრჩით და მაგიდასთან დავბრუნდით, მართი ეუბნება თავის მეგობრებს - გარი კუპერი იყო აქა და ეს წუთია წავიდაო. ჰოი, ბიჭო, რა მოუვიდათ საბრალო ლავერნსა და ბრენისს! ცოტაც გაწყდა, თავი არ მოიკლეს. საშინლად შეწუხდნენ და მართისა ჰკითხეს, შენ მაინც თუ დაინახეო. ერთის წამით ძლივს მოვკარი თვალიო, მართიმ უპასუხა. ამან მთლად მომსპო.

ბარს უკვე კეტავდნენ და მე სასწრაფოდ ორ-ორი ალკოჰოლიანი სასმელი დავუკვეთე მათთვის. ჩემთვისაც კიდევ ორი კოკა-კოლა მოვატანინე. გულისამრევად იყო მიყრილ-მოყრილი ჭიქები იმ ოხერ მაგიდაზე. ერთ-ერთი მახინჯი გოგო ლავერნი, წამდაუწუმ მადუღებდა - გაიჭყიპები კოკა-კოლათიო. დიდებული ხუმრობა იცოდა. ისა და მართი ჩაციებულ სასმელსა სვამდნენ ამ შუაგულ დეკემბერში. ეშმაკმა დალახვროს. მეტი არ ესმოდათ. ის ქერა გოგო კი - ბერნისი - სოდიან ვისკისა სვამდა. გამსწარებით ყლურწავდა. თვალებს სამივენი აქეთ-იქით აცეცებდნენ - კინოვარსკვლავებს ეძებდნენ. ათასში ერთხელ თუ ამოიღებდნენ ხმას. ერთმანეთსაც კი არ ელაპარაკებოდნენ. სხვებზე მეტს ისევ მართი ლაპარაკობდა. სულ გულისამრევ ტერმინებს ისროდა. საპირფარეშოს,

მაგალითად, «ერთ ადგილს» ეძახდა, კლარნეტზე დამკვრელ გადამღრძვალ ბერიკაზე ამბობდა, გასაყეყეჩებელი რამეაო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ბერიკაცი წამოდგებოდა და ყურისწამღებად აჭყვიტინდებოდა. თვითონ კლარნეტს «ძირტკბილას ღეროს» ეძახდა. გულისამრევი იყო. მაგრამ მის მახინჯ ამხანაგს - ლავერნს - დიდი ანგალი ეგონა. ჩამაცივდა - გინდა თუ არა, მამაშენს დაურეკე და კითხე რას აკეთებსო. გაიგე, პაემანზე ხომ არ მიდისო. ბარე ოთხჯერ მკითხა - დიდი ანგალი ვინმე იყო. იმ ქერა გოგოს, ბერნისს, კრინტიც არ დაუძრავს. რამდენს ვეტყოდი რამეს, «რაო?» მუდამ ასე შემეკითხებდა. ბოლოსდაბოლოს ნერვები ამიშალა.

გამოცალეს თუ არა ჭიქები, წამოხტნენ და, გვეძინებაო, მითხრეს. ხვალ ადრე უნდა ავდგეთ, რადიო სიტის მიუზიკ ჰოლში პირველ სეანსს უნდა მივუსწროთო. ვთხოვე, ცოტა ხანს დამსხდარიყვნენ, მაგრამ არ ინდომეს. მეტი რაღა ჩარა იყო - გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. უსათუოდ მოგძებნით, თუ ოდესმე სიტლიში მოვხვდები-მეთქი, მე ვუთხარი. მაგრამ არა მგონია. ესე იგი, არა მგშონია, რომ ძებნა დავუწყო.

თითქმის ცამეტი დოლარის ანგარიში მომიტანეს, სიგარეტებიც შიგ შედიოდა და ყველაფერი. საცა სამართალია, იმის გადასახდელად მაინც უნდა გაეკრათ ჯიბეს ხელი, რაც ჩემს მისვლამდე შესვეს. რაღა თქმა უნდა მე არ დავანებებდი, მაგრამ თავი მაინც უნდა გამოედოთ, თუმცა დიდი კი არაფერი, ისე ვამბობ. სულელები იყვნენ და თან ისეთი საცოდავი და სასაცილო ქუდები ეხურათ! ის რომ გავიგონე, დილით ადრე უნდა ავდგეთ და რადიო სიტიში პირველ სეანსს უნდა მივუსწროთო, მთლად მომეშხამა გუნება. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ: სიტლიდან თუ ეშმაკიდან ნიუ-იორკში ჩამოსული ქალი უთენიპა ზეზე წამოხტეს და რაღაც ქეციანი სურათის საყურებლად იმ ოხერ რადიო სიტიში გავარდეს! გუნებას მოგიშხამავს, აბა რა მოგივა! ნეტა კი ეს არ გამეგონა და თითოს ას-ას ჭიქა ვისკის დავალევინებდი.

იმათი წასვლის შემდეგ მეც აღარ დავრჩენილვარ დიდხანს. სულერთია, მაინც კეტავდნენ. ორკესტრი დიდი ხანია წავიდა. ან კი რა უნდა მეკეთებინა. ამისთანა საძაგელ ადგილებში მხოლოდ მაშინ შეიძლება გაჩერება, სასიამოვნო ვინმე თუ გახლავს, რომელთანაც იცეკვებ მაინც, ან არა და ნამდვილი სასმელები თუ მოაქვს ოფიციანტს ამ ოხერი კოკა-კოლას მაგივრად. როგორი კლუბიც არ უნდა იყოს, სულ ტყუილია, დიდხანს ვერ გაძლებ, თუ ნამდვილი სასმელი არა გაქვს, ან ისეთი გოგო არ გახლავს, ვისზეც მართლაც რომ ჭკუას კარგავ.

11

დარბაზიდან რომ გამოვდიოდი, უცებ ისევ ჯეინ გალაჰერი არ მომაგონდა! და ვეღარც მოვიშორე თავიდან. იქვე ერთი გულისამრევი სავარძელი იდგა, შიგ ჩავეგდე და ფიქრებში წასულმა წარმოვიდგინე, როგორ იყვნენ შეყუჟულნი იმ ოხერ ედ ბენკის მანქანაში ჯეინი და სტრედლეიტერი. დარწმუნებული ვიყავი, რომ მაშინ არაფერი გაუკეთებიათ - ჯეინს მოხარშულს ვიცნობ - მაგრამ სულერთია, მაინც ვერ ამოვიგდე თავიდან. ჯეინს მოხარშულს ვიცნობ. ნამდვილად. საქმე ის არის, რომ მარტო შაში კი არ უყვარს - სპორტზე, საერთოდ, ჭკუას კარგავს. რომ გავიცანი, იმ ზაფხულს დილდილობით სულ ჩოგბურთს ვთამაშობდით, საღამოობით კი - გოლფს. ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს. განა ფიზიკურდა, ისე... არა, მაგრამ სულ ერთად კი ვიყავით. გოგოს დასაახლოვებლად ყოველთვის ხვევნა-კოცნა როდია აუცილებელი.

გაცნობით კი შემთხვევით გავეცანი - მისი დობერმან-პინჩერი ჩვენს ბაღში გადმოდიოდა და იქ მოისაქმებდა ხოლმე. დედაჩემი საშინლად დუღდებოდა. ერთხელ ჯეინის დედას დაურეკა და ერთი ამბავი დააწია. ამისთანა საქმეზე, იცოცხლეთ, დედაჩემს ალიაქოთის ატეხვა უყვარს. ამის შემედგ ორ დღესაც არ გაევლო, რომ ჯეინი დავინახე ჩვენი კლუბის აუზთან, პირქვე იწვა. მივესალმე. ვიცოდი, რომ ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა, მაგრამ ერთხელაც არ გამოვლაპარაკებოდი. მივესალმე, მაგრამ ცხვირი ამიბზუა, დავიქოქე - მე ფეხებზე მკიდია-მეთქი, ვუთხარი შენი ძაღლი სად მოსვრის და სად რას იზამს, თუ გინდა ოთახში ქნას, მე რა მენაღვლება-მეთქი. ერთი სიტყვით, ამის შემდეგ მე და ჯეინი კარგი მეგობრები გავხდით. იმავე დღეს გოლფი ვითამაშეთ. მახსოვს, რთა ბურთი დაკარგა მაშინ. რვა! ჯვარს მაცვა, მანამ ბურთს შეეთჩვია, თორემ თავიდან ბურთს რომ დავარტყამდი, თვალებს ხუჭავდა. ღმერთივით კი გავწრთვენი. მე თვითონ ძალიან კარგი მოთამაშე ვარ. იქნებ არც დამიჯეროთ, რომ გითხრათ, რამდენ წრედ ვამთავრებ თამაშს. მოკლემეტრაჟიან ფილმში კინაღამ გადამიღეს. უკანასკნელ წამს გადავიფიქრე. დიდი სისულელე იქნება-მეთქი, გადავწყვიტე. კაცს კინო ჭირის დღესავით სძულდეს და მაინც კინოში გადააღებინოს თავი!

დიდი სასაცილო ვინმე კი იყო ეს ჯეინი. ვერ ვიტყვი, ძაან ლამაზია-მეთქი, მაგრამ მე ჭკუას ვკარგავდი. ჰოი, რამოდენა პირი ჰქონდა! ლაპარაკს ორმ დაიწყებდა, ან რამეზე რომ აღელდებოდა, ტუჩები უთრთოდა და უკანკალებდა. ვგიჟდებოდი პირდაპირ. როგორც წესი და რიგია ერთხელდაც არ მოკუმავდა პირს. ოდნავ მაინც ჰქონდა ხოლმე გაღებული, განსაკუთრებით მაშინ, გოლფს რომ თამაშობდა, ან წიგნს როცა კითხულობდა. განსაკუთრებით ლექსები უყვარდა. ჩვენების გარდა, ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ელის ხელთათმანი ვაჩვენე, ლექსებით აჭრელებული. ელის არ მოსწრებია, რადგან იმ ზაფხულს პირველად ჩამოვიდა მეინში, - ადრე კოდის კონცხზე დადიოდა, - მაგრამ ელის ამბები სულ ვუამბე. ძალიანაც დაინტერესდა.

დედაჩემს მაინცდამაინც არ მოსდიოდა თავალში. ეგეც და დედამისიც ცხვირს იბზუებენო, იტყოდა. იმიტომ რომ ზოგჯერ სალამი ავიწყდებოდათ. ხშირად ხვდებოდა ხოლმე მათ სოფელში, რადგან ჯეინი დედამისს დაჰყვებოდა თავიანთი მანქანით ბაზარში. დედას ლამაზიც არ ეჩვენებოდა ჯეინი. მე კი ერთი მისი გამოხედვა ყველაფერს მერჩივნა.

კარგად მახსოვს ის დღე. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა მე და ჯეინმა ერთმანეთს ვაკოცეთ. იმასაც თუ კოცნა ჰქვია. შაბათი იყო და წვიმდა, წვიმდა - ცა ფეხად ჩამოდიოდა, მე კი იმათ აივანზე ვიჯექი, დიდი აივანი ჰქონდათ, შუშაბანდიანი. შაშს ვთამაშობდით. ვაჯავრებდი ხოლმე, დამები რომ არ გამოჰყავდა უკანა მწკრივიდან. თუმცა არც თუ ისე ხშირად ვაჯავრებდი. გული არ მაძლევდა ჯეინის გამოჯავრებას. იცოცხლე, გოგოების ადუღება მიყვარს. თუ ვიხელთე, სულ თავბედს ვაწყევლინებ. მაგრამ სასაცილო ის არის, რომ როცა გოგო ძალიან მომწონს, გამოჯავრება მაინცდამაინც აღარ მომინდება. ზოგჯერ მომეჩვენება, გოგოებს უხარიათ კიდეც, როცა გამოაჯავრებ-მეთქი. მართალიც არის, ნამდვილად უხარიათ. მაგრამ როცა დიდი ხნის ნაცნობები ხართ და აქამდე ერთხელაც არ გაგიჯავრებია, ძნელია ერთბაშად ადგე და დაცინვა დაუწყო. ერთი სიტყვით, ის დღე გავიხსენე, როცა ჩვენ ერთმანეთს ვაკოცეთ. ჯოჯოხეთურად წვიმდა. აივანზე ვისხედით. უცებ ის ლოთი ქოფაკი არ გამოვიდა, ჯეინის დედის ქმარი! სიგარეტები ხომ არ გეგულებაო, ჯეინს ჰკითხა. კარგად არ ვიცნობდი და

არც არაფერი, მაგრამ ზედვე ეტყობოდა რაც იყო: მაგისთანა ვაჟბატონები, თუ რამე დასჭირდათ, მხოლდო მაშინ გამოგელაპარაკებიან. საზიზღარი კაცი იყო. ჯეინს ხმაც არ გაუცია, იმან რომ ჰკითხა, სიგარეტი ხომ არ გეგულებაო. ხელმეორედ ჰკითხა, მაგრამ არც ახლა უპასუხა ჯეინმა. თავიც კი არ აუღია. როგორც იქნა, უკანვე გაბრუნდა ის ვაჟბატონი. რა მოხდა-მეთქი, ჯეინს ვკითხე. ჩემთვისაც არ უპასუხნია. ისე ჩაშტერებოდა დაფას, თვითქოს მთელი გულისყურით მორიგ სვლაზე ფიქრობდა. უცებ წკაპ - ცრემლი მოსწყდა და დაფას დაეცა. პირდაპირ წითელ უჯრედს დაეცა. ჰოი, ბიჭო, ახლაც ვხედავ იმ ცრემლს, აიღო და თითით მოიწმინდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ერთბაშად ჩამწყდა გული. ავდექი და გვერდზე მოვუჯექი, შევავიწროვე, მართალი თუ გინდათ, ლამის კალთაში მოვუჯექი, შევავიწროვე, მართალი თუ გინდათ, ლამის კალთაში ჩავუჯექი. ახლა კი მართლა წასკდა ტირილი. ისე დავიბენი, რომ კოცნა დავუწყე. სადაც კი მომიხვდა, ყველაფერი დავუკოცნე - თვალები, ცხვირი, შუბლი, წარბები და ყველაფერი, ყურებიც კი... მთელი სახე. მხოლოდ ტუჩებში არ მიკოცნია. რაღაცნაირად მარიდებდა ტუჩებს. ეს იყო და ეს, იმის მეტად აღარ მიკოცნია. ცოტა ხნის მერე წამოდგა, ოთახში შევიდა, სვიტრი ჩაიცვა - ჭრელი სვიტრი, ჭკუას ვკარგავდი იმ სვიტრზე - და რაღაც ბითურულ კინოში წავედით. გზაში ვკითხე, მისტერ კუდაჰის - კუდაჰი იყო იმ ლოთის გვარი, - შენთვის ცუდი ხომ არაფერი უკადრებია-მეთქი. ჯერ კი პატარ იყო, მაგრამ ჩამოქნილი ტანი ჰქონდა, ხოლო იმ ნაბიჭვრისაგან რა უნდა ყოფილიყო გასაკვირი! არაო, ჯეინმა მითხრა. ასე რომ, ვეღარ გავიგე, რამ აატირა. გოგოებს რას გაუგებ.

ერთხელ მეტად არ გვიკოცნია ერთმანეთისთვის-მეთქი, რომ ვამბობ, ის კი არ იფიქროთ, ცივი ყოფილიყოს ან სხვა რამე. სულაც არა. ხელი, მაგალითად, მუდამ ჩაჭიდებული გვქონდა ერთმანეთისათვის. ვიცი, რომ ეს დიდი არაფერია, მაგრამ მისთვის ხელის ჩაჭიდება ერთ რამედ ღირდა., რამდენ გოგოს შეხვდები, ხელს რომ ჩასჭიდებ, ასე გგონია დამჭკნარი ხელი მიჭირავსო, ან არადა, წარამარა ატრიალებს, ალბათ ფიქრობს, არ მოსწყინდესო. ჯეინი სულ სხვა ვინმე გახლდათ. შევიდოდით, მაგალითად, ბითურულ კინოში ან სადმე, და მაშინვე ჩავბღუჯავდი ჯეინის ხელს. მანამ კინო არ გათავდებოდა, არც გავუშვებდი. ვიყავით ასე განაბულები, არც გავინძრეოდით და არც არაფერი. ჯეინთან რომ იყავი, არც იმაზე შეწუხდებოდი, ხელი ხომ არ გამიოფლიანდაო. თავს ბედნიერად გრძნობდი და მორჩა - მეტი რაღა გინდოდა.

კიდევ მაგონდება ერთი რაღაც. ერთხელ კინოში ვართ, და ისეთი რამე გააკეთა ჯეინმა, რომ ლამის ჭკუიდან შემშალა. მგონი ქრონიკა გადიოდა. უცებ ვიღაცა კეფაზე მისვამს ხელს. მოვიხედე - ჯეინია. საოცარი კია. ჯერ ხომ ბავშვი იყო. ჩვეულებრივ ოცდახუთი-ოცდაათი წლის ქალები უსვამენ ხოლმე თავზე ხელს - და ისიც, ან თავიანთ ქმრებს ან პატარა ბავშვებს. ათასში ერთხელ მეც კივუსვამ ჩემს ფიბის თავზე ხელს. მაგრამ ახალდგაზრდა გოგო რომ ამას იზამს, ამაზე სასიამოვნო არაფერია, ჭკუიდან შეგშლის.

ერთი სიტყვით, იმ გულისამრევ სავარძელში ვიჯექი, ვესტიბიულში, და ამეებს ვიგონებდი. ეჰ, ჯეინ. რამდენს წარმოვიდგენ, როგორ იყო შეყუჟული სტრედლეიტერთან ერთად იმ ოხერი ედ ბენკის მანქანაში, ლამის იმდენი გავგიჟდე. ვიცოდი, რომ ისეთს არფერს გააბედინებდა, მაინც ვგიჟდებოდი. მართალი თუ გნებავთ, გახსენებაც კი აღარ მინდა.

ჩემს მეტი უკვე აღარავინ ჩანდა ვესტიბიულში. მოროსკიპო ქერა გოგოებიც კი გაკრეფილიყვნენ და უცებ საშინლად მომინდა აქედან წასვლა. გული მომეწურა.

თუმცა დაღლილი სულაც არ ვყოფილვარ. ნომერშიავედი და პალტო ჩავიცვი. ერთი პირობა, ფანჯარაშიც გავიხედე - აბა ის გაფუჭებული ხალხი თუ ჩანს-მეთქი, მაგრამ სულ ჩაბნელებული იყო ყველაფერი. ლიფტით დავეშვი, ქუჩაში გავედი, ტაქსი დავიჭირე და ერნისაკენ გავსწიე. ერნი ღამის სამიკიტნოა, გრინვიჩ-ვილეჯში; მანამ ჰოლივულში წავიდოდა, ჩემს ძმა დ.ბ.-ს უყვარდა ხოლმე იქ სიარული. ერთი-ორჯერ მეც წამიყვანა. თვითონ ერნი ერთი ზონზრუხა ზანგია, როიალზე უკრავს. პირწავარდნილი სნობია: თუ შეგატყო, დიდი ვინმე არა ხარ, ზედაც არ შემოგხედავს. დაკვრით კი ღმერთივით უკრავს. ისე კარგად უკრავს, რომ ზზოგჯერ აღარც გსიამოვნებს. ვერ აგიხსნით, რატომ, მაგრამ ასეა, ძალიან მიყვარს მისი მოსმენა. მაგრამ ხანდახან ლამის მივვარდე და თავდაყირა ამოვუტრიალო ის ოხერი როიალი. ალბათ იმიტომ, რომ ზოგჯერ მის დაკვრაშივე გრძნობ, როგორ იბზუებს ცხვირს და როგორ ზედაც არ გიყურებს, თუ დიდი ვინმე არა ხარ.

12

ერთი დაფხავებული ტაქსი შემხვდა. ისე ყარდა, თითქოს შიგ ვინმეს ამოერწყიოს. ღამით რომ გამოვდივარ შინიდან, არ იქნება, ამისთანა გულისამრევ ტაქსს არ გადავეყარო. მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ ქუჩებში კაცის ჭაჭანებას ვერ ნახავდი, საშინელი სიწყნარე გამეფებულიყო, თუმცა შაბათი ღამე გახლდათ. მხოლოდ აქა-იქ თუ მოჰკრავდი თვალს განმარტოებულ ბიჭსა და გოგოს, რომელთაც წელზე შემოეხვიათ ერთმანეთისათვის ხელი. ზოგჯერ მოხულიგნო ვაჟბატონების გუნდიც შემოგხვდებოდათ, თავიანთი გოგოები რომ მოჰყავდათ და ჰიენებივით ხვიხვინებდნენ, თუმცა თამამად შეგეძლო სანაძლეოს ჩამოსულიყავი, რომ სასაცილო არაფერი იქნებოდა. საშინელებაა, როცა ნიუ-იორკში გვიან ღამით ვინმე იცინის. რამდენიმე მილიდან გაიგონებ და ხელადვე მარტოობის ნაღველი შემოგაწვება. ერთბაშად შინ წასვლა და ჩემს პატარა ფიბისთან ყბედობა მომინდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ტაქსის შოფერს გამოველაპარაკე, ჰორვიცი ერქვა. სად ეს და სად ის პირველი შოფერი! ეს კარგი კაცი ჩანდა. ვიფიქრე, იქნებ ამან მაინც იცოდეს იმ იხვების ამბავი-მეთქი.

- ეი, ჰორვიც, - ვუთხარ იმე, - ცენტრალურ პარკში რომ ტბაა, იქ არასოდეს გაგივლია? აი ცენტრალური პარკის სამხრეთით?

- რა არისო?

- ტბა-მეთქი, ტბა, პატარა გუბე, იხვები რომ დაცურავენ.

- ჰო, მერე რა?

- იხვები ხომ გინახავთ იმ ტბაში? გაზაფხულობით. იქნებ შემთხვევით იცოდეთ, ზამთრობით სად მიდიან?

- ვინ სად მიდის?

- იხვები. იქნებ იცოდეთ შემთხვევით. ვინმეს საბარგო მანქანით მიჰყავს თუ თვითონვე მიფრინავენ - სამხრეთისაკენ ან სხვაგან სადმე?!

ჰორვიცი შემობრუნდა და სახეში ჩამაშტერდა. ეტყობა, ძალიან ნერვიული კაცი იყო, თუმცა ისე არა უშავდა რა.

- მე სად ჯანდაბიდან მეცოდინება! - თქმა მან, - ან რაში მჭირდება ამისთანა სისულელე.

- კი ნუ მიწყენ, - ვუთხარი მე. ეტყობოდა, მართლაც ეწყინა.

- რა უნდა მეწყინოს? წყენა რა მოსატანია!

კრინტი აღარ დამიძრავს; თუკი ასე იწყინა, რა ძალა მადგა. თვითონვე გამომელაპარაკა. ისევ მობრუნდა ჩემკენ და მითხრა.

- ის კი ვიცი, რომ თევზები არსად არ მიდიან. სადაც არიან, იქვე რჩებიან. თევზები, იმ ოხერ ტბაშივე.

- თკვზები,| ჰო... სად თევზი და სად იხვი, მე იხვებზე გკითხეთ.

- რა განსხვავებაა. თევზი და იხვი რამ გაჰყო, - თქვა ჰორვიცმა. ზედვე ეტყობოდა, რომ რაღაცაზე გაბრაზებული იყო. - პირიქით, თევზებს იხვებზე უფრო გაჭირდებათ - ზამთარიო, ყინვაო და ეშმაკმა იცის, კიდევ რა. ტვინი უნდა გაანძრიო.

ერთი წუთით გაჩუმებული ვიყავი, ხმა არ გამიღია. მერე კი ვუთხარი:

- ვთქვათ ასეა. მერე იმ თევზებყს რა მოსდით, სულ რომ გაიყინება ტბა და ხალხი ზედ ციგურაობას დაიწყებს?!

ჰორვიცი ისევ მობრუნდა და დამიღრიალა.

- ვიომ რაო, რა უნდა მოუვიდეთ? იქვე არიან, სად ოხრობაში უნდა წავიდნენ!

- ყინულს კიდევ ფეხებზე იკიდებენ, არა?! ვითომ არაფერიო!

- აინ იკიდებს ფეხებზე? ვინ გითხრა ფეხებზე იკიდებენო! - შემომიბღვირა ჰორვიცმა. ძალიან კი ადუღდა. შემეშინდა კიდეც - მანქანა ბოძს ან რამეს არ შეანარცხოს-მეთქი. - იქვე ცხოვრობენ, იმ ოხერი ყინულის ქვეშ. ეგეთი ბუნება აქვთ. გაიყინებიან და არიან მთელი ზამთარი.

- რას ამბობთ! ჭამა აღარ უნდათ? თუკი გნაიყინენ და ვეღარ იცურეს, საჭმელს ვინ მიაქვავებს?!

- ვაჰ, რა ღმერთი გიწყრება! სხეული თავისით იკვებება. ტბაში რამდენი წყალმცენარე და ოხრობაა, ყინულქვეშ! ფორები სულ ღია აქვთ თევზებს, და შესდით საჭმელი. ეგეთი ბუნება აქვთ. ახლა გამიგე?

- აჰა! - ვთქვი მე. აღარ ჩავაცივდი. შემეშინდა მანქანა არ დაამტვრიოს ან რამე არ მოუვიდეს-მეთქი. ძალიან ნერვიული კაცი ჩანდა და რაღა ინტერესი ჰქონდა იმასთან დავას. - იქნებ რამე დაგველია - ვუთხარ იმე.

ხმაც არ გაუცია. შევატყე, რომ ისევ იმაზე ფიქრობდა. კიდევ გავუმეორე თხოვნა. კაი კაცი იყო. სასიამოვნო.

- დალევის დრო ვინ მომცა, ძმობილო, - მითხრა მან - ისე მაინც რამდენი წლის იქნები? რატომ არ გძინავს?

- არ მეძინება.

მანქანიდან რომ გადმოვედი და ფული გადავუხადე, ჰორვიცი ისევ თევზებს დაუბრუნდა. ალბათ სულ ამაზე ფიქრობდა.

- მოიხედე, - მითხრა მან, - შენ რომ თევზი იყო, როგორა ფიქრობ, ბუნება შენზე არ იზრუნებდა? ჰა? რას იტყვი? მაშ რატომ გგონია, რომ ზამთარში თევზები უსათუოდ უნდა დაიხოცონ?!

- დახოცვით არ დაიხოცებიან, მაგრამ...

- ჰოდა, მეც მანდა ვარ! - თქვა ჰორვიცმა და გიჟივით გაქანდა.

ჯერაც არ გადავყრივარ ამისთანა ნერვიულ ადამიანს. რაც არ უნდა უთხრა, ყველაფერზე ჯაჯაღანებს.

ამ ნაშუაღამევსაც კი ერნის სამიკიტნოში ჭედვა იყო. უმთავრესად სკოლებისა და კოლეჯების ვაჟბატონებს მოეყარათ თავი. სკოლებს ყველგან ადრე ითხოვენ ხოლმე საშობაოდ, მარტო ჩემთან გახდა უსაშველო - საცა არ უნდა მივიდე, ყველა კოლეჯში აჭიანურებენ. ისეთი ჭედვა იყო, რომ პალტოსთვის ნომერიც აღარ ყოფნიდათ გარდერობში. თუმცა ღრიანცელი არ ყოფილა, რადგან ერნი როიალზე

უკრავდა. გეგონება, კაი წმინდანი იყოს - მიუჯდება თუ არა როიალს, ყველა პირდაბჩენილი შეჰყურებს. დიდ საქმეში არიან! ჩემს გვერდით ორი-სამი წყვილი იდგა, მაგიდის მოლოდინში; ერთმანეთს აწყდებოდნენ და თითის წვერებზე დგებოდნენ, რომ ერნისთვის მოეკრათ თვალი დაკვრის დროს. როიალის უკან დიდი სარკე ჰქონდა დაკიდული ერნის და გვერდებიდანაც პროჟექტორები აშუქებდნენ, ორმ დაკვრის დროს ყველას შესძლებოდა მისი სახის დანახვა. თითებს თვალსაც ვერ მოჰკრავდი, მხოლოდ მის გაბრტყელებულ სიფათს შეჰყურებდი. მართლაც რომ გაბრტყელებული სიფათი ჰქონდა! დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რას უკრავდა, როცა შევედი, მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, მაგრად კი ათახსირებდა. ჰოი, რა ამბავში იყო - რომ გაუწვრილდებოდა, მაღალ ნოტებს აიღებდა და მოჰყვებოდა მანჭვა-გრეხას... ლამის გულგვამი ამომიტრიალდა. მაგრამ უნდა გენახათ, რა მოუვიდა ხალხს, როცა მან დაკვრა დაამთავრა. გული აგერეოდათ. ჭკუა დაკარგეს. სწორედ ისე, კინოში რომ მოჰყვებიან ხოლმე იდიოტები ჰიენებივით ხვიხვინს, საცა სულ არ არის სასაცილო. მე რომ პიანინოზე ვუკრავდე, ან სცენაზე გამოვდიოდე, ან რამე ასეთი, და ამ კრეტინ ხალხს ასე მოვეწონო, თავიც შემძულდებოდა. ღმერთი გამიწყრეს, თუ გულით არ გეუბნებოდეთ. მაგათ ტაშს რა თავში ვიხლი! როდის ყოფილა, კარგ რამეზე დაეკრათ ტაში! პიანისტი რომ ვიყო, საკუჭნაოში ჩავიკეტებოდი და იქ დავუკრავდი. ერთი სიტყვით, რომ დაამთავრა და ხალხიც ბნედიანებივით რომ მოჰყვა თავის ქიცინსა და ტაშის ცემას, ერნი სკამზევე შემოტრიალდა, შტერივით გაიჭყანა და თავი მორჩილად დახარა. ვითომ, ხომ ასე დიდებულად ვუკრავ, მაგრამ თან რა თავმდაბალი ვარო. თვალთმაქცობდა, თორემ მაგირსთანა ცხვირაბზეკილი ვაჟბატონის მნახველი არა ვარ. მაგრამ ცოტაცი მაინც შემეცოდა. მე მგონი, უკვე თვითონვე ვეღარა გრძნობდა - კარგად უკრავდა თუ ცუდად. მთლად მისი ბრალიც არ არის. ამ კრეტინებსაც მიუძვით ბრალი, ბნედიანებივით რომ უკრავენ ტაშს - მაგათ თუ უგდე ყური, ვინც არ უნდა იყო, გაგასულელებენ. ისევ გამიფუჭდა გუნება, გული მომეწურა... ცოტას გაწყდა, უკანვე არ გამოვიტანე პალტო და სასტუმროსაკენ არ გავბრუნდი. მაგრამ ძალიან ადრე იყო და არ მინდოდა მარტოკა დავრჩენილიყავი.

ბოლოს, როგორც იქნა, გამომიძებნეს ერთი აქოთებული მაგიდა. ზედ კუნჭულში, დიდი ბოძის უკან. იქიდან ვერაფერს დაინახავდი. ერთი ციცქნა მაგიდა იყო, თუ მეზობელი მაგიდებიდან არ ადგებოდნენ და არ გაგატარებდნენ, ვპრც მიაღწევდი. მაგრამ ვინ გაგატარებს? მე შენ გეტყვი ეს ნაბიჭვრები შეიწუხებენ თავს! წვალებით უნდა მიცოცდე. ვისკი და სოდა შევუკვეთე. ჩაციებული დაიკირის შემდეგ ყველაზე უფრო ეს მიყვარს. ექვსი წლისაც რომ იყო, ერნის სამიკიტნოში ყოველნაირ სასმელს მოგიტანენ. ჩაბნელებულია ყველაფერი, და ისედაც ფეხებზე ჰკიდიათ, რა ხნისა ხარ. გაქანებული ნარკომანიც რომ იყო, ვის რაში ენაღვლები.

ირგვლივ სულ ნაძირალები ისხდნენ. არ გეხუმრებით. ზედ ჩემს მაგიდასთან, ხელმარცხნივ, ასეთივე მოციცქნილი მაგიდა იდგა და ვიღაც უშნო გოგო და ბიჭი უსხდნენ. ჩემი ხნისანი იქნებოდნენ, იქნებ ცოტათი უფროსები. მართლაც რომ ახირებული ხალხი იყო. გამწარებით ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნელა და ნელა ესვათ. ერთხანს ყურს ვუგდებდი მათ ლაპარაკს. საქმე მაინც არაფერი მქონდა. ბიჭი ფეხბურთის ამბავს უყვებოდა. იმ დღეს ენახა რაღაც თამაში. დაწვრილებით უამბობდა - რომელ წუთზე რა მოხდა. არ გეხუმრებით. ამისთანა მოსაწყენი ჩემს დღეში არაფერი მომისმენია. ეტყობოდა, არც გოგოს აინტერესებდა

მაინცდამაინც, მაგრამ ბიჭზე უფრო მახინჯი იყო და სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა მოესმინა. საცოდავები არიან მახინჯი გოგოები. ზოგჯერ ისე შემებრალებიან, რომ შეხედვაც კი აღარ შემიძლია, განსაკუთრებით მაშინ, როცა გამოჩერჩეტებულ ვაჟბატონთან სხედან და რაღაც ბითურული ფეხბურთის ანგარიშს ისმენენ. მარჯვნიდან კიდევ უფრო გულისამრევი საუბარი მესმოდა. ერთი ვაჟბატონი ბრძანდებოდა, ეტყობოდა იეილის უნივერსიტეტიდან იყო - ნაცრისფერი ფლანელის კოსტუმი და გამოწკეპილი ჟილეტი! ეს კეთილშობილი კოლეჯების ნაბიჭვრები ყველა ერთმანეთსა ჰგავს. მამაჩემს უნდა ან იეილში გამაგზავნოს ან პრინსტონში. მაგრამ, ღმერთი იყოს მოწმე, ცოცხალი თავით არც იქ წავალ და არც იქ. სხვათა შორის, იმ იეილელ ვაჟბატონს მშვენიერი გოგო ახლდა. ჰოი, ბიჭო, რა გოგო იყო! იმაგრამ იმათი საუბრისთვის უნდა დაგეგდო ყური. ჯერ ერთი, ბიჭიცა და გოგოც ცოტათი გადაკრულში იყვნენ. იჯდა ეს ბიჭი, მაგიდის ქვეშ ხელი შეეცურებინა და გოგოსა ჭყლეტს ფათურებდა, თან კი კი ვიღაცის ამბავს უყვებოდა - ერთი ბიჭი ჰყოლოდათ საერთო საცხოვრებელში, მთელი შუშა ასპირინი შეჭამა, თავი კინაღამ მოიკლა თურმე. გოგო კი ერთთავად იძახის: «რპა საშინელებაა... გეყოფა, გენაცვალე, ნუ. მანდ ნუ!» წარმოგიდგენიათ - და თან ვიღაც ბიჭის თვითმკვლელობის ამბავს ყველა. ამათ მთლად მომიღეს ბოლო.

დავიჟეჟე ერთ ადგილას ჯდომით, მომწყინდა. საქმე არაფერი მქონდა - ვიჯექი, ვსვამდი და სიგარეტს ვაბოლებდი. თუმცა ერნის კი შევუთვალე ოფიციანტის პირით, იქნებ ვისკიზე დამეწვიო-მეთქი. ისიც შევუთვალე, რომ დ.ბ.-ს ძმა ვიყავი. მაგრამ არა მგონია, ჩემი დანაბარები მიეტანოთ. როდის მომხდარა, რომ ამ ნაბიჭვრებს დანაბარები სიტყვა გადაეცათ ვინმესთვის.

უცებ ერთი ქალი მეძახის.

- ჰოლდენ კოლფილდ! - ლილიან სიმონსი იყო. ერთხანს ჩემი ძმა დ.ბ. დასდევდა ხოლმე. უსაშველოდ გამობერილი მკერდი ჰქონდა.

- გაუმარჯოს! - მეც შევძახე. წამოდგომა ვცადე, რაღა თქმა უნდა, მაგრამ იმ სივიწროვეში რას წამოდგებოდი. მეზღვაური ახლდა, სარგადაყლაპულივით გაჯგიმული ოფიცერი.

- როგორ გამეხარდა! - დამიძახა ლილიან სიმონსმა. მიჰქარავს. - შენი უფროსი ძმა როგორ არის? - აი, რისი გაგება სურდა!

- დიდებულად. ჰოლივუდშია.

- ჰოლივუდში! რა კარგია! რას აკეთებს?

- რა ვიცი. წერს. - ვუთხარი მე. ბევრ წილადობილას მოვერიდე. ეტყობოდა დიდ პატივად თვლიდა ჩემი ძმის ჰოლივუდში ყოფნას. ყველას ასე ეჩვენება. უმთავრესად იმათ, ვისაც მისი მოთხრობები არ წაუკითხავს. მე კიდე ამაზე მეშლება ნერვები და ლამის ჭკუიდან შევიშალო.

- რა დიდებულია! - თქვა ლილიანმა და თავისი მეზღვაური გამაცნო. კაპიტანი ბლოპი თუ რაღაც ამრაირი ერქვა. ეს ვაჟბატონიც ერთ-ერთი იმათთაგანი გახლდათ, რომელთაც ქალაჩუნობად და სიძაბუნედ მიაჩნიათ, მთელი თითები თუ არ დაგამტვირეს ხელის ჩამორთმევის დროს. ჰოი, როგორ მეჯავრება ამისთანა რამე!

- მარტოკა ხარ, ბიჭო? - მკითხა ლილიანმა. მთელი გასასვლელი ჩაკეტა. ეტყობოდა, სიამოვნებდა, არავის რომ არ ატარებდა. ოფიციანტი დგას და ელოდება, გზას როდის მომცემსო. საქმეში ხარ - არც კი შეუმჩნევია. სასაცილო იყო. აშკარად ჩანდა, რომ ოფიციანტს მაინცდამაინც არ მოსდიოდა თვალში ეს ქალი. ოფიციანტს კი არა და, ეტყობოდა, თვითონ მეზღვაურსაც არ ამოსდიოდა

მხე, მიუხედავად იმისა, რომ მას ახლდა. არც მე მომწონდა. არაივსაც არ მოსწონდა. ცოტა არ იყოს, შემეცოდა კიდეც.

- გოგო არა გყავს, ბიჭო? - მკითხა მან. ახლა უკვე ფეხზე ვიდექი, და არც უთქვამს, დაჯექიო. ამისთანა ტიპი იყო, მთელ დღეს ფეხზე ჩამოგწყვეტდა. - ხომ კარგი ბიჭია? - მიუბრუნდა თავის მეზღვაურს, - რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო უკეთესი ხდები, ჰოლდენ!

წავიდეთო, მეზღვაურმა უთხრა ამ დროს. გზა ჩავკეტეთო.

- ჩევნთან დაჯექი, ჰოლდენ, - მითხრა ლილიანმა, - ეს შენი ვისკიც თან წამოიღე.

- უკვე წასვლას ვაპირებდი, - ვუთხარ იმე, - ვიღაცას უნდა შევხვდე.

ზედვე ეტყობოდა, რომ ძალიან მექლესებოდა. მერე დ.ბ.-ს ეტყვისო, ფიქრობდა.

- აი, აი! როგორ გატყობ, არა ხუმრობ. მით უკეთესი, ასე უნდა. შენს უფრო ძმას უთხარი, მძულხარ-მეთქი, როცა ნახავ.

წავიდა. მეზღვაურმა და მეც ერთმანეთს მივექლესეთ, სასიამოვნო იყო გაცნობაო. ესა მსპობს. გაიცნობ გაკს და უსათუოდ უნდა უთხრა - «სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა», თუნდაც სულაც არ იყოს სასიამოვნო! რას იზამ, სიცოცხლე თუ გინდა, ამისთანა სისულელეები უნდა როშო.

რაკი წამომცდა, ვიღაცას უნდაშევხვდე-მეთქი, მეტი რაღა ჩარა იყო, მართლაც უნდა წავსულიყავი. ერნისაც ვეღარ მოვუსმინე, იქნებ ცოტა უფრო ხეირიანი რამე დაეკრა. მაგრამ ლილიან სიმონსს და იმ მეზღვაურს ხომ არ მოვუჯდებოდი და სიცოცხლეს ხომ არ გავიმწარებდი! ავდექი და წამოვედი. პალტოს ვიცვამდი და თან გულზე ვსკდებოდი. ასეა ხოლმე - ყველაფერი უნდა ჩაგიშხამონ.

13

სასტუმროსკენ ფეხით გავბრუნდი. ორმოცდაერთი უშველებელი კვარტალი გავიარე. ძალიან კი არ მეხალისებოდა ფეხით ფრატუნი, მაგრამ ტაქსში ჩაჯდომა აღარ მინდოდა. ზოგჯერ მოგბეზრდება ხოლმე ტაქსით სიარული, ლიფტისა არ იყოს. უცებ ფეხით სიარული მოგინდება - სულერთია, რა გზაც არ უნდა გქონდეს გასავლელი, ან რა სიმაღლეზე უნდა იყო ასასვლელი. პატარა რომ ვიყავი, სულ ფეხით ავდიოდი ხოლმე კიბეებზე. მეთორმეტე სართულზე ვცხოვრობდით.

ვერც კი იტყოდი, ამ ცოტა ხანში თოვდაო. თოვლის ნატამალიც არ იყო ტროტუარზე. მაგრამ ყინავდა კი. ჯიბიდან ჩემი წითელი სანადირო ქუდი ამოვიღე და თავზე ჩამოვიფხატე. ფეხებზე არ მეკიდა - მიხდებოდა თუ არა! ის კი არა და ყურსაფარებიც ჩამოვუშვი. ნეტა ვინ ამაწაპნა პენსიში ის ხელთათმანები! ხელები სულ წამეყინა. ისე ვამბობ, თორემ რას ვიზამდი, კიდეც რომ მცოდნოდა. კაი მხდალი და ლაჩარი გახლავართ. ვცდილობ დავფარო ჩემი სილაჩრე, მაგრამ სად გაექცევი. ვთქვათ გამეგო, ვინ მოიპარა ჩემი ხელთათმანები, როგორ გგონიათ, რას ვიზამდი. მივიდოდი იმ არამზადასთავნ და ვეტყოდი: «აბა! ხელთათმანების დაბრუნებას არ აპირებ?» ის არამზადა კი, ნამდვილად ვინც მომპარა ხელთათმანები, უცოდველი კაცივით მიპასუხებდა: «რა ხელთათმანები?» მე მაშინ, ალბათ, კარადას მივვარდებოდი და ჩემს ხელთათმანებს მოვძებნიდი. ან თავის ბინძურ კალოშებში ექნებოდა ჩამალული, ან სადმე. ამოვიღებდი და ვაჩვენებდი. «იქნებ შენი ხელთათმანები იყოს, ჰა?!» არამზადა მამა აბრამის ბაკტანივით გაიკვირვებდა და იტყოდა: «პირველად

ვხედავ. წაიღე, შენი თუა. ვის რაში სჭირდება შენი ბინძური ხელთათმანები!» მე ხუთიოდე წუთს ასე ვდგავარ, თათმანები ხელში მიჭირავს და ვფიქრობ - ახი არ იქნება, ერთი ყბა მოვუნგრიო?! მაგრამ ვაჟკაცობა არა მყოფნის. ვდგავარ და თვალებს ვაბრიალებ. ყბის მონგრევის ნაცვლად, ასადუღებლად მწარე რამეს ვეტყვი. თუ მართლა მწარე გამომივიდა, ის არამზადა წამოდგება, მომიახლოვდება და მეტყვის: «მოიხედე, კოლფილდ. შენ მე არამზადა დამიძახე?!» მე კიდე, იმის ნაცვლად რომ პირდაპირ მივახალო: დაგიძახე და ხარ კიდეც, შე ბინძურო ნაბიჭვარო-მეთქი, ალბათ ვეტყვი: «მე ის ვიცი, რომ ჩემი ხელთათმანები შენს ბინძურ კალოშებში აღმოჩნდა». ხელადვე მიხვდება, რომ შემოკვრას არ ვაპირებ ალბათ მეტყვის: «მოდი პირდაპირ ვილაპარაკოთ. შენ მე ქურდი მიწოდე არა? მე ვეტყვი: «არავისაც არ უწოდებია ქურდი. მე ის ვიცი, რომ ჩემი ხელთათმანები შენს ბინძურ კალოშებში აღმოჩნდა». და ასე გაგრძელდება საათობით. ბოლოს, მაინც ისე გამოვალ მისი ოთახიდან, რომ ვერ მივაკერებ. მერე ალბათ საპირფარეშოში შევალ, ჩუმად სიგარეტს მოვწევ და სარკეში მრისხანე სახეს მივიღებ.

ერთი სიტყვით, სასტუმროსკენ მივდიოდი და სულ ამას ვფიქრობდი. სილაჩრე დიდი ვერაფერი სასაცილო საქმეა. იქნებ არც ვიყო ლაჩარი. რა ვიცი. იქნებ ნაწილობრივ ლაჩარი ვიყო, ნაწილობრივ კი ისეთი კაცი, რომელსაც ხელთათმანების დაკარგვა დიდად არ აწუხებს. ერთი უბედურება მჭირს, - ფეხებზე ვიკიდებ თუ რამე დავკარგე. პატარა რომ ვიყავი, დედაჩემი პირდაპირ გიჟდებოდა ამაზე. ზოგიერთი მთელი დღეები ეძებს ხოლმე, როცა რამეს დაკარგავს. მე კი ისეთი არაფერი მქონია, რომ იმის დაკარგვას გული დიდად დაეწყვიტოს. იქნებ ამიტომაც ვიყო მოლაჩრო კაცი. თუმცა ეგ რა გამართლებაა. სულაც არ არის გამართლება. სილაჩრე რა საკადრისია! თუკი საჭიროა ვინმეს სიფათში მიაკერო, და გულიც ამას გეუბნება, ადექი და მიაკერე. მე კიდე არ შემიძლია. მირჩევნია, ფანჯრიდან გადავაგდო კაცი, ან არა და თავი ნაჯახით გავაგდებინო, სიფათში კი ვერ მივაკერებ. საერთოდ, მუშტი-კრივს ვერ ვეწყობი. მირჩევნია, მე თვითონ მომადონ სიფათში - თუმცა, რაღა თქმა უნდა, არც ეს იქნება დიდად სასიამოვნო, - მაგრამ მომკალი და სხვა ვერ შემოვკრავ სახეში. მთელი უბედურება ისაა, რომ სახეში ვეღარ ვუყურებ. თვალები თუ ავიხვიეთ, მაშინ კიდევ ჰო. უცნაური სილაჩრეა, რომ დავუფიქრდები, მაგრამ რაც არ უნდა თქვა, მაინც სილაჩრეა, თავი რატომ უნდა მოიტყუო.

რაც უფრო მეტს ვფიქრობდი ჩემს ხელთათმანებსა და სილაჩრეზე, მით უფრო მეწურებოდა გული. ბოლოს გადავწყვიტე სადმე შემეველო და გადამეკრა. ერნისთან სულ სამი ჭიქა მოვატანინე და მესამის დალევა ვეღარც კი მოვასწარი. სმა ჩემი მოგონილია, ამას ვერავინ წამართმევს - დილამდე რომ ესვა, სულ არ შემეტყობა, კაი გუნებაზე თუ ვარ. ერთხელ, ჰუტონის სკოლაში ვარ და, მე და ჩემმა ამხანგმა რაიმონდ გოლდფარბმა ერთი პინტი შოტლანდიური ვისკი ვიყიდეთ. შაბათი ღამე იყო. სამრეკლოში შევიპარეთ და ვსვით. ის ჩემი ამხანაგი ისე დათვრა, რომ სახე შეეშალა. მე კი, ვითომც არაფერიო, არხეინად ვიყავი. დაწოლის წინ ცოტათი კი ამერია გული, მაგრამ განგებ ავირიე.

ერთი უბადრუკი ბარი შემხვდა სასტუმროს გზაზე, და ვთქვი აქ დავლევ-მეთქი, მაგრამ შესვლა რომ დავაპირე, იქიდან ორი გალეშილი ვაჟბატონი გამობრძანდა და მეტრო მკითხეს, საით არისო. ერთი პირწავარდნილი კუბელი იყო და მანამ გზას მივასწავლიდი, პირდაპირ სახეში მაორთქლავდა ოხშივარს. აღარც შევსულვარ იმ ოხერ ბარში. პირდაპირ სასტუმროსკე გავწიე.

ვესტიბიულში კაცის ჭაჭანება არ იყო. თამბაქოს კვამლის სუნი იდგა - თითქოს ორმოცდაათი მილიონი სიგარის ნამწვავი ხრჩოლავსო. არც მეძინებოდა და არც არაფერი, მაგრამ ძაღლის გუნებაზე ვიყავი. გულიც მეწურებოდა და რა ვიცი!.. ნეტა მომკლა-მეთქი.

და მოულოდნელად მახეში გავები.

ლიფტში შესვლა ვერც კი მოვასწარი, რომ მელიფტე ბიჭი მომიბრუნდა და მითხრა.

- ცოტა გართობა არ გინდათ? თუ გეძინებათ უკვე?

- რა გართობა? - ვერ მივუხვდი, საით უმიზნებდა.

- გოგო არ გინდოდათ?

- მე? - სულელური პასუხი გამომივიდა. მაგრამ ისე უცებ მომახალა, რომ დავიბენი.

- რამდენი წლისა ხარ, უფროსო? - მელიფტე ბიჭმა მკითხა.

- რად გინდა?! ოცდაორისა.

- ჰოო! ა, რას იტყვი? არ გინდა? ერთი თალია - ხუთი დოლარი, მთელი ღამით - თხუთმეტი დოლარი. - მაჯის საათზე დაიხედა.

- შუადღემდე გეყოლება. ერთი თალია - ხუთი დოლარი, შუადღემდე - თხუთმეტი დოლარი.

- აგრე იყოს, - ვუთხარი მე. პრინციპულად წინააღმდეგი ვარ ამისთანა რამეებისა, მაგრამ ახლა ისე ჩაწყვეტილი მქონდა გული, რომ აღარ დავფიქრებულვარ. მთელი უბედურებაც ეგ არის. ცუდ გუნებაზე რომ ხარ, ფიქრის თავიც აღარა გაქვს.

- რა იყოს აგრე! ერთი თალია თუ შუადღემდე? გამაგებინე.

- ერთი თალია.

- ძალიან კარგი. რომელ ნომერში?

გასაღებზე მიკრულ ფირფიტას დავხედე.

- თორმეტი ოცდაორი. - უკვე ვინანე, ამისთანა საქმეში რომ გავები, მაგრამ რაღა დროსი იყო.

- ძალიან კარგი. თხუთმეტ წუთში მოგივა. - კარი გამიღო და გამოვედი.

- ეი, ლამაზი იქნება? - ვკითხე მე, - გადაბერებული არ გამომიგზავნო.

- გადაბერებული რა საკადრისია. მაგისი ფიქრი ნუ გექნება, უფროსო.

- ფული ვის უნდა გადავუხადო?

- მასვე გადაუხდი. ახლა კი წავედი, უფროსო. - ზედ ცხვირწინ მომიკეტა კარი.

ოთახში შევედი და თმა წყლით დავისველე, მაგრამ ჯაგარივით მოკლედ გაკრეჭილ თმას რა დავარცხნის! მერე გავსინჯე, პირში სიგარეტისა და ვისკის სუნი ხომ არა მაქვს-მეთქი. ბევრი კი არაფერი უნდა ამას - ხელი ნიკაპის გასწვრივ უნდა დაიჭირო, თითები მაღლა მოაქციო და ამონასუნთქი პირდაპირ ნესტოებისკენ გაუშვა. მაინცდამაინც არ მიყარდა პირი, მაგრამ კბილები მაინც გავიხეხე ჯაგრისით. მერე პერანგიც გამოვიცვალე. კაცმა რომ თქვას, ვიღაც მეძავის გულისთვის ამდენი მორთვა-მოკაზმვა რაში მჭირდებოდა, მაგრამ საქმე გავიჩინე. სწორე გითხრათ, ვნერვიულობდი. მართალია, უკვე ვნებიანიც გავხდი, ყველაფერი, მაგრამ ცოტათი მაინც ვნერვიულობდი. მართალი თუ გინდათ, ჯერ უმანკო ვარ. არ გეხუმრებით. რამდენჯერ მქონია შემთხვევა, და მუდამ რაღაც მიშლის ხელს. ვთქვათ, გოგოს სახლში ხარ, არ იქნება, რომ მშობლები უდროო დროს არ გამოჩნდნენ, ან არადა გეშინია - მოვლენო. თუ ვინმეს მანქანაში ზიხარ, გოგოსთან ერთად უკანა სავარძელზე, წინ უსათუოდ ვიღაც სხვა გოგო უნდა

იჯდეს, რომელიც საშინლად დაინტერესებულია, რა ხდებაო, თვალები სულ უკან გამოურბის. ერთი სიტყვით, არ იქნება, რამე არ გამოტყვრეს. ერთი-ორჯერ თითქმის გათავებული იყო საქმე, განსაკუთრებით, ერთი შემთხვევა მაგონდება. მაგრამ რაღაც მოხდა, აღარ მახსოვს რა. უფრო ხშირად, საქმე საქმეზე რომ მივა, არ შეიძლება გოგომ არ იყვიროს - რა თქმა უნდა, თუ კახპა არ არის - მოჰყვება წუწუნს, ნუ იზამ, თავი დამანებეო. და მთელი უბედურება ის არის, რომ მეც ვანებებ თავს. სხვა ბიჭები არც ანებებენ და არც არაფერი. რა ვქნა, მე არ შემიძლია. ვერც გაუგებ, მართლა გულით გეუბნება თუ შიშით მოსდის, ანდა იქნებ იმიტომ გეუბნება თავი გამენებეო, რომ რამე თუ მოხდება, შენ დაგბრალდეს. ერთი სიტყვით, თავს ვანებებ. მებრალებიან და რა ვქნა. ისეთი ბენტერები არიან გოგოები. ერთი თუ აკოცე, სულ ელეთ-მელეთი მოსდით. აბა ნახეთ: კარგად რომ აღეგზნება გოგო - ჭკუის ნატამალიც აღარა აქვს. რა ვქნა, მეტყვიან თუ არა, გაჩერდიო, მეც ვჩერდები. მერე ვნანობ, შინ რომ ვაცილებ, ნეტა არ დამეჯერებინა-მეთქი, მაგრამ მაინც ყოველთვის ვუჯერებ.

ახლა კი, პერანგს ვიცვლიდი და თან ვფიქრობდი, როგორც იქნა ველირსე: ეს ხომ მეძავია, ცოტას შევეჩვევი, ვისწავლი და მერე ცოლი თუ შევირთე, გამომადგება-მეთქი. რა გგონიათ, ამაზეც ვწუხვარ ზოგჯერ, რომ დავფიქრდები. რაღაც წიგნს ვკითხულობდი ჰუტონში. ერთი გამოქექილ-გამოწკეპილი და გარყვნილი ვაჟბატონის ამბავია. მუსიე ბლანშარი ჰქვია, ახლაც მახსოვს. ბინძური წიგნი იყო, მაგრამ იმ ბლანშარს არა უშავდა რა. დიდი კოშკი ჰქონდა რივიერაზე, ევროპაში, და მოცლილობის დროს ქალებისცემის მეტს არაფერს აკეთებდა. საერთოდ, დიდი დარდიმანდი ვინმე იყო და ყველაფერი, მაგრამ ქალებს უმოწყალოდ სცემდა. ერთგან ამბობს, დედაკაცის სხეული ვიოლინოსა ჰგავს და დიდებული მუსიკოსი უნდა იყო, რომ კარგად დაუკრაო. საშინლად ბინძური წიგნი იყო, განა არ ვიცი - მაგრამ ეს ვიოლინო ვერ იქნა და ვერ ამოვიგდე თავიდან. იმიტომაც მინდოდა, ცოტათი მაინც გავრკვეულიყავი საქმეში, მანამ ცოლს შევირთავდი. ჰოი, ბიჭო, კოლფილდი და მისი ჯადოსნური ვიოლინო! სისაძაგლე რომაა, კი ვხედავ, მგრამ არც თუ ისე დიდი სისაძაგლე. ასეა თუ ისე, ცოტა გამოცდილება მაინც უნდა გქონდეს. თორემ, მართალი თუ გინდათ, როცა გოგოსთან ვარ, ხეირიანად არც კი ვიცი, რა უნდა ვქნა. იმ გოგოს, მაგალითად, - მე რომ გეუბნებოდით, ცოტაღა დამაკლდა-მეთქი, - მთელი საათი ვეჯაჯგურე, მანამ ოხერ ლიფს მოვხსნიდი. ხოლო როცა მოვხსენი, ლამის თვალებში შემაფურთხა.

ერთი სიტყვით, ოთახში ვწრიალებდი და ველოდი, როდის გამოჩნდებოდა ის მეძავი ქალი. იმედი მქონდა, რომ ლამაზი იქნებოდა. თუმცა, სულერთი არ იყო! ოღონდ კი მალე გათავებულიყო ყველაფერი. როგორც იქნა, კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. გასაღებად რომ გავემართე, გზაში ჩემოდანი გაჩხირულიყო, წამოვედე და მუხლი კინაღამ გავიტეხე. მაინცდამაინც ასეთ დროს უნდა წამოვედო ხოლმე, ჩემოდანი იქნება თუ რაც იქნება.

კარი რომ გავაღე, ის გოგო იქვე იდგა. პოლოს მოთამაშის ფორმა ეცვა, ქუდი ეხურა. ქერა იყო, მაგრამ, ეტყობოდა, თმას იღებავდა. სულაც არ ყოფილა ბებრუხანა.

- გამარჯობა! - ვუთხარი მე. ჰოი, ბიჭო, რა თავაზიანად გამომივიდა!

- თქვენ ისა ხართ, მორისმა რომ მითხრა? - მკითხა მან. ცოტა უჟმური ჩანდა.

- მელიფტემ?

- ჰო.

- დიახ, ისა ვარ. შემობრძანდით, - რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ვმშვიდდებოდი.

შემოვიდა, ხელადვე იშვლიპა პალტო და ლოგინზე მიაგდო, მწვანე კაბა ეცვა. მერე მაგიდას გვერდულად მიუჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და ფეხის რწევას მოჰყვა: აღმა-დაღმა, აღმა-დაღმა. ძალიან ნერვიულობდა, სულაც არ ჰგავდა მეძავს. ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ახალგაზრდა იყო. ასე, ჩემი ხნისა. მეც გვერდზე მივუჯექი და სიგარეტი შევთავაზე.

- არა ვწევ, - მითხრა მან. მიკნავებული ხმა ჰქონდა. ძლივს ისმოდა. მადლობას არც კი ამბობდა, როცა რამეს შესთავაზებდი მეტი არ იცოდა.

- ნება მომეცით, ჩემი თავი გაგაცნოთ - მე ჯიმ სტილი გახლავართ.

- საათი არა გაქვთ? - მკითხა მან. ძალიან არ ენაღვლებოდა ჩემი ვინაობა! - ისე, რამდენი წლისა ხართ?

- მე მეკითხებით? ოცდაორისა.

- არაფერიც!

საოცარია. პატარა გოგოსავით მითხრა. წესით ნამდვილ კახპასავით უნდა ეთქვა: «როგორ არა, დიახ!» ან «რას მიჰქარავ!» ამან კი «არაფერიცო» მითხრა.

- თქვენ რამდენი წლისა ხართ? - ვკითხე.

- იმდენისა, რომ კაცი ადვილად ვერ გამაცურებს, - მითხრა მან. ენამოსწრებულიც რომ გამოდგა! - საათი არა გაქვთ? - მეორედ მკითხა, წამოდგა და კაბა გაიხადა.

ერთბაშად ავირიე. იმიტომ, რომ მოულოდნელად წამოხტა და გაიხადა. ქალი რომ წამოხტება შენს თვალწინ და კაბას გაიხდის, ცოტათი მაინც უნდა აღეგზნო. სულაც არ აღვგზნებულვარ. ისე ავირიე, და კიდევ უფრო ჩამწყდა გული.

- საათი არა გაქვთ?

- არა, არ მაქვს, - მივახალე ერთბაშად. ჰოი, ბიჭო, როგორ წამიხდა საქციელი! - რა გქვიათ? - ვკითხე ბოლოს. ვარდისფერი ლიფის ამარა იყო. საშინლად დავიბენი. ღმერთმანი.

- სანი მქვია, - მითხრა მან, - მოდი, რაღას უცდი.

- ჯერ ცოტა არ გველაპარაკნა? - მივმართე მე. ვიცი, რომ ბალღობა იყო ამისი თქმა, მაგრამ აკი გითხარით, საშინლად დავიბენი-მეთქი. - ძალიან გეჩქარებათ?

ისე შემომხედა, თითქოს გიჟი ვყოფილიყავი.

- რა ჯანბადაზე უნდა ვილაპარაკოთ?

- რა ვიცი. ისე ვიყბედოთ. ლაპარკით ცოტა თავს შევიქცევთ-მეთქი, ვიფიქრე.

ისევ მაგიდას მიუჯდა. თუმცა, ეტყობოდა, არც ისე დიდი ხალისით. კვლავ ფეხის რწევას მოჰყვა. ჰოი, ბიჭო, რა ნერვიული გოგო იყო!

- სიგარეტს არ მოსწევთ? - დამავიწყდა, რომ არა სწევდა.

- არა ვწევ. მოიხედე, თუ რამე სათქმელი გაქვს, ბარემ მითხარი.

სათქმელი ვერაფერი მოვიგონე. ერთი პირობა ვიფიქრე, მოდი ვკითხავ, კახპობა როგორ დაიწყე-მეთქი, მაგრამ მომერიდა. სულერთია, მაინც არ მიპასუხებდა.

- ნიუ-იორკელი არ უნდა იყოთ, ხომ? - ვკითხე ბოლოს. სხვა ვერაფერი მოვახერხე.

- ჰოლივუდიდანა ვარ, - მიპასუხა მან. მერე წამოდგა და ლოგინთან მივიდა, საცა კაბა დააგდო, - დასაკიდი არა გაქვს? ასე დამეჭმუჭნება. ახლახან გავაწმენდინე.

- როგორ არა, - ხელადვე ვუპასუხე. გამეხარდა, საქმე რომ გამიჩნდა. კაბა კარადასთან მივიტანე და დავკიდე. უცნაურია - რაღაცნაირად ნაღველი შემომაწვა, როცა ვკიდებდი. წარმოვიდგინე, როგორ შევიდა მაღაზიაში ამ კაბის საყიდლად, ისე რომ ეჭვიც არავის აღძვრია, მეძავიაო. ნოქარმა ალბათ გაიფიქრა, ჩვეულებრივი გოგოაო. ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ნაღველი შემომაწვა.

მერე ისევ დავჯექი და საუბრის გაგრძელება ვცდაე. ვერაფერიშვილი მოსაუბრე გამოდგა.

- მუდამდღე მუშაობთ? - ვკითხე და მაშინვე მივხვდი, რომ ძალიან უხერხულად გამომივიდა.

- ჰო. - ახლა უკვე ოთახში ბოლთასა სცემდა. მაგიდიდან მენიუ აიღო და გადაიკითხა.

- დღისით რას აკეთებთ?

მხრები აიჩეჩა. ცარიელი ტყავი და ძვლები იყო.

- მძინავს. კინოში დავდივარ, - მენიუ დადო და მე შემომხედა, - თუ მოდიხარ, ბარემ მოდი. ამდენი დრო...

იცით რა, - მე ვუთხარი, - ამაღამ რაღაც უქეიფოდა ვარ. იმდენი საქმე გამომიჩნდა. ღმერთს შეფიცებით. ფულსაც გადაგიხდით და ყველაფერი, ოღონდ გული ხომ არ დაგწყდებათ, არაფერი რომ არ გავაკეთოთ? ძალიან მიწყენთ?

უბედურება ის იყო, რომ აღარ მომინდა. მართალი თუ გნებავთ, აღგზნებით სულაც არ აღვგზნებულვარ, გული კი უფრო მომეწურა. ამ გოგომ მთლად გამიფუჭა გუნება. მისი მწვანე კაბაც აგერ კარადაში მეკიდა. ეგეც რომ არ იყოს, ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა გამეკეთებინა ამნაირი საქმე გოგოსთან, რომელიც მთელი დღე რაღაც ბითურულ კინოში გდია. არ შემიძლია და რა ვქნა.

მომიახლოვდა და სახეში გაკვირვებით ჩამაშტერდა, თითქოს არა სჯერაო.

- რა მოგივიდა? - მკითხა მან.

- არაფერიც არ მომსვლია, - ჰო, ბიჭო, როგორ მომეშალა ნერვები. - ახლახან მძიმე ოპერაცია გადავიტანე.

- ჰოო? რისი ოპერაცია?

- ღმერთო რას ეძახიან! ჰოი, კლავიკორდი ამომკვეთეს.

- რაო? სად ჯანდაბაშია ეს?

- კლავიკორდი? როგორ გითხრა. ტვინის არხთან არის. ის არა და, შიგ ტვინის არხში.

- მართლა? - თქვა მან. ცუდი საქმე მოგსვლია, - მოვიდა შიგ კალთაში არ ჩამიჯდა! - კოხტა ბიჭი ხარ.

საშინლად გამანერვიულა ამ გოგომ. ერთი რომ დავიქოქე, სულ ტყუილებს ვაფრქვევდი.

- ვერ იქნა და ვერ გამოვმჯობინდი, - ვთქვი მე.

- კინოში ერთი მსახიობია, იმას ჰგავხარ. შენც გეცოდინება. ღმერთო, გამახსენე. შენც იცი, ვისზე ვამბობ. რა გვარია?

- არ ვიცი, - მივუგე მე. ზის არხეინად და აღარ ჩამოდის ჩემი მუხლებიდან.

- უსათუოდ გეცოდინება. მელვინ დუგლასთან თამაშობდა რომელიღაც კინოში. მელვინ დუგლასი უმცროსი ძმა იყო. აი, ნავიდან რომ გადავარდება, ხომ გახსოვს?

- არა, არ მახსოვს. ათასში ერთხელ თუ შევალ კინოში.

ლაზღანდარობას მოჰყვა. ისე ტლანქად იქცეოდა!

- აღარ გაჩერდებით? - მივმართე მე, - აკი გითხარით, უგუნებოდ ვარ-მეთქი, ჯერ ნაოპერაციევიც არ მომშუშებია...

მეჯდა კალთაში არხეინად, ჩამოსვლას არც კი ფიქრობდა. მერე უცებ უშნოდ შემომიბღვირა.

- მოიხედე, - მითხრა მან, - მე უკვე მეძინა და იმ დამთხვეულმა მორისმა გამაღვიძა. შენ თუ გგონია, რომ...

- აკი გეუბნებით, ფულს მოგცემთ-მეთქი. ახლავე მოგცემთ. ფული ჩეჩქივითა მაქვს. ეს არის, მძიმე ოპერაციის შემდეგ ჯერ კიდევ ვერ გამოვჯობინდი და...

- რაღას ეუბნებოდი იმ დამთხვეულ მორისს, გოგო მინდაო, თუკი ის ოხერი კლავიკორდია ამოგჭრეს?!. რა, ენა გექავებოდა?!

- მე მეგონა, უკვე კარგად ვარ-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი. ვწუხვარ, რომ ასე გამომივიდა. ნამდვილად. თქვენ ერთი წუთით წამოდექით, საფულეს ამოვიღებ.

გაცეცხლებული იყო, მაგრამ მაინც წამოდგა ჩემი მუხლებიდან. მე კარადასთან მივედი, საფულე მოვძებნე, ხუთდოლარიანი ამოვიღე და გავუწოდე.

- მადლობა, - ვუთხარი მე, - დიდი მადლობა.

- ეს ხომ ხუთია. ათი ღირს.

ზედვე ეტყობოდა, გაცურება დამიპირა. წინასწარვე ვშიშობდი, ამისთანა რამე მოხდება-მეთქი... ნამდვილად.

- მორისმა ხუთი მითხრა, - მე ვეუბნები, - შუადღემდე თხუთმეტი, ერთი თალია კი ხუთიო.

- ათი ღირს.

- იმან ხუთი მითხრა. დიდ ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ რა ვქნა, მეტს ვერ მოგცემთ.

წეღანდელივით აიჩეჩა მხრები და ცივად მითხრა:

- იქნებ კაბაც ჩამომიღოთ, თუ ძალიან არ შეწუხდებით!

მოჩვენებას ჰგავდა. ხომ ისეთი მიკნავებული ხმა ჰქონდა, მაინც შიშის ჟრუანტელი მივლიდა ტანში იმის შემხედვარეს. ბებერი როსკიპიც რომ ყოფილიყო, სულ წათხიპნულ-შეღებილი, ისიც კი არ გამოჩნდებოდა ამისთანა საშინელი.

გამოვუღე კაბა. ჩაიცვა, გაისწორა, მერე ლოგინზე მიგდებული პალტო აიღო.

- ნახვამდის ბედოვლათო, - მითხრა მან.

- ნახვამდის, - მეც გავეპასუხე. არც მადლობა მითქვამს და არც არაფერი. კიდევ კარგი, არ ვუთხარი.

14

სანი წავიდა, მე კი სავარძელში ჩავჯექი და ორი სიგარეტი მოვწიე. გარეთ თენდებოდა. ჰოი, ბიჭო, რა ძაღლის გუნებაზე ვიყავი! ვერც კი წარმოიდგენთ, გული როგორ მეწურებოდა. უცებ ხმამაღლა ლაპარაკი დავიწყე, ელის გამოველაპარაკე. ასე ვშვრები ხოლმე ზოგჯერ, როცა ძალიან მომეწურება გული. შინიდან ველოსიპედი წამოიღე და ბობი ფელონის სახლის წინ დამხვდი-მეთქი, ვეუბნები. ის ბიჭი ჩვენი ყურის მეზობელი იყო მეინში - ადრე, დიდი ხნის წინათ. ბობი ფელონი იმიტომ მახსენდება, რომ ერთხელ სედებიტის ტბაზე წასვლა გადავწყვიტეთ ველოსიპედებით, საუზმეც თან უნდა წაგვეღო და ჩვენი მცირეყალიბიანი თოფებიც. ბალღები ვიყავით და გვეგონა, რომ იმ პატარა თოფებით ნადირს დავხოცავდით. ჩვენი ლაპარაკისათვის ელისაც მოეკრა ყური

და გამოყოლა მოინდომა. მე არ ვქენი. ჯერ ბავშვი ხარ-მეთქი, ვუთხარი. მას შემდეგ, ნაღველი რომ შემომაწვება გულზე, სულ ასე ვეუბნები: «კარგი, შინიდან ველოსიპედი წამოიღე და ბობის სახლის წინ დამხვდი, აბა, ჩქარა». განა ჩემთან სიარულს ვუშლიდი. არა, საცა კი წავიდოდი, თან დამყავდა. მარტო იმ დღეს არ წავიყვანე. არცა სწყენია - საერთოდ არ იცოდა წყენა მაგრამ ეს შემთხვევა მუდამ მახსენდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა გულს ნაღველი შემომაწვება.

ბოლოს მაინც გავიხადე და ლოგინში ჩავწექი. ვილოცებ-მეთქი, ერი პირობა ვიფიქრე, მაგრამ ვერ მოვახერხე. არასოდეს არ გამომდის ლოცვა, რაც არ უნდაომვინდომო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ცოტას მოვიათეისტებ. ქრისტე მიყვარს, მართალია, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი სისულელეა ბიბლიაში. ჯერ მარტრო მოციქულებს დამიხედეთ! თავი მომაბეზრეს, მართალი თუ გინდათ. ქრისტე რომ მოკვდა, მერე კიდევ ჰოი, გამოიდეს თავი, მაგრამ სიცოცხლეში აბა რა გაუკეთეს - კაცს რომ ნახვრეტი გაუჩნდეს თავში, რა ხეირი უნდა ჰქონდეს იმ ნახვრეტისაგან?! ქრისტესაც ამნაირი სარგებლობა ჰქონდან იმათგან. რამდენადაც კი შეეძლოთ, მიწასთან გაასწორეს. ყველაზე საშინელები სწორედ ეგ მოციქულები არიან ბიბლიაში. მართალი თუ გინდათ, ბიბლიაში ქრისტეს შემდეგ ყველაზე უფრო ის დამთხვეული ბიჭი მიყვარს, გამოქვაბულში რომ ცხოვრობდა და სხეულს ქვებით იკაწრავდა. მოციქულებზე ათჯერაც უფრო მიყვვარს ის უბედური ნაბიჭვარი. ჰუტონის სასწავლებელში გაუთავებელი დავა მქონდა ამაზე ერთ ბიჭთან, რომელიც სწორედ ჩვენს დერეფანში ცხოვრობდა. ართურ ჩაილდსი ერქვა იმ ბიჭს. კვაკერი იყო და ცხვირი სულ ბიბლიაში ჰქონდა ჩარგული. კარგი ბიჭი იყო და მიყვარდა კიდეც, მაგრამ ბიბლიის საკითხში ვერასდიდებით ვერ მოვრიგდით, განსაკუთრებით მოციქულებზე მოგვდიოდა დავა. მოციქულები თუ გძულს, მაშ ქრისტეც გძულებიაო, მეუბნებოდა. ქრისტემ თვითონ აირჩია ის მოციქულები და უნდა გიყვარდესო. ვიცი, რომ ქრისტემ აირჩია, მე ვეუბნები, მაგრამ ალალბედზე აირჩია-მეთქი. დრო სადა ჰქონდა, რომ დამშვიდებით აეწონ-დაეწონა და ისე ამოერჩია. განა ქრისტეს ვამტყუნებ. რა მისი ბრალი იყო, რომ დრო არა ჰქონდა-მეთქი. მახსოვს, ვკითხე, როგორა გგონია, იუდა - აი, ქრისტეს რომ გადაუდგა - თავის მოკვლის შემდეგ ჯოჯოხეთში თუ მოხვდებოდა-მეთქი. რა თქმა უნდაო, ჩაილდსმა მიპასუხა. ამაზეც ვერ მოვრიგდით - ათას დოლარს ჩამოვალ სანაძლეოს, რომ ქრისტე იუდას ჯოჯოხეთში არასდიდებით არ გაგზვნიდა-მეთქი. ახლაც ჩამოვალ ამ ნაძლევს, ათასი დოლარი რომ მომცა. მოციქულები იცოცხლე, მაშინვე მიაბრძანებდნენ ჯოჯოხეთში, არც დაფიქრდებოდნენ. ქრისტე კი, სანაძლეოს ჩამოვალ, ამას არ იზამდა. შენი უბედურება ის არის, რომ ეკლესიაში არ დადიხარო, ჩაილდსმა მითხრა. რაც მართალია, მართალია - ეკლესიაში არ დავდივარ. ჯერ ერთი რომ დედაჩემი და მამაჩემი სულ სხვადასხვა რელიგიის ხალხია, ბავშვები კი ათეისტები გამოვედით. მართალი თუ გინდათ, მღვდლები დასანახად მძულს. რომელ სკოლაშიაც არ მივედი, საქადაგებლად რომ გამოვა მღვდელი, ხმა უსათუოდ უნდა დაიშაქროს და დაიტკბოს. ფუჰ, რა საშინელებაა. რატომ არ შეიძლება, ადამიანურად ილაპარაკონ. ისე სულელურად იტყლარჭებიან ხოლმე!

ერთი სიტყვით, ლოცვა ვერ მოვახერხე. რამდენს დავაპირებდი, იმდენი ის ოხერი სანი გამახსენდებოდა, «ბედოვლათი» როცა დამიძახა, ბოლოს ლოგინში წამოვჯექი და კიდევ მოვწიე ერთი სიგარეტი. საძაგელი გემო ჰქონდა. რაც პენსიდან წამოვედი, ალბათ ორი კოლოფი გავათავე.

ვწევარ ჩემთვის და სიგარეტს ვაბოლებ, უცებ კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა. არ მინდა დავიჯერო, რომ ჩემს კარებზე აკაკუნებენ, მაგრამ მშვენივრად ვიცი, რომ ჩემთან არიან. ვერ გეტყვით, საიდან ვიცოდი ასე დაბეჯითებით, მაგრამ ვიცოდი კი. ისიც ვიცოდი, ვინ იყო. ფსიქოლოგი ვარ.

- ვინ არის? - გავძახე მე. კარგა მაგრად შემეშინდა. ამისთანა რამეებში, ცოტა არ იყოს, მოვილაჩრებ.

კიდევ დააკაკუნეს. ახლა უფრო მაგრად.

რა გზა იყო, წამოვდექი, პიჟამოს ამარა მივედი კარებთან და გავაღე. სინათლე არც კი ამინთია - უკვე დღე იყო. კარებში სანი და ის დამუწუკებული მელიფტე მორისი იდგნენ.

- რა ამბავია? რა გნებავთ? - ვკითხე მე. ჰოი, ბიჭო, როგორ მიკანკალებდა ხმა.

- ბევრი არაფერი, - მიპასუხა მორისმა, - მხოლოდ ხუთი დოლარი. - ორივეს ნაცვლად ის ლაპარაკობდა. სანის კი პირი დაეღო და იდგა.

- უკვე გადავუხადე. ხუთი დოლარი მივეცი. აბა ჰკითხე! - ვუთხარი მე. ჰოი, ბიჭო, როგორ მიკანკალებდა ხმა!

- ათი დოლარი უნდა, უფროსო, აკი გითხარი. ერთი თალია - ათი დოლარი, შუადღემდე - თხუთმეტი დოლარი. აკი გითხარი!

- ასე არ გითქვამთ. თქვენ მითხარით ერთი თალია - ხუთი დოლარიო. ის კი სთქვით, შუადღემდე თხუთმეტი დოლარიო, მაგრამ გარკვევით გავიგონე, რომ...

- ჩამოყაჭეთ, უფროსო!

- რატომ? - ვკითხე მე. ო, ღმერთო, ჩემი გულის ბაგა-ბუგი მთელს ოთახში ისმოდა. ჩაცმული მაინც ვყოფილიყავი. საშინელებაა, პიჟამოს ამარას რომ შეგემთხვევა ამისთანა რამე.

- აბა ჰე, უფროსო! - თქვა მორისმა და ისე მკრა თავისი ბინძური ხელი, კინაღამ იატაკზე გავიშოტე. ახმახი ვინმე იყო ეს ძაღლიშვილი. თვალის დახამხამებაში, ისიცა და სანიც ჩემს ოთახში გაჩნდნენ. თავი ისე ეჭირათ თითქოს მათი ოთახი ყოფილიყოს. სანი ფანჯრის რაფაზე წამოსკუპდა, მორისი კი სავარძელში წამოიჭიმა და ქურთუკის გახსნას შეუდგა - მელიფტის ფორმა ეცვა. ჰოი, ბიჭო, როგორ ვღელავდი.

- აბა, უფროსო, მოგვეცი ფული. ლიფტი მიტოვებული მაქვს.

- ათჯერ გითხარით, ერთი ცენტიც აღარ მმართებს თქვენი. ხუთი დოლარი უკვე მივეცი...

- სისულელეს ნუ როშავ. ჩამოყაჭე!

- ორჯერ რატომ უნდა გადავუხადო?! - ვუთხარი მე. ხმა სულ გამებზარა, - მაბრიყვებთ თუ რა?!

მორისმა ბოლომდე გაიხსნა თავისი ქურთუკი. ქურთუკის ქვეშ ცარიელა საყელო ებნია - პერანგი არა სცმია. დიდი, ბანჯგვლიანი მუცელი ჰქონდნა.

- არავინაც არ გაბრიყვებს. ჩამოყაჭე, უფროსო!

- არ მოგცემთ.

ეს რომ გაიგონა, წამოდგა და პირდაპირ ჩემკენ გამოემართა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ძალიან დაქანცული და გაბრაზებული ყოფილიყოს. ო, ღმერთო, როგორ დავფეთდი! გულხელდაკრეფილი ვიდექი, მახსოვს. ის ოხერი პიჟამო რომ არა მცმოდა, კიდევ არაფერი, ასე არ შევწუხდებოდი.

- აბა, ჩამოყაჭე, უფროსო. - ზედ ცხვირწინ ამეტუზა. და ეს სიტყვები დაიჟინა: «აბა, ჩამოყაჭე, უფროსო!» ნამდვილი კრეტინი იყო.

- არ მოგცემთ!

- უფროსო, მოთმინებიდან ნუ გამომიყვან, თორემ ცოტა უფრო სხვანაირად მოგელაპარაკო. სულაც არ მეხალისება ეს, მაგრამ, ეტყობა, ასე მომიწევს, - თქვა მან, - ხუთი დოლარი გმართებს ჩვენი.

- არაფერი არ მმართებს, - ვუთხარი მე, - ხელი არ დამიკაროთ, თორემ ისეთ ღრიალს მოვრთავ, მთელს სასტუმროს ფეხზე დავაყენებ. პოლიციასაც და ყველას. - ჰოი, რა საცოდავად ამიკანკალდა ხმა!..

- მიდი. იღრიალე, მანამ მოგეწყინოს. მიდი, რაღას უცდი! - მითხრა მორისმა, - თუკი გინდა, მშობლებს გააგებინო, კახპასთან რომ გაატარე ღამე. კაი ოჯახისშვილი კი ხარ! - ამისთანა საზიზღარ საქმეებში ჭკუა ალესილი ჰქონდა. ნამდვილად.

გონება ალბათ არ დამიკარგავს, იმიტომ რომ, მახსოვს როგორ გაილალნენ ოთახიდან და კარი გაიკეტეს. მე იატაკიდან ავხედე. დიდხანს ვეგდე იატაკზე, როგორ მაშინ, სტრედლეიტერთან ჩხუბის დროს. ოღონდ ახლა, ვკვდები-მეთქი. ვიფიქრე. ნამდვილად, თითქოს ვიხრჩობოდი, სული ვეღარ მოვითქვი. ბოლოს როცა წამოვდექი, სააბაზანოსკენ მოვინდომე წასვლა, მაგრამ ვერასდიდებით ვერ გავიმართე, მუცელზე ხელები მოვიჭირე და მოკაკული წავბობღდი.

ისე, გიჟი კი ვარ, ღმერთმანი. ჯერ სააბაზანოში არც შევსულიყავი, რომ უცებ თავში გამკრა - ნაწლავებში ნამდვილად ტყვია მაქვს-მეთქი. იმ მორისმა მომარტყა ტყვია. ახლა სააბაზანოში მივდივარ, რომ ვისკი ან რამე გადავკრა და ნერვები დავიმშვიდო. წარმოვიდგინე, როგორ გამოვიდოდი სააბაზანოდან, უკვე ჩაცმული და ყველაფერი. ჯიბეში რევოლვერი მიდევს და ცოტათი ფეხი მეშლება. მერე კიბეზე დავეშვები - ლიფტით არ ჩავალ. მოაჯირს ვეყრდნობი და თან პირიდან სისხლი მდის. რამდენიმე სართულს ასე ჩავივლი - მუცელი ხელით მიჭირავს, სისხლით სულ მოითხვარა მთელი კიბე, მერე ლიფტის კარებს მივადგები და დავრეკავ. გააღებს თუ არა კარებს ის მორისი, ხელში რევოლვერს დამინახავს და, შეშინებული, თავისი ჩახრინწული ხმით ბღავილს ამოუშვებს, თავი გამანებეო. მაინც ვესვრი. ექვს ტყვიას დავახლი იმ გამობერილ ბანჯგვლიან მუცელში. რევოლვერს იქვე დავაგდებ, ლიფტში, - ოღონდ ჯერ, რა თქმა უნდა, გავწმენდ, რომ თითების ანაბეჭდი მოვაცილო. მერე ჩემს ოთახში შევბრუნდები და ჯეინს დავურეკავ, დავიბარებ და ჭრილობას შევახვევინებ. წარმოვიდგინე, როგორ მოაქვს ჩემს პირთან სიგარეტი და როგორ მაწევინებს, მე კი სისხლისაგან ვიცლები.

ეს ოხერი კინო. მოგსპობს და მოგათავებს. არ გეხუმრებით.

თითქმის მთელი საათი ვიყავი სააბაზანოში. ვიბანავე და ყველაფერი. მერე ისევ ლოგინში ჩავწექი. დიდხანს ვიწრიალე, მანამ დავიძინებდი. დაღლილი სულაც არ ვყოფილვარ. ბოლოს როგორც იქნა, ჩამეძინა. მართალი თუ გინდათ, თავის მოკვლის გუნებაზე ვიყავი, ნეტა ფანჯრიდან გადავვარდე-მეთქი, ვფიქრობდი. გადავვარდებოდი კიდეც, იმედი რომ მქონოდა, რომ ხელადვე მოირბენდა ვინმე და რამეს გადამაფარებდა. არ მინდოდა, უსაქმური იდიოტები შემომხვეოდნენ გარს და სისხლში მომთხვრილისათვის ეცქირათ.

15

დიდხანს არ მძინებია. ათ საათზე მეტი არ იქნებოდა, როცა გამოვიღვიძე, სიგარეტი მოვწიე და მაშინვე ვიგრძენი, რომ მაგრად მომშიებოდა. უკანასკნელად ეკლისა და ბრასართან ერთად ვჭამე ორი კატლეტი, ეგერსტაუნში რომ ვიყავი

კინოს საყურებლად. ეს დიდი ხნის წინათ იყო, თითქოს ორმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ. ტელეფონი იქვე, სასთუმალთან მედგა და, ერთი პირობა დარეკა დავაპირე, საუზმეს ამოვატანინებ-მეთქი. მაგრამ შემეშინდა: ხომ შეიძლებოდა იმ ოხერი მორისისათვის გამოეტანებინათ. თუ გგონიათ, ერთი სული მქონდა იმ ვაჟბატონის ნახვამდე, ძალიან შემცდარი ბრძანდებით. ისევ საბანში გავეხვიე და ერთი სიგარეტი კიდევ გავაბოლე. ჯეინთან დარეკვა დავაპირე, გავიგებდი შინ თუ იყო. მაგრამ გუნებაზე არ ვიყავი.

ისევ სალი ჰეისს დავურე. მერი უ.უდროფის პანსიონში სწავლობდა, და ვიცოდი, რომ ახლა შინ იქნებოდა. სწორედ ორი კვირის წინ მივიღე მისი წერილი. ჭკუას კი არ ვკარგავდი მასზე, მაგრამ კარგა ხნის ნაცნობები ვიყავით. დდი ჭკუისკოლოფი მეგონა. სულელი ვიყავი. ჭკუისკოლოფი იმიტომ მეგონა, რომ თეატრების ამბები, პიესებისა, ლიტერატურისა და ამისთანები, სულ ზეპირად იცოდა. ამდენი რამე რომ იცის კაცმა, უცებ ვერ შეატყობ - სულელია თუ ჭკვიანი. სალის, მაგალითად, რამდენი წელიწადია ვიცნობ და მაინც ვერაფერი გავუგე. ან კი რას გავუგებდი, იმდენს ვკოცნიდით ერთმანეთს! ჩემი უბედურება ის არის, რომ როცა ვინმეს ვკოცნი, დიდი განათლებული გოგო მგონია. სად განათლება და სად ამისთანა საქმე, მაგრამ მე მაინც ასე მგონია.

ერთი სიტყვით, დავურეკე. ჯერ მოსამსახურე გოგომ მიპასუხა. მერე მამამ. ბოლოს თვითონ მოვიდა ტელეფონთან.

- სალი ხარ? - ვკითხე მე.

- დიახ... ვინ არის? - ჰოი, რა თვალთმაქცია! მამამისს უკვე ვუთხარი, ვინც ვიყავი.

- ჰოლდენ კოლფილდი ვარ. როგორა ხარ?

- ჰოლდენ! კარგად ვარ. შენ თვითონ როგორ ხარ?

- მეც კარგადა ვარ. მოიხედე, იცი რაზე დაგირეკე? იქნებ თავისუფალი იყოს-მეთქი.. დღეს კვირაა, მაგრამ ალბათ კვირაობითაც აჩვენებენ დილის სპექტაკლებს, ან საქველმოქმედოს, ან ამნაირ რამეს. არ წამოხვალ?

- დიდი სიამოვნებით. რა დიდებულია!

«დიდებულია!» ვერ ვიტან ამ სიტყვას. რაღაც ქლესურია. კინაღამ გულმა არ მომითმინა და არ მივახალე, არსადაც არ წავალთ-მეთქი. მაგრამ თავი შევიკავე და ლაყბობას მოვყევით. ესე იგი, იმან ილაყბა. შენ რას ამოგაღებინებდა ხმას! ჯერ ვიღაც ჰარვარდელ ვაჟბატონზე ილაქლაქა - ალბათ ახალი გამოჩეკილი იქნებოდა, პირველკურსელი. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ უთქვამს - ჩემზე ჭკუას კარგავსო. დღე და ღამე მირეკავსო. დღე და ღამე! მომსპო და გამათავა. მერე სხვა ვაჟბატონის ამბავს მოჰყვა, ვიღაც ვესტ-პოინტელი კადეტი ყოფილა, რომელიც ლამის ყელს იღადრავდა თურმე მისი გულისთვის. ამაზე დიდი უბედურება იქნება! ორი საათისთვის ბალტიმორის საათის ქვეშ დაგელოდები-მეთქი, ვუთხარი და გავაფრთხილე, არ დაეგვიანა, რადგან დილის სპექტაკლები ალბათ სამის ნახევარზე იწყება. ის კი მუდამ იგვიანებდა. მერე მილი დავკიდე. გაბეზღებული ვყავდი, მაგრამ ძალიან ლამაზი გოგო კი იყო.

სალის რომ პაემანი დავუნიშნე, ავდექი, ჩავიცვი და ჩემოდანი ჩავალაგე. მანამ ოთახიდან გამოვიდოდი, ფანჯარაში გადავიხედე, ის გაფუჭებული ხალხი რას აკეთებს-მეთქი.

მაგრამ ფარდები ჰქონდათ ჩამოშვებული. დილდილაობით წესიერების განსახიერება იყვნენ ყველანი. მერე ლიფტით დავეშვი და ქირა გადავიხადე. იმ

ნაბიჭვარ მორისს არსად გადავყრივარ. რაღა თქმა უნდა, კისერი არ მომიტეხია მის საძებრად.

სასტუმროდან გამოვედი და მაშინვე ტაქსი დავიჭირე, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, საით უნდა წავსულიყავი. ჯერ კვირა იყო, შინ კი ოთხშაბათამდე არ მიმესვლებოდა, ყოველშემთხვევაში სამშაბათამდე მაინც ვერ გამოვჩნდებოდი. არადა, სხვა სასტუმროში წასვლისა და გამოტვინების ხალისიც აღარ მქონდა. ასე რომ, ჩავჯექი ქაქსში და შოფერს ვუთხარი, ცენტრალური სადგურისკენ წასულიყო. გზა მაინც იქით მქონდა - ეს სადგური სწორედ ბალტიმორის გვერდზე იყო, საცა უფრო მოგვიანებით, სალის უნდა შევხვედროდი. გადავწყვიტე, რომ ბარგი შესანახად მომებარებინა - იქ დიდ ყუთებში ჩააგდებენ ხოლმე და გასაღებს შენ გაძლევენ, - მერე კი ვისაუზმებდი. ცოტა არ იყოს მომშივდა. მანამ ტაქსში ვიჯექი, საფულე ამოვიღე და ფული დავთვალე. კარგად აღარ მახსოვს, რამდენი აღმოჩნდა, მაგრამ დიდი ფულიანი არ ვყოფილვარ. ამ ორ ქეციან კვირაში ქვეყნის ფული გაფლანგე. იცოცხლე ბედოვლათი ვარ. რის დახარჯვასაც ვერ ვასწრებ, ისე ვკარგავ. ხურდის აღებაც კი მავიწყდება ხოლმე სანახევროდ რესტორნებსა და ღამის კლუბებში. ამაზე გიჟდებიან დედაჩემი და მამაჩემი. ვერც გაამტყუნებ. თუმცა მამაჩემი მდიდარი კაცია. დანამდვილებით არ ვიცი, რა შემოსავალი აქვს - არასოდეს არა გვქონია ამაზე ლაპარაკი - მაგრამ მე მგონი ბევრს აკეთებს. კორპორაციის იურისტია. მაგისი ხელობის ხალხი ხვეტავს და ხვეტავს ფულს. ფულიანი რომაა, იმითაც ვიცი, რომ მუდამ აბანდებს ხოლმე თანხას ბროდვეის დადგმებზე. მერე ეს დადგმები ფლავდება და დედაჩემი ჭკუას კარგავს. საერთოდ, ელის სიკვდილის შემდეგ ძალიან მოტყდა დედაჩემი. სულ მოეშალა ნერვები. ამიტომაცაა, რომ ჭირის დღესავით მეზარება შინ გამოპანჩურებული დაბრუნება.

მივედი სადგურზე, ბარგი დიდ ყუთში შესანახად მივაბარე და იქვე სასენდვიჩე ბარში შევედი. კარგა გვარიანად დავნაყრდი - ფორთოხლის წვენი, ლორი კვერცხით, ხრაშუნა პური და ყავა. ჩვეულებრივ, მარტო ფორთოხლის წვენსა ვსვამ ხოლმე დილით. ცუდი მჭამელი ვარ. ღმერთმანი. იმიტომაც ჩამოვხმი ასე საცოდავად. ექიმებმა მირჩიეს, გასუქება თუ გინდა, ბევრი პურეული უნდა ჭამოო, და ათასი ამისთანა სისულელე, მაგრამ ჩემს დღეში არ მითხოვებია ყური. როცა სადმე ვარ, შვეიცარული ყველის სენდვიჩსა და რძის კოქტეილს გეახლები ხოლმე. თითქოსბევრი არაფერია, მაგრამ ფაფაში ვიტამინებია. ჰ.ვ. კოლფილდი. ჰოლდენ ვიტამინ კოლფილდი.

ერბოკვერცხსა ვჭამდი, ბარში ორი მონაზონი რომ შემოვიდა. ხელში ჩემოდნები ეჭირათ. მაშინვე მივხვდი, რომ სხვა მონასტერში მიემგზავრებოდნენ და ახლა მატარებელს უცდიდნენ. შემოვიდნენ და ჩემს მეზობლად ჩამოსხდნენ, დახლთან. აღარ იცოდნენ, რა ჯანდაბა ექნათ ამ ჩემოდნებისათვის, და მე მივეშველე. უბრალო ჩემოდნები ჰქონდათ, ტყავისა კი არა - ისე. რა თქმა უნდა, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ საშინლად მეჯავრება, უბრალო ჩემოდნები რომ უჭირავთ ხელში. ვიცი, რომ სირცხვილია ამისი თქმა, მაგრამ მარტო იმისათვისაც კი შემძულდება კაცი, ხელში უბრალო ჩემოდანი თუ დავუნახე. ერთხელ ასეთი რამე მოხდა. ელქტონ ჰილში ვსწავლობა და ერთ ბიჭთან ვარ ოთახში, დიკ ლეგლთან, რომელსაც უბადრუკი ჩემოდნები ჰქონდა, საწოლქვეშ ინახავდა ხოლმე ამ თავის ჩემოდნებს, თაროზე არ დებდა - რათა ჩემი ჩემოდნების გვერდით არავის დაენახა. საშინლად ვდუღდებოდი ამაზე. ვფიქრობდი, ან გადავყრი ჩემს ჩემოდნებს, ან არადა მაგას გავუცვლი-მეთქი. ჩემი

ჩემოდნები მარკ კროსის ფირმისა იყო. ნამდვილი ძროხის ტყავი და ყველაფერი, კაი ძალი ფულიც იქნებოდა მიცემული. მაგრამ ახლა ნახეთ, რა სასაცილო ამბავი მოხდა. ერთ დღეს ავდექი და ეს ჩემი ჩემოდნები ჩემივე საწოლის ქვეშ შევაწყე, რომ იმ უბედურ ლეგლს ძალიან დამცირებულა დარ ეგრძნო თავი. მაგრამ ახლა ისიც ნახეთ, იმან რა ქნა. იმავე დღეს ადგა და ჩემი ჩემოდნები ისევ თაროზე შეალაგა. დიდხანს ვერ ავხსენი მიზეზი. და ბოლოს მივხვდი როგორც იქნა - სხვებისთვის უნდოდა ეჩვენებინა, თითქოს მისი ჩემოდნები იყო. ჩემს ჩემოდნებს, მაგალითად, მუდამ სასაცილოდ იგდებდა. მეტისმეტად ახალი და მეშჩანურიაო, მეუბნებოდა. ეს იყო მისი საყვარელი გამოთქმა. ეტყობა, სადმე წაეკითხა ან გაეგონა. რაც არ უნდა გამეკეთებინა, ყველაფერი მეშჩანური იყო. ჩემი ავტომატური კალამიც კი მეშჩანური გამოდგა. ხელში არ მიჩერებდა, წარამარა ნათხოვრობდა, მაგრამ მაინც მეშჩანური იყო. ორი თვე ძლივს გავძელით ერთად. მერე იმანაც ითხოვა და მეც, რომ ერთმანეთისაგან დავეშორებინეთ. სასაცილო ისაა, რომ მომეწყნა უიმიმსოდ, რადგან საოცარი ხუმარა იყო და ხშირადკარგადაც ვერთობოდით. დარწმუნებული ვარ, ისიც მოიწყენდა. თავდაპირველად მადუღებდა, მეშჩანური ნივთები გაქვსო, და მეც არ მიმიქცევია ყურადღება. პირიქით, ვერთობოდი კიდეც ამ ხუმრობაზე. მერე და მერე, შევატყე, რომ ეს უბრალო ადუღება არ იყო. ეტყობა, მართლაც ძნელია იმისთანა კაცთან ერთად იცხოვრო ოთახში, რომლის ჩემოდნებიც შენსას ვერაფრით ვერ შეედრება - შენი დიდებულია, იმის კი უბადრუკი. ალბათ იტყვით, თუკი განათლებული კაცია და იუმორის გრძნობაც აქვს, ფეხებზე უნდა ეკიდოს, ვისი ჩემოდნები სჯობსო, მაგრამ ნამდვილად ასეა. იმიტომაც ავირჩიე ოთახის მეზობლად ის შტერიდა ნაბიჭვარი სტრედლეიტერი. ყოველ შემთხვევაში, ჩემოდნები მასაც კარგი ჰქონდა.

ერთი სიტყვით, მონაზვნები ჩემს მეზობლად ჩამოსხდნენ და როგორღაც ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. ერთ მათგანს, ჩემკენ რომ იჯდა იმას, ჭილის ჩანთა ჰქონდა. ამისთანა ჩანთებში მონაზვნები და გათავისუფლების არმიის გოგოები საშობაოდ საქველმოქმედო ფულს აგროვებენ. კუთხეებში დგანან ხოლმე, განსაკუთრებით მეხუთე ავენიუზე, დიდრონი მაღაზიების შესასვლელებთან. უცებ ამ ქალს ჩანთა იატაკზე დაუვარდა. გადავწვდი, ავიღე და მივაწოდე. საქმელმოქმედო ფულს ხომ არ აგროვებთ-მეთქი, ვკითხე. არაო, მიპასუხა. ჩანთა ჩემოდანში ვერ ჩავტიე და ხელში იმიტომ მიჭირავსო. ღიმილი ძალიან შვენოდა, როცა შემოგხედავდა. დიდცხვირა იყო, სათვალეც ულაზათო რკინის ჩარჩოიანი ეკეთა, მაგრამ ძალიან სანდომიანი სახე ჰქონდა.

- საქველმოქმედო ფულს თუ აგროვებენ, ცოტაოდენი იქნებ მეც შემეწირა-მეთქი, ვიფიქრე, - შეგეძლოთ შეგენახათ და შეგროვებას რომ დაიწყებდით, მაშინ მიგემატებინათ.

- ო, დიდ სიკეთეს იჩენთ, - მითხრა მან. ამ დროს მისმა მეგობარმაც გადმომხედა. პატარა შავ წიგნს კითხულობდა ის მეორე და თან ყავას სვამდა. ბიბლიას ჩამოგავდა ეს წიგნი, მაგრამ მეტისმეტად თხელი იყო. ალბათ ბიბლიისნაირი რამე იქნებოდა. საუზმედ მხოლოდ ყავა და ხრაშუნა პურები დაეკვეთათ. ამან გუნება გამიფუჭა. საძაგლობაა - შენ ლორიან ერბო-კვერცხსა და ამისთანა რაღაცეებს მიირთმევდე და შენს გვერდით კი ცარიელა ყავასა და ხრაშუნა პურსა სჭამდეს კაცი!

ათი დოლარი მიიღეს ჩემგან შეწიურელად. ჩამაცივდნენ, ნამდვილად შეგიძლიათ კი ამდენის გამომეტებაო. ფული თავსაყარი მაქვს-მეთქი, ვუთხარი,

მაგრამ, მგონი, არ დაიჯერეს. ბოლოს მაინც გამომართვეს. იმდენი მადლობა მიხადეს სათითაოდ, რომ უხერხულადაც კი ვიგრძენი თავი. საუბარი საერთო თემაზე გადავიტანე და ვკითხე, საი მიბრძანდებოდნენ. მასწავლებლები გამოდგნენ, ის იყო ჩიკაგოდან ჩამოსულიყვნენ და რომელიღაც სკოლაში მასწავლებლობას აპირებდნენ - არ ვიცი ას სამოცდამერვე ქუჩაზე და არ ვიცი ას ოთხმოცდამეექვსეზე, თუ სადღაც იმ უბანში. ჩემკენ რომლიც იჯდა - აი რკინის ჩარჩოიანი სათვალე რომ ეკეთა, - ინგლისურის მასწავლებელი აღმოჩნდა, მისი მეგობარი კი ისტორიასა და ამერიკის კონსტიტუციას ასწავლიდა. იდიოტივით ამეკვიატა ერთი აზრი და ვეღარც ამოვიგდე თავიდან - ეს ჩემი მეზობელი, ინგლისურს რომ ასწავლის, თუკი მართლა მონაზონია და ყველაფერი, ნეტა რას ფიქრობს, ზოგიერთ ინგლისურ წიგნს რომ კითხულობს-მეთქი. მაინცდამაინც უხამსსა და უგვან წიგნებზე კი არ მოგახსენებთ, არამედ ისეთ წიგნებზე, სადაც სიყვარული და ამისთანობაა აღწერილი. ჯერ მარტო იუსტასია ვეი რად ღირს - თომას ჰარდის «სამშობლოში დაბრუნება» ხომ გახსოვთ? არც იმდენი ხვევნა-კოცნაა შიგ და არც არაფერი, მაგრამ მაინც ძალიან მაინტერესებს, რას ფიქრობს ხოლმე მონაზონი, ამ იუსტასიას ამბავს რომ კითხულობს. რაღა თქმა უნდა, ამაზე კრინტიც არ დამიძრავს. მარტო ისა ვთქვი, ინგლისურს ყველაზე კარგად ვსწავლობ-მეთქი.

- მართალა? რა სასიამოვნოა! - წამოიძახა სათვალიანმა, აი ინგლისურს რომ ასწავლიდა, - წელს რა წაიკითხეთ? ძალიან მაინტერესებს. - მართლაც რომ სანდომიანი ქალი იყო.

- უმეტესად ანგლო-საქსონურ პერიოდს გავდიოდით. ბიოვულფი, გრენდელი, «ლორდო რენდალ, ჩემო შვილო» და ამისთანებს. მაგრამ შიგადაშიგ კლასგარეშე საკითხავ წიგნებსაც გვაძლევდნენ და ამაში ცალკე ნიშნებს გვიწერდნენ ხოლმე. თომას ჰარდის «სამშობლოში დაბრუნება» წავიკითხე, «რომეო და ჯულიეტა», «იულიუს...»

- აჰ, «რომეო და ჯულიეტა»! რა დიდებულია! ხომ ძალიან მოგეწონათ?

მართლაც არ ჰგავდა მონაზონს.

- დიახ. ძალიან. ძალიან მომეწონა. ზოგი რამე არც თუ ისე, მაგრამ საერთოდ ძალიან კარგია.

- მაინც რა არ მოგეწონათ? ვერ გაიხსენებთ?

მართალი თუ გინდათ, ცოტა უხერხული კი იყო «რომეო და ჯულიეტაზე» ლაპარაკი მასთან. რამდენი ხვევნა-კოცნაა ამ პიესაში, ესქალი კი მონაზონი გახლავთ! მაგრამ თვითონვე მკითხა და რა უნდა მექნა - მეც გავუმართე კამათი. მაინცდამაინც არ ვგიჟდები იმ რომეოსა და ჯულიეტაზე-მეთქი, ვუთხარი.

- მოწონებით კი მომწონს, მაგრამ... საერთოდ, ძნელი სათქმელია. ხანდახან პირდაპირ გული ჩაგწყდება. ერთი სიტყვით, მერკუციოს სიკვდილმა გაცილებით უფრო დამწყვიტა გული, ვიდრე თვითონ რომეომა და ჯულიეტამ. საქმე ის არის, რომ სულ გამიქრა რომეოს სიყვარული მას შემდეგ, რაც ხმლით განგმირა იმ მეორემ... ჯულიეტამ ბიძაშვილმა... რა ერქვა?

- ტიბალტი.

- დიახ. ტიბალტი. - ვუთხარი მე. ვერასდიდებით ვერ დავიმახსოვრე იმ ბიჭის სახელი. - სულ რომეოს ბრალი კი იყო. ერთი სიტყვით, მერკუციო მირჩევნია ყველას, მთელს პიესაში. არ ვიცი, რატომ. მონტეგებიც კარგები არიან, კაპულეტებიც... თვითონ ჯულიეტა ხომ კარგია და კარგი... მაგრამ მერკუციო, ეს პირდაპირ... ძნელია ამის ახსნა. რა ჭკვიანი ბიჭი იყო, როგორი მხიარული,

გულზევსკდები ხოლმე, ამისთანა ხალხს რომ მოკლავენ - ასე ჭკვიანსა და მხიარულს... და ისიც სხვისი გულისთვის. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი რომეოს და ჯულიეტას ბრალი იყო.

- რომელ სკოლაში სწავლობთ? - მკითხა მან. ეტყობა, სხვა რამეზე უნდოდა ლაპარაკი გადაეტანა.

პენსიში ვსწავლობ-მეთქი. გაგონილი ჰქონოდა. ძალიან კარგი სკოლაა. მეც აღარ გამოვდავებივარ. მერე იმ მეორემ, ისტორიისა და კონსტიტუციის მასწავლებელმა, უკვე წასვლის დროა, თქვა. იმათი ანგარიშიც ავიღე, მაგრამ არ დამანებეს გადახდა. სათვალიანმა გამომტაცა ხელიდან.

- ისედაც დიდი ხელგაშლილობა გამოიჩინეთ, - მითხრა მან. - ძალიან კარგი ბიჭი ხართ. - მართლაც რომ სანდომიანი ქალი იყო, ცოტათი ერნესტ მოროუს დედას მოგაგონებდა, აი მატარებელში რომ გავიცანი. განსაკუთრებით, როცა გაიღიმებდა. - ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი, - დასძინა მან.

ჩემთვისაც ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან ლაპარაკი-მეთქი, ვუთხარი. მართლაც მესიამოვნა. მაგრამ კიდევ უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ მთელი საუბრის დროს სულ იმის შიშში არ ვყოფილიყავი - აი ახლა მკითხავენ და აი ახლა, კათოლიკე ხარ თუ არაო. კათოლიკები სულ იმის ცდაში არიან, შენი კათოლიკობაც გამოარკვიონ. მე პირადად მრავალჯერ გამომიცდია ასე, ალბათ იმიტომაც, რომ ირლანდიური გვარი მაქვს, ხოლო ირლანდიელების უმრავლესობა კათოლიკები არიან. მართალი თუ გნებავთ, ერთ დროს მამაჩემიც კათოლიკე იყო. მაგრამ დედაჩემი რომ შეირთო, მაშინვე მიატოვა ეს კათოლიკობა. გვარიც რომ არ იცოდნენ შენი კათოლიკებმა, მაინც შეეცდებიან შენი კათოლიკობის გამორკვევას. ჰუტონის სკოლაში ერთ კათოლიკ ბიჭს ვიცნობდი - ლუი შენის. სწორედ ის ბიჭი გავიცანი პირველად ჰუტონში. სწავლის დაწყების დღეს. ექიმთან ვდგავართ რიგში და ლაპარაკი ტენისზე ჩამოვარდა. ტენისის გიჟი იყო. მეც. ყოველ ზაფხულს ვესწრები ფორესტ-ჰილში ტენისის შეჯიბრებებსო. მეც ვესწრები-მეთქი, ვუთხარი და ამის შემდეგ მაგარ მოთამაშეებზე გავაბით საუბარი. ჯერ პატარა ბიჭი იყო და ტენისი კარგად არ იცოდა. ნამდვილად. ცოტა ხნის შემდეგ, გახურებულ დავაში რომ ვართ, უცებ მომიბრუნდა და მეკითხება - «შემთხვევით, კათოლიკური ეკლესია ხომ არ იცი, სად იქნება?» ზედვე ეტყობოდა, რომ განგებ მკითხა, - უნდოდა გამოერკვია, კათოლიკე ვიყავი თუ არა. ნამდვილად. ისე კი არ ჩამომართვათ, თითქოს გამწარებით სდომოდეს ჩემი კათოლიკობა, უბრალოდ აინტერესებდა. ტენისზე გატაცებით ლაპარაკობდა, მაგრამ მაშინვე შეატყობდით, რომ ჩემი კათოლიკობა კიდევ უფრო დიდ სიამოვნებას მოჰგვრიდა. ჭკუიდან მშლის ხოლმე ასეთი რამე. არ გეგონოთ, თითქოს ამის შემდეგ საუბარი გაგვეწყვიტოს ან რამე - სულაც არა - მაგრამ ისე კარგად ვეღარ ავაწყვეთ. ამიტომაც გამეხარდა, იმ მონაზვნებმა რომ არ მკითხეს, კათოლიკე თუ ხარო. რა თქმა უნდა, საუბარს არ ჩაგვიპშლიდა ეგ, მაგრამ მაინც სულ სხვა იქნებოდა. არ იფიქროთ, კათოლიკებს ვძრახავდე. რა ბრძანებაა! კათოლიკე რომ ვიყო, ალბათ მეც ასე მოვიქცეოდი. თუმცა ესეც იმას ჰგავს, ჩემოდნებზე რომ გელაპარაკებოდით. მე მხოლოდ ის მინდა გითხრათ, რომ ასეთი რამე ტკბილ საუბარს ჩაგიშხამებს. ეგ არის და ეგ.

წასვლა რომ დააპირეს და წამოდგნენ, - იმ ორ მონაზონზე გეუბნებით, - ისეთი სიბრიყვე მომივიდა, მერე მევე შევწუხდი. სიგარეტსა ვწევდი და გამოსამშვიდობებლად როცა წამოვდექი, კვამლი უცებ პირდაპირ სახეში არ შევაბოლე! მართალია განგებ არ მიქნია, მაგრამ ასე კი გამომივიდა. გამწარებით

მოვყევი ბოდიშს და იმათაც ძალიან ტკბილად და თავაზიანად გამიღიმეს, მაგრამ მაინც უხერხული იყო.

როცა წავიდნენ, ახლა იმაზე დამწყდა გული. რატომ ათ დოლარზე მეტი არ შევწირე-მეთქი. მაგრამ აკი სალი ჰეისს შევპირდი თეატრში წაყვანას და ბილეთები ხომ უნდა მეყიდა. გული მაინც დამწყდა. ღმერთმა დასწყევლოს ფული. არ იქნება, გუნება არ გაგიფუჭოს.

16

ჯერ თორმეტიც არ იყო, საუზმეს რომ მოვრჩი. სალის კი ორზე უნდა შევხვედროდი, ასე გვქონდა დათქმული, ამიტომ გადავწყვიტე სადმე შორს გამევლო. ის ორი მონაზონი ვეღარ ამოვიგდე თავიდან. სულ თვალწინ მედგა გაცრეცილი ჭილის ჩანთა, რომლითაც ისინი საქმელმოქმედო შეწირულობას აგროვებდნენ ხოლმე, როცა სკოლიდან თავისუფალი იყვნენ. ვცდილობდი დედაჩემი ან ვინმე ახლობელი, თუნდაც მამიდა, ან სალი ჰეისის ქარაქუცა დედა წარმომედგინა - როგორა დგანან დიდი მაღაზიების წინ და გაცრეცილ ჭილის ჩანთაში საწყალი ხალხისათვის ფულს აგროვებენ. ძნელი წარმოსადგენი კი იყო. დედაჩემი იმდენად არა, რამდენადაც ის ორი. მართალია, მამიდაჩემი ქველმოქმედი ქალი გახლავთ - წითელ ჯვარს ეხმარება და ყველაფერი - მაგრამ ძალიან კარგად იცავმს, საქველმოქმედო ფულის შესაგროვებლად რომ დადის, მაშინაც კარგად აცვია, თან ტუჩებსაც იღებავს. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ჩაიცვას მონაზვნის შავი ფლასები და ტუჩებშეუღებავმა საქველმოქმედო მოწყალების შესაგროვებლად იწანწალოს. ახლა სალის დედა! ღმერთო ჩემო! მხოლოდ იმ პირობით ივლის მოწყალების შესაგროვებლად, ყველა ფეხქვეშ თუ გაეგო ამ შეწირვის დროს. ისე თუ ჩაუგდეს ფული და ხმის გაუცემლად გაშორდნენ - არც ყურადღება მიაქციეს და არც არაფერი - ერთ საათში დაანებებს თავს. მოსწყინდება. ჩანთას ვინმეს მიუგდებს და თვითონ რომელიმე დიდებულ რესტორანში შებრძანდება. ამიტომაც მომეწონა ის მონაზვნები. მაშინვე შეატყობდით, მდიდრულ რესტორნებში შემსვლელები არ იყვნენ. და ეს რომ გავიფიქრე - თავის დღეში არ შევლენ მდიდრულ რესტორანში-მეთქი - გლუზე ნაღველი შემომაწვა. ვიცი, რომ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მე მაინც დამწყდა გული.

ბროდვეისკენ გავწიე. ისე, გულის გადასაყოლებლად: რამდენი ხანია იქით აღარ გამევლო. თანაც იქნებ გრამაფონის ფირფიტების კვირადღეობით მოვაჭრე მაღაზიას გადავეყარო სადმე-მეთქი, ვიფიქრე. ფიბისთვის მინდოდა ფირფიტა - «პაწაწინა შერლი ბინსი». ძალიან ძნელი საშოვნელი იყო. ერთ პატარა გოგონაზეა - ორი წინა კბილი მოსძვრება და შინიდან აღარ გამოდის, რცხვენია. პენსიში მოვისმინე ეს სიმღერა. ვიღაც ბიჭს ჰქონდა ზემო სართულზე. მინდოდა გამომერთმია - ვიცოდი, რომ ფიბი ჭკუას კარგავდა - მაგრამ არ მომყიდა. შესანიშნავი ფირფიტა იყო, ძველისძველი, ოცი წლის წინათ ემღერა ზანგ მომღერალს - ესტელ ფლეტჩერს. დიქსილენდურად უქცევს, როგორც საროსკიპოებში და იმიტომ არ არის გულისამაჩუყებელი. აბა თეთრკაბიან ქალს ემღერა! მიანაზებდა და მიაკნავებდა ხმას. ეტყობა, იცოდა თავისი საქმე იმ ესტელ ფლეტჩერმა. იშვიათად მომისმენია ასეთი კარგი რამე. ვიფიქრე, კვირაობით მოვაჭრე რომელიმე მაღაზიაში წავაწყდები და ვიყიდი-მეთქი. მერე პარკში

წავიღებდი, ფიბი თითქმის ყოველ კვირა-დღეს დადის საციგურაოდ პარკში. ვიცოდი, სად შეიძლებოდა მისი ნახვა.

გუშინდელივით აღარ ციოდა, მაგრამ მზე მაინც არ გამოჩენილა და ვერაფერი სასიამოვნო იყო ქუჩაში წრიალი. თუმცა ერთმა რამემ კი გამახარა. ჩემს წინ მთელი ოჯახი მიდიოდა - მამა, დედა და ასე, ექვსი წლის ბიჭი. ეტყობოდა, ეკლესიიდან ბრუნდებოდნენ. ღარიბები ჩანდნენ. მამას პრიალა ნაცრისფერი ქუდი ეხურა - ღარიბი ხალხი საგარეოდ იხურავს ხოლმე ასეთ ქულს. ცოლ-ქმარი თითქმის თავისთვის მიდიოდა, ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ და ბავშვს ყურადღებასაც არ აქცევდნენ. ღმერთივით ბიჭი იყო. ტროტუარზე კი არ დადიოდა - პირდაპირ ქუჩაში გადასულიყო და ტროტუარის გასწვრივ მიაბიჯებდა. ცდილობდა სწორი, გაუმრუდებელი ხაზით ევლო, - ასე იციან ბიჭებმა, - თან მთელი გზა რაღაცას ღიღინებდა თუ ზუზუნებდა. ფეხი ავაჩქარე - აბა რას მღერის-მეთქი. «ნეტა ვინმეს თუ დაიჭერ ჭვავის ყანაში»... ამას მღეროდა. პატარა წრიპინა ხმა ჰქონდა. მაშინვე შეატყობდი, რომ თავის გასართობად წამოეწყო ეს სიმღერა და სხვა ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. ირგვლივ მანქანები დაჰქრიან, ისმის მუხრუჭების განუწყვეტელი ხრჭიალი, მშობლები კი ყურადღებასაც არ აქცევენ ბავშვს, და ისიც არხეინად მიაბიჯებს ტროტუარის გასწვრივ და მიიმღერის - «ნეტა ვინმეს თუ დაიჭერ ჭვავის ყანაში»... ერთბაშად გულზე მომეშვა, ნაღველი გადამეყარა.

ბროდვეიზე ისე ირეოდა ხალხი, რომ ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა. კვირადღე იყო, თორმეტიც არ შესრულებულიყო, მაგრამ ხალხს უკვე გვერდს ვერ აუქცევდი. კინოში მიეშურებოდა ყველა - «პარამაუნტისკენ», «ასტორისკენ», «სტრენდისკენ», «კაპიტოლისკენ» და რა ვიცი კიდევ რამდენი ფეთიანი ადგილია. სულ მორთულ-მოკაზმულები გამოსულიყვნენ - კვირადღე იყო! მით უფრო შემაზრზენია! მაგრამ ყველაზე საშინელი ის იყო, რომ აშკარად შეატყობდი, გული ელეოდათ კინოს სანახავად. შეხედვა მზარავდა პირდაპირ. მესმის, როცა სხვაგან არსად არა გაქვს წასასვლელი და იძულებული ხარ კინოში წახვიდე, მაგრამ კინოზე რომ გელევა გული და თან კისრისტეხითაც გარბიხარ, რაც შეიძლება მალე მივიდეო, ესა მსპობს. მილიონი კაცი რომ დგას ძაღლის მოთმინებით ბილეთის რიგში, და რიგს კუდი ეგერ, ჰე, სადა აქვს... ეს მიშლის ხოლმე ნერვებს. ჰოი, ბიჭო, ველარ გავიკვლიე გზა ამ ოხერ ბროდვეიზე! მაგრამ ბედმა კი გამიღიმა: პირველივე ფირფიტების მაღაზიაში ვიშოვე «პაწაწინა შერლი ბინსი». ხუთი დოლარი დამცინცლეს, რადგან ძნელად საშოვნი ფირფიტა იყო მაგრამ სულაც არ დამნანებია. ჰოი ბიჭო, როგორ გავბედნიერდი ერთბაშად! ერთი სული მქონდა, მანამ პარკში მივიდოდი და ჩემს ფიბის გადავცემდი ამ ფირფიტას.

გამოვედი თუ არა ფირფიტების მაღაზიიდან, იქვე აფთიაქი შემხვდა და შევედი. ვიფიქრე, მოდი ერთი ჯეინს დავურეკავ და გავიგებ არდადეგებზე თუ ჩამიოვა-მეთქი. ავტომატში შევედი და დავურეკე. სამწუხაროდ, დედამისმა მიპასუხა და მილი დავუკიდე. სადა მქონდა მაგის წილადობილის თავი. დიდად არ ვკარგავ ჭკუას გოგოების დედებთან ტელეფონით ლაპარაკზე. თუმცა კი უნდა მეკითხა, ჯეინი შინ თუ არის-მეთქი. რა დამაკლდებოდა! მაგრამ დამეზარა. გუნებაზე უნდა იყო, რომ ამისთანა საქმე გააკეთო.

ახლა ის ოხერი თეატრის ბილეთები უნდა ამეღო. გაზეთი ვიყიდე და გადავხედე - სად რა გადიოდა. რაკიღა კვირა იყო, სამ სპექტაკლზე მეტს არ აჩვენებდნენ. ავდექი და ორი პარტერი ავიღე «მე ვიცნობ ჩემს სატრფოს»-ზე. მგონი საქველმოქმედო სპექტაკლი იყო, თუ რაღაც ამნაირი. დიდად არ

ამომდიოდა მზე ამ პიესაზე, მაგრამ სალის ამბავი ვიცოდი, ეს ხომ მანჭვა-გრეხვის დედოფალია - როგორც კი გაიგებდა, რაზე ავიღე ბილეთები, სულ ნერწყვები მოადგებოდა, რადგან ამ სპექტაკლში ლანტები მონაწილეობდნენ.

დახვეწილი და მშრალი სპექტაკლები უყვარდა სალის. ახლა, მით უმეტეს ლანტებიც გამოდიოდნენ და ყვეველაფერი. მე არ მიყვარს. მართალი თუ გინდათ. საერთოდ, თეატრსაც ვერ ვეწყობი დიდად. კინოს, რაღა თქმა უნდა, სჯობია, მაგრამ არც ის უქნია ღმერთს. ჯერ ერთი, რომ მსახიობებს ვერ ვიტან. ადამიანებს აღარა ჰგვანან, სცენაზე რომ გამოვლენ. თუმცა თავი ისე უჭირავთ, თითქოს ძალიანაც ჰგვანდნენ. ზოგი კარგი მსახიობი გამოერევა - ცოტათი დაემსგავსება კაცს, მაგრამ ისე მაინც არა, რომ დაგაინტერესოს და გაგართოს. თანაც, მართლა კარგი მსახიობი თუ გამოვიდა, თვითონვე იცის თავისი ფასი და ეს კი ყველაფერს აფუჭებს. ავიღოთ თუნდაც სერ ლორენს ოლივიე. «ჰამლეტში» მინახავს. შარშან დ.ბ.-მ წაგვიყვანა მეცა და ფიბიც. ჯერ საუზმით გაგვისმასპინძლდა, მერე კი კინოში შევედით. ადრევე ენახა ჩემს ძმას, და ასე აქებდა საუზმის დროს, რომ ერთი სული მქონდა, მანამ ვნახავდი. მაგრამ მაინცდამაინც არ მომწონებია. ვერ გამიგია, რას გიჟდებიან ასე ამ ლორენს ოლივიეზე. დიდებული ხმა აქვს, ისედაც ჩამოსხმული ბიჭია, თვალს ვერ მოაშორებ - როცა დადის ან ხმალში ებრძვის ვინმეს, მაგრამ დ.ბ.-მ რომ ჰამლეტი აგვიწერა, ისეთი სულაც არ არის. გენერალს უფრო ჰგავს, ვინემ გულდამძიმებულსა და დარტყმულ ტიპს. მთელს სურათში ყველაზე კარგი ის იყო, რომ ოფელიას ძმა - აი ის ბიჭი ბოლოს ჰამლეტს რომ ებრძვის ხმალში - სადღაც მიემგზავრება და მამამისი კიდევ გაუთავებელ დარიგებას მოჰყვება. მანამ მამამისი დარიგებებს აძლევს, ოფელია მაიმუნობას დაიწყებს - ხან ხანჯალს ამოაცლის ძმას ქარქაშიდან, ხან გამოაჯავრებს, ეს ბიჭი კი დგას და ცდილობს თავი ისე დაიჭიროს, თითქოს ძაან გულისყურით უსმენდეს მამამისის პრუტუნს. ეს მართლაც დიდებულია. ძალიან მომეწონა. მაგრამ ამისთანა ადგილები ბევრი როდია. ფიბის მარტო ის მოეწონა, ჰამლეტი რომ ძაღლს თავზე ხელს უსვამს. სასაცილოც არის და კარგი რამეცო, თქვა, და მართალიც იყო. უსათუოდ უნდა წავიკითხო ეს პიესა. მთელი უბედურება ის არის, რომ მე თვითონ ვკითხულობ პიესებს - მსახიობს ყურს ვერ ვუგდებ, სულ იმის მოლოდინში ვარ, აბა როდის მოჰყვება მანჭვა-გრეხას-მეთქი.

ბილეთები რომ ავიღე, ტაქსი დავიჭირე და პარკისკენ გავწიე. მეტროთი უნდა წავსულიყავი, ფული ცოტაღა დამრჩა, მაგრამ ერთი სული მქონდა, მანამ ამ ოხერ ბროდვეის მოვშორდებოდი.

პარკიც საზიზღარი იყო., სიცივე იმდენად არაფერი, მაგრამ მზე ჯერაც არ ამოსულიყო და კაცის ჭაჭანებას ვერ ნახავდი - მხოლოდძაღლების ნაკვალევს თუ შენიშნავდი, და პაპიროსის ნამწვავებსაც იმ ადგილას, საცა ბერიკაცებს უყვართ ხოლმე ჯდომა. ბაღის გრძელი სკამები სველი ჩანდა - რომ დავჯდე, სულ ამოვილუმპებიო, იფიქრებდი. გული მოგეწურებოდა. არ ვიცი რატომ და, შიგადაშიგ ტანში ჟრუანტელი მივლიდა. სულაც არ იგრძნობოდა შობის დღესასწაულის მოახლოვება. საერთოდ, არაფრის მოახლოებაც არ იგრძნობოდა. მე მაინც გავსწიე სასეირნო მოედნისაკენ, რადგან ფიბის ამ ადგილებში უყვარს თამაში. ორკესტრის მახლობლად დასრიალებს ხოლმე. სასაცილო კია - ბავშვობაში მეც აქ ვციგურაობდი.

მივადექი მოედანს, მაგრამ ფიბი ვერ ვნახე. რამდენიმე ბავშვი ციგურებით სრიალებდა, ორი ბიჭი ბურთს თამაშობდა, ფიბი კი არსად ჩანდა. ერთი გოგონაშევნიშნე, სწორედ ფიბის ტოლა, სკამზე ჩამომჯდარიყო და ფეხზე

ციგურებს იმაგრებდა. ვიფიქრე, იქნებ ფიბის იცნობს და იცის კიდეც, ახლა სად არის-მეთქი. მივედი, გვერდზე მივუჯექი და ვკითხე.

- ფიბი კოლფილდს ხომ არ იცნობ?

- ვისა? - ჩამეკითხა გოგო. შარვალი ეცვა და ერთი ოცამდე სვიტრი. ეტყობოდა, დედამისს მოექსოვა - ულაზათოდ ადგა ტანზე, გამოფლაშკული ჰქონდა.

- ფიბი კოლფილდს. სამოცდამეთერთმეტე ქუჩაზე ცხოვრობს. მეოთხე კლასშია. აი იმ...

- თქვენ იცნობთ ფიბის?

- ჰო. ძმა ვარ მისი. იცი, სად არის?

- მისს ქელონის კლასში სწავლობს?

- არ ვიცი. მგონი კი.

- მაშ მუზეუმში იქნებიან. ჩვენ წარსუკლ შაბათს ვიყავით, - მითხრა გოგონამ.

- რომელ მუზეუმში?

გოგონამ მხრები აიჩეჩა.

- არ ვიცი, - თქვა მან, - მუზეუმში იქნებიან.

- ვიცი, მაგრამ, სურათებიან მუზეუმში, თუ საცა ინდიელები არიან იქა?

- საცა ინდიელები არიან.

- დიდი მადლობელი ვარ - ვუთხარი მე. ავდექი და წამოსვლა დავაპირე, მაგრამ უცებ გამახსენდა, რომ დღეს კვირა იყო.

- დღეს ხომ კვირაა! - ვუთხარი გოგონას.

მან შემომხედა.

აჰ, მაშ არ იქნება იქ.

ძალიან გააწვალა ციგურების დამაგრებამ. ხელთათმანები არა სცმია, არც არაფერი და სულ გათოშილ-გაწითლებული ჰქონდა ხელები. წავეშველე. ჰოი, ბიჭო, რამდენი წელიწადია, ციგურების გასაღები არა მჭერია ხელში. მაგრამ მაინც არ მეუცხოვა. კიდევ ორმოცდაათი წელი რომ გავიდეს და უცებ კუნაპეტ სიბნელეში შემომაჩეჩო, ხელადვე მივხვდები, რა არის. მადლობა მითხრა, როცა დავუმაგრე. მშვენიერი გოგონა იყო - საყვარელი და თავაზიანი. ძალიან სასიამოვნოა, ამისთანა პატარა გოგონას ციგურებს რომ დაუმაგრებ და ის თავაზიანად გეტყვის მადლობას. თითქმის ყველა ბავშვი თავაზიანი და საყვარელია. ნამდვილად. ცხელ შოკოლადზე ან რამეზე ხომ არ დამეწვევიტ- მეთქი, ვკითხე, მაგრამ არაო, მადლობელი ვარო. ამხანაგს უნდა შევხვდეო.

პატარა ბავშვებს სულ ასე მოსდგამთ - მუდამ ამხანაგები ელოდებიან. გაგიჟდები კაცი.

მართალია კვირა დღე იყო, არც ფიბი მეგულებოდა მუზეუმში, ამინდიც ასეთი ნესტიანი და საძაგელი იდგა, მაგრამ მე მაინც გადავჭერი პარკი და ეთნოგრაფიული მუზეუმისკენ გავემართე. ვიცოდი, რომ ამ მუზეუმს გულისხმობდა ციგურებიანი გოგონა. მთელი ასავალ-დასავალი ვიცოდი ამ მუზეუმისა. ფიბიც იმ სკოლაში შეიყვანეს, საცა მე ვსწავლობდი პატარაობისას, და მუდამ იქ დავჰყავდით ხოლმე სკოლიდან. ერთი მასწავლებელი გვყავდა - მისს ეიგლეტინგერი - შაბათი არ გამოერეოდა, რომ იქ არ წავეყვანეთ. ხან ცხოველებს ვათვალიერებდით, ხანაც ინდიელების მიერ უხსოვარ დროში გაკეთებულ სხვადასხვა ნივთებს. ჭურჭლეულიო, ჭილის კალათებიო, და ათას ამისთანა რაღაცეებს. რამდენს გავიხსენებ, იმდენი გული გამიხალისდება. ახლაც კი. მახსოვს ექსპონატების დათვალიერებას რომ მოვრჩებოდით, დიდ დარბაზში შეგვიყვანდნენ და კინოს გვაჩვენებდნენ. კოლუმბი. მუდამ კოლუმბი უნდა

ეჩვენებინათ - როგორ აღმოაჩინა ამერიკა, რამდენი ღიჭინი დასჭირდა, რომ ფერდინანდისა და იზაბელასთვის ხომალდის შესაძენი ფულები დაეცინცლა, მერე მეზღვაურები როგორ აუჯანყდნენ და რა ვიცი. კოლუმბი ვის რაში აინტერესებდა, მაგრამ თავშესაქცევად შაქარყინული და კევი მოჰქონდათ, თანაც დარბაზში მუდამ სასიამოვნო სუნი იდგა ხოლმე. ისეთი სუნი იდგა, გეგონებოდა გარეთ წვიმააო, - კიდეც რომ არ ყოფილიყო წვიმა, - შენ კი ზიხარ შენთვის არხეინად, მშრალად, ქვეყნად ყველაზე უფრო მყუდრო ადგილზე. გაგიჟებით მიყვარდა ეს ოხერი მუზეუმი. მახსოვს, ჯერ «ინდური ოთახი» უნდა გაგვევლო, მანამ დიდ დარბაზში შეხვიდოდი. თვალს ვერ გაუწვდენდი, იმსიგრძე ოთახი იყო, და უსათუოდ ჩურჩულით უნდა გელოაპარაკათ. კლასს მასწავლებელი მიუძღოდა წინ, ბავშვები წყვილ-წყვილად შეჰყავდათ. ჩემთან მუდამ ერთი და იგივე გოგო იდგა - გერტრუდა ლევინი. უსათუოდ ხელი უნდა ჩაეჭიდა - ხელი კი სულ ოფლიანი რა რაღაცნაიროი წებოვანი ჰქონდა. ქვის იატაკი ეგო და რამე კენჭი რომ გჭეროდა და დაგვარდნოდა, ისე გაიტკაცუნებდა, სულ გააყრუებდა იქაურობას. მასწავლებელი მაშინვე გააჩერებდა კლასს, მობრუნდებოდა და ნახავდა, რა მოხდაო. თუმცა გაბრაზებით თავის დღეში არ გაბრაზდებოდა მისს ეიგრეტინგერი. ჩაუვლიდი უსაშველოდ წაგრძელებულ ინდურ სამარ კარჭაპს - სამი კადილაკი რომ ჩაგემწკრივებია, იმსიგრძე მაინც არ იქნებოდა. ამ კარჭაპში ოცამდე ინდიელი იყო, ზოგი ნიჩბებს უსვამდა, ზოგიც ისე იდგა და მრისხანედ იყურებოდა აქეათ-იქით. სახე ყველას საომარ ყაიდაზე ჰქონდა მოხატული. კიჩოზე ერთი ნიღბიანი ინდიელი იჯდა - მოჩვენებასა ჰგავდა. იმათი ჯადოქარი იყო. იმის დანახვაზე შიშის კანკალი ამიტანდა, მაგრამ მაინც მომწონდა. ხელს თუ ახლებდი რამეს - ან ნიჩაბს ან სხვა რამეს, ერთ-ერთი დარაჯი მაშინვე გეტყოდა, «ხელს ნუ ახლებთ, ბავშვებო», მაგრამ პოლიციელივით ხომ არ დაგიღრიალებდა - ისე გეტყოდა, ტკბილად და ალერსიანად. მერე ჩაუვლიდი მინის დიდ ყუთს, რომელშიაც ინდიელები ისხდნენ. ჯოხები ეჭირათ ხელში და ცეცხლის გასაჩაღებლად ამ ჯოხებს ერთმანეთს უხახუნებდნენ, იქვე ერთი ქალი ჩაცუცქულიყო და ჩულსა ქსოვდა. ეს დედაკაცი წინ იყო გადმოხრილი და მკერდიც უჩანდა და ყველაფერი. ჩვენ გაფაციცებით ვუყურებდით ხოლმე, გოგოებიც კი, რადგან პატარები იყვნენ და ჩვენზე დიდი მკერდი არც იმათ ჰქონიათ. ბოლოს, ზედ დარბაზის შესასვლელთან, ხელმარჯვნივ, ერთი ესკიმოსი იჯდა პატრა ტბის პირას და თევზს იჭერდა. ორი თევზი უკვე დაეჭირა და ხელმარჯვნივ ეწყო. ჰოი, ბიჭო, რამდენი მინის ყუთი იდგა ამ მუზეუმში! მაგრამ ეს რაა - ზემო სართულში უნდა გენახა. აგერ ირმები დაწაფებიან წყაროს. იქით ზამთარი დამდგარა და ფრინველები სამხრეთისაკენ მიფრინავენ. შენკენ უფრო ახლო ფიტულები ჰკიდია მავთულზე, იქით კი, უკან, პირდაპირ კედელზეა მიხატული ჩიტები. მაგრამ ყველა ცოცხალსა ჰგავს და ასე გგონია, მართლაც სამხრეთისკენ მიფრინავენო. თავს თუ დაღუნავ და ქვემოდან ახედავ, მოგეჩვენება, კიდევ უფრო ჩქარა მიჰქრიანო. მაგრამ ამ მუზეუმისა ყველაზე უფრო ის მომწონდა, რომ ადგილს არაფერს არ უცვლიდნენ. ყველაფერი უცვლელად იდგა. ასიათასჯერ რომ მისულიყავი, ესკიმოსი ისევ ისე იდგა ტბასთან ჩამჯდარი და ორი თევზი ჰყავდა დაჭერილი, ფრინველები ისევ სამხრეთისაკენ მიფრინავდნენ, ირმები კვლავინდებურად წყაროს დასწაფებოდნენ - ისეთივე ლამაზი რქები, იმნაირივე წვრილი ფეხები, - ის მკერდგაღეღილი ინდიელი დედაკაციც იმგვარადვე ჩაცუცქული, ჩულის ქსოვაში გართული. შეცვლილს ვერაფერს ნახავ. მხოლოდ შენ იქნები შეცვლილი. განა

იმას ვამბობ, მოხუცდები ან რამე ასეთი-მეთქი. სულაც არა. მაგრამ შეცვლილი მაინც იქნები: ან ახალი პალტო გეცმევა, ან იმ ბავშვს, რომელიც შენს გვერდით იდგა, ქუნთრუშა ეჭირვება და ამიტომ სხვასთან იქნები დაწყვილებული ან მისს ეიგლეტინგერის ნაცვლად ახალი მასწავლებელი გეყოლება, ან არადა დედ-მამა წაიკიდებოდნენ დილით და იმათი ჩხუბი გექნება მოსმენილი სააბაზანოდან; ან იქნებ ქუჩაში გუბე ნახე და შიგ ბენზინის ცისარტყელა შენიშნე. ერთი სიტყვით, რაღაცნაირად შეცვლილი იქნები - კარგად ვერ გამომითქვამს, რასაც ვფიქრობ. იქნებ შემიძლია კიდეც გამოთქმა, მაგრამ მეზარება.

გზაში ჩემი სანადირო ქუდი ამოვიღე და დავიხურე; კაი მაგარი სინესტე იყო, თან ვიცოდი, რომ ნაცნობი არავინ შემხვდებოდა. მივდიოდი, მივდიოდი, და სულ იმას ვფიქრობდი, როგორ დაჰყავდათ ჩემი ფიბი შაბათობით მუზეუმში, სწორედ ისე, როგორც ერთხელ მე დავდიოდი; როგორ ნახულობდა იმავე ნივთებს, რაც მე უკვე მენახა, და როგორ იცვლებოდა თვითონ ყოველ ნახვაზე. ვერ ვიტყვი, ამის გაფიქრება გუნებას მიწამლავდა-მეთქი, მაგრამ არც ძალიან სასიხარულო იყო. ზოგიერთი რამე არ უნდა შეიცვალოს, ისევ ისე უნდა დარჩეს. უნდა შეიძლებოდეს იმ მინის დიდ ყუთში ჩასმა, რომ თავისთვის დასტოვო და ხელი არ ახლო. ვიცი, რომ შეუძლებელია, და სავალალოც ეგ არის. ერთი სიტყვით, მივდიოდი და ვფიქრობდი.

გავცდი სათამაშო მოედანს, მერე ავდექი და ყურება დავუწყე, როგორ თამაშობდა ორი ბავშვი აწონ-დაწონას. ერთი მათგანი ჩასუქებული იყო და მე გამხდარი ბავშვის მხარე დავიჭირე, ხელი წავაშველე - გავაწონასწორებ-მეთქი, მაგრამ, შევატყე, სულაც არ ეპიტნავებოდა ჩემი იქ ყოფნა, და გავშორდი.

უცებ სასაცილო რამე მოხდა. მუზეუმს რომ მივადექი, ერთბაშად ვიგრძენი, მილიონი დოლარიც რომ მოეცათ, შიგ შემსვლელე არ ვიყავი. გული არ მიმიწევდა - არადა მთელი ბაღი კი გადმოვიარე აქ მოსასვლელად. ფიბი რომ ყოფილიყო, ალბათ შევიდოდი, მაგრამ ფიბი არ იყო. მოვბრუნდი, იქვე მუზეუმის წინ ტაქსი დავიჭირე და «ბალტიმორისკენ» გავწიე. მაინცდამაინც არ მეხალისებოდა წასვლა, მაგრამ სალის რომ პაემანი დავუნიშნე!

17

ჯერ კიდევ ადრე იყო, როცა იქ მივედი. ტყავის სავარძელში ჩავჯექი, ზედ ვესტიბიულის საათის ქვეშ, და გოგოებს ავუწყე ცქერა. სკოლები უკვე დათხოვილი იყო და ქვეყნის გოგოს მოეყარა თავი - ზოგი იჯდა, ზოგი იდგა, ბიჭებს ელოდებოდნენ, ზოგს ფეხი ფეხი გადაედო, ზოგს დაშვებული ჰქონდა ფეხები, ზოგს ღმერთივით კანჭები ჰქონდა, ზოგს - საძაგელი, ზოგი მშვენიერი ჩანდა, ზოგი - საზიზღარი, თუკი კარგად გაეცნობოდი. ცუდად კი ნუ ჩამომართმევთ და, მართლაც რომ კარგი საყურებელი იყო. თუმცა, ამავე დროს ერთგვარი ნაღველიც შეგიპყრობდათ, რადგან თავიდან ვერ მოიშორებდით ფიქრს - ნეტა ამდენ გოგოს რა ეშველებაო. მერე რა ეშველებათ, სკოლებსა და კოლეჯებს რომ დაამთავრებენ? მეტი წილი ალბათ ვიღაც შტერებს მისთხოვდება. იმისთანა ვაჟბატონებს, რომელთაც თავიანთი ოხერი მანქანის მეტი არაფერი ახსოვთ და სულ ის აკერიათ პირზე - ერთი გალონი ბენზინით ამდენი და ამდენი მილი გავიარეო. იმისთანა ვაჟბატონებს, რომელთაც გოლფი ან პინგპონგისნაირი ბითურული რამე თუ მოუგე, პატარა ბავშვებივით გაიბუზღებიან. ყოვლად ბილწ ვაჟბატონებს, იმისთანებს, რომელთაც თავის დღეში წიგნი არა სჭერიათ ხელში.

გულისგამაწყალებელ ვაჟბატონებს... აქ კი სიფრთხილე მმართებს. გულისგამაწყალებელი ზოგს როგორ ესმის და ზოგს როგორ. მე პირადად ვიბნევი ხოლმე ამ საქმეში. ნამდვილად. ელექტრონჰილში მე და ერთი ბიჭი - ჰარის მაკლინი - თითქმის მთელი ორი თვე ვცხოვრობდით ერთად, ერთ ოთახში. ძალიან განათლებული ბიჭი იყო და ყველაფერი, მაგრამ იმისთანა გულისგამაწყალებელ ტიპს ჯერაც არავის შევხვედრივარ. საშინელი წრიპინა ხმა ჰქონდა და ენას ერთის წუთითაც არ დააყენებდა. სულ ლაქლაქებდა და ლაქლაქებდა. მაგრამ ერთხელაც არ წამოცდებოდა იმისთანა რამე, შენთვისაც საინტერესო ყოფილიყო. ერთ რამეს ვერ წაართმევდი - ისე უსტვენდა ძაღლიშვილი, რაც თავი მახსოვს, იმისთანა არაფერი გამიგონია. აგერ ლოგინს იშლის, ან კარადაში კიდებს რამეს - ყველაფერს კარადაში ჰკიდებდა ხოლმე, მაგიჟებდა პირდაპირ - და თან უსტვენს, თუკი თავისი წრიპინა ხმით ლაქლაქში არაა გართული. კლასიკური რამეების სტვენაც შეეძლო, მაგრამ უფრო ხშირად ჯაზს უსტვენდა. ისე სასიამოვნოდ და ლაღად დაუსტვენდა ნამდვილ ჯაზურ სიმღერას, მაგალითად «თუნუქის სახურავს», - მანამ ტანსაცმლის დაკიდებაში იყო გართული, - რომ პირდაპირ ჭკუას დაკარგავდი. რა თქმა უნდა, მისთვის ერთხელაც არ მითქვამს, დიდებულად უსტვენ-მეთქი. ანკი როგორ უნდა უთხრა კაცს პირში - დიდებულად უსტვენო. მაგრამ სწორედ ამ სტვენის ეშხით თითქმის მთელი ორი თვე ვცხოვრობდი მასთან ერთად ოთახში, მიუხედავად იმისა, რომ საშინელი გულისგამაწყალებელი იყო, ლამის ჭკუიდან შეგშლიდა კაცს. ერთი სიტყვით, ძნელია თქმა, ვინ არის გულისგამაწყალებელი. იქნებ სულაც არ დაგწყდეს გული, ამისთანა თავისმომაბეზრებელ ვაჟბატონებს დიდებული გოგო რომ მისთხოვდეს. ბოლოს და ბოლოს, ვის რას უშავებენ, არიან თავისთვი და ჩუმ-ჩუმად. იქნებ ყველა მათგანი დიდებულად უსტვენდეს... რას გაუგებ! ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი.

ბოლოს როგორც იქნა, სალიც გამოჩნდა კიბეზე. მაშინვე დაბლა დავეშვი და შევეგებე. მშვენიერი ჩანდა. ნამდვილად. რაღაცნაირი შავი პალტო ეცვა და ბერეტიც შავი ეხურა. საერთოდ, ქუდს იშვიათად იხურავს, მაგრამ ახლა ეს ბერეტი ძალიან უხდებოდა. სასაცილო ის იყო, რომ თვალი მოვკარი თუ არა, მაშინვე გადავწყვიტე, ცოლად შევირთავ-მეთქი. გიჟი ვარ, აბა რა. არც კი მომწონდა მაინცდამაინც და უცებ ცოლად შერთვა არ გადავწყვიტე! ნამდვილად გიჟი ვარ, ვაღიარებ!

- ჰოლდენ! როგორ გამეხარდა შენი ნახვა. მთელი საუკუნე აღარ მინახიხარ! - იმნაირი როხროხა ხმა ჰქონდა, რომ ცოტათი შეგრცხვებოდა კიდეც გარეშე ხალხისა. იმას კი არაფერიაკლდებოდა. ისეთი ლამაზი იყდო, მაგრამ მაინც ჩამწყვეტდა ხოლმე გულს.- მეც ძალიან გამეხარდა შენი ნახვა, - მართლაც გამეხარდა, - რას იქ, როგორა ხარ? - ვუთხარი მე.

- დიდებულად. დავაგვიანე, არა?

არა-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ ათი წუთი მართლაც დააგვიანა. რა მოხდა მერე! მთელი ეს კარიკატურები, «სეტერდეი ივნინგ პოსტი» რომ ბეჭდავს ხოლმე - ბიჭები რომ აყუდებულან კუთხეში და დაგვიანებული გოგოების მოლოდინში ცხვირი ჩამოუშვიათ - თავიდან ბოლომდე მიქარვაა. გოგო იყოს ლამაზი და დაგვიანებას რა თავში ვიხლი.

- ახლა კი ვიჩქაროთ, - ვთქვი მე, - ორზე და ორმოცზე იწყება.

დავეშვით კიბეზე და ტაქსის გაჩერებასთან გავედით.

- რაზე მივდივართ? - მკითხა მან.

- არ ვიცი. ლანტები თამაშობენ. სხვაგან ვერ ვიშოვე ბილეთები.

- ლანტები! რა დიდებულია!..

აკი გითხარით, ლანტების გაგონებაზე გაგიჟდება-მეთქი.

თეატრშიმისვლამდე, ტაქსში რამდენჯერმე ვაკოცეთ ერთმანეთს. ჯერ უარზე იყო, იმიტომ რომ ტუჩებიჰქონდა წათხიპნილი, მაგრამ მე რას დამიდგებოდა, ვაცთუნე! ორჯერ ისე დაამუხრუჭა მანქანა გადასასვლელზე, ლამის ძირს გავიშხლართე. ეს ოხერი შოფრები, კი არ უყურებენ, სად მიდიან, რას შვრებიან. ახლა ჩემი სიგიჟეც ნახეთ. ჩახუტებული რომ მყავს და ცოტათი შევუშვი ხელი, მიყვარხარ-მეთქი ვეუბნები. ტყუილი ვუთხარი, რაღა თქმა უნდა, მაგრამ იმ წუთას მართლაც ასე მეგონა. გიჟი ვარ. ღმერთმანი, ნამდვილი გიჟი ვარ.

- ო, ჩემო ძვირფასო, მეც მიყვარხარ - თქვა მან და სული არც კი მოუთქვამს ისე დასძინა - ოღონდ სიტყვა მომეცი, რომ თმას მოუშვებ. ასე მოკლედ ახლა აღარვინ იკრიჭავს. ამისთანა მშვენიერი თმა მაინც არ გქონდეს!

მშვენიერი თმა! მომსპო კაცი.

არც ისეთი ცუდი გამოდგა ეს სპექტაკლი, ადრე ნახული სპექტაკლების მიხედვით რომ ვვარაუდობდი. თუმცა მაინც სამაგლობა იყო. ერთი ცოლ-ქმრის ამბავი გვაჩვენეს. ბარე ათასი წელი ეცხოვრათ ერთად. დასაწყისში ახალგაზრდები არიან. ქალის მშობლებს არ უნდათ, ამ ბიჭს მიათხოვონ შვილი, მაგრამ მაინც თავისას გაიტანს გოგო. მერე თანდათანობით ბერდებიან და ბერდებიან. ქმარი ომში მიდის, ქალს კი ერთი ლოთი ძმა ჰყავს. მაინცდამაინც ვერ დამაინტერესა. ეგეც მე ვიდარდო, ოჯახში ვინმე მოუკვდებათ თუ რა დაემართებათ?! მსახიბები დადიოდნენ სცენაზე და მეტი არაფერი. ცოლ-ქმარი კარგები იყვნენ - ჭკუამახვილებიც და ყველაფერი - მაგრამ იმდენად ვერც იმათ დამაინტერესეს. ისე დაიწყო და გათავდა სპექტაკლი, რომ სულ ჩაის თუ რაღაც ოხრობას სვამდნენ. რამდენჯერაც ახადეს ფარდა - ან მსახურს შემოაქვს ჩაი, ან ცოლი უსხამს ვინმეს. წარამარა შემოდიან და გადიან. ალფრედ ლანტი და ლინ ფონტანი მოხუცი ცოლ-ქმრის როლში გამოდიოდნენ, და ძალიან კარგებიც იყვნენ, მაგრამ მე დიდად არ მომწონებია. თუმცა აკი ვამბობ, ვერავინ ვერ შეედრებოდა. არც ჩვეულებრივ ხალხსა ჰგვანდნენ და არც მსახიობებს. ვრე გამომითქვამს. ისე თამაშობდნენ, რომ ეტყობოდა შეგნებული ჰქონდათ, რა ბრწყინვალე მსახიობებიც არიან. განა კარგები არ იყვნენ - საქმეც ის არის, მეტისმეტად კარგები იყვნენ. ჯერ ერთს არ დაემთავრებინა სიყტვა, რომ ახლა მეორე მივარდებოდა და სხაპასხუპით მიაყრიდა სათქმელს. ნამდვილი ხალხის ლაპარაკსა ჰგავდა - ერთმანეთს აღარ აცლიდნენ. უბედურება ის იყო, რომ მეტისმეტად ემსგავსებოდნენ ხალხს, სუკლ პირში სწვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. ცოტათი იმ ერნის ჩამოგავდნენ, გრინვიჩ-ვილეჯში პიანინოზე რომ უკრავს. მეტისმეტად კარგად რომ აკეთებ რამეს, თუ ამასთან მუდმივი კონტროლიც არ გაუწიე თავს, ცოტა სხვაგვარად გამოგივა, გამოსაჩენად და ეს უკვე აღარ ვარგა. მაგრამ მთელს სპექტაკლში მაინც ის ორი გამოირჩეოდა - ლანტებზე მოგახსენებთ - ეტყობოდათ, რომ ტვინს ამოძრავებდნენ. რაც მართალია, მართალია.

პირველი მოქმედების შემდეგ სხვა ვაჟბატონებთან ერთად ჩვენც პაპიროსის მოსაზევად გავედით. აბა იქ უნდა შეგეხედათ. თქვენს დღეში არ გებნებათ ნახული იმდენი მანჭვა-გრეხა. თამბაქოს კვამლში გახვეულან და ხმამაღლა ლაპარაკობენ პიესაზე, რათა ყველამ გაიგონოს და მიხვდეს, რა ჭკუისკოლოფებიც არიან. ერთი ბითური კინომსახიობი იდგა ჩვენს გვერდით, ისიც პაპიროსს

აბოლებდა. გვარი არ მახსოვს, მაგრამ საომარ ფილმებში მუდამ ერთი როლი აქვს: ზედ ბრძოლის დაწყების წინ ვაჟკაცობა უმტყუნებს და ფერფური მისდის. ქერა გოგო ახლდა, ღმერთივით გოგო. თავი ისე ეჭირათ, თითქოს ამქვეყნიური დიდება მოყირჭებული ჰქონოდეთ, ეს ბიჭი თითქოს არც კი ამჩნევდა, რომ ხალხი მას შეჰყურებდა. თავმდაბალი გახლდათ! ჰოი, რა სასაცილო იყო! სალის ბევრი არა ულაპარაკნია, შიგადაშიგ წამოისროდა ხოლმე ლანტების ქებას: ლაპარაკის თავი სადღა ჰქონდა, სულ იმანჭებოდა და იგრიხებოდა. უცებ, ფოიეს იქითა მხარეს ვიღაც კოხტა-პრუწას მოჰკრა თვალი, ძველ ნაცნობს. თაგვისფერი კოსტუმი ეცვა იმ ვაჟბატონს და უჯრულა ჟილეტი. დიდი ვინმე კი ბრძანდება. არისტოკრატი. კედელს მიჰყუდებოდა და უღმერთოდ ქაჩავდა პაპიროსს. შეხედავდი, გული აგერეოდა. სალი კი წარამარა იმეორებს:

- სადღაც კი გავიცანი ეს ბიჭი.

ასე იცოდა ხოლმე - საცა არ უნდა წაგეყვანა, უსათუოდ გადაეყრებოდა ვინმე ნაცნობს, ან მოეჩვენებოდა ნაცნობიაო ისე დაიჟინა, რომ თავი მომაბეზრა და ბოლოს ვუთხარი:

- თუკი ასე იცნობ, რატომ არ მიხვალ და გულიანად არ გადაკოცნი?! გაეხარდება.

საშინლად აიტკიცა, ასე რომ ვუთხარი. ბოლოს, როგორც იქნა შენიშნა იმ კოხტა-პრუწამ, მოვიდადა გამარჯობა უთხრა. უნდა გენახათ, როგორ მიესალმნენ ერთმანეთს. ოცი წლის უნახავები გეგონებოდათ. პატარაობისას ერთ აბაზანში უბანავიათო, იტყოდით. დიდი დოსტები არ აღმოჩნდნენ! გული აგერეოდათ. სასაცილო კი ის იყო, რომ სულ ერთხელ შეხვდნენ ალბათ ერთმანეთს, რომელიმე ბითურულ საღამოზე. სიხარული დორბლები რომგადმოყარეს, სალიმ მეც გამაცნო. ჯორჯი ერქვა - გვარი აღარ მახსოვს - ენდოვერში სწავლობდა. დიდი ვინმე კი ბრძანებულა! ერთი უნდა შეგეხედათ, სალიმ რომ ჰკითხა, პიესა როგორ მოგწონსო. ესეც ერთ-ერთი იმ ვაჟბატონთაგანი გამოდგა, დიდის ამბით რომ მოემზადებიან პასუხის გასაცემად და ადგილს გაითავისუფლებენ ირგვლივ. ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ვიღაც ქალს პირდაპირ ფეხზე არ შეადგა! საწყალს ალბათ სულ დაუჩეჩქვა თითები. თვითონ პიესა შედევრი ვერ არისო, ამოშაქრა, მაგრამ ლანტები, რა თქმა უნდა, ნამდვილი ანგელოზები არიანო. ანგელოზებიო! ეშმაკმა დალახვროს. ანგელოზები! არ მომსპო კაცი! მერე მოდგნენ და თუკი ვინმე ჰყოლიათ საერთო ნაცნობი, ყველა ახსენეს. ამისთანა სულელური ლაქლაქი ჩემს დღეში არ მომისმენია. სხაპასხუპით ასახელებდნენ სხვადასხვა ქალაქს და მერე იქ მცხოვრებ ნაცნობებს იხსენებდნენ. ლამის გული ამერია, მანამ მოქმედება დაიწყებოდა. არ გეხუმრებით. მეორე შესვენებაზე ისევ არ განაახლეს თავიანთი გულისამრევი ლაპარაკი! სულ ახალ-ახალი ქალაქები გაიხსენეს, სადაც სხვა მათი ნაცნობები ცხოვრობდნენ. მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ ამ კოხტა-პრუწა ვაჟბატონს ხმაც ისეთი მიკნავებულ-მინაზებული აღმოაჩნდა, მეტისმეტად გადაღლილი და სნობისტური. ქალივით წრიპინებდა. გოგოს წართმევასაც არ მოერიდება ეს ნაბიჭვარი! ერთი პირობა ვიფიქრე, ალბათ ტაქსში ჩაგვიჯდება და გამოგვყვება-მეთქი, რადგან მთელი ორი კვარტალი ფეხით გამოგვყვა სპექტაკლის დამთავრების შემდეგ. მაგრამ მასავით კოხტა-პრუწებს უნდა შეხვედროდა, კოკტეილის დასალევად შევიპირეო, თქვა. წარმოვიდგინე, როგორ სხედან სადმე ბარში, ბითურულ უჯრულა ჟილეტებში გამოწკეპილან და თავიანთი გადაღლილი სნობისტური ხმით სპექტაკლებს, წიგნებსა და ქალებს აკრიტიკებენ. მომსპეს და გამათავეს ამ ვაჟბატონებმა.

სალიც კი შემეზიზღა, ტაქსში რომ ჩავსხედით: მთელი ათი საათი რანაირად უსმინა იმ კოკობზიკა ენდოვერელ ნაბიჭვარს! ვიფიქრე, ახლავე შინ მივიყვან-მეთქი - მივიყვანდი კიდეც - მაგრამ უცებ მეუბნება:

- დიდებული აზრიმ მომივიდა! - სულ ასეთი დიდებული აზრები არ მოსდიოდა! - მოიხედე, - მითხრა მან, - შინ რა დროს უნდა მიხვიდე სადილისთვის? ძალიან არ გეჩბარება? განსაზღვრულ დროს მიდიხარ ხოლმე?

- მე? არა. როცა მინდა, მაშინ მივალ. - ჰოი, ბიჭო, ამაზე მართალი ჩემს დღეში არაფერი მითქვას. - რა იყო?

- რადიო-სიტიში წავიდეთ და ვიციგურაოთ.

ამისთანა გენიალური აზრები მოსდის ყოველთვის.

- რადიო-სიტიში ვიციგურაოთ? ახლავე გინდა?

- ერთი საათით, ან ცოტათი მეტით? არ გინდა? მაშინ...

- როდის გითხარი, არ მინდა-მეთქი. წავიდეთ. თუკი მართლა გინდა.

- შენც გინდა? თუ არ გინდა, ნუ მომერიდები. ჩემთვის სულერთია, სად წავალთ.

დიახ, როგორ არა!

- იქ ისეთი მშვენიერი საციგურაო კაბები ქირავდება, - თქვა სალიმ, - ჯენიტ კალცმა გამოიტანა იმ კვირას.

ამიტომაც მომასო ფეხი. ერი სული ჰქონდა, მანამ იმ მოციცქნილ კაბას ჩაიცვამდა და თავის გამოსკუპულ უკანალს გამოაჩენდა.

წავედით. ჯერ ციგურები მოგვცეს. მერე სალიმ გამოიტანა ის პატარა ლურჯი კაბა, რომელშიაც ყველაფერი მოუჩანს ადამიანს. მოუხდა კი, რაც მართალია, მართალია. თავიდანვე იცოდა, რომ მოუხდებოდა. აბა რა გგონიათ! სულ წინ მიმიძღოდა განგებ და თავის კოხტა უკანალს მიბზეკდა. მართლაც კოხტა რამე იყო, რაც მართალია,მართალია.

მაგრამ სასაცილო ის იყო, რომ მთელს იმ ოხერ მოედანზე ყველაზე უბადრუკი მოციგურავეები ჩვენ აღმოვჩნდით. ყველაზე უბადრუკი! ჰოი, რა დღეში ვიყავით! ისე ამოუტრიალდებოდა ხოლმე სალის კოჭები, რომ სულ ყინულზე ეხახუნებოდა. მარტო სასაცილო როდი იყო, ალბათ საშინლად სტკიოდა კიდეც. მე პირადად მტკიოდა, მტკიოდა, მკლავდა კაცს! დიდებული სანახავი კი ვიქნებოდით! მთელი უბედურება კი ის იყო, რომ იქვე, სულ ცოტა ორასი უქნარა აყუდებულიყო - საქმე არაფერი ჰქონდათ, იდგნენ და უყურებდნენ, როგორ ეცემოდა ხალხი.

- არგინდა, შევიდეთ და რამე დავლიოთ? - ვუთხარი ბოლოს.

- ამისთანა დიდებული აზრი დღეს შენ არ მოგსვლია. - მაშინვე დამეთანხმა. მოკვდა საწყალი. მხეცობაა, აბა რა არის! მართალი თუ გინდათ, შემეცოდა კიდეც.

წავიძვრეთ ეს ოხერი ციგურები და ბარში შევედით. აქ წინდების ამარა დაჯდებოდი, დალევდი და მოციურავეებსაც დაინახავდი. დავსხედით თუ არა, სალიმ ხელოთათმანები წაიძრო და მე სიგარეტი მივაწოდე. მაინცდამაინც ბედნიერი არ ჩანდა. ოფიციანტიც მოვიდა. ერთი კოკა-კოლა სალისთვის დავუკვეთე - მაგარ სასმელს არ სვამდა - და ერთი სოდიანი ვისკი ჩემთვის. მაგრამ უარი მითხრა ძაღლისშვილმა და მეც კოკა-კოლა მოვატანინე. მერე ასანთის გაკვრას მოვჰყევი. ასე დამჩემდა. ზოგჯერ მომიხუსტურებს, - ამოვიღებ ასანთს, გავკრავ და როცა სულ დაიწვება და ხელში დაჭერა აღარ შეიძლება, საფერფლეში ვყრი ხოლმე. ნერვიულობამ იცის.

უცებ სალი მეუბნება.

- მოიხედე. წინასწარ უნდა ვიცოდე. ჩემთან არ მოხვალ, შობის ხეს არ მომართვევინებ? ახლავე უნდა მითხრა.

ეტყობოდა კოჭების ტკივილმა გაამწარა.

- აკი მოგწერე, მოვალ-მეთქი. ბარე ოცჯერ მკითხე. მოვალ, უსიკვდილოდ მოვალ.

- დანამდვილებით მინდა ვიცოდე. - თქვა მან და აქეთ-იქით თვალების ცეცება დაიწყო.

უცებ ასანთს თავი გავანებე და სალისკენ გადავიხარე. ზოგი რამე მქონდა სათქმელი.

- მოიხედე, სალი, - მივმართე მე.

- რა იყო? - ვიღაც გოგოს მიშტერებოდა, იქითა კუთხეში.

- გულის მოყირჭება თუ გამოგიცდია როდისმე? - ვკითხე, - აღარფერი რომ არ გინდა; თუ ის არ გააკეთე, რაც გულით გწადია, ყველაფერი გბეზრდება! გიყვარს, მაგალითად, სკოლა და ამისთანები?

- დიდი თავისმოსაბეზრებელი კია.

- არა, მერას გეკითხები: თუ გძულს-მეთქი. საშინელი თავისმომაბეზრებელი რომაა, ეს მეც ვიცი,| მაგრამ თუ გძულს-მეთქი, აი რა მინდა გკითხო.

- სიძულვილით არ მძულს, მაგრამ რაღაცნაირად...

- მე კი მძულს. ჰოი, ბიჭო, როგორა მძულს! - ვთქვი მე, - განა მარტო სკოლა. ყველაფერი მძულს. ნიუ-იორკიც მძულს. ტაქსები მძულს. მედისონ ავენიუს ავტობუსებიც მძულს - კონდუქტორები რომ მოდგებიან და ღრიალებენ, უკანა კარებიდან ჩადითო. ეს კოხტა-პრუწა ვაჟბატონებიცა მძულს, ლანტებს რომ ანგელოზებს ეძახიან. გარეთ რომ გინდა გამოსვლა და უსათუოდ ლიფტით რომ უნდადაეშვა, ესეცა მძულს; ბრუკის სამკერვალოში რომ შებრძანდებიან ვაჟბატონები და კოსტუმების მოზომებას აღარ ათავებენ, ესეც მძულს, ხალხი რომ მოდგება...

- რა გაყვირებს! - მითხრასალიმ.

რა სისულელეა, სულაც არ მიყვირია.

- ახლა მანქანები! - განვაგრძე მე თითქმის ჩურჩულით, - როგორ კარგავენ ჭკუას ამ მანქანებზე. ოდნავ რომ გაიფხაჭნოს, დარდით ღამეები აღარა სძინავთ, სულ იმის ტრაბახში არიან -ერთი გალონი ბენზინით ამდენი და ამდენი მილი გავიარეო; მანქანის ყიდვას ვერც კი ასწრებენ, რომ ხელად ახალი თავსატეხი უჩნდებათ - როგორმე უახლეს გამოშვებაზე გადაგვაცვლევინაო. მე კი ძველი მანქანებიც არ მიყვარს. სულაც არ მეპიტნავება. ცხენი მირჩევნია. ცხენს ადამიანური რაღაც მაინც აქვს. ცხენს ბოლოს და ბოლოს...

- ნეტა რას ლაპარაკობ!.. რას მიედ-მოედები...

- იცი რა გითხრა - მივმართე მე - შენ რომ არ იყო, მე ახლა ნიუ-იორკში არ ვიქნებოდი. შენ რომ არ მახლდე თან, ჯანდაბაში გადავიკარგებოდი. ტყეში გავვარდებოდი, ან სადმე ოხრობაში. შენ მიჭერ, შენ გამო ვარ აქ.

- რა კარგი ხარ! - თქვა მან. მაგრამ ხელადვე შეატყობდი, რომ საუბრის შეცვლა უნდოდა.

- ერთი ვაჟების სკოლაში უნდა შეგიყვანონ, და მაშინ ნახავ. აბა სინჯე, - ვუთხარი მე, - სულ თვალთმაქცებით არის გატენილი, სწავლითაც იმიტომ სწავლობენ, რომ ცოტა გამოიქექონ და ერთ მშვენიერ დღეს ის ოხერი კადილაკი შეიძინონ. დიდის ამბით რომ გარწმუნებენ - გინდა წააგოს ჩვენმა გუნდმა, გინდა მოიგოს, ჩვენთვის სულერთია, არას ვინაღვლებთო! და მთელი დღეები ცარიელი

ყბედობა - გოგოებზე, დალევაზე, ხვევნა-კოცნაზე. ყველას თავისი ბინძური ბანდა ჰყავს და იმათთან ტრიალებს. კალათბურთელები ცალკე დაძრწიან, კათოლიკები - ცალკე, ეს დაწყევლილი ინტელექტუალისტები - ცალკე, ბრიჯის მოთამაშეებიც თავისთვის არიან, იმ ბითურულ «წიგნის ყოვლეთვიური კლუბის» მკითხველებიც კი ცალკე მიიწევენ. ძალიანაც რომ მოინდომო, წესიერად გამოლაპარაკება...

- კარგი ერთი, აბა რას ამბობ! - შემაწყვეტინა სალიმ, - ბიჭები იმდენ რამეს სწავლობენ, ხოლმე სკოლაში!..

- გეთანხმები! გეთანხმები, რომ ზოგი მართლაც ბევრ რამეს სწავლობს. მაგრამ მე რა ვისწავლე? ჰა? ამას მოგახსენებდი. სწორედ ეს მაწუხებდა. იოტის ოდენა არაფერი მისწავლია. ცუდად არის ჩემი საქმე. ძალიან ცუდად.

- მართლაც ცუდად არის.

უცებ რაღაცამ გამკრა თავში.

- მოიხედე, - ვუთხარი მე, - რაღაც მოვიფიქრე. არ გინდა აქაურობას მოვშორდეთ? ჰა, რას იტყვი? გრინვიჩ-ვილეჯში ერთ ბიჭს ვიცნობ, მანქანას გვათხოვებს ორიოდე კვირით, ერთად ვსწავლობდით სკოლაში, ათი დოლარი ვასესხე, ჯერაც არ გადაუხდია. იცი რა ვქნათ, ავდგეთ და ხვალ დილითვე მასაჩუსეტისაკენ გავსწიოთ, იქიდან ვერმონტს ჩავალთ, სულ მოვივლით იქაურობას. დიდებული ადგილებია, - რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, მით უფრო ვღელავდი და ვღელავდი. ის კი არა და სალისკენ მივიწიე და ხელში ვწვდი. შტერი ვარ, აბა რა ვარ! - არ გეხუმრები, - განვაგრძე მე - ას ოთხმოც დოლარამდე ფული მაქვს ბანკში. დილით, გააღებენ თუ არა, მივალ და გამოვიტან, მერე იმ ბიჭს გავუაროთ და მანქანა გამოვართვათ. არ გეხუმრები. მანამ ფული გაგვითავდება, ვიყოთ ასე, საზაფხულო კარვებში ვიცხოვროთ. ფული რომ გაგვითავდება, სადმე სამსახურს ვიშოვი, დავსახლდეთ მდინარის პირას, უფრ მოგვიანებით დავქორწინდებით კიდეც და ყველაფერი. ზამთარი რომ დაგება, შეშას მე თვითონ დავჩეხავ. ღმერთივით მოვეწყობით. დამიჯერე. რას იტყვი? გამომყვები? გაბედე.

- რას ამბობ, როგორ იქნება! - ხმაში წყენა შევატყვე.

- ვითომ რაო? რატომაც არა!

- ნუ მიყვირი, თუ შეიძლებოდეს, - მითხრა მან.

რა სისულელეა. ყვირილი არც მიფიქრია.

- რატომ? რატომ არა?

- იმიტომ, რომ არ შეიძლება. მორჩა და გათავდა. ჯერ ერთი, პატარები ვართ. ფული რომ გაგვითავდება და სამუშაოსაც ვეღარ იშოვი, მაშინ რა უნდა ვქნათ?! ამაზე რატომ არ ფიქრობ?! ხომ დავწყდით მშივრები! ეგ ისეთი ფანტაზიაა, რომ არც კი ღირს...

- სადაური ფანტაზიაა! სამსახურს როგორ ვერ მშოვი. შენ ფიქრი ნუ გაქვს, მაგისი დარდი ნუ შეგაწუხებს. რა მოგივიდა? არ გინდა გამომყვე? თუ არ გინდა, ეგეც მითხარი.

- განა მაგას ვამბობ! სულაც არ, - მითხრა სალიმ. მაგრამ უკვე შევატყე, რომ შემძულდა, - რა გაჩქარებს, მაგისთანებისთვის ქვეყნის დრო გვექნება. ჯერ კოლეჯში შედი, მერე, ვნახოთ, თუ ვიქორწინებთ... გასასეირნებელ ადგილებს რა გამოლევს შენ ჯერ...

- არა. არსადაც არ წავალთ. არც გასასეირნებელი ადგილებია და არც არაფერი. ყველაფერი შეიცვლება, - ვუთხარი მე. ისევ ძაღლის გუნებაზე დავდექი.

- რაო? - ჩამეკითხა, - ვერაფერი ვერ გავიგე. ხან მიყვირი, ხან კი...

- არა-მეთქი! კოლეჯში რომ შევალ, არავითარი გასასეირნებელი ადგილები აღარ იქნება. კარგად დაუფიქრდი. მაშინ ყველაფერი შეიცვლება. უნდა ავიკითდოთ ჩემოდნები და ბარგი-ბარხანა და ლიფტით უნდა დავეშვათ. ყველას უნდა დავურეკოთ და გამოვემშვიდობოთ; მერე საცა არ მივალთ, ყოველი სასტუმროდან ღია ბარათები უნდა ვგზავნოთ. მე სამსახურში უნდა მოვეწყო სადმე და ფულები ვხვეტო. ან მანქანით ვივლი სამსახურში ან მედისონ ავენიუს ავტობუსით, გაზეთებს ვიკითხავ, სულ ბრიჯის თამაშში ვიქნები გართული, საღამოობით კი კინოებში ვივლი. რაც ბითურული მოკლემეტრაჟიანი ფილმები და ქრონიკები გამოვა, ყველაფერს ვნახავ. ქრონიკები. ღმერთო დიდებულო. ჯერ დოღს აჩვენებენ, აგერ ქალი შამპანურის ბოთლს გემს ესვრის, მერე შიმპანზეს შარვალს ჩააცმევენ და ველოსიპედზე შესვამენ. არა, ყველაფერი შეიცვლება. შენ კი არ გესმის, რას გეუბნები.

- იქნებ მართლაც არ მესმოდეს. ან იქნებ შენ თვითონ არ გესმოდეს, - მითხრა სალიმ. უკვე ვეღარ ვიტანდით ერთმანეთს. აშკარა იყო, რომ მასთან სერიოზულ ლაპარაკს აზრი აღარ ჰქონდა. ჩემს თავზე ვბრაზდებოდი, რატომ წამოვიწყე-მეთქი.

- წადი ერთი შენი... - ვუთხარი მე.

ჰოი, ბიჭო, გაწიწმატდა, მაგრამ რა გაწიიწმატდა. ვიცი, რომ დავაშავე, არ უნდა მეთქვა, არც ვეტყოდი, მაგრამ რომ აღარ მომეშვა. გოგოებთან ჩემს დღეში არ დამცდენია ამისთანაგინება. ჰოი, ბიჭო, რა გაწიწმატდა! გადავიქაჩე დ მოვყევი ბოდიშებს, მაგრამ ვინ მოგისმინა. ის კი არა და, ტირილიც ამოუშვა. ცოტა არ იყოს შევცბი - ვაითუ ადგეს და ყველაფერი მამამისს ჩაუკაკლოს-მეთქი. მამამისი ერთი ბრუჩუნა ნაბიჭვარი იყო, ჩემზე მაინცდამაინც არ ამოსდიოდა მზე, ძალიან ხმაურიანიაო, სალისთვის უთქვამს ერთხელ.

- მაპატიე, ნუ მიწყენ, - აღარ ვეშვები სალის.

- გაპატიო! გაპატიო! ჰმ, რა სასაცილოა! - ისევ ტიროდა, და ერთბაშად გული მეტკინა, რატომ შევაგინე-მეთქი.

- წამოდი, შინ გაგაცილებე. არ გეხუმრები.

- მადლობელი ვარ. თვითონაც გავიგნებ გზას. მართლაც გიჟი ყოფილხარ, თუ იმას ფიქრობ, რომ სახლამდე მიგაცილებინებ თავს. მთელს ჩემს სიცოცხლეში არც ერთ ბიჭს არ უკადრებია ჩემთვის ამისთანა სიტყვები.

ძალიან სასაცილო კი იყო, რომ დაუფიქრდეს კაცი, და უცებ ისეთი რამე გავაკეთე, რაც არ უნდა გამეკეთებინა. გამეცინა. მაგრამ მტრისას, ისეთი როხროხა და შტერული სიცილი მაქვს. კინოში ან სადმე რომ ვიჯდე ჩემივე თავის უკან, უსათუოდ გადავიწეოდი წინ და ჩემს თავს ვეტყოდი, გეყოფა, მოკეტე-მეთქი. ამან კიდევ უფრო გააცოფა სალი.

ერთხანს ვუტრიალე და ვუბოდიშე, მაგრამ არ გატყდა. თავიდან მომწყდიო, დაიჟინა. ბოლოს მართლაც მოვშორდი. ჩემი ფეხსაცმელები და ტანსაცმელი გამოვიტანე და წამოვედი. მარტოკა მივატოვე. არ უნდა მიმეტოვებინა, მაგრამ ყელში ამომივიდა.

მართალი თუ გინდათ, ისიც კი არ ვიცი, რაში დამჭირდა მთელი ეს ლაპარაკი. რას წამოვიწყე მასაჩუსეტსა და ვერმონტში გამგზავრების ამბავი. აქეთ რომ შემომხვეწნოდა, მაშინაც არ წავიყვანდი. ანკი ვინ წაიყვანდა. მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ მართლაც გულით ვთხოვე, წავიდეთ-მეთქი. აი ეს არის ყველაზე უფრო საშინელი. გიჟი ვარ ნამდვილად.

საციგურაო მოედნიდან რომ წამოვედი, შიმშილი ვიგრძენი. ბუფეტში შევუხვიე და შვეიცარული ყველის სენდვიჩი და რძის კოქტეილი გეახელით, მერე სატელეფონო ჯიხურში შევედი. ერთს კიდევ დავურეკავ ჯეინს და გავიგებ, შინ თუ არის მეთქი. მთელი საღამო თავისუფალი ვიყავი და ვიფიქრე, მოდი დავურეკავ, შინ თუ დამიხვდა, ან საცეკვაოდ წავიყვან ან სხვაგან სადმე-მეთქი. რამდენი ხანია ვიცნობდი და ჯერაც არ მეცკვა მასთან. ისე, ერთხელ კი ვნახე მისი ცეკვა. ძალიან კარგი მოცეკვავე ჩანდა. ეს იყო ოთხ ივლისს, კლუბში. მაშინ იმდენად დაახლოებული არ ვყოფილვარ და აღარ ჩამოვაშორე თავის თავის ბიჭს. ერთ საშინელ ტიპს ახლდა - ელ პაიკს, სოუტის სტუდენტს. არც იმას ვიცნობდი ხეირიანად, მაგრამ სულ საცურაო აუზის მახლობლად წრიალებდა და იქა ვხედავდი. რაღაცნაირი თერი ნეილონის საცურაო ტრუსიკი ეცვა და მუდამ კოშკურიდან ხტებოდა ხოლმე. დილიდან საღამომდე სულ ასე ხტებოდა, რაღაც ძველებური, ბითურული მანერით. მეტი არც არაფერი შეეძლო, მაგრამ თავი ბრწყინვალე მოცურავედ მოჰქონდა. ცარიელა კუნთები და არც ერთი ნამცეცი ტვინი! ერთი სიტყვით, ჯეინი მასთან ცეკვავდა იმ საღამოს. ვერ გავიგე კი რატომ. ვერასდიდებით ვერ მივხვდი. მერე, როცადავუახლოვდი, ვკითხე, ელ პაიკისთანა კუდაბზიკა ნაბიჭვართან რას დადიხარ-მეთქი. კუდაბზიკა სულაც არ არისო, მითხრა. პირიქით, არასრულფასოვნების კომპლექსი აქვსო. ეტყობოდა, რომ ეცოდებოდა. სხვის დასანახად კი არ აკეთებდა ნამდვილად ეცოდებოდა, ახირებული ხალხია ეს გოგოები. ვინმე ოხერი ნაბიჭვარი თუ უხსენე - თუნდა მთლად გლახაკი იყო, თუნდა მეტისმეტად ცხვირაბზეკილი - რამდენჯერაც არ უნდა უხსენო, სულ იმას გაიძახიან, არასრულფასოვნების კომპლექსი აქვსო. იქნებ მართალიც იყოს, მაგრამ ეს რას უშველის - ნაბიჭვარი მაინც ნაბიჭვარადვე რჩება. გოგოები! ვერასდიდებით ვერ გაუგებ, რას ფიქრობენ. ერთხელ რობერტა უოლშის ოთახის ამხანაგი გავაცანი ერთ ჩემს მეგობარს, ბობ რობინზონს. იმას კი მართლაც ჰქონდა ეს საკუთარი თავის დაუფასებლობა. მშობლების ერცხვინებოდა, იმიტომ რომ სულ ასე ლაპარაკობდა მისი დედა და მამა - «მაგას უნდათ», «იმას უნდათ» და ამისთანა სისულელეებს. თან მდიდრებიც ვერ იყვნენ მაინდამაინც. მაგრამ თვითონ არ ყოფილა ურიგო ყმაწვილი. პირიქით, ძალიან კარგი ბიჭი იყო. რობერტა უოლშის ამხანგს კი სულაც არ მოუვიდა თვალში, იბღინძებაო, რობერტასთან თქვა.

რატომ, არ იკითხავთ? იმიტომ, რომ ბიჭს შემთხვევით წამოსცდენია, სადისკუსიო გუნდის კაპიტანი ვარო. ერთი ბეწო იაღლიში და იმ წუთში - იბღინძებაო, მიაკენრა.

მთელი უბედურება ის არის, რომ ბიჭი თუ მოსწონთ გოგოებს, რაგინდა ნაბუშარი იყოს, არასრულფასოვნების კომპლექსი აქვსო, ამბობენ, ხოლო ერთხელ თუ აითვალწუნეს, ღმერთივით ბიჭიც რომ იყოს, არასრულფასოვანიც და ყველაფერი, მაინც ცხვირსა ბზეკსო, იტყვიან.

ერთი სიტყვით, კიდევ დავურეკე ჯეინს, მაგრამ არავინ მიპასუხა და იძულებული გავხდი, მილი დამეკიდა. მერე უბის წიგნაკი გავშალე და მისამართები გადავათვალიერე. ვინ ოხრობასთან შეიძლება საღამოს გატარება-მეთქი. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ სულ სამი ნომერი მეწერა შიგ: ჯეინისა, მისტერ ანტოლინისა - ეს იყო ჩემი მასწავლებელი ელქტონ-ჰილში - და მამაჩემის

სამსახურის ტელეფონი. მავიწყდება ხოლმე ნომრების ჩაწერა. ბოლოს ავდექი და კარლ ლიუსს დავურეკე. ამ ბიჭმა ჩემი იქიდან წამოსვლის შემდეგ დაამთავრა ჰუტონის სასწავლებელი. ჩემზე სამი წლით უფროსი იქნებოდა, და დიდად არც მყვარებია, მაგრამ ძალიან ჭკვიანი იყო - მთელს ჰუტონში ყველაზე კარგ მოწაფედ ითვლებოდა - და ვიფიქრე, იქნებ სადილზე დამეწვიოს და ცოტა ჭკვიანურ რამეს ვილაპარაკებთ-მეთქი. საინტერესო ამბების მოყოლა იცოდა ზოგჯერ. ერთი სიტყვით, დავურეკე. კოლუმბის უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ 65-ე ქუჩაზე ცხოვრობდა და ვიცრდი, რომ ახლა შინ იქნებოდა. სადილად არა მცალიაო მითხრა, ათ საათზე კი, თუ გინდა, უიკერ ბარში მოდი, 54-ზე, რამე დავლიოთო. ეტყობოდა, ძალიან გაუკვირდა ჩემი ხმის გაგონება, იმიტომ, რომ ერთხელ სქელ-დუნდულა მანჭია დავუძახე.

ათ საათამდე სადმე ხომ უნდა მომეკლა დრო, და მეც რადიო სიტისკენ გავწიე, კინოს საყურებლად. ამაზე დიდი საშინელება რა უნდა გამეკეთებინა, მაგრამ იქვე ახლოს იყო და ბევრი ფიქრისა და რჩევის თავიც აღარ მქონია.

მე რომ მივედი, ის ბითური დივერტისმენტი უნდა დაეწყოთ. როკეტის მოცეკვავეები სასაცილოდ იმანჭებოდნენ - ხომ გინახავთ როგორ ცეკვავენ ხოლმე, რომ ჩამწკრივდებიან და ერთმანეთს წელზე შემოხვევენ ხელს. მაყურებლები შეშლილებივით უკრავდნენ ტაშს. ჩემს უკან ერთი ტიპი იჯდა, წარამარა ამას ჩასჩიჩინებდა თავის ცოლს: «იცი, ეს რა არის? უდიდესი სიზუსტით ცეკვავენ». მომსპო კაცი! ცეკვას რომ მორჩნენ, ერთი სმოკინგიანი ვაჟბატონი გამოხრიგინდა გორგოლაჭებით, დახრიგინებდასცენაზე, პაწაწინა მაგიდების ქვეშ თითქოს რაღაცას დაეძებდა და თან ოხუნჯობდა. ძალიან მარჯვედ კი დასრიალებდა და ყველაფერი, მაგრამ გემო მაინც ვერ ჩავატანე, რადგან წარმოვიდგინე, რამდენს იწვალებდა ამის ვარჯიშში. სისულელე იყო. საერთოდ, ვატყობდი, რომ გუნებაზე ვერ ვიყავი. ამ ვაჟბატონს შემდეგ საშობაო წარმოდგენა გვაჩვენეს: აი, ყოველწლიურად რომ მართავენ ხოლმე რადიო სიტიში. გამოლაგდნენ და გამოლაგდნენ ყუთებიდან ანგელოზები. ვიღაცეებმა ჯვარცმა გამოასვენეს, სცენაზე დაატარებდნენ და ყველანი ერთად - ბარე ათასი კაცი - მღეროდა: «მოდით, მოგროვდჟით მორწმუნენო!» შეშლილებივით ბღაოდნენ. დიდ ამბავში იყვნენ. ვიცი, რომ ეს წმინდა რელიგიურ ცერემონიად არის მიჩნეული და ძალიანაც მოსწონთ, მაგრამ ღვთის წინაშე, მე ვერც რელიგიურს ვხედავ მასში რამეს და ვერც მოსაწონს; სადაური რელიგიაა - ხროვა-ხროვად დაჯლიგინობენ მსახიობები სცენაზე და ჯვარცმას დაათრევენ. როცა ყველაფერს მორჩნენ და კვლავ თავიანთი ყუთებისაკენ დაიძრნენ, ზედვე ეტყობოდათ, რომ ერთი სული ჰქონდათ, მანამ ადამიანურად ჩამოჯდებოდნენ და პაპიროსს გააბოლებდნენ. შარშანაც ვნახე ეს, სალი ჰეისთან ერთად, და სალი აღტაცებული გაიძახოდა, რა დიდებული რამეაო, კოსტუმებიც მოეწონა და ყველაფერი. მე ვუთხარი, ქრისტეს რომ ენახა ეს უბადრუკი კოსტუმები და საერთოდ რაც აქ ხდება, საწყალს ალბათ გული აერეოდა-მეთქი. შენ ღვთისმგმობელი და ათეისტი ხარო, სალიმ მითხრა. ალბათ, ვარ კიდეც. ერთი რამე კი მართლაც მოეწონებოდა იესოს - დიდ დოლზე დამკვრელი. რვა წლის ვიქნებოდი, პირველად რომ ვნახე ის ბიჭი და მას შემდეგ სულ მახსოვს. მშობლები რომ წაგვიყვანდნენ ხოლმე მე და ელის, ჩვენ წინ გადავსხდებოდით, ორკესტრს მივუახლოვდებოდით და იმ ბიჭს ვუყურებდით. იმისთანა დოლზე დამკვრელი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. მართალია, მთელი იმდროის განმავლობაში სულ ერთი-ორჯერ უწევს დოლზე დარახუნება, მაგრამ უქმად მჯდომსაც სულ არ ეტყობა მოწყენა. სამაგიეროდ,

მისი ჯერი რომ დადგება, ისე გემრიელად და ლაზათიანად დაუკრავს!.. სახეზედაც შეატყობ, რა გაფაციცებით უკრავს. ერთხელ, ვაშინგტონში რომ წაგვიყვანა მამაჩემმა, ელიმ იმ ბიჭს ღია ბარათი გამოუგზავნა, მაგრამ სანაძლეოს ჩამოვალ, რომ არც მიუღია. მაშინვე ვგრძნობდით, რომ მისამართი არ იყო სწორი.

გათავდა საშობაო წარმოდგენა და ის ოხერი კინოც დაიწყო. ისეთი საძაგელი რამე იყო, თვალი ვეღარ მოვაშორე. ერთი ინგლისელია, ალეკი ჰქვია, გვარი არ მახსოვს, ომში წავა და ჰოსპიტალში მეხსიერებას დაჰკარგავს. გამოვა ჰოსპიტალიდან, ხელში ჯოხი უჭირავს, საცოდავად მოჩლახუნობს, მთელს ლონდონს შემოივლის, მაგრამ თავისი ვინაობა არ იცის! სინამდვილეში ჰერცოგია, მაგრამ არ ახსოვს და რა ქნას. მერე უცებ ერთ უბრალო, შეუხედავ ალა გოგოს გადაეყრება. ავტობუსში ადის ის გოგო და ქარი ქუდს მოსტაცებს. კაცი წაავლებს ქუდს ხელს და მისცემს. ავლენ ავტობუსში, დასხდებიან და ჩარლზ დიკენსზე გააბამენ საუბარს. ორივეს საყვარელი მწერალი აღმოჩნდება. ის კი არა და, ამ კაცს თურმე თან დააქვს «ოლივერ ტვისტი». ასევე გოგოსაც. ცოტაც გაწყდა, გული არ ამერია. მოკლედ, იქვე შეუყვარდებათ ერთმანეთი, იმიტომ, რომ ორივენი ჩარლზ დიკენსზე კარგავენ ჭკუას და კაცი საგამომცემლო საქმეებში ეხმარება ქალს. გამომცემელია ეს ქალი, მაგრამ კარგად ვერ მისდის საქმე, რადგან ერთი ლოთი ძმა ჰყავს, და რასაც მოგებას ნახულობენ, სულ ის უფლანგავს. ძაან გაბოროტებულია ეს კაცი, ქალის ძმა, ომში თურმე ექიმი იყო. ახლა ისე მოშლია ნერვები, რომ ოპერაციას ვეღარ აკეთებს და მთელი დღე ხარივით სვამს, თუმცა ჭკვიანი კაცი კია და ყველაფერი. ბოლოს ეს ჩვენი ალეკი წიგნს დაწერს, ქალი გამოუცემს, ბლომად ფულს მოხვეტავენ, და ის არის ჯვარიც უნდა დაიწერონ, რომ უცებ საიდანღაც მეორე ქალი გამოჩნდება, მარსია. ეს მარსია ადრე თურმე ალეკის შეყვარებული იყო, მანამ ბიჭი მეხსიერებას დაჰკარგავდა. ერთხელ, მაღაზიაში რომ დგას ალეკი და წიგნზე ვიღაცეებს ავტოგრაფებს უწერს, ეს ქალი შევა და იცნობს. ქალი ეტყვის, შენ ნამდვილი ჰერცოგი ხარ და ყველაფერიო, მაგრამ ალეკს არა სჯერა და არასდიდებით არ მიჰყვება დედის სანახავად. დედამისი თურმე ღამურასავით ბრმა ყოფილა. მაგრამ მეორე ქალი, შეუხედავი რომაა, ძალათი გააგდებს. ძაან კეთილშობილი ქალია და ყველაფერი. ერთი სიტყვით, წავა ეს კაცი. მაგრამ მეხსიერება მაინც არ დაუბრუნდება. აგრე თავისი დიდი დანიური ძაღლი შეახტება, დედამისი სახეში ატაკებს თითებს, სათამაშო დათუნიასაც გამოუტანენ, ბავშვობისას თვითონ რომ თავით ფეხებამდე ლოკავდა ხოლმე... მაგრამ არა და არა, მეხსიერება არ უბრუნდება. ბოლოს, ერთ დღეს ბიჭები კრიკეტს თამაშობენ ეზოში და კრიკეტის ბურთი უცებ არ მოხვდება ამ კაცს თავში! იმავე წუთში დაუბრუნდება მეხსიერება, შევარდება სახლში, დედას შუბლზე აკოცებს და ყველაფერი. ისევ ჰერცოგი გახდება, იმ შეუხედავ ქალს, თავისი გამომცემლობა რომ აქვს, სულ გადაივიწყებს. ბოლომდე მოგიყვებოდით ამ ამბავს, მაგრამ ვაი თუ გული ამერიოს. იმის შიში კი არა მაქვს, შთაბეჭდილება არ გაგიფუჭოთ-მეთქი. ან კი რა არის აქ გასაფუჭებელი. მოკლედ, ყველაფერი იმით მთავრდება, რომ ალეკი იმ შეუხედავ ქალს შეირთავს, ლოთი ძმა ნერვებს დაიმშვიდებს და ალეკის დედას თვალების ოპერაციას გაუკეთებს, სინათლეს დაუბრუნებს, მერე ლოთი ძმა და ძველი მარსია შეიყვარებენ ერთმანეთს. სულ ბოლოს ყველანი დიდ სუფრას უსხედან და სიცილით მუცელზე იფხრიწებიან, რადგან ის უშველებელი დანიური ძაღლი, შემოვარდება და ლეკვებს შემოათრევს. აქამდე ალბათ ყველას ხვადი ეგონა ის ძაღლი, თუ რა

ვიცი, რა აცინებდათ. რაღა დამრჩენია სათქმელი. გულისარევა თუ არ გინდათ, ამ სურათს ნუ ნახავთ.

ყველაზე უფრო იმან მომსპო და მომანელა, რომ ერთი ქალი იჯდა ჩემს გვერდით - უყურებდა ამ ბითურ სურათს და სლუკუნებდა. რაც უფრო მეტი სიყალბე გამოჩნდება ეკრანზე, მით უფრო მაგრად ამოუშვებდა ხოლმე ქვითინს. ერთი შეხედვით იფიქრებდი, ძაან გულჩვილია და იმიტომ მოსდის ასეო, მაგრამ გვერდზე მეჯდა და ჩემი თვალით ვნახე, რა გულჩვილიც ბრძანდებოდა. თან შვილი ახლდა, მოსწიყნდა ამ პატარა ბიჭს მთქნარება აუტყდა და ჩააცივდა დედას - საპირფარეშოში წამიყვანეო. თავი მოიკლა და არ წაიყვანა. ჭკუას არიგებდა - ნუ წრიალებ და წესიერად მოიქეციო. რაღა მგლის გულჩვილობა და რაღა იმისი. ამ ბითურულ სურათებს რომ უყურებენ და ზლუქუნებენ, ღაპაღუპით ჩამოსდით თვალებიდან ცრემლები - გამოიყვანეთ და ნახავთ, ათიდან ცხრა მაინც ნაბიჭვარი და გულბილწი თუ არ აღმოჩნდეს, არ გეხუმრებით.

კინო რომ დამთავრდა, უიკერ ბარისაკენ გავწიე, კარლ ლიუსს უნდა შევხვედროდი. მივდიოდი და ომზე ვფიქრობდი. საომარ ფილმებს რომ ვნახავ, სულ ასე მემართება ხოლმე. ომში რომ წამიყვანონ, ალბათ ვერ ავიტან. ვერასდიდებით ვერ ავიტან. გაწვევისთანავე თუ გესროლეს და მოგკლეს, ან რამე გიქნეს, კიდევ არა უშავს, მაგრამ ჯერ უნდა გაწანწალონ და გაწანწალონ ჯარში. ყველაზე დიდი საშინელება ესაა. ოთხი ოხერი წელი გაატარა ჩემმა ძმა დ.ბ.-მ ჯარში. ომშიც იყო, - კონტინენტზე გადასხეს და ყველაფერი, მაგრამ, მგონი ომზე უფრო ჯარში ყოფნა ეჯავრებოდა. პატარა ბიჭი ვიყავი მაშინ, მაგრამ მაინც მახსოვს. შვებულებით რომ ჩამოვიდოდა, დაეგდებოდა ლოგინზე და იწვა. სასტუმრო ოთახშიაც კი იშვიათად გამოვიდოდა. მერე ევროპაშიაც გადაიყვანეს, ფრონტზეც მოხვდა, მაგრამ არც დაჭრილა და არც არაფერი, ის კი არა და თოფიც არავისთვის უსვრია. მთელი დღეები ვიღაც კოვბოის გენერალს დაატარებდა შტაბის მანქანით. სხვა არაფერი ჰქონია საქმე. ერთხელ მე და ელის გვითხრა, კიდეც რომ ყოფილიყო საჭირო სროლა, არც კი ვიცოდი, ვისთვის მესროლაო. რაღა ფაშიტების არმია და რაღა ჩვენი - სულ ნაბიჭვრებით იყო გატენილიო. მახსოვს, ელიმ ჰკითხა, ეს ომში ყოფნა ცოტათი მაინც თუ გამოგადგება, როგორც მწერალს, დასაწერ მასალას თუ გაძლევსო. დ.ბ.-მ ელი გაგზავნა და ლექსებით აჭრელებული საბეისბოლო თათმანები მოატანინა: ვინ უფრო კარგად წერს ომზე - რუპერტ ბრუკი თუ ემილი დიკინსონიო, ჰკითხა. ემილი დიკინსონიო, ელიმ ეპასუხა. მე თვითონ ბევრი არაფერი მესმის ამეებისა, ლექსებს მაინცდამაინც ვერ ვეწყობი, მაგრამ ეს კი დანამდვილებითვ ვიცი: ჯარში რომ ავეწვიე და იქ ეკლისთანა და სტრედლეიტერისთანა, თუნდა იმ მორისისთანა, ვაჟბატონებს გადავყროდი, იძულებული ვყოფილიყავი, მათთან ერთად მწკრივში მევლო და მეცხოვრა, უსათუოდ ჭკუიდან შევირყეოდი. ერთხელ ბოი სკაუტების რაზმში ვიყავი ჩაწერილი, სულ ერთი კვირით, და პირდაპირ გული მერეოდა. როცა მწკრივში ჩემს წინ მდგარი ბიჭის კისერს ვუცქერდი. სულ იმას გვიჩიჩინებდნენ - კისერში უყურეთ თქვენს წინ მდგარსაო. კიდევრომ დაიწყოს ომი, თავს გეფიცებით, მირჩევნია, მაშინვე გამიყვანონ და დამხვრიტონ. ხმასაც არ გავიღებ. დ.ბ.-ზე ვარ გაბრაზებული: ხომ ასე სძულს ომი, შარშან ზაფხულს აიღო და «მშვიდობით, იარაღო» არ წამაკითხა! დიდებული წიგნიაო. ვერ გამიგია რა. იქ ერთი კაცია გამოყვანილი, ლეიტენანტი ჰენრი - ღმერთივით ბიჭიაო, დაუჟინიათ. ჩემი ძმისა მიკვირს - ჯარი და ომი ასე ეჯავრება და ყველაფერი, ეს პრანჭია ბიჭი

კი მაინც მოსწონს. ერთი სიტყვით, მე ის ვერ გამიგია, როგორ შეიძლება კაცს ამისთანა ბითურული წიგნიც უყვარდეს და რინგ ლარდნერიც, ანდა «დიდ გეტსბიზე» ჰკარგავდეს ჭკუას. დ.ბ.-ს ეწყინა, ეს რომ ვუთხარი ჯერ ღლაპი ხარ და რას გაიგებო. მაგრამ არა მგონია, ასე იყოს. მაშ რინგ ლარდნერი და «დიდი გეტსბი» რატომღა მომწონს-მეთქი, მე ვუთხარი. «დიდ გეტსბიზე» ჭკუას ვკარგავდი. გეტსბის რა შეედრება. კაცური კაცია, ვაჟკაცი. ისე, ძალიან კარგი ჰქნეს, რომ ატომური ბომდი გამოიგონეს. კიდევ რომ დაიწყოს ომი, ავდგები და პირდაპირ იმ ბომბზე დავჯდები. ჩემით, კი არავის ვკითხავ. ღმერთმანი. არ ვხუმრობ.

19

ნიუ-იორკში თუ არ გიცხოვრიათ, არ გეცოდინებათ, რომ უიკერ ბარი სასტუმრო «სეტონ ოტელშია» მოთავსებული. უწინ ხშირად ავდიოდი, ახლა აღარა. თანდათანობით ამოვიკვეთე ფეხი. ეს ითვლება ერთ-ერთ ყველაზე უფრო მდიდრულ, კეთილმოწყობილ ადგილად, და მთელი კოხტა-პრუწა ხალხიც იქ გამოეფინება ხოლმე. აქ ყოვლეღამე სამ-სამჯერ გამოდიოდნენ ფრანგი გოგოები - თინა და ჟანინი, როიალს უკრავდნენ და მღეროდნენ. ერთი უკრავდა - საზიზღრად; მეორე კიმღეროდა - ხან რაღაც ბინძურ სიმღერებს, ხანაც ფრანგულს. ის მომღერალი, ჟანინი, მიკროფონთან რომ მივიდოდა, მანამ სიმღერას დაიწყებდა, უსათუოდ რამე უნდა წაეჩურჩულებინა. მაგალითად ასე: «ახლა კი ჩვენ გვინდა მოგასმენინოთ «ვულე ვუ ფრანსე». ეს არის სიგერა პათარა გოგონა, რომელის დიდი ქალაქში შამოდის,. ვთქვათ როგორს ნიუ იორქი და შეიქვარებს ბრუქლიანელ ფათარა ვაჟს. იმედი გაქს, თქვენს მოგესონები». მორჩებოდა ჩურჩულს და რამეს წაიღიღინებდა, უღიმღამოდ, მოსაწყენს - ნახევარს ინგლისურად, ნახევარს ფრანგულად, ამ კოტა-პრუწა ხალხს კისულ გადარევდა და გააგგიჟებდა, შორიდან რომ შეგეხედათ და იმათი ტაშისცემისთვის გეყურებინათ, ღმერთს გეფიცებით, ადამიანის სახსენებელი შეგძულდებოდათ. ბარის პატრონის კაი ბინძური ვაჟბატონი ბრძანდებოდა. პირწავარდნილი სნობი. თუ დიდი მიღებული და გამოჩენილი ვინმე არ იყავი, ზედაც არ შემოგხედავდა. თუ დიდი გამოჩინებული და მიღებული კაცი იყავი, ისე მოგელაქუცებოდა, რომ გულს აგირევდა. მოვიდოდა, გაგეჭყანებოდა - ტუჩებს ყურებთან მიიტანდა - ვითომ, ნახევ რა კარგი ბიჭი ვარო, და გკითხავდა: «როგორაა საქმე, კონეკტიკუტში რა ამბავია»; ან არადა «ფლორიდიდან რა ისმის?» საძაგელი ბარია. არ გეხუმრებით. თანდათანობით ამოვიკვეთე იქიდან ფეხი.

ჯერ კიდევ ადრე იყო, როცა მივედი. დახლს მივადექი - ხალხი ბლომად ირეოდა - და ერთი-ორი ჭიქა ვისკი დავლიე, ლიუსს აღარ დაველოდე. როცა ვუკვეთავდი, ფეხზე წამოვდექი - ნახონ რამსიმაღლე ვარ, უწლოვანი არავის ვეგონო-მეთქი. მერე ერთხანს ამ კოკობზიკა ხალხს ვათვალიერებდი. ერთი ბიჭი იჯდა ჩემს მეზობლად, გოგო ახლდა. ლამის შეჭამა ის გოგო. დაიჟინა, გინდა თუ არა, არისტოკრატული ხელები გაქვსო. მომსპო და მომანელა. ბარის იქითა კუთხეში მოსირისტიანო ხალხი შეგროვილიყო. თვალში კი არ გეცემოდათ იმათი სირისტიაობა - არც ჩამოგრძელებული თმა ჰქონიათ და არც არაფერი - მაგრამ მაინც შეატყობდით, რომ სირისტიანები იყვნენ. ბოლოს ლისიც გამოჩნდა.

ლიუსი. ლიუსი! ჰოი, რა ტიპი იყო! ჰუტონში რომ ვსწავლობდით, ჩემს «მრჩეველ-სტუდენტად» ითვლებოდა, და რას აკეთებდა - სულ სექსუალურ

ამბებზე ლაყბობდა, როცა გვიან ღამით ბიჭები შეგროვდებოდნენ მის ოთახში. ამისთანა რამეები ხუთი თითივით იცოდა - განსაკუთრებით გაფუჭებული ხალხის ასავალ-დასავალი. მოყვებოდა ხოლმე ათასნაირი გათახსირებული ვაჟბატონების ამბავს - ვინ ცხვარს დასდევსო, ვინ კიდე ქუდის სარჩულად გოგოს ტრუსებს იკერებსო. ათასი სირისტიანისა და ლესბიანელის თავგადასავალს. რაც ამერიკაში პედერასტი და ლესბიანელია, სულ ზეპირად იცოდა. ვინმეს ახსენებდი - ვინც არ უნდა ყოფილიყო - მაშინვე გეტყოდა, პედერასტია თუ არა. ზოგჯერ ძნელი დასაჯერებელიც ხდებოდა, იმისთანა ხალხზე იტყოდა პედერასტი ან ლესბიანელიაო - კინომსახიობებზე და ამისთანებზე. რამდენი ცოლშვილიანიც დაასახელა - პედერასტიაო. რამდენჯერაც არ უნდა ჩაჰკითხოდი: «ნუთუ ჯოუ ბლოუც პედერასტია? ჯოუ ბლოუ, კაცო?! ამისთანა მოსული და ჩასკვნილი ბიჭი, სულ განგსტერებსა და კოვბოებს თამაშობს!» პასუხი ერთი იყო: «მაშ არა და!» ენის წვერზე ეკერა ეს სიტყვა «მაშ არა და!» ცოლშვილიანია თუ უცოლშვილო, მაგას მნიშვნელობა არა აქვსო. რაც ქვეყანაზე ცოლშვილიანი ხალხია, ნახევარი პედერასტი იქნება, მაგრამ ზოგჯერ თვითონაც ვერ გრძნობენ ამასო. მიდრეკილება თუ გაქვს, ერთ ღამეში შეიძლება შენ თვითონვე გახდე პედერასტიო. დაგვაფეთებდა ხოლმე - ელეთ-მელეთი მოგვდიოდა. სულ იმის შიშში ვიყავი, უცებ პედერასტი არ გავხდე-მეთქი. მაგრამ სასაცილო ის იყო, ზოგჯერ თვითონ ლიუსიც იმნაირ კაცად მეჩვენებოდა. დაიწყებდა ხოლმე «იცი, რა გითხრა!» გამოგყვებოდა დერეფანში და სანამ არ გაგასავათებდა, არ მოგეშვებოდა საპირფარეშოში რომ შევიდოდა, კარს ღიას დააგდებდა და იქიდან გელაპარაკებოდა, მანამ შენ კბილს იწმენდდი ან რამეს აკეთებდი. გაფუჭებული კაცის მეტი ვინ იზამს ამას. ნამდვილი გაფუჭებული იყო. გაფუჭებული ხალხი ბევრი მინახავს სკოლებში და სხვაგანაც, სწორედ ამისთანა რამეებს აკეთებდნენ, ამიტომაც მეპარებოდა ხოლმე ეჭვი ლიუსზე. თუმცა ძალიან ჭკვიანი ბიჭი კი იყო. რაც მართალია, მართალია.

თავისდღეში გამარჯობას არ გეტყოდა, როცა შეგხვედროდა. ახლაც, მოვიდა თუ არა, სულ ორი წუთით მოვედიო, გამომიცხადა. გოგოს უნდა შევხვდეო. მერე მშრალი მარტინი დაუკვეთა. ზეთისხილს ნუ უზამო, ბარმენი გააფრთხილა.

- ჰო, მართლა, ერთი გაფუჭებული კაცი კაცი შეგირჩიე, - ვუთხარი მე, - ეგერ, მეორე ბოლოში. ჯერ ნუ გაიხედავ, შენთვის შევარჩიე.

- რა ოხუნჯი! - მიპასუხა, - რაც იყავი, იგივე კოლფილდი დარჩი. აღარ უნდა გაიზარდო?!

ეტყობოდა, მაგრად ავადუღე. მართობდა ხოლმე მისი გაბრაზება. ამისთანა ტიპები ძალიან მართობენ.

- შენი სასიყვარულო ამბები როგორ მიდის? - ვკითხე მე. ვერ იტანდა, ამისთანა რამეს რომ შეეკითხები.

- მომეშვი ერთი, - მითხრა მან, - თუ ღმერთი გწამს, შენთვის დაჯექი და მომეშვი.

- აკი ვზივარ! - კოლუმბიაზე რას იტყვი? მოგწონს?

- მომწონს, აბა რა! რომ არ მომწონდეს, ხომ არც წავიდოდი! - თქვა მან. ზოგჯერ მეც საშინლად მაღიზიანებდა ხოლმე.

- რა ხელობა აირჩიე? - ვკითხე მე, - გაფუჭებულობაში ოსტატდები? - ავურევ-მეთქი, გადავწყვიტე.

- შენ რა, - ოხუნჯობაზე დებ თავს?

- არა, ისე გეხუმრები, - ვუთხარი მე, - მოიხედე, ლიუს. ჭკვიანი ბიჭი ხარ. იქნებ მირჩიო რამე. საშინელ დღეში...

ერთი მაგრად ამოიხვნეშა.

- გეყოფა, კოლფილდ, თუ გინდა, რომ წყნარად ვისხდეთ და ტკბილად ვილაპა...

- კარგი, კარგი, - ვუთხარიმე, - დამშვიდდი.

აშკარად ეტყობოდა, რომ სერიოზულ საუბარს ერიდებოდა.

ჭკუისკოლოფებმა სულ ასე იციან! თვითონ თუ არ მოეგუნებათ, მოკვდებიან და სერიოზულად არ გამოგელაპარაკებიან. რაღა ჩარი იყო, ზოგად რამეებზე დავუწყე ლაპარაკი.

- არ გეხუმრები, მართლა როგორ მიდის შენი სასიყვარულო საქმები? - ვკითხე მე, - ისევ იმ გოგოს დასდევ, ჰუტონში რომ გყავდა? აი, საშინელი ის რომ აქვს...

- აჰ, აჰ, ღმერთმა დამიფაროს!

- მაინც რა მოხდა? სად არის ახლა?

- აზრზე არა ვარ. ალბათ სულ წავიდა ხელიდან და ნიუ ჰემპშირის მეძავი გახდა.

- რა უსინდისობაა! სულ ერთად იყავით, ყველაფრის ნებას გაძლევდა და ახლა ამისთანა ლაპარაკი რა საკადრისია!

- ღმერთო ჩემო! - შესძახა ლიუსმა, - ისევ შენებური დაიწყე?! ჰა, ისევ შენებურს აპირებ?

- ნუ გეშინია, - ვუთხარი მე, - მაგრამ მაინც უსინდისობაა. შეგითვისა. ყველაფრის ნებას გაძლევდა...

- აღარ გავათავოთ ეს საშინელი ნატაციები!

აღარაფერი მითქვამს. შემეშინდა, არ ადგეს და არ მიმატოვოს-მეთქი. ავიღე და კიდევ დავუკვეთე ვისკი. დათრობა მომინდა.

- ახლა ვისთან დადიხარ აბა? - ვკითხე მე, - თუ, არ გინდა მითხრა?

- არ იცნობ შენ.

- მაინც ვინ არის? იქნებ ვიცნობდე.

- ერთი ვილეჯელი გოგოა. მოქანდაკე. რაკი ასე ჩამაცივდი.

- ოჰ! მართალს ამბობ? რა ხნისაა?

- ეს კი, მართალი გითხრა, არ მიკითხავს.

- მაინც? დაახლოებით?

- ასე, ოცდაათს იქნება გადაცილებული.

- ოცდაათსო? რას ამბობ? მოგწონს მერე? - გავიკვირვე მე, - მოგწონს ამ ხნის ქალები? - იმიტომ ჩავაცივდი, რომ ამისთანა საქმეებში ძალიან კარგად ერკვეოდა. იშვიათად შევხვედრივარ ადამიანს, რომ მასავით ყოფილიყოს გარკვეულ ამეებში. თოთხმეტი წლისა იყო, უმანკოება რომ დაჰკარგა, ნანტუკეტში. ნამდვილად.

- მომწიფებულ ქალებს თუ გულისხმობ, მართლაც მომწონს. მაგას რაღა ბევრი ჩიჩინი უნდა.

- მართლა? რატომ მერე? ხუმრობა იქით იყოს და უფრო ვნებიანები არიან?

- მოიხედე. რატომ არ გინდა გამიგონო. შენებურად თუ დამიწყე, იცოდე პასუხს ვერ ეღირსები. როდის ჯანდაბაში უნდა გეღირსოს გაზრდა?!

ერთხანს ჩუმად ვიყავი. დავაცადე. ლიუსმა კიდევ დაუკვეთა მარტინი, ოღონდ ცოტა უფრო მშრალი იყოსო.

- მოიხედე. მაინც რამდენი ხანი იქნება, იმ გოგოსთან რომ დადიხარ. იმ მოქანდაკესთან? - ვკითხე მე. მართლა დავინტერესდი. - ჰუტონში ყოფნის დროს იცნობდი?

- არა. სულ რამდენიმე თვეა, რაც ამერიკაში ჩამოვიდა.

- რას ამბობ, საიდან?

- შანხაიდან.

- რას მიჰქარავ! ჩინელია!

- აბა რა გეგონა.

- კარგი ერთი! მოგწონს მერე? მოგწონს ჩინელი რომაა?

- აბა რა.

ჩაგწერს, მიღების დროს დაგინიშნავს. არ გინდა - ნუ გინდა! კაცმა რომ თქვას, ჩემთვის სულერთი არ არის!.

მხარზე ჩამოვადე ხელი. ძალიან კი გამართო.

- მეგობრობაც ამას ჰქვია, შე ნაბიჭვარო, - ვუთხარი მე, - აბა რა გგონია!

მაჯის საათს დახედა.

- უნდა გავიქცე, - თქვა და წამოდგა, - ძაან მესიამოვნა შენი ნახვა, - ბარმენს მოუხმო და თავისი ანგარიში მოსთხოვა.

- დაიცა, - ვუთხარი მე, - შენთვის გაუკეთებია როდესმე მამაშენს ფსიქოანალიზი?

- ჩემთვის? რატომ მეკითხები?

- ისე. თუ გაუკეთებია-მეთქი? ჰა?

- რომ გითხრა, ნამდვილი ფსიქოანალიზი არ გაუკეთებია. ისე კი დამეხმარა, რომ უფრო კარგად შევგუებოდი ცხოვრებას. საფუძვლიანი ანალიზი არც დამჭირვებია. რატომ მეკითხები?

- ისე, დამაინტერესა.

- აბა, კარგად იყავი. - მითხრა მან. ბარმენს ფული აჩუქა და წასასვლელად გაემზადა.

- ერთი კიდე დალიე, - ვუთხარი მე, - რაც იყოს, იყოს. რაღაც ნაღველი შემომაწვა. არ გეხუმრები.

ვერაო, მითხრა. ისედაც დავაგვიანეო და წავიდა.

ლიუსი, ლიუსი! ახირებული კაცი იყო, მაგრამ დიდი სიტყვის მარაგი ჰქონდა. იმისთანა მარაგი მთელს ჰუტონში არავის ჰქონია, როცა მე იქ ვიყავი. საგანგებოდ შეგვამოწმეს.

20

ვიჯექი და ვსვამდი, ვთვრებოდი, ჟანინისა და თინას გამოსვლას ველოდებოდი, მაგრამ ისინი უკვე წასულიყვნენ იქიდან. ერთი თმადახვეული მოსირისტიანო ტიპი მიუჯდა როირალს და ახალი მომღერალი გამოვიდა - ვიღაც ვალენსია. არც ეს ექნა ღმერთს, მაგრამ თინას და ჟანინს კი ჯობდა, სხვა რო არა იყოს რა, უფრო კარგ რამეებს მღეროდა. როიალი ზედ დახლთან მიედგათ, საცა მე ვიჯექი და ვალენსია იქვე იდგა, ჩემს გვერდით. თვალი ჩავუკარი, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ არც მხედავს. ისე დავითვერი, რომ სულ გამოვლენჩდი, თორემ თვალს რას ჩავუკრავდი! სიმღერა რომ დაამთავრა, ისე ხელად გაიძურწა, რომ ვისკიზე მოპატიჟებაც ვეღარ მოვასწარი. მეტრდოტელს დავუძახე ისევ. ვუთხარი, ვალენსიას სთხოვე ერთ ჭიქა ვისკიზე დამეწვიოს-

მეთქი. შემპირდა, ვეტყვიო, მაგრამ გაგიგონია! როდის მომხდარა, რომ დანაბარები ვინმეს გადაეცეს.

ჰოი, ბიჭო, ღამის პირველ საათამდე ვეგდე იმ ოხერ ბარში. ისე გავილეშე, რომ ფეხზე ვერა ვდგებოდი. თვალებში ვერ ვიყურებოდი. ოღონ იმას კი არ ვივიწებდი, რომ ჩხუბი და აყალ-მაყალი არ შეიძლებოდა. ვერიდებოდი, ვინმემ არ დამინახოს, ან არ მკითხოს, რამდენი წლისა ხარო. მაგრამ რად გინდა, თვალებში ვერ ვიყურებოდი. სულ რომ გავილეშე და მომეღო ბოლო, ისევ ის სულელური ფიქრი ამეკვიატა - თითქოს ნაწლავებში ტყვია მქონოდეს გაჭედილი. ვზივარ მარტოდმარტო ბარში და ნაწლავებში ტყვია მაქვს გარჭობილი. ხელი მუცელზე მიდევს, რომ როგორმე სისხლი შევაჩერო. არ მინდა იატაკი მოისვაროს და ვინმემ გაიგოს ჩემი დაჭრის ამბავი. ვმალავ ჩემს დაჭრილობას. უცებ ისევ მომინდა ჯეინთან დარეკვა, აბა თუ დაბრუნდება-მეთქი. ანგარიში გავისტუმრე, ბარიდან გამოვედი და ტელეფონის ჯიხურისკენ გავემართე. ხელი ისევ მუცელზე მიდევს, რომ სისხლმა არ იდინოს. ჰოი, ბიჭო, როგორ დავითვერი!

მაგრამ ჯიხურში რომ შევედი, ჯეინთან დარეკვის სურვილმა გადამიარა. ალბათ, ძალიან მთვრალი რომ ვიყავი, იმიტომ. ავიღე და სალი ჰეისს დავურეკე.

ერთი ოცჯერ მაინც გადავატრიალე ალბათ ციფერბლატი, მანამ სწორად ავკრეფდი. ჰოი, ბიჭო, სულ ვეღარ ვიყურებოდი თვალებში.

- ჰელო, - შევძახე მე, როცა ვიღაც გამომეპასუხა იმ ოხერ ტელეფონში, ისე ვიყავი გალეშილი, რომ საშინლად დავიღრიალე.

- ვინ არის? - იკითხა ქალის გამყივანმა ხმამ.

- მე ვარ. ჰოლდენ კოლფილდი. სალისთან მალაპარაკეთ, გენაცვა.

- სალის სძინავს. ბებია გელაპარაკებტთ. ამ შუაღამისას რა რეკვა აგიტყდა ჰოლდენ? იცი მაინც, რა დროა?

- ვიცი. სალის უნდა ველაპარაკო. ძალიან საჭირო საქმეა. დამალაპარაკეთ.

- სალის სძინავს, ყმაწვილო. ხვალ დაურეკეთ. ღამე მშვიდობისა.

- გააღვიძე, ეი, გააღვიძე-მეთქი. ჩქარა!

მერე სხვა ხმა გამომელაპარაკა.

- მე ვარ ჰოლდენ, - სალი იყო, - რა მოგელანდა?

- სალი ხარ? შენა ხარ?

- მე ვარ, რა გაღრიალებს? მთვრალი ხომ არა ხარ.

- ჰო. მოიხედე-მეთქი. შობა-ღამეს მოვალ, კარგი? იმ ოხერ შობის ხეს მოგირთავ. კარგი? კარგი, სალი?

- კარგი. სად გალეშილხარ? წადი, დაიძინე. სადა ხარ ახლა, ვინ გახლავს.

- სალი, მოვალ დაშობის ხეს მოგართვევინებ. კარგი? ჰა? კარგი?

- ჰო, ჰო. წადი და დაიძინე. სადა ხარ, ვინ გახლავს?

- არავინ. მე ვარ და ჩემი თავი. - ჰოი, ბიჭო, რა მთვრალი ვიყავი! ხელი ისევ მუცელზე მედო. - დამჭრეს!.. როკის ბანდამ დამჭრა. გაიგე? გაიგე, სალი?

- არაფერი არ მესმის. წადი დაიძინე. მეც უნდა დავიძინო. ხვალ დამირეკე.

- ეი, სალი! არ გინდა, შობის ხე მოგართვევინო? ჰა, არ გინდა? ჰა?

- ჰო, ჰო. კარგად იყავი. შინ წადი და დაიძინე.

მილი დამიკიდა.

- კარქა იყავი, კარქა იყავი, სალი, ჩემო გოგონა. ჩემო საყვარელო სალი, - ვლუღლუღებდი მე. ხომ წარმოგიდგენიათ, რა გალეშილი ვიქნებოდი. მერე მეც დავკიდე მილი. უცებ გავიფიქრე, ალბათ პაემანიდან ახალი დაბრუნებული იყო-

მეთქი. ან ლანტებთან იქნებოდა ან სხვაგან სადმე, იმ კოხტა-პრუწა ენდროვერთან. თითქოს ყველანი ერთ დიდ ჩაიდანში ცურაობენ და დამტკბარ-დაშაქრული სიტყვებით მიმართავენ ერთმანეთს, გულისამრევად იმანჭებიან და იგრიხებიან. თავბედი ვიწყევლე, ნეტა რას დავურეკე-მეთქი. მაგრამ რომ დავთვრები, ჭკუას ვკარგავ.

კარგა ხანს ვიდექი იმ ოხერ ჯიხურში. ტელეფონზე მქონდა ხელი ჩაჭიდებული, რომ არ ჩავკეცილიყავი. მართალიმოგახსენოთ, მაინცდამაინც კარგად ვერა ვგრძნობდი თავს. ბოლოს, როგორც იყო, ჯიხურიდან გამოვედი და მამაკაცების საპირფარეშოსკენ წავედი. კრეტინივით შევბარბაცდი. შევედი, პირსაბანში ცივი წყალი მოვუშვი და შიგ თავი ჩავრგე. გამშრალებისათვის ვიღას ცხელოდა. თავისით ჩამოიწრიტოს ეს ძაღლიშვილი-მეთქი, ვიფიქრე. მერე ფანჯარასთან მივბარბაცდი და რადიატორზე ჩამოვჯექი. თბილი და სასიამოვნო იყო. ერთიანად ვძიგძიგებდი და მეამა. საოცარია: რამდენი არ დავმთვრალვარ, სულ ძიგძიგი ამიტანს ხოლმე.

საქმე არაფერი მქონია, რადიატორზე ვიჯექი და იატაკის თეთრ პატარა ფილებს ვითვლიდი. სულ გავიწუწე. წყალი წურწურით ედინებოდა თავიდან და კისერში ჩამდიოდა. საყელო, ყელსახვევი, პერანგი გასაწური გამიხდა. მთელი გალონი წყალი ჩამეღვარა. მაგრამ მთვრალი ვიყავი და ყველაფერი ფეხებზე მეკიდა. ცოტა ხანიც, და ის ტიპი არ შემოვიდა, ვალენსიას აკომპანიატორი! აი, თმადახვეული, მოსირისტიანო ვაჟბატონი. შემოვიდა და თავისი ოქროსფერი თმის ვარცხნას მოჰყვა. მანამ ივარცხნიდა, ერთმანეთს გამოველაპარაკეთ, თუმცა დიდი ხალისი არ გამოუჩენია.

- ჰეი, ბარში რომ შებრუნდები, ვალენსიას ნახავ? - ვკითხე მე.

- სულ ადვილი შესაძლებელია. - მითხრა მან. ენამახვილობა არ დამიწყო ამ ნაბიჭვარმა! დამებედა - ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამ ოხუნჯ ნაბიჭვრებს უნდა გადავეყარო.

- მოიხედე. ჩემგან მოკითხვა გადაეცი. ისიც ჰკითხე, მეტრდოტელმა თუ გადასცა ჩემი დანაბარები. კარგი?

- რატომ შინ არ წახვალ, მაკ? რამდენი წლის იქნები?

- ოთხმოცდაექვსისა. მოიხედე. ჩემს მოკითხვას გადასცემ?

- რატომ შინ არ წახვალ, მაკ?

- არ მინდა და იმიტომ. ჰოი, რას უკრავ როიალზე? - ვუთხარი მე. ისე მოველაქუცე, თორემ, მართალი თუ გინდათ, საძაგლად უკრავდა. - რადიოში უნდა გამოხვიდე. ამისთანა კოხტა ბიჭი ხარ. თანაც რა ოქროსფერი კულულები გაქვს! იმპრესარიო გინდა?

- შინ წადი, მაკ. ნუ გაჯიუტდები. შინ წადი და დაწექი.

- თუკი შინა არა მაქვს! არ გეხუმრები, იმპრესარიო არ გინდა?

პასუხი არ გაუცია. შებრუნდა და გავიდა. თმის ვარცხნა ერთის წუთითაც არ შეუწყვეტია. ივარცხნიდა და ხელებს იტყაპუნებდა. რაღა ეგ და რაღა სტრედლეიტერი. ეს კოხტა ბიჭები სულ ერთმანეთსა ჰგვანან. თმას დავარცხნიან, გაისწორებენ და ზურგს შეგაქცევენ.

ბოლოს, რადიატორიდან რომ ჩამოვედი და გარდერობისკენ გავემართე, გზაში ტირილი ამოვუშვი. არ ვიცი რა მომივიდა, მაგრამ ვტირიოდი კი. ალბათ იმიტომ, რომ საშინელი მარტოობა ვიგრძენი და ნაღველი შემომაწვა. შევედი გარდერობში და პალტოს ნომერი ვეღარ ვნახე. თუმცა, მეგარდერობე ქალი ძალიან კეთილი აღმოჩნდა, უნომროდ მომცა პალტო და ჩემი ფირფიტაც - «პაწაწინა შერლი

ბინზი». ეს ფირფიტაც თან დამქონდა. დოლარიანი გავუწოდე ამ სიკეთისათვის, მაგრამ არასდიდებით არ აიღო. შინ წადი და დაიძინეო, მეხვეწებოდა. პაემანს დავუნიშნავ-მეთქი, დავაპირე, მუშაობას რომ დაამთავრებდა, მაგრამ არ ქნა. დედად გეკუთვნიო. ჩემი ჭაღარა თმა ვაჩვენე და ორმოცდაორი წლისა ვარ-მეთქი, ვუთხარი, - ხუმრობით, რა თქმა უნდა. ძალიან კეთილი ქალიიყო. წითელისანადირო ქუდი ვაჩვენე, და მოეწონა. ძალათი დამახურა, რადგან სულ სველი მქონდა თმა. დიდებული ქალი იყო.

გარეთ რომ გამოვედი, ერთბაშად გამოვფხიზლდი, მაგრამ ისე ციოდა, რომ კბილებმა სულ კაწკაწი დაიწყეს. ვერასდიდებით ვერ გავაჩერე. მედისონ ავენიუმდე ფეხით ვიარე და ავტობუსს დავუწყე ლოდინი, რადგან ფული ცოტაღა დამრჩა და ტაქსებში ვეღარ გავფლანგნავდი. არადა ჭირისდღესავით მეზარებოდა იმ ოხერ ავტობუსში ასვლა. თან არ ვიცოდი, საით უნდა წავსულიყავი. ავდექი და პარკამდე ფეხით გავსწიე. ვიფიქრე, ბარემ პატარა ტბასთან მივალ და ვნახავ, იხვები რას აკეთებენ, იქვე არიან თუ გაფრინდნენ-მეთქი. ვერ იქნა და ვერ გავიგე - აქვე რჩებოდნენ თუ მიფრინავდნენ. პარკი შორს არ ყოფილა, არსად არ მიმეჩქარებოდა - ის კი არა და, არც ვიცოდი დასაძინებლად სად უნდ წავსულიყავი - მეც ავდექი და პარკისკენ გავსწიე. დაღლილობას სულაც არ ვგრძნობდი. ეს იყო, რომ გული საშინლად მეწურებოდა.

შევდგი თუ არა პარკში ფეხი, საშინელება დატრიალდა: ფიბის ფირფიტა დამივარდა და ნამსხვრევებად იქცა. დიდ კონვერტში იდო, მაგრამ მაინც დაიმსხვრა, ისე დამწყდა გული, რომ ლამის ავღრიალდი. მაგრამ თავი შევიკავე, კონვერტიდან ნამსხვრევები ამოვიღე და პალტოს ჯიბეში ჩავიწყე. რიღას მაქნისი იყო, მაგრამ გადასაყრელად ვრე გავიმეტე. პარკის სიღრმეში შევედი. ჰოი, ბიჭო, როგორ ბნელოდა.

რაც დავიბადე, სულ ნიუ-იორკში ვცხოვრობ და ხუთი თითივით ვიცი მთელი ცენტრალური პარკი, რადგან პატარაობისას გორგოლაჭებზედაც იქ დავხრიგინებდი და ველოსიპედით სეირნობაც იქ მიყვარდა, მაგრამ ის პატარა გუბურა, ვერა და ვერ ვიპოვნე. ვიცოდი კი სად უნდა ყოფილიყო - ზედ სამხრეთ გასასვლელთან. მაინც ვერ მივაგენიპ. ალბათ, მე რომ წარმომედგინა, იმაზე უფრო გალეშილი ვიყავი. ავაღირე თავი და მივდიოდი და მივდიოდი. სულ უფრო ჩამობნელდა და ჩამოსკვარამდა, სულ უფრო და უფრო მელანდებოდა რაღაც საშინელებები. კაციშვილს არ შევხვედრივარ. მით უფრო კარგი, თორემ შიშით ალბათ ერთ მილზე გადავხტებოდი. ბოლოს, როგორც იქნა, მივაგენი. ალაგ-ალაგ გაყინულიყო. იხვები არსადა ჩანდა. სულ შემოვუარე იმ ოხერ ტბას - ერთგან ლამის შიგ გავადინე ზღართანი - მაგრამ ერთი გაქუცული იხვიც არ შემინიშნავს. ვიფიქრე, თუ მართლა აქ არიან, ალბათ ნაპირთან ახლოს სძინავთ, ბალახის სიახლოვეს არჩევენ-მეთქი... მაშინ იყო, კინაღამ რომ ჩავვარდი. მაგრამ არ აღმოჩნდა.

ბოლოს ბაღის გრძელ სკამზე ჩამოვჯექი. შევარჩიე, საცა ნაკლები სიბნელე იყო. ჰოი, ბიჭო, რა საცოდავად ვძიგძიგებდი! ხომ ქუდი მეხურა, მაგრამ უკან თმები ყინულის პაწაწინა ლოლუებივით ჩამომეკიდა. დავფეთდი. ფილტვების ანთება გამიჩნდება და მოვკვდები-მეთქი. წარმოვიდგინე, როგორ მიაცილებენ ჩემს კუბოს მილიონობით თვალთმაქცები. აგერ ჩემი დეტროიტელი პაპაც, რომელიც სულ ქუჩის სახელწოდებებს ისვრის ხოლმე, ავტობუსით რომ მივდივართ სადმე. აქვე არიან მამიდები - ორმოცდაათი მამიდა მაინც მეყოლება - და ათასი ბედოვლათი ნათესავი. ჰო, რა ჭედვა იქნება! ელი რომ მოკვდა, ყველა

მოჩინდრიკდა, უკლებლივ. ერთი ბიცოლა მყავს - მუდამ პირი უყვარს - თურმე დაიჟინა: შეხედეთ, შეხედეთ, რა წყნარად წევსო. ეს დ.ბ.-მ მითხრა შემდეგ. მე იქ არ ვყოფილვარ. ისევ სააავადმყოფოში ვიწექი. ხელი რომ ვიტკინე, საავადმყოფოში წამიყვანეს. ერთი სიტყვით, მაგრად დავფეთდი, ფილტვების ანთება გამიჩნდება და მოვკვდები-მეთქი. თმები სულ ლოლუებივით ჩამომეკიდა. დედა და მამა შემეცოდა. განსაკუთრებით დედაჩემი. ჯერ ელის სიკვდილიც ვერ მოუნელებია. ვხედავ, როგორ საცოდავადა დგას და არ იცის, ჩემს ტანსაცმელს და სპორტულ მოწყობილობებს რა მოუხერხოს. ერთი ფიქრი კი მამშვიდებდა ცოტათი - ფიბს არასდიდებით არ მოუშვებდა ჩემს დასაფლავებაზე, ჯერ პატარაა. ეს იყო ერთადერთი ნუგეში. მერე წარმოვიდგინე, როგორ შექუჩდებიან ყველანი და როგორ ჩამფლავენ სამარეში, მერე ქვას დამადებენ, ზედ ჩემი სახელი იქნება ამოჭრილი. ირგვლივ კი სულ მკვდრები არიან. ჰოი, ბიჭო, მოკვდები თუ არა, მაშინვე წაგაჩიქჩიქებენ და ჩაგფლავენ. მე მაინც იმედს არ ვკარგავ: ვინმე როგორ არ გამოიჩეს იმდენ ჭკუას, რომ, როცა მოვკვდები მდინარეში გადამაგდონ, ან სადმე, საცა უნდა იყოს. ოღონდ იმ ოხერ სამარეში არ ჩამფლან. კვირაობით მოვლენ და მუცელზე ყვავილებს დაგაყრიან, და ათასნაირ ამისთანა სისულელეს. მკვდარს რა ჯანდაბად უნდა შენი ყვავილები? არაფრად.

კარგ ამინდში დედაჩემი და მამაჩემი ძალიან ხშირად მიდიან ხოლმე ელის საფლავზე და გულზე ყვავილებს აწყობენ. ერთი-ორჯერ მეც ვახლდი, მაგრამ მერე აღარ მოვინდომე. ჯერ ერთი, ვერაფერი სასიამოვნოა ამ ოხერი სასაფლაოს ნახვა. ირგვლივ სულ მკვდრები და საფლავის ქვები. როცა მზე ანათებს, კიდევ ჰო, მაგრამ ორჯერ - ზედიზედ - ჩვენს იქ ყოფნაში წვიმა დაუშვა. საშინელება იყო. ზედ იმ ოხერ ქვას აწვიმდა, მის მუცელზე ამოსულ ბალახს და ყველაფერს ირგვლივ. მისული ხალხი - სასაფლაოზე მისული ხალხი - მაშინვე დაიძრა და კისრისტეხით შევარდნენ თავთავიანთ მანქანებში. ამან სულმთლად გამაგიჟა. ყველას შეუძლია მანქანაში ჩაჯდეს, რადიო ჩართოს და სადმე კარგი რესტორანისკენ გასწიოს სადილის მისართმევად... ყველას შეუძლია, ელის გარდა. საშინელებაა. განა არ ვიცი, რომ სასაფლაოზე მისი სხეულია მხოლოდ, სული კი ზეცაშია, და ათასნაირი ამისთანა სისულელე, მაგრამ მაინც ვერ ითმედა გული. არ მინდოდა, რომ ის იქ ყოფილიყო. თქვენ არ იცნობდით, რომ გცნობოდათ, მაშინ გამიგებდით. როცა მზეა, კიდე ჰო, მაგრამ რას გაიგებ, მზეს როდის მოეხუსტურება ამოსვლა.

უცებ გადავწყვიტე, როგორმე ეს ფილტვების ანთება ამომეგდო თავიდან: ფული ამოვიღე და ქუჩის ფანრის მბჟუტავ შუქზე დათვლა ვცადე. სამი დოლარი, ხუთი ოც-ოც ცენტიანი და ორიც ათ-ათიანი შემომრჩენოდა. მთელი სიმდიდრე გამიფლანგავს რაც პენსიდან წამოვედი. რა ვქენი, არ იკითხავთ - ტყასთან მივედი და გაუყინავ წყალში ჩავუშვი ჩემი ოცცენტიანები და ათცენტიანები. თვითონვე არ ვიცი, რატომ, მაგრამ ასე კი ვქენი. ალბათ, ფილტვების ანთებასა და სიკვდილზე ფიქრი გავაყოლე. მაინც ვერაფერს გავხდი.

ახლა ის წარმოვიდგინე - მე რომ ფილტვების ანთება შემეყაროს და მოვკვდე, ფიბის რა მოუვა-მეთქი. ბავშვობაა ასეთი ფიქრი, მაგრამ თუკი ვერ მოვიშორე! ალბათ ცუდა გახდება, ამნაირი რამე რომ დამემართოს. ძალიან კარგად არის ჩემთან. ესე იგი, ძალიან ვუყვარვარ. ნამდვილად. ერთი სიტყვით, ვერასდიდებით ვერ მოვიშორე ეს ფიქრი, და ბოლოს გადავწყვიტე, თუკი მართლა სიკვდილი მეწერა, ბარემ შინ შევპაარულიყავი და ფიბი მენახა. სახლის გასაღები თან მქონდა და ყველაფერი. ფეხაკრეფით შევიპარებოდი და

გამოველაპარაკებოდი. სადარბაზო კარები მაფიქრებდა ცოტათი. საშინლად ჭრიალებს. ძველისძველი სახლია, მნეც ერთი უქნარა ნაბიჭვარია და ყველაფერს ჭრაჭუნი გაუდის. იმის შიში მქონდა, დედამ ან მამამ არ გაიგონოს-მეთქი. მაგრამ გადავწყვიტე მაინც მეცადა ბედი.

პარკიდან გამოვედი და შინისკენ გავსწიე. მთელი გზა ფეხით გავიარე. შორს არ ვცხოვრობდით მაინცდამაინც. დაღლილიც არ ვყოფილვარ და სიმთვრალემაც გამიარა. ოღონდ საშინლად ციოდა და ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო.

21

რამდენი წელია, ბედს ჩემთვის ასე არ გაუღიმიმა: შინ რომ მივედი, ჩვენი ძველი მელიფტე პიტი აღარ დამხვდა. ვიღაც ახალი მოსულიყო, პირველად ვხედავდი ჩემს სიცოცხლეში. ასე რომ, შესვლისთანავე თუ არ შევეფეთებოდი დედაჩემს ან მამაჩემს, დამშვიდებულად შემეძლო მენახა ფიბი და მერე ისე გავძურწულიყავი, რომ კაციშვილს აღარ გაეგო. მართლაც რომ გამიღიმა ბედმა: ეს ახალი ბიჭი ცოტა მოშტეროც აღმოჩნდა. დიკსტაინებთან ამიყვანე-მეთქი დაუდევრად ვუთხარი. დიკსტაინები ჩვენი სართულის მეზობლები იყვნენ. სანადირო ქუდი ადრევე მოვიხადე, რომ ვინმეს საეჭვოდ არ მოვჩვენებოდი. ისე შევვარდი ლიფტში, თითქოს ძალიან მეჩქარებოდა.

ბიჭმა ლიფტის კარები დაკეტა და ის იყო უნდა დავძრულიყავით, რომ უცებ მობრუნდა და მითხრა:

- შინ რომ არ არიან დიკსტაინები! მეთოთხმეტე სართულზე ავიდნენ სტუმრად.

- არა უშავს, - ვუთხარი მე, - დავუცდი. ძმიშვილი ვარ მათი.

გამოლენჩებული თვალები დაეჭვებით შემომაშტერა.

- არ გირჩევნია, დაბლა დაუცადო, ძმობილო?

- მართლაც აჯობებდა, - ვთქვი მე, - მაგრამ ფეხს მტეხს და უმოძრაოდ უნდა მედოს. შესასვლელთან დავჯდები სავარძელში და დავიცდი.

არც გაუგონია, რა ვთქვი. «ჰოო», ესღა მომიგდო და ლიფტი დასძრა. ყოჩაღ, ბიჭო, კარგად გამომივიდა. უცნაური კია - კაცს რამე გაუგებრად უნდა წაუდუღუნო და უსათუოდ იმას გააკეთებს, რასაც შენა სთხოვ.

ჩვენს სართულს რომ მივადექით, ლიფტიდან გამოველი - კოჭლობით გამოვედი - და დიკსტაინების კარებისაკენ წავჩლახუნდი. ლიფტის კარების დაკეტვის ხმა რომ გავიგონე, ხელადვე შემოვბრუნდი და ჩვენი ბინისკენ გავემართე. ყველაფერი კარგად იყო. სიმთვრალესაც კი ვეღარ ვგრძნობდი, ჯიბიდან გასაღები ამოვიღე და ჩუმად გავაღე ჩვენი კარები. მერე ფრთხილად, ძალიან ფრთხილად შევიპარე და კარი მოვიხურე, ჰოი, რა დიდებული ჯიბგირი გამოვიდოდი.

შესასვლელში, რაღა თქმა უნდა, საშინლად ბნელოდა, დაიმასაც არ უნდა თქმა, რომ სინათლეს ვერ ავანთებდი. ხელის ფათურით უნდა მევლო, რომ რამეს არ წამოვდებოდი და ხმაური არ ამეტეხა. მაგრამ უკვე ვგრძნობდი, რომო შინ ვიყავი. ჩვენს შესასვლელ ოთახში მუდამ თავისებური სუნი დგას, ვერსად ვერ იგრძნობთ ასეთ სუნს. არ ვიცი კი, რისგან უნდა იყოს. კომბოსტოს სუნი ნამდვილად არ არის, არც ნელსაცხებლისა - არ ვიცი, რა ჯანდაბაა, მაგრამ მაშინვე იგრძნობ, რომ უკვე შინა ხარ. პალტოს გახდა დავაპირე, მინდოდა შემოსასვლელშივე დამეკიდა, კარადაში, მაგრამ ამ კარადაში იმდენი საკიდია,

რომ კარს გამოაღებ თუ არა, ჯოჯოხეთივით აუტყდებათ ტკაცუნი. პირდაპირ ფიბის ოთახისკენ გავწიე, ოღონდ ძალიან ფრთხილად, ხელის ცეცებით. ვიცოდი, რომ მოსამსახურე გოგო ვერაფერს ვერ გაიგონებდა, ყრუანჩალა იყო. ბავშვობაში თურმე ძმამ ჩალის ღერო ატაკა ყურში. თვითონვე მითხჯრა. თითქმის აღარაფერი ესმოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩემი მშობლები უნდა გენახათ, განსაკუთრებით დედაჩემი - მწევარივით ცქვეტდა ხოლმე ყურს. ამიტომ ძალიან ფრთხილად ჩავუარე იმათი ოთახის კარებს. სუნთქვა შევიკარი. მამაჩემს სკამი რომ ჩაარტყა თავში, მაინც ვერ გააღვიძებ, მაგრამ დედაჩემი სულ სხვაა - ციმბირში დაახველო, შინ გაიგონებს. საშინლად ნერვიულია. ღამით სანახევროდ არ სძინავს, ზის და სიგარეტსა სწევს.

ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიე ფიბის ოთახს, - მთელი ერით საათი კი მოვუნდი. მაგრამ ფიბი იქ არ აღმოჩნდა. სულ გადამავიწყდა, რომ დ.ბ.-ს შინ არ ყოფნის დროს - როცა ჰოლივუდშია ან სხვაგან სადმე - მის ოთახში იძინებს ხოლმე. უყვარს იქ ძილი, რადგან ყველაზე დიდი ოთახია მთელს სახლში. კიდევ იმიტომ უყვარს, რომ დ.ბ.-ს იქ უსაშველოდ დიდი მაგიდა აქვს, ვიღაც ფილადელფიელი ლოთი ქალისგან იყიდა. საწოლიც უშველებელი უდგას - ბარე ათი მილი სიგრძე და ათი სიგანე! არ ვიცი, სად იყიდა ეს საწოლი. ერთი სიტყვით, როცა დ.ბ. შინ არ არის, ფიბი იმ ოთახში იძინებს ხოლმე, და არც დ.ბ. უშლის. უნდა განახათ, როგორ მიუჯდება ამ ვეებერთელა მაგიდას და გაკვეთილებს ამზადებს. საწოლის ხელა ის მაგიდაც იქნება, არც კი ჩანს, როცა მაგიდასთან ზის. და ეს უყვარს სწორედ. თავისი ოთახი არ მოსწონს, ერი ციცქნააო. გაშლილი სივრცე მიყვარსო. ჭკუიდან შეგშლის. ნეტა რად უნდა ამოდენა სივრცე ფიბის? არაფრად.

ერთი სიტყვით, დ.ბ.-ს ოთახში გავედი - ფრთხილად, რაღა თქმა უნდა - და მაგიდის ლამპა ავანთე. ფიბის არც კი გაუღვიძია. ავანთე სინათლე და ერთხანს ასე უხმოდ ვუცქირე ჩემს ფიბის. ლოყა ბალიშზე დაედო და ეძინა. პირი ცოტათი შეღებული ჰქონდა. საოცარია - დიდები რომ ნახო ძილში პირდაბჩენილი, სიცოცხლეს შეგაზარებს, ბავშვებს კი ეგეც უხდებათ. დუჟითაც რომ დაასველონ ძილში ბალიში, მაინც კარგები არიან.

ფეხაკრეფით მივიარ-მოვიარე ოთახი, ყველაფერს დავხედე, ერთბაშად გამომისწორდა გუნება. ფილტვების ანთების შიშიც გამიქრა და ყველაფერი. გავმხიარულდი კიდეც. ფიბის სკამი მიედგა საწოლთან და ზედ ტანსაცმელი დაეწყო. ასე პატარა გოგო და ამისთანა ფაქიზი! სხვა ბავშვებივით კი არ მიჰყრი-მოჰყრის თავის ნივთებს. ძალიან ფაქიზი გოგოა. დედამ ერთხელ წითელი კოსტუმი უყიდა კანადაში და იმ კოსტუმის ჟაკეტი ახლა სკამის ზურგზე გადაეფინა, ბლუზი და სხვა ჩასაცმელები სკამის დასაჯდომზე ელაგა, წინდები და ფეხსაცმელები კი იატაკზე დაეწყო, სკამქვეშ ადრე არ მენახა ეს ფეხსაცმელები. ახლები ჩანდა. ჩემებსა ჰგავდა, მუქი წაბლისფერი იყო, და კანადაში ნაყიდ კოსტუმს ძალიან უხდებოდა. კოხტად აცმევს ხოლმე დედაჩემი. ნამდვილად, დედაჩემს რომ გემოვნება აქვს ზოგ რამეში, სულ ტყუილია! ციგურები და ამისთანები რა მოგახსენო, მაგრამ ტანსაცმლის შერჩევაში ბადალი არ ჰყავს. ისეთი კაბა აცვია ზოგჯერ ფიბის - ჭკუას დაკარგავ. აბა სხვა ბავშვები ნახე, მდიდარი მშობლებიცა ჰყავთ და ყველაფერი, მაგრამ ისე საძაგლად აცმევენ, რომ სიცოცხლე შეგეზარება. ნეტა ერთი განახათ, კანადაში ნაყიდ კოსტუმს რომ ჩაიცვამს ფიბი. არ გეხუმრებით.

დ.ბ.-ს მაგიდას მივუჯექი და გადავხედე, სულ ფიბის სასკოლო ნივთები ელაგა. უმთავრესად წიგნები. ზემოდან «სახალისო არითმეტიკა» იდო. გადავშალე და დავხედე.

ფიბი უეთერფილდ კოლფილდი.

4ბ-1

ეწერა პირველივე გვერდზე.

ჭკუა კინაღამ დავკარგე. მისი მეორე სახელი უეთერფილდი კი არ არის, ჟოზეფინა ჰქვია. მაგრამ არ უყვარს. რაც თავი მახსოვს, სულ ახალ და ახალ სახელებს იგონებს.

არითმეტიკის ქვეშ გეოგრაფიის წიგნი იდო. გეოგრაფიის ქვეშ კი - ორთოგრაფიის სახელმძღვანელო. საერთოდ, ძალიან კარგად სწავლობს, ორთოგრაფია კი ყველაზე უკეთ იცის. ორთოგრაფიის ქვეშ ბლოკნოტები ეწყო. ხუთი ათასი ბლოკნოტი მაინც ექნება. ვერ ნახავ ბავშვს, რომ ამდენი ბლოკნოტი ჰქონდეს. ზემოთა ბლოკნოტი გადავშალე და წავიკითხე. პირველივე გვერდზე ასე ეწერა:

ბერნის დასვენებაზე არ დამეკარგო ძალიან, ძალიან სერიოზული რაღაც უნდა გითხრა.

სხვა არაფერი ეწერა პირველ გვერდზე. მეორეზე კი აი რა წავიკითხე:

რატომ არის ამდენი საკონსერვო ქარხანა სამხრეთ-აღმოსავლეთ ალიასკაში?

იმიტომ, რომ იქ ბევრი გოჯი იცის.

რატომ ასე კარგად ხარობს ტყე იქ?

იმტომ, რომ შესაფერი კლიმატი უწყობს ხელს.

რა გააკეთა ჩვენმა მთავრობამ ალიასკელი ესკიმოსების ცხოვრების გასაუმჯობესებლად?

სახვალიოდ უნდა ვისწავლო!!!

ფიბი უეთერფილდ კოლფილდი

ფიბი უეთერფილდ კოლფილდი

ფიბი უეთერფილდ კოლფილდი

ფიბი უ. კოლფილდი

ქ-ნი ფიბი უეთერფილდ კოლფილდი.

იქნებ როგორმე შერლის გადასცეთ!!!

შერლი შენ ამბობ ლომის თანავარსკვლავედი ვარო, მაგრამ სინამდვილეში მშვილდოსნის თანავარსკვლავედი ხარ ხვალ ჩემთან რომ მოხვალ ციგურებიც გამოიყოლე.

ვიჯექი დ.ბ.-ს მაგიდასთან და ვკითხულობდი. მთეი ბლოკნოტი გადავიკითხე. დიდხანს არ მოვდომებივარ. მაგრამ კიდეც რომ მოვდომებოდი, მაინც არ დამეზარებოდა. მთელი დღე და ღამე შემიძლია ვიკითხო ბავშვების ნაწერები - სულ ერთია, ფიბი იქნება თუ სხვა ვინმე. პირდაპირ ჭკუიდან მშლის ბავშვების ბლოკნოტები. მერე სიგარეტი ამოვიღე და გავაბოლე. მეტი არცა მქონდა. სამი კოლოფი მაინც გავათავე იმ დღეს. ბოლოს გავაღვიძე ფიბი. აბა მთელი ჩემი სიცოცხლე იმ მაგიდასთან ხომ არ ვიჯდებოდი! თანაც მეშინოდა, უცებ დედაჩემი ან მამაჩემი არ შემოვიდეს-მეთქი, გამარჯობის თქმა მაინც მინდოდა მომესწრო. ერთი სიტყვით, გავაღვიძე.

მის გაღვიძებასაც ხომ ბევრი რამე უნდა! ლოგინზე უნდა ჩამოუჯდე და უთხრა: «ფიბი, გაიღვიძე!» მაშინვე დააჭყეტს თვალებს.

- ჰოლდენ! - თვალის გახელისთანავე იყვრია. კისერზე მომხვია ხელები. ძალიან მოსიყვარულე ბავშვია. საკვირველია, ერთი ციდა ბალღი და ასეთი მოსიყვარულე! ზოგჯერ მეტისმეტიც მოსდის. მე ვაკოცე. როდის ჩამოხვედიო, მკითხა. ზედვე შეატყობდი, რომ საშინლად გაეხარდა ჩემი დანახვა.

- რა გაღრიალებს! ეს წუთია, მოვედი. როგორა ხარ?

- დიდებულად. ჩემი წერილი არ მიიღე? ხუთ გვერდზე გავაჭრელე...

- მივიღე... რა გაღრიალებს! მადლობელი ვარ.

წერილი კი მივიღე, მაგრამ პასუხის დაწერა ვეღარ მოვახერხე. სასკოლო წარმოდგენის ამბავსა მწერდა. თვითონაც მონაწილეობდა თურმე იმ წარმოდგენაში. ნურაფერ საქმეს ნუ გაიჩენ პარასკევ საღამოს, მოდი და ნახეო, მწერდა.

- კარგი პიესაა? - ვკითხე მე, - რაო, რა ჰქვიაო?

- «საშობაო წარმოდგენა ამერიკელებისათვის». საძაგელი პიესაა, მაგრამ მე ბენედიქტ არნოლდს ვთამაშობ. ყველაზე დიდი როლი მერგო, - მითხრა მან. ხელად არ გამოფხიზლდა! ერთიანად აენთება ხოლმე, ამისთანა რამეებს რომ გიამბობ, - მოქმედება როცა იწყება, მე ვკვდები მაშინ. შობის წინა ღამეა, მოჩვენება გამომეცხადება და მკითხავს, შენაო, არა გრცხვენიაო, და ამისთანა რაღაცეებს. ხომ გაიგე? ვითომ, სამშობლოს რომ უღალატეო, არა გრცხვენიაო? არ მოხვალ? ლოგინში წამოჯდა, - აკი მოგწერე ყველაფერი. მოხვალ?

- მოვალ, აბა რას ვიზამ, როგორ არ მოვალ!

- მამა არ წამოვა. კალიფორნიაში უნდა გაფრინდეს, - თქვა მან. ჰოი, ბიჭო, რა ხელად გამოფხიზლდა. ორი წამი არც კი უნდა მის გამოფხიზლებას. მუხლებზე წამოიჩოქა ლოგინში და ხელზე ხელი მომკიდა. - მოიხედე. აკი დედამ, ოთხშაბათამდე არ ჩამოვაო. ოთხშაბათს უნდა ჩამოვიდესო.

- რა დროა? დედამ თქვა, გვიან დავბრუნდებითო. ნორუოლკში არიან დაპატიჟებულები, კონეკტიკუტში. აბა თუ გამოიცნობ, დღეს რა გავაკეთე? რა კინო ვნახე? გამოიცანი!

- არ ვიცი... დაიცადე, არ გითხრეს რომელ საათზე...

- «ექიმი» - შემაწყვეტინა ფიბიმ, - იცი რა კინოავ! მარტო ლისტერების კლუბში გადიოდა. მხოლოდ ერთი დღით. დღეს გაუშვეს და მორჩა. ერთი კენტუკელი ექიმია, აიღებს და ბავშვს საბანს შემოახვევს თავზე. ეს ბავშვი ხეიბარია და სიარული არ შეუძლია. მერე იმ ექიმს ციხეში ჩასვამენ. დიდებული რამეა.

- ერთი წუთით მომისმინე. არ გითხრეს, რომელ საათზე...

- ექიმს კიდე ეცოდება და საბანსაც იმიტომ შემოახვევს თავზე. უნდა რომ დაახრჩოს. სამუდამო ციხეს მიუსჯიან ამ ექიმს, მაგრამ საბნით გაგუდული ბავშვი ხშირად გამოეცხადება ხოლმე ძილში და მადლობას უხდის. ერთი სიტყვით, გულმოწყალე მკვლელი გამოდის. მაგრამ თვითონვე იცის, რომ მისი ციხეში ჩასმა სამართლიანია, რადგან ღმერთის საქმეებში ჩარევას არავინ ეკითხება. ერთი ჩემი კლასელი გოგოს დედამ წაგვიყვანა. ალის ჰოლმბორგის დედამ. ჩემი ყველაზე კარგი მეგობარია. მთელს კლასში მასავით არავის არ შეუძლია...

- ერთი წამით მომისმინე, - ვუთხარი მე, - რაღაც უნდა გკითხო. რომელსა საათზე დავბრუნდებითო, არ უთქვამთ?

- საათი არ უთქვამთ, მაგრამ ძალიან გვიან დავბრუნდებითო. მამამ მანქანა წაიყვანა, რომ მატარებელზე ჯახირი აღარ დასჭირდეთ. მაქანაში რადიო გვაქვს, იცი! მაგრამ დედა ამბობს, როცა დიდი მოძრაობაა, ნუ ჩართავთო.

ცოტათი დავმშვიდდი. აღარ ვღელავდი. ჯანდაბას, ვიფიქრე, მომისწრებენ და მოისწრონ!

უნდა გენახათ ჩემი ფიბი. ლურჯი პიჟამა ეცვა და საყელოზე წითელი სპილოები ჰქონდა გამოხატული. ჭკუას კარგავდა სპილოებზე.

- მაშ, კარგი სურათი ნახე, ჰა? - ვკითხე.

- დიდებული. ოღონდ ალისი ცოტათი გაციებული იყო და დედამისმა მოსვენება აღარ მისცა, ხომ არ გაჟრჟოლებსო, ზედ შუაგულ კინოს დროს. აგერ გასაგიჟებელი ამბები ხდება ეკრანზე, ეს კი გადმოსწევს თავს და. ხომ არ გაჟრჟოლებსო, ნერვები მომიშალა.

ფირფიტის ამბავი ვუთხარი.

- ფირფიტა ვიყიდე, იცი. მაგრამ გზაში გამიტყდა - პალტოს ჯიბიდან ნამტვრევები ამოვიღე და ვაჩვენე. - გადაკრულში ვიყავი.

- ნატეხები მომეცი, - მითხრა მან, - ვაგროვებ, - ხელიდან გამომტაცა და მაგიდის უჯრაში ჩააწყო. გამაგიჟებს პირდაპირ!

- დ.ბ. არ ჩამოდის საშობაოდ? - ვკითხე მე.

- დედამ თქვა, იქნებ ჩამოვიდეს, იქნებ არაო. გააჩნია, როგორ ექნება საქმსახურის საქმე. შეიძლება ჰოლივუდში დასტოვონ და ანაპოლისზე სცენარი დააწერინონ.

- ანაპოლისი საიდან მოიგონე!

- იმიტომ, რომ შიგ სიყვარულიც არის ყველაფერიც. აბა თუ გამოიცნობ, ვინ უნდა ითამაშოს? რომელმა კინოვარსკვლავმა? აბა გამოიცანი!

- სულაც არ მაინტერესებს. ანაპოლისი! ღმერთო ჩემო, რა დ.ბ.-ს საქმეა ანაპოლისი, რა გაეგება! სად მისი მოთხრობები და სად ანაპოლისი! - ვთქვი მე. ჰოი ბიჭო, ამისთანა ამბები გამაგიჟებს პირდაპირ. ეს ოხერი ჰოლივუდი! - ხელზე რა მოგივიდა? - ვკითხე მე. იდაყვზე კარგა მოზრდილი სალბუნი შევნიშნე. უსახელებო პიჟამა ეცვა და იმიტომ შევნიშნე.

- ბაღის კიბეზე ჩამოვდიოდი და ჩემმა კლასელმა ბიჭმა მკრა ხელი, კორტის ვაინტრაუბია ერთი, - მითხრა ფიბიმ, - გინდა გაჩვენო? - და იმ ოხერი სალბუნის მოძრობა დააპირა.

- ნუ, არ გინდა! რადა გკრა ხელი?

- რა ვიცი, მგონი, უნდა ვძულდე, - თქვა ფიბიმ, - ერთი გოგოა ჩვენს კლასში, სელმა ეტერბორი, მე და იმ გოგომ სულ მელნით მოვუსვარეთ სვიტრი.

- როგორ შეიძლება! პატარა ბალღი ხომ არა ხარ?!

- არ, მაგრამ, ბაღში რომ გავალთ, საცა არ უნდა წავიდე, უსათუოდ უნდა გამომყვეს. სულ კუდში დამდევს. ნერვებს მიშლის.

- იქნებ მოსწონხარ. ამისთვის მელანში ამოსვრა როგორ იქნება...

- სულაც არ მინდა მისი მოწონება, - თქვა ფიბიმ. დაეჭვებით შემომხედა, - ჰოლდენ, მითხრა მან, - აკი ოთხშაბათამდე არ უნდა ჩამოსულიყავი?!

- რაო?

გაფაციცებული უნდა იყო, ფიბის რომ ელაპარაკები. ისეთი მახვილიჭკუა აქვს, რომ სულ ტყუილია!

- აკი ოთხშაბათამდე არ უნდა ჩამოსულიყავი! ხომ არ გამოგაპანღურეს? ჰა?

- ხომ გითხარი, ადრე გამოგვიშვეს-მეთქი. მთელი კლასი დაგვითხოვეს და...

- არა, გამოგაპანღურეს! ნამდვილად! - თქვა ფიბიმ. მერე ფეხზე მუშტი დამკრა. თუ მოეხუსტურა, იცოცხლე ჩხუბი უყვარს, - ნამდვილად გამოგაპანღურეს! ო, ჰოლდენ! - ხელი პირზე მიიფარა. საშინელი აღელვება იცის, ღმერთმანი.

- ვინ გითხრა, გამომაპანღურესო? როდის გითხარი...

- გამოგაპანღურეს! გამოგაპანღურეს! - თქვა მან და ისევ დამკრა მუშტი. თუ ფიქრობთ, არ სტკენიაო, ძალიანაც შემცდარხართ. - მამას ვერ გადაურჩები! მითხრა მან, მერე პირქვე დაემხო და ის ოხერი ბალიში თავზე წაიფარა. სულ არ არ იცის! ნამდვილ გიჟს დაემსგავსება ხოლმე.

- კარგი ერთი! - ვუთხარი მე, - როგორ თუ ვერ გადავურჩები. რატომ არ უნდა გადავურჩე. რა დამიშავებია... გეყოფა, ფიბი, გადააგდე ეს ოხერი ბალიში. რატომ ვერ უნდა გადავურჩე?!

მაინც არ მოიშორა ბალიში. გულით თუ არ უნდა, მოკვდება და არ გააკეთებს. დაიჟინა, მამას ვერ გადაურჩებიო. ისე დუდღუნებდა ბალიშქვეშ, რომ ნახევარს ვერ გაიგებდი.

- როგორ თუ ვერ გადავურჩები! ნეტა რას ამბობ! ჯერ ერთი, შინ დარჩენას არც ვაპირებ. ვიშოვი სამუშაოს სადმე რანჩოში და ვიქნები ჩემთვის. ერთ ბიჭს ვიცნობ, ბაბუამისს უშველებელი რანჩო აქვს კოლორადოში. წავალ და იქ მოვეწყობი, - ვუთხარი მე, - წერილებს მუდამ მოგწერ, თუ წავედი. გეყოფა ახლა, გადააგდე ეს ოხერი ბალიში. ჰე, ფიბი. კარგი, გეყოფა. თუ ღმერთი გწამს, მოიშორე ეგ ბალიში.

თქვენც არ მომიკვდეთ. ისევ ბალიშში აქვს თავი შერგული. ძალათი მოვგლეჯ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ რას გახდები! შენ დაიღლები და იმას ვერაფერს დააკლებ. ისეთი ღონიერია! თვითონვე თუ არ აიღო, ვერასდიდებით ვერ ააგლეჯ ბალიშს.

- გეყოფა ფიბი, გამოდი, გენაცვალე, - ვეღიჭინები მე, - აბა ჰე... უეთერფილდ. გამოდი-მეთქი.

არა და არა. ზოგჯერ ისე გაჯიქდება, რომ ვერაფერს ვერ შეასმენ. ბოლოს ავდექი და სასტუმრო ოთახში გავედი. მაგიდაზე სიგარეტის ყუთი იდო. რამდენიმე სიგარეტი ავიღე და ჯიბეში ჩავიწყე. გაბრუებული ვიყავი.

22

როცა შევბრუნდი, ბალიში უკვე გადაეგდო - ვიცოდი, ასე იზამდა - მაგრამ მემაინც არ მიყურებდა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გულაღმა იწვა. მივედი და ისევ ჩამოვუჯექი ლოგინზე. გაბუსხული სახე გვერდზე მიღრიცა. ბოიკოტი გამომიცხადა, რაღა ეს და რაღა პენსელი მოფარიკავე ბიჭები, ისინიც ასე გამებუტნენ, ის ოხერი მახვილები რომ დამრჩა მეტროში.

- შენი ჰაზელ უეთერფილდი რას იქმს? - ვეკითხები, - მეტი აღარაფერი დაგიწერია მაგაზე? შენ რომ გამომიგზავნე, ის ერთი მოთხრობა ჩემოდანში მაქვს, სადგურზე დავტოვე. ძალიან მომეწონა.

- მამას ვერ გადაურჩები.

ჰოი ბიჭო, თუ რამე აიჩემა, რაღას შეაჩერებ!

- არაფერსაც არ მიზამს. დიდი, დიდი, ძველებურადვე გამჯოროს, და მერე სამხედრო სასწავლებელში მიმცემს. მეტი რა უნდა მიქნას? მაგრამ, ჯერ ერთი, მე აქ აღარ დავდგები. უნდა წავიდე. კოლორადოში წავალ ალბათ, იმ რანჩოში.

- რატომ მაცინებ! ცხენზე ჯდომაც კი არ იცი.

- ვინ არ იცის? რას ამბობ. მაგასაც ხომ ბევრი რამე უნდა! ორ წუთში გასწავლიან, - ვუთხარი მე, - ხელს ნუ ახლებ! - სალბუნს იძრობდა. - თმა ვის შეაკრეჭინე? - ახლაღა შევნიშნე - ვიღაცას ბითურულად შეეკრიჭა თმა. სულ დაემოკლებინა.

- რა შენი საქმეა! - მტრისას, ისე შემოგიღრენს ზოგჯერ: თავბედს გაწყევლინებს. - ალბათ, ახლაც ყველა საგანში ჩაფლავდი, - რომ აღარ მოეშვა ამ ღრენას! პირდაპირ სასაცილოა - მასწავლებელივით რომ დაიქოქება ეს თითისტოლა ღლაპი!

- არა, ყველაფერში არ ჩავჭრილვარ, - ვუთხარი მე, - ინგლისური ჩავაბარე, - უცებ ავიღე და ტაკუნებზე ვუჩქმიტე, გვერდზე გადმობრუნებულა და ტაკუნები გარეთ გამოუბზეკია. თუმცა, რაღა გამობზეკა - ხეირიანად არც ეტყობოდა, მიფსხრიკული ჰქონდა. არც კი სტკენია, ისე ვუჩქმიტე. მაინც მომიქნია ხელი, ხელზე უნდოდა ჩემთვის დაეკრა, მაგრამ ამაცილა.

უცებ მეუბნება.

- ოჰ, რატომ შვრები ამას? რატომ შვრები? - ვითომ, ისევ რატომ გამოგრიცხესო. მაგრამ ისე მითხრა ეს, რომ გული ჩამწყვიტა.

- შენ მაინც ნუ მკითხავ, ფიბი, თუ ღმერთი გწამს. გული გამიწყალდა ამდენი შეკითხვით. რატომ და იმტიომ, რომ მილიონი მიზეზია. ამისთანა საძაგელ სკოლაში ჯერაც არ მოვხვედრილვარ. საითაც არ გაიხედავ - ცარიელა თავლთმაქცობა! სულ არამზადებითაა გამოტენილი. ჩემს დღეში არ მინახავს ამდენი არამზადა. ვთქვათ, ვინმეს ოთახში სხედხართ და ყბედობთ, და უცებ ვიღაცამ კარზე დააკაკუნა - შემოსვლა უნდა. არაფრისდიდებით არ შემოუშვებენ, თუ ცოტა მოშტერო დაზღმურლიანი ვინგმე აღმოჩნდა. გადაუკეტავენ კარებს და მორჩა. მერე რაღაც ოხერი საიდუმლო საზოგადოება მოიგონეს - ვაჟკაცობა არ მეყო, რომ უარი მეთქვა და არ შევსულიყავი. ერთი გულისგამაწვრილებელი, ზღმურდლიანი ბიჭია, რობერტ ეკლი, იმანაც მოინდომა შესვლა. ძაან გულით უნდოდა, მაგრამ არ მიიღეს. იმიტომ რომ გულისგამაწვრილებელი და ზღმურდლიანი იყო, გახსენებაც კი აღარ მსიამოვნებს. აქოთებული სკოლაა, დამერწმუნე.

ფიბის ხმა არ ამოუღია, მაგრამ მისმენდა კი. კეფაზე ვატყობდი, რომ მისმენდა. მუდამ გულისყურით გისმენს ხოლმე, როცა ელაპარაკები. და საოცარი ისაა, რომ ყველაფერს გაიგებს, რაც არ უნდა უთხრა, ნამდვილად.

მე ისევ პენსის ამბებს ვუყვებოდი. ისე მომეხასიათა რატომღაც.

- ორად ორი ხეირიანი მასწავლებელია მთელს სკოლაში და ისინიც თვალთმაქცები არიან, - ვუთხარი მე, - ერთი ბერიკაცი გვასწავლის, მისტერ სპენსერი. როცა არ უნდა ესტუმრო, ცოლი ყოველთვის ცხელ შოკოლადს მოგიმზადებს და ყველაფერი. ნამდვილად კარგი ხალხია. მაგრამ უნდა ნახო, რა ემართება, როცა დირექტორი თარმერი შემოვა ისტორიის გაკვეთილზე და უკან ჩამოჯდება. ასე იცის ხოლმე - შემოვა და მთელი ნახევარი საათი ზის, სულ უკან. ვითომ ინკოგნიტოდ დადის, რაღა. ზის ასე ერთხანს ბაიყუშივით და უცებ წამოიწყებს - ხან რას ისვრის და ხან რას, წარამარა აწყვეტინებს მოხუც სპენსერს თავისი უკბილო ხუმრობებით. საწყალმა სპენსერმა კი აღარ იცის, კვდება კაცი - ქირქილებს, იკრიჭება, იგრიხება; ვითომ დიდი პრინცი მყავდეს ეს ოხერი თარმერი.

- ნუ ილანძღები.

- რომ გენახა, გული აგერეოდა, ღმერთმანი, - ვუთხარი მე, - ახლა ვეტერანების დღე! ასეთი დღე აქთ დაწესებული, ვეტერანების დღეს ეძახიან. 1776 წლიდან მოყოლებული, ვისაც კი დაუმთავრებია პენსის სკოლა, ყველა დამთხვეული იქ იყრის თავს, თავიანთი ცოლებით, შვილებით და რა ვიცი. მთელი დღე იქ დალაყუნობენ. ერთი ბერიკაცი უნდა ნახო, ორმოცდაათი წლისა იქნება, მოვიდა და კარებზე დააკაკუნა - სააბაზანოში თუ შეიძლება შევიდეო. ნეტა ჩვენ რას გვკითხავს, სააბაზანო ეგერაა, დერეფნის ბოლოში. მაგრამ რა მინდაო, აღარ იკითხავ? უნდა ვნახო, ფეხსადგილის კარს ჩემი ინიციალები თუ აჩნიაო. თურმე ოთხმოცდაათი წლის წინ თავისი ოხერი, უბედური და უბადრუკი ინიციალები ამოუჭრია ფეხსადგილის კარზე, და ახლა ამოწმებს, კიდევ თუ აჩნიაო. რაღას ვიზამდით, ავდექით და გავყევით მე და ჩემი ამხანაგი. მანამ ყველა ფეხსადგილის კარი არ შეამოწმა, იქვე ვიდექით და ველოდით. ეძებს თავი ოხერ ინიციალებს და თან ენას ერთის წუთითაც არ აჩერებს. პენსიში რომ ვსწავლობდი, ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეები ის იყოო, და ათასნაირ დარიგებას გვაძლევს, ცხოვრებაში როგორ უნდა მოიქცეთო. ჰოი ბიჭო, როგორ გაგვიწვრილა გული! ცუდი კაცი კი არ იყო - სულაც არა. მაგრამ მარტო ცუდმა ხალხმა როდი იცის გულის გაწვრილება, კარგსაც შეუძლია. განა ბევრი რამე უნდა: შენი ინიციალები უნდა ეძებო ფეხსადგილის კარებზე და თან სულელური დარიგებები აძლიო ხალხს. მორჩა. გული გაწვრილებას მეტი არაფერი უნდა. რა ვიცი, იქნებ ისე ცუდად არ ემოქმდა ჩემზე, რომ თან სულის ხუთვა არა ჰქონოდა ამ კაცს. სულს ვეღარ ითქვამდა, კიბეზე რომ ამოვიდა. ეძებს თავის ინიციალებს და საცოდავად ქლოშინებს, ნესტოები ებერება. თან გეცინება და თან გეცოდება. დარიგებებსაც რომ არ ივიწყებს: მე და სტრედლეიტერს გვეჩიჩინება - ასე და ასეო, რაც შეიძლება ბევრი რამე უნდა მიიღოთ პენსიდანო. ო,. რომ იცოდე ფიბი! ყველაფერი როგორ გითხრა. არაფერი არ მომწონდა იმ პენსიში. ყველაფერი როგორ უნდა გითხრა.

ფიბიმ რაღაც თქვა, მაგრამ ვერ გავიგონე. ისე ჩაერგო თავი ბალიშში, რომ ვერაფერს ვერ გაიგონებდი.

- რაო? - ვკითხე, - თავი ასწიე, ბალიშში რომ ჩაგირგავს, რაღას გავიგონებ!

- შენ ხომ არაფერი არ მოგწონს!

ეს რომ მითხრა, კიდევ უფრო მომეწურა გული.

- ვინ გითხრა?! რატომაც არ მომწონს. როგორ თუ არ მომწონს! საიდან მოიგონე? ასე რატომ მელაპარაკები?!

- იმიტომ, რომ არაფერი არ მოგწონს. ერთი სკოლაც არ აღმოჩნდა შენი მოსაწონი. რამდენი რამე არ მოგწონს. არაფერი არ მოგწონს.

- არაფერიც! მომწონს. ცდები შენ - დიახ, ცდები! ასე რატომ მელაპარაკები? - ჰოი ბიჭო, როგორ მომეწურა გული.

იმიტომ, რომ არ მოგწონს, - მითხრა მან, - აბა ერთი რამე დამისახელე, რა მოგწონს.

- დაგისახელო? დაგისახელო, რა მომწონს? ძალიან კარგი.

მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, უცებ ვეღრაფერი მომაგონდა. იცის ხოლმე ასე.

- ყველაზე უფრო რა მოგწონს? - ჩავეკითხე ფიბის.

მაგრამ პასუხი არ გაუცია. იწვა ზურგშექცეული, მოკუნტული, სადღაც იქით - საწოლის კუთხეში, ათასი მილით ჩემგან დაშორებული.

- მოიხედე, ხმა გამეცი, - ვუთხარი მე, - ძალიან რა მიყვარს, ის გითხრა, თუ რაც უბრალოდ მომწონს?

- ძალიან არ გიყვარს.

- გეტყვი, - ვთქვი, მაგრამვერაფერიმოვიგონე. ის მონაზვნებიღა გამახსენდა, ქეციან ჭილის ჩანთებში ფულს რომ აგროვებდნენ. განსაკუთრებით ერთი მათგანი, რკინის ჩარჩოიანი სათვალე რომელსაც ეკეთა. და კიდევ ერთი ბიჭი, რომელიც ელქტონ-ჰილში იყო ჩემთან ერთად. ჯეიმს კასლი ერბვა იმ ბიჭს, ელქტონ-ჰილში ერთად ვსწავლობდით. იქვე ერთი უსაშველოდ გაბღენძილი ბიჭი გვყავდა - ფილ სტეიბლი. ჯეიმს კასლმა რაღაც თქვა იმ ბიჭზე და მერე არასდიდებით უკან არ წაიღო თავისი სიტყვა. დიდი გაბღენძილი ვინმეაო, ჯეიმს კასლმა თქვა, და სტეიბლის ერთ-ერთმა არამზადა ამხანაგმა არ დააყოვნა, მაშინვაე მიუტნაა ენა. სტებილმა ხელადვე მოუყარა თავი მასავით ბინძურ ექვს ნაბიჭვარს, ოთახში შეეჭრნენ ჯეიმს კასლს, კარი გადარაზეს და თავზე დაადგნენ - სიტყვა უკანვე წაიღეო, მაგრამ არაფრისდიდებით არ წაიღო ჯეიმსმა. მაშინ მისდგნენ. არ გეტყვი, რა უქნეს - გახსენებაც კი გულს მირევს - მაგრამ ჯეიმს კასლმა არასდიდებით უკან არ წაიღო თავისი ნათქვამი: ერთი უნდ აშეგეხედათ - გაწლიკული ბიჭი იყო, სუსტი, სუტი - ფანქრის სიმსხო მაჯები ჰქონდა. მაგრამ სიტყვა უკან მაინც არ წაიღო. ბოლოს ადგა და ფანჯრიდან გდახტა. მე სააბაზანოში ვიყავი, შხაპის ქვეშ, მაგრამ მაინც გავიგონე, როგორ მოადინა მიწაზე ბრაგვანი. უცებ ვიფიქრე, სკამი ან რადიო, ან ამისთანა რაღაც გადააგდეს ეზოში-მეთქი; ბიჭი თუ გადახტებოდა, რას წარმოვიდგენდი. მერე გავიგონე, როგორ გამოჯლიგინდნენ დერეფანში და კიბეებზე დაეშვნენ. ხელად წამოვისხი ჩემი აბანოს ხალათი და მეც გავიქეცი. ვხედავ - ქვის საფეხურებზე არა გდია ეს ჩვენი ჯეიმს კასლი! უკვე მკვდარი იყო, ირგვლივ სულ სისხლი და ჩამსხვრეული კბილები. ვერავინ ვერ ბედავდა მიახლოებას. ერთი სვიტრი ვათხოვე, ის სვიტრი ეცვა. იმ ბიჭებისთვის, ოთახში რომ შეუცვივდნენ, არაფერიც არ უქნიათ, გამორიცხეს მხოლოდ. ციხეშიაც კი არჩაუსვამთ.

მეტი ვერაფერი მოვიგონე: მარტო ის მონზონი, საუზმის დროს რომ ვნახე, და ელქტონ-ჰილელი ჯეიმს კასლი. მაგრამ საოცარი ისაა, რომ მართალი თუ გინდათ, იმ ჯეიმს კასლს ხეირიანად არც კი ვიცნობდი. უწყინარი ბიჭი იყო, ერთ კლასში ვსწავლობდით. მაგრამ ის ოთახის მეორე კუთხეში იჯდა და არ მახსოვს, რომ გაკვეთილი ეპასუხებინოს, ან დაფასთან გასულიყოს. არიან ხოლმე ბიჭები - იშვიათადა თუ გავლენ დაფასთან, და გაკვეთილის მოყოლაც ჭირივით ეზარებათ. მგონი, ერთხელ მეტადაც არ გამოვლაპრაკებივარ - სვიტრი რომ მთხოვა, ის იყო ერთადერთი ჩვენი საუბარი. ლამის იქვე მოვკვდი,. ისე სახტად დავრჩი, სვიტრი რომ მთხოვა. მახსოვს, სააბაზანოში კბილებს ვიხეხავდი, როცა მთხოვა. ბიძაშვილმა უნდა გამომიაროს და მანქანით გამასეირნოსო. ისიც კი გამიკვირდა - საიდან იცის, რომ ასეთი სვიტრი მაქვს-მეთქი. მე პირადად არაფერი ვიცოდი მისი, გარდა იმისა, რომ საკლასო ჟურნალში სწორედ ჩემს წინ ეწერა. კარლ რ., კაბლ ვ., კასლი კოლფილდი... ჯერაც არ დამვიწყებია. მართალი თუ გინდათ, კინაღამ უარი ვტკიცე სვიტრის თხოვებაზე, იმიტომ რომ ხეირიანად არ ვიცნობდი.

- რაო? - ფიბის ვკითხე. რაღაც მითხრა, მაგრამ ვერ გავიგონე.

- ერთი რამეც კი ვერ მოგიფიქრებია!

- რას ამბობ! როგო არა. როგორ არა.

- მაშ სთქვი.

- ელი, მაგალითად, - ვუთხარი მე - ელი მიყვარს. ასე შენთან ჯდომა ლალაპარაკიც მიყვარს, და ყველაფრის მოგონება და...

- ელი ხომ მოკვდა!.. სულ ეს რომ დაგიჟინია! კაცი რმო მოკვდება და ცაში წავა და ყველაფერი, იმისი ნამდვილი...

- ვიცი, რომ მოკვდა! შენ გგონია, არ ვიცი? მაგრამ მაინც მიყვარს. არ შემიძლია თუ რა? რა ვუყოთ, რომ მოკვდა, სიკვდილის გამო ხომ არ გადაიყვარებ ადამიანს?.. მით უმეტეს ცოცხლებზე ათასჯერაც უკეთესი თუა ის კაცი.

ფიბის არაფერი უთქვამს, როცა სათქმელი არაფერი აქვს, ასე გაჩუმდება ხოლმე.

- ასე რომ ვსხედვართ, ეგეც მიყვარს. ნამდვილად. შენთან ასე ჯდომა და ათასი რამის გახსენება და ლაყბობა...

- ეგ სულ სხვაა.

- ვითომ რატომ? სწორედ ეგ არის საქმე. მაშ რა ჯანდაბა უნდა იყოს?! ხალხს რომ ჰკითხო, ყველაფერს გაგიბიაბრუებენ. გული გააწყალეს, ჯანდაბას მაგათი თავი!

- ნუ ილანძღები. კარგი, კიდევ დაასახელე რამე. სთქვი, რა გინდა გამოხვიდე - მეცნიერი, ვექილი თუ სხვა რამე?

- სადაური მეცნიერი მე ვარ. მეცნიერება რა ჩემი საქმეა!

- მაშ ვექილი?.. მამასავით.

- ვექილობა კარგია, მაგრამ მე მაინც არ მიმიწევს გული, - ვუთხარი მე, - იცოცხლე კაი საქმეა უდანაშაულო ხალხის დაცვა და გამოსარჩლება, მაგრამ ვექილები ამას თავის დღეში არ აკეთებენ. ვექილი თუ ხარ, ფული უნდა ხვეტო, გოლფი ან ბრიჯი ითამაშო, მანქანა იყიდო, მარტინი სვა და გამოწკეპილი იარო. ვთქვათ, მართლაც იცავ და ექომაგები უდანაშაულო ხალხს, ეგეც ბევრს არაფერს ნიშნავს, იმიტომ, რომ შენ თვითონვე არ იცი, რატომ აკეთებ ამას - მართლა გულით გსიამოვნებს ალალი ხალხის დახსნა თუ გინდა გამოჩენილი ვექილის სახელი მოიხვეჭო და ყველა ბეჭებზე გითათუნებდეს ხელს და გილოცავდეს, როცა რაიმე ოხერ საქმეს მოიგებ სასამართლოში, სწორედ ისე, როგორც იმ ბინძურ კინოებშია. საიდან უნდა გაიგო, ეს თვალთმაქცობაა თუ სულითა და გულით ეხმარები! მთელი უბედურება ისაა, რომ ამას ვერ მიხვდები.

არა მგონია, რამე გაეგოს ფიბის ჩემი ყბედობისა. ჯერ პატარაა, რა ესმის, მაგრამ გულისყურით კი მისმენდა. ხოლო როცა ადამიანი გისმენს, ესეც კარგია.

- მამას ვერ გადაურჩები. იცოდე, მოგკლავს, - თქვა მან.

მაგრამ მე აღარ ვუსმენდი. თავში რაღაცამ გამკრა, რაღაც გიჟურმა ფიქრმა.

- იცი რა მინდა გავხდე? - ვუთხარი მე, - იცი რა? რა თქმა უნდა, ჩემს ნებაზე თუ მიმიშვეს და არაფერი ჯანდაბა არ გადამეღობა.

- რა? სთქვი. ოღონდ ნუ ილანძღები.

- ეს სიმღერა თუ გახსოვს - «ნეტა ვინმეს თუ დაიჭერ ჭვავის ყანაში»... მე მინდა რომ...

- «თუ დაიჭერ» კი არა, «ნეტა ვინმეს თუ შეხვდები ჭვავის ყანაში» - გამისწორა ფიბიმ. - ეს ლექსია. რობერტ ბერნსის ლექსი.

- მეც ვიცი, რომ რობერტ ბერნსის ლექსია.

ფიბი მართალი იყო. ლექსში მართლაც ასეა - «ნეტა ვინმეს თუ შეხვდები ჭვავის ყანაში», მაგრამ მაშინ არ ვიცოდი.

- მე კი მეგობნა, «ვინმეს თუ დაიჭერ» იყო, - ვუთხარი ფიბის, - ერთი სიტყვით, თვალწინ მიდგას, როგორ თამაშობენ პატარა ბავშვები დიდველზე, ჭვავის ყანაში. ათასობით ბავშვია და თან არავინ ახლავთ - ესე იგი, დიდი არავინ გახლავთ - ჩემს მეტი. მე კიდე საშინელი ციცაბო კლდის პირას ვდგავარ, და რას ვაკეთებ -

ბავშვებს ვიჭერ, რომ უფსკრულში არ გადაიჩეხონ. თუ გამორბის და წინ არ იყურება, არც იცის, რომ უფსკრულს უახლოვდება, უცებ გამოვვარდები და ხელს ვტაცებ. მთელი მეტს არაფერს ვაკეთებ - ბავშვებს ვიჭერ ჭვავის ყანაში. ვიცი, რომ სიგიჟეა, მაგრამ ეს მინდა, სხვა არაფერი. ისე მეც ვიცი, რომ სიგიჟეა.

ფიბის კარგა ხანს არ გაუღია ხმა. მერე კი, მამას ვერ გადაურჩებიო, ისევ ის მითხრა.

- ჩემი დარდიც ეგ იყოს, თუ ვერ გადავურჩები, - ვუთხარი მე. ბოლოს წამოვდექი, გადავწყვიტე ჩემი ელქტონ-ჰილელი ინგლისურის მასწავლებლისთვის დამერეკა. მისტერ ანტოლინი იყო ეს კაცი და ახლა ნიუ-იორკში ცხოვრობდა. ელქტონ-ჰილიდან წამოვიდა. ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ასწავლიდა ახლა ინგლისურს. ტელეფონზე უნდა დავრეკო-მეთქი, ფიბის ვუთხარი. შენ ნუ დაიძინებ, ახლავე მოვბრუნდები-მეთქი. არ მინდოდა დასძინებოდა, მანამ მე სასტუმროში ვიყავი. ისედაც არ დაიძინებდა, მაგრამ მაინც გავაფრთხილე, უფრო დავიმშვიდე გული.

კარებისკენ რომ გავემართე, ფიბიმ მომაძახა - «ჰოლდენ!» მივბრუნდი.

ლოგინზე წამომჯდარიყო. ისეთი ლამაზი იყო!

- ერთი გოგო გვყავდა სკოლაში, ფილის მარგულისი, ნახე, როგორი სლოკინი მასწავლა.

მე ყური დავუგდე, მაგრამ ისეთი ვერაფერი გავიგონე.

- კარგია, - ვუთხარი და სასტუმრო ოთახში გავედი, რათა მისტერ ანტოლინისთვის დამერეკა.

23

ტელეფონზე ლაპარაკს ჩქარა მოვრჩი, მეშინოდა მშობლებმა არ მომისწრონ-მეთქი. მაგრამ გადავრჩი. მისტერ ანტოლინის ძალიან გაეხარდა. თუ გინდა ახლავე მოდიო, მითხრა. ეტყობა ეძინათ - ცოლსაც დამასაც - დიდხანს არ მოსულან ტელეფონთან. ხომ არაფერი მომხდარაო, პირველად ეს მკითხა, და არაფერი-მეთქი, მეც ვუპასუხე. ოღონდ პენსიდან გამორიცხვის ამბავი მაინც ვუთხარი. გადავწყვიტე, რომ მისთვის კი შეიძლებოდა ამის თქმა. ღმერთო დიდებულოო, ესღა წამოიძახა. ხუმარა კაცი იყო. თუ გინდა, ახლავე მოდიო, მითხრა.

ამ მისტერ ანტოლინისთანა მასწავლებელს მე არავის შევხვედრივარ. სასიამოვნო ახალგაზრდა კაცი იყო; დ.ბ.-ზე ცოტათი უფროსი. რამდენიც არ უნდა გეხუმრა და გელაზღანდარა მასთან, პატივისცემას ერთი ბეწოთი არ დაჰკარგავდა. მე რომ ჯეიმს კასლი ვახსენე - ფანჯრიდან გადახტა-მეთქი - პირველად სწორედ ანტოლინი მიიჭრა და აიყვანა, მაშინვე მაჯა გაუსინჯა, მერე პალტო გაიხადა, გადააფარა და საავადმყოფოში გააქანა. სულაც არ დაფიქრებულა, პალტო სისხლში არ მოითხვაროსო.

დ.ბ.-ს ოთახში რომ შევბრუნდი, ფიბის უკვე რადიო ჩაერთო. საცეკვაო მუსიკას გადმოსცემდნენ. დაბალ ხმაზე დაეყენებინა, რომ მოსამსახურე გოგოს არ გაეგონა. უნდა გენახათ ჩემი ფიბი! ზის ლოგინში, საბანზე, ფეხები იოგივით მოურთხამს და მუსიკას ისმენს. კინაღამ გავგიჟდი.

- ადექი, - ვუთხარი მე, - არ გინდა, ვიცეკვოთ?

სულ პატარა იყო, ცეკვა რომ ვასწავლე. დიდებულად ცეკვავს. მე იმდენი არაფერი მისწავლებია, თვითონვე ისწავლა. ნამდვილი ცეკვის სწავლება, საერთოდ, შეუძლებელია, თვითონვე უნდა ისწავლოს ადამიანმა.

- ფეხსაცმელები რომ გაცვია! - მითხრა ფიბიმ.

- გავიხდი. ადექი!

მაშინვე წამოხტა და დამიცადა, მანამ ფეხსაცმელებს გავიხდიდი. კარგა ხანს ვიცეკვეთ. მართლაც რომ დიდებულად ცეკვავს. პატარებთან რომცეკვავენ ხოლმე, როდი მიყვარს, საშინელი საყურებელია. რესტორანში, მაგალითად, ან ამისთანა ადგილებში, ადგება ვინმე ბერიკაცი და თავის პატარა გოგონას გამოიყვანს. ისე უხერხულად მოსდებს ხელს ზურგზე, რომ კაბას სულ წამოუჩეჩავს, ბავშვიც ხეირიანად ვერ ცეკვავს. ერთი სიტყვით, საშინელი საყურებელია. ასეთ ადგილებში არაფრისდიდებით არ ვიცეკვებ ფიბისთან. ჩვენ მარტო შინ ვცეკვავთ ხოლმე, თავის შესაქცევად. თუმცა ფიბი ისე კარგად ცეკვავს, რომ ხალხშიც არ შეგარცხვენს. რაც არ უნდა იცეკვო, გამოგყვება. ოღონდ მჭიდროდ უნდა მიიკრა და მაშინ, თუნდა გაცილებით გრძელი ფეხები გქონდეს, აღარავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. კოხტად მოგყვება. გინდა მიუხვიე, რაც გინდა გააკეთე, ჯიტენბაგსაც კი ისე აგიწყობს, ვითომც არაფერიო. თუ გინდა ტანგოც აცეკვე.

ოთხი რამე ვიცეკვეთ. უნდა ნახოთ, რა სასაცილოა ცეკვასა და ცეკვას შუა. ერთის ამბით დგას გაწკიპული და ახალი ცეკვის დაწყებას ელოდება. კრინტსაც კი არა ძრავს. ჩაგჭიდებს ხელს და დგახართ ასე, მანამ ორკესტრი ახალ საცეკვაოს დაიწყებდეს. ვგიჟდები პირდაპირ, მაგრამ გაცინების ნებას ვინ მოგცემს!

ერთი სიტყვით, ოთხი რამე ვიცეკვეთ და მერე რადიო გამოვთიშე. ფიბი ისევ ახტა საწოლზე და საბანში შეძვრა.

- ხომ უფრო კარგად ვცეკვავ? - მკითხა მან.

- მერე როგორ! - მე ვუპასუხე. ისევ ლოგინზე ჩამოვუჯექი. სულს ძლივს ვითქვამდი. იმდენს ვწევდი იმ ოხერ სიგარეტს, რომ უკვე სუნთქვა აღარ მყოფნიდა. ფიბი კი ვითომც არაფერიო, დამშვიდებით სუნთქავდა.

- აბა შუბლზე დამადე ტუჩები, - მითხრა უცებ.

- რათა?

- დამადე, დამადე!

ვაკოცე, მაგრამ არაფერი არ მიგრძვნია.

- დიდი სიცხე მაქვს?

- არა, ვითომ რარტომ უნდა გქონდეს?

- მაქვს... მე თვითონ ვიწევ სიცხეს; აბა კიდე დამადე.

კიდევ დავადე და არც ახლა მიგრძვნია რამე, მაგრამ მაინც ვუთხარი:

- ახლა კი, მგონი მართლა აგიწია. არ მინდოდა, რომ ის ოხერი არასრულფასოვნების განცდა განვითარებოდა.

თავი დამიქნია.

- თერმომეტრზედაც კი შემიძლია ავწიო.

- თერმომეტრზე? სად ისწავლე?

- ალის ჰოლმბორგმა მასწავლა. ფეხები უნდა გადაჯვარედინო, სუნთქვა შეიკრა და ძალიან, ძალიან ცხელ რამეზე უნდა იფიქრო. მაგალითად, რადიატორზე, ან ასეთ რამეზე. ისე გაგიხურდება შუბლი, ვინმემ ხელი რომ დაგადოს, დასწვავ კიდეც.

ერთბაშად მომსპო კაცი. ისე უცებ ავაცალე შუბლიდან ხელი, თითქოს დიდ საშიშროებაში ვყოფილიყავი.

- კიდევ კარგი, რომ გამარფრთხილე, - ვუთხარი მე.

- ო, შენ კი არ დაგწვავდი. ადრევე შევაჩერებდი, მანამ.. ჩჩუ! - და ერთბაშად გაეკრა ლოგინს. საშინლად დამაფეთა.

- რა მოგივიდა? - ვკითხე მე.

- დერეფნის კარები! - ჩურჩულით მიპასუხა, - მოვიდნენ!

ხელად წამოვხტი, მაგიდასთან მივირბინე და სინათლე ჩავაქრე. მერე სიგარეტი ფეხსაცმლის ლანჩზე მივასრისე და ჯიბეში ჩავიდე. ჰაერში თამბაქოს კვამლი იდგა და ხელის ქნევას მოვჰყევი - იქნებ გავფანტო-მეთქი. პაპიროსი მაინც არ მომეწია! ბოლოს ფეხსაცმელებს დავტაცე ხელი და კარადაში შევძვერი. კარი მივიხურე. ჰოი ბიჭო, რა ბაგა-ბუი გაჰქონდა ჩემს გულს!

გავიგონე, როგორ შემოვიდა დედაჩემი.

- ფიბი! - თქვა მან, - თავს ნუ იმძინარებ, დავინახე, რომ სინათლე გენთოთ, ქალბატონო!

- ჰელო! - ფიბის ხმა გავიგონე. - აღარ დამეძინა. კარგი დრო გაატარეთ?

- დიდებული, - ეს დედაჩემმა თქვა, მაგრამ მაშინვე შეატყობდით, რომ მართალს არ ამბობდა. მაინცდამაინც ვერ ერთობა, როცა სტუმრად დადის, - რატომ არა გძინას, ქალბატონო? ხომ არ შეგცივდა?

- სულაც არშემცივნია. ისე, არ დამეძინა.

- ფიბი, პაპიროსი ხომ არ მოგიწევია? მართალი მითხარი, ქალბატონო.

- რაო? - ფიბი შეეკითხა.

- გაიგონე, რა გითხარი?

- ერთი წუთით მოვუკიდე და ხელადვე ჩავაქრე. ერთხელ მეტად არ მომიწევია, მაშინვე ფანჯრიდან გადავაგდე.

- იმ ერთხელაც რარტომ მოსწიე?

- არ დამეძინა.

- ცუდი გიქნია, ფიბი. ძალიან ცუდი გიქნია, - უთხრა დედამ, - მეორე საბანი ხომ არ გინდა?

- არა, მადლობელი ვარ. ღამე მშვიდობით. - თქვა ჩემმა ფიბიმ. უნდოდა, როგორმე ჩქარა მოეშორებინა თავიდან.

- კინო მოგეწონა? - ჰკითხა დედამ.

- მშვენიერი იყო. მაგრამ ალისის დედამ გააწყალა გული. ხომ არ გაჟრჟოლებსო, რომ დაჟინა ალისს, აღარ მოასვენა - წარამარა გადმოიხრებოდა და ჰკითხავდა. ტაქსით დავბრუნდით.

- მოდი ერთი, შუბლზე გაკოცო.

- ნუ გეშინია, მე არ გადმომდებია, არც არაფერი სჭირვებია. დედამისმა აიკვიატა მხოლოდ.

- კარგი, დაიძინე. სადილი როგორი იყო?

- საძაგელი, - უთხრა ფიბიმ.

- ხომ არ გახსოვს, მამაშენმა რა გითხრა მაგ სიტყვისთვის?!

მაინც რა იყო საძაგელი? მშვენიერი ბატკნის კატლეტი მოგართვეს. მთელი ლექსინგტონ ავენიუ შემოვიარე მაგით...

- ბატკნის კატლეტს არა უშავდა, მაგრამ ჩარლინამ არ იქნება, რო მსახეში არ შემომასუნთქოს, როცა საჭმელს მაწვდის. სულ დაორთქლავს ხოლმე კერძს. ყველაფერს უნდა დააორთქლოს.

- კარგი, დაიძინე. დედას აკოცე. ხომ ილოცე?

- სააბაზანოში ვილოცე. ღამე მშვიდობისა.

- ღამე მშვიდობისა. დაიძინე ახლა. თავი ისე მტკივა, რომ მისკდება პირდაპირ, - თქვა დედამ. ხშირად იცის თავის ტკივილი. აწამებს.

- ასპირინი დალიე, - უთხრა ფიბიმ, - ჰოლდენი ალბათ ოთხშაბათს ჩამოვა, არა?

- მე მგონი. აბა, დაიხურე და დაიძინე.

დედაჩემი ოთახიდან გავიდა და კარი გაიხურა. ორი კიდევ დავიცადე და კარადიდან გამოვძვერი. უცებ ფიბის დავეჯახე კარგა მაგრად - თურმე ამ სიბნელეში ლოგინიდან წამოხტა და ჩემსკენ გამოიქცა, გამოდიო, უნდა ეთქვა.

- ხომ არაფერი გატკინე? - ვკითხე. ჩურჩულზე გადავედით, რადგან დედაც და მამაც ორივენი შინ იყვნენ უკვე. - ახლავე უნდა მოვუსვა. სიბნელეში ლოგინი მოვძებნე და ჩამოვჯექი, ფეხსაცმლის ჩაცმა დავიწყე. ძალიან ვღელავდი, უნდა გამოგიტყდეთ.

- ჯერ ნუ მიდიხარ, - ფიბიმ წამჩურჩულა, - ბარემ დაიძინონ!

- არა, უნდა წავიდე. ახლა ჯობს, - ვუთხარი მე, - მანამ დედა სააბაზანოშია. მამა ალბათ ახალ ამბებს ისმენს რადიოში. ახლავე ჯობს, - ისე ვღელავდი, რომ ძლივსძლივობით შევიკარი ფეხსაცმლის თასმები. განა მომკლავდნენ ან რამეს მიზამდნენ, კიდეც რომ დავეჭირე, მაგრამ ძალიან არასასიამოვნო იქნებოდა, - შენ სადღა ხარ? - ვკითხე ფიბის. ისე ბნელოდა, რომ ვერაფერს ვერ ვხედავდი.

- აქა ვარ, - თურმე გვერდში მიდგას და მე კი ვერ ვხედავ.

- ჩემოდნები სადგურზე მაქვს დატოვებული, - ვთქვი მე, - მოიხედე, ცოტა ფული ხომ არ გექნება ფიბი? სულ გამოვიფხიკე.

- საშობაო საჩუქრების ფულიღა მაქვს. ჯერ არაფერი მიყიდია.

- აჰ! საშობაო საჩუქრების ფულს როგორ წავართმევდი.

- გინდა? - მკითხა ფიბიმ.

- საშობაო საჩუქრების ფულს არ გამოგართმევ.

- ცოტას მოგცემ, - თქვა მან. მერე გავიგონე, როგორ ფათურობდა დ.ბ.-ს მაგიდასთან. ათასი უჯრა მაინც გამოაღო და გადმოქექა. ოთახში ისე ბნელოდა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი, - თუ მართლა წახვედი, სცენაზე როგორღა მნახავ? - მითხრა ფიბიმ. სასაცილოდ აუთრთოლდა ხმა.

- გნახავ, როგორ არ გნახავ. გნახავ და მერე წავალ. შენ გგონია, წარმოდგენაზე არ მოვალ? - ვუთხარი მე, - ახლა ავდგები და მისტერ ანტოლინისთან მივალ, სამშაბათ საღამომდი იქ დავრჩები. მერე კი შინ მოვალ. თუ მოვახერხე, დაგირეკავ.

- გამომართვი, - მითხრა ჩემმა ფიბიმ. უნდა მოეცა, მაგრამ ვერ მომაგნო. - სადა ხარ? - ხელში ჩამიდო ფული.

- დაიცა, ამდენი არ მინდა, - ვუთხარი მე - ორი დოლარი მეყოფა. არ გეხუმრები... აჰა, - ვცადე უკანვე დამებრუნებინა. მაგრამ არ გამომართვა.

- სულ წაიღე, და მერე გადამიხადე. წარმოდგენაზე რომ მოხვალ, იქ მომიტანე.

- მერე, აქ რამდენია?

- რვა დოლარი და ორმოცდახუთი ცენტი... სამოცდაექვსი ცენტი. დანარჩენი დამეხარჯა.

უცებ ტირილი არ წამსკდა! ვერასდიდებით ვერ შევიმაგრე თავი. ვცდილობ არავის გავაგონო, თან კი ცრემლად ვიღვრები. ფიბი საშინლად დაფეთდა, მე რომ ტირილი დავიწყე, მოვიდა და ფერება დამიწყო. ცდილობს დამამშვიდოს, მაგრამ

ერთი თუ წაგსკდა ცრემლები, რაღა ოხრობა გაგაჩერებს! ლოგინიდან არც ავმდგარვარ. ფიბიმ მხარზე მომხვია ხელი, მეც გადავეხვიე, მაგრამ მაინც დიდხანს ვერ დავმშვიდდი. მეგონა, ვიხრჩობოდი. ჰოი, ბიჭო, როგორ დავაფეთე ჩემი საწყალი ფიბი! იმ ოხერი ფანჯარაც ღია იყო და ვგრძნობდი, როგორ კანკალებდა, რადგან პიჟამას ამარა იყო. ლოგინში ჩაწექი-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ არ დამიჯერა. ბოლოს, როგორც იყო, დავჩუმდი. მაგრამ ამასობაში დიდი ხანი გავიდა. მერე პალტოს ღილები შევიკარი. უსათუოდ დაგიკავშირდები-მეთქი, ფიბის ვუთხარი. დარჩი და ჩემს ოთახში დაიძინეო, ფიბიმ შემომთავაზა, მაგრამ არა-მეთქი, მე ვუპასუხე, მისტერ ანტოლინი მელოდება და ისედაც არ ღირს-მეთქი. მერე ჯიბიდან ჩემი სანადირო ქუდი ამოვიღე და ფიბის მივეცი. ჭკუას კარგავს ხოლმე ამისთანა სულელურ ქუდებზე. ჯერ უარზე იდგა, არ იღებდა, მაგრამ ძალათი მივეცი. სანაძლეოს ჩამოვალ, რომ იმ ქუდიანად დაიძინებდა. პირდაპირ გიჟდება ამისთანა ქუდებზე. ბოლოს კიდევ ვუთხარი, თუ მოვახერხე უსათუოდ დაგირეკავ-მეთქი და წამოვედი.

წამოსვლა, რატომღაც გაცილებით ადვილი გამოდგა. მისვლა უფრო გამიძნელდა. ჯერ ერთი, დიდად უკვე აღარ ვწუხდი, დამიჭერდნენ თუ არა. ის კი არადა, სულაც არ შევწუხდებოდი. დამიჭერენ და დამიჭირონ-მეთქი, ვფიქრობდი. გულში ვნატრობდი კიდეც, ნეტა დამიჭირონ-მეთქი.

ლიფტში აღარ ჩავმჯდარვარ, ფეხით დავეშვი. ეზოს კიბეებით ჩამოვედი. ათასჯერ კინაღამ მოვიტეხე კისერი სანაგვე ყუთებზე, როგორც იქნა ჩამოვედი დაბლა. მელიფტეს აღარც კი დავუნახივარ. ალბათ ახლაც იმ დისკტაინებთან ვგონივარ.

24

მისტერ და მისის ანტოლინებს სანაქებო ბინა ჰქონდათ სატონ პლეისზე, ორ საფეხურს ჩაინაცვლებდი და სასტუმრო ოთახში შევხვიდოდი. რაღა ეს ოთახი და რაღა ბარი! მშვენივრად ჰქონდათ მოწყობილი. ბევრეჯერ ვყოფილვარ იმათსა, რადგან ჩემი ელექტროჰოლიდან წამოსვლის შემდეგ მისტერ ანტოლინი ხშირად მოდიოდა ხოლმე სადილად ჩვენთან და ჩემს ამბავს გებულობდა. მაშინ უცოლო იყო. ცოლი რომ შეირთო, ჩოგბურთს ვეთამაშებოდი ხშირად მასაც და მისის ანტოლინისაც, ფორესტ-ჰოლის საჩოგბურთო კლუბში, ლონგ აილენდზე. მისის ანტოლინი იმ კლუბში იყო ჩაწერილი. ფული თავზესაყარი ჰქონდა ქალს. ბარე სამოცი წლით უფროსი იქნებოდა მისტერ ანტოლინიზე, მაგრამ, ეტყობოდა, კარგად შეეთვისნენ ერთმანეთს. ჯერ ერთი, რომ, ორივე ძალიან განათლებული იყო, განსაკუთრებით მისტერ ანტოლინი. ოღონდ, საუბარს რომ გაუბამდი, ხუმრობა უფრო უყვარდა, ვიდრე ჭკვიანური ლაპარაკი. დ.ბ.-ს ხასიათი ჰქონდა. მისის ანტოლინი უფრო სერიოზული ქალი გახლდათ. ასთმა აწვალებდა საწყალს. ცოლსაც და ქმარსაც დ.ბ.-ს მოთხრობები სულ გადაკითხული ჰქონდათ, და დ.ბ.-მ რომ ჰოლივუდში დააპირა წასვლა, მისტერ ანტოლინიმ დაურეკა, ნუ წახვალო. მაინც წავიდა. ვისაც დ.ბ.-სავით უჭრის კალამი, ჰოლივუდში რაღა ესაქმებაო. მეც სულ ამას არ გავიძახი?

ფეხით წავალ-მეთქი, ვიფიქრე, ფიბის საშობაო საჩუქრების ფული მინდოდა დამეზოგა, მაგრამ ქუჩაში რომ გამოვედი, ცუდად შევიქენი. თავბრუ დამესხა რაღაცნაირად. რა უნდა მექნა _ ტაქსი დავიჭირე. სხვა გზა არ იყო. ტაქსის შოვნაც კი გაჭირდა.

ვიღაც ნაბიჭვარი მელიფტე იყო, არასდიდებით არ მიშვებდა ლიფტში. ბოლოს როგორც იქნა დავითანხმე. კარი თვითონ მისტერ ანტოლინიმ გამიღო. აბანოს ფლოსტებში ჩაეყო ფეხები, ხელში კი ვისკიანი მოზრდილი ჭიქა ეჭირა. მაგარი მსმელი იყო.

_ ჰოლდენ, ჩემო ბიჭო! _ შესძახა მისტერ ანტოლინიმ, _ ღმერთო ჩემო, ოცი გოჯით კიდევ გამაღლებულა. როგორ გამახარე!

_ როგორ გიკითხოთ, მისტერ ანტოლინი? მისის ანტოლინი როგორა ბრძანდება?

_ რა გვიჭირს, დენდებივით ვართ. პალტო მომეცი, _ გამომართვა და დაჰკიდა, _ მე მეგონა, ხელში ახალდაბადებული ბავშვი გეყოლებოდა. საშველი არ არის. წამწამები თოვლით გევსება. _ ზოგჯერ რომ დაიქოქება, სულ ხუმრობს და ხუმრობს. მიბრუნდა და სამზარეულოსკენ გასძახა: _ ლილიან! ყავა არ გაამზადე? _ ლილიანი ერქვა მისის ანტოლინის!

_ მზად არის! _ გამოსძახა ცოლმა, _ ჰოლდენი მოვიდა? გამარჯობა, ჰოლდენ!

_ გამარჯობა, მისის ანტოლინი!

ამათ სახლში მუდამ ღრიალია. იმიტომ, რომ თავისდღეში ერთად ვერ ნახავთ, სულ სხვადასხვა ოთახში არიან. საოცარია, პირდაპირ!

_ დაჯექი, ჰოლდენ, _ მითხრა მისტერ ანტოლინიმ. გადაკრულში იყო. ეტყობოდა, ახლახან დაემთავრებინათ ქეიფი: ირგვლივ სულ ჭიქები და თხილიანი თეფშები ეწყო. _ ბოდიშს ვიხდი, ალაგება ვერ მოვასწარით, _ თქვა მან, _ მისის ანტლინის ბუფალოელი მეგობრები გვეწვივნენ... მართალი თუ გინდა, თვითონაც კაი გამწევი ხარები არიან.

გამეცინა. მისის ანტოლინიმ სამზარეულოდან რაღაც დამიყვირა, მაგრამ ვერ გავიგე.

_ რა მითხრა? _ ვკითხე მისტერ ანტოლინის.

_ რომ შემოვალ, ნუ შემომხედავო. ლიგინიდან წამოდგა. პაპიროსი მოსწიე. აღარ სწვე?

_ გმადლობთ. _ კილოფიდან სიგარეტი ამოვიღე, _ ცოტასღა ვწევ. ათასში ერთხელ.

_ ვიცი, როგორ არა! _ მაგიდიდან უშველებელი სანთია აიღო და მომიკიდა, _ ესეც ასე. მაშ, პენსი და თქვენ საბოლოოდ გაეყარეთ ერთმანეთს! _ ამისთანა ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი იცოდა. ზოგჯერ ვერთობოდი, მაგრამ ყოველთვის არა. გადაამლაშებდა ხოლმე ენამოსწრებული არ იყო-მეთქი, როდი ვამბობ, პირიქით, მაგრამ ზოგჯერ ნერვები აგეშლება, კაცი რომ ატყდება და სულ ასე გელაპარაკება: «მაშ, პენსი და თქვენ საბოლოოდ გაეყარეთ ერთმანეთს!» ზოგჯერ დ.ბ.-მაც იცის ხოლმე გადამლაშება.

_ მაინც რა მოხდა? მკითხა მისტერ ანტოლინიმ, _ ინგლისური ჩააბარე? მაგაშიაც თუ ჩაფლავდი, იცოდე, სახლიდან გაგადებ, ინგლისურ წერაში ჩემი პატარა ფალავანი შენ იყავი.

_ ო, ინგლისური კარგად ჩავაბარე. თუმცა, უმთავრესად ლიტერატურას გავდიოდი. მთელს მეოთხედში ორად-ორი თხზულება თუ მექნება დაწერილი, _ ვუთხარი მე, _ ზეპირში ჩავვარდი. ზეპირიც შემოიღეს.

და ჩავფლავდი კიდეც.

_ რა მოგივიდა?

_ რა ვიცი. _ სულაც არ მეხალისებოდა ამის ლაპარაკი. თავბრუ ხომ მესხმოდა, და ახლა საშინელი თავის ტკივილიც დაემატა. მისკდებოდა თავი.

მაგრამ ისე ჩანდა დაინტერესებული ჩემი გამოცდებით, რომ სხვა გზა არ იყო, უნდა რამე მეამბნა, _ რაღაც უცნაური კურსია: ყოველი მოწაფე უნდა წამოდგეს და სიტყვა წარმოთქვას _ სახელდახელოდ უნდა მოიფიქროს რაიმე თემა და იმ თემაზე ილაპარაკოს. თემას თუ გადაუხვია, ყველა ერთხმად შებღავლებს _ «გადაუხვია! გადაუხვია!» ვგიჟდებოდი პირდაპირ. სწორედ ამაში ჩავფლავდი.

_ რა მოგივიდა?

_ რა ვიცი. ნერვებს მიშლიდა ხოლმე ის შებღავლება. თვითონვე არ ვიცი, რა მომივიდა. მთელი უბედურება ის არის, რომ მე სწორედ თემიდან გადახვევა მიყვარს. უფრო საინტერესოა.

_ კაცი რომ ამბავს დაიწყებს, არ გინდა ბოლომდე გიამბოს?

_ მინდა, როგორ არ მინდა! თუ დაიწყებს, უნდა დაამთავროს კიდეც, მაგრამ ვერ ვიტან, როცა ააწყობენ და სულ ერთსა და იგივეს უტრიალებენ. არ ვიცი. ალბათ ჩემს ხასიათს არ ეგუება სულ ერთსა და იგივეზე ლაპარაკი. ვინც ერთი თემა აირჩია და ბოლომდე იმ თემას გაჰყვა, კარგი ნიშნებიც მიიღო _ ამაზე რა მეთქმის. მაგრამ ერთი ბიჭი იყო, რიჩარდ კინსელა, მაინცდამაინც არა ცდილა ერთ თემაზე ლაპარაკს და საშველიც აღარ მისცეს _ სულ «გადაუხვია!» უძახეს. საშინელებაა პირდაპირ. ჯერ ერთი, რომ ძალიან ნერვიული ბიჭი იყო _ მეტისმეტად ნერვიული _ მისი ჯერი რომ მოვიდოდა, სულ ტუჩები უთრთოდა. უკანა რიგებში თუ იჯექი, ვერაფერსაც ვერ გაიგონებდი. მაგრამ, როცა დამშვიდდებოდა და ტუჩებიც დაუწყნარდებოდა, ყველაზე კარგად ის ბიჭი ყვებოდა ხოლმე. რა გინდა, ფაქტიურად ისიც ჩაჭრეს. ორიანი მიიღო პლიუსით. იმიტომ, რომ აღარ მოასვენეს «გადაუხვიას!» ძახილით. მამამისს ვერმონტში ერთი ფერმა უყიდია და ვთქვათ იმის ამბავი დაიწყო. ვინ დააცლის _ სულ «გადაუხვია-გადაუხვიას» ბღავიან! მასწავლებელი მისტერ ვინსონიც ორიანს უწერს _ რა ცხოველები გყავთ იმ ფერმაში ან რა ბოსტნეულს იწევდით, ეს რატომ არ გვიამბეო. ეს რიჩარდ კინსელა კი ჯერ ფერმის ამბავს მოჰყვება, და უცებ ბიძის წერილზე გადახტება. დედამისს მიუღია წერილი. ორმოცდაორი წლის ბიძას თურმე პოლიომელიტი შეჰყრია, და საავადმოფოში კაციშვილს არ უშვებს, არ უნდა რკინის კორსეტში ნახოს ხალხმა. სად ფერმა და სად ბიძის ავადმყოფობაო... და მართალიცაა, მაგრამ თუკი საინტერესოა?! იმას რა სჯობს, როცა კაცი თავისი ბიძის ამბავს გიამბობს! მით უმეტეს, მამის ფერმის აღწერით თუ დაიწყებს და უცებ უფრო საინტერესო ამბავზე გადახტება. კაცი გატაცებით ყვება, აღფრთოვანებულია, და უცებ «გადაუხვია», «გადაუხვია!» ამაზე მეტი საშინელება იქნება!.. რა ვიცი. ძნელი ასახსნელია, _ თუმცა არც კი ვცდილვარ ახსნას. ახსნის დარდი ვის ჰქონდა _ თავი მისკდებოდა. იმასღა ვნატრობდი, ბარემ შემოვიდეს მისის ანტოლინი და ყავა შემოიტანოს-მეთქი. გულზე ვკსდები ხოლმე _ ყავა მზად არისო, გეუბნებიან, და არ შემოაქვთ.

_ ჰოლდენ... ერთი პატარა, ცოტა არ იყოს, ვიწრო პედაგოგიკური შეკითხა მინდა მოგცე. როგორა გგონია _ განა ყველაფერს თავისი დრო და ადგილი არ უნდა ჰქონდეს? მამის ფერმის აღწერას თუ დაიწყებ, არა სჯობია ფერმაზე ილაპარაკო, და ბიძის ავადმყოფობის ამბავს კი მერე მოჰყვე? ან არა და, თუკი ასეთი მაცდუნებელია ბიძის ამბავი, რაღა ფერმას გადასწვდი, ადექი და ბიძაშენის ავადმყოფობა გვიამბე!

არც ფიქრის თავი მქონდა და არც პასუხისა. თავი მისკდებოდა, საძაგელ გუნებაზე ვიყავი. მართალით გინდა, მუცელიც წამომტკივდა.

_ ჰო... რა ვიცი. ალბათ ასეა. თუკი ბიძა უფრო აინტერესებს, მართლაც და რაღა ფერმა აიღო _ ბიძის ამბავი დაეწყო! მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ მანამ უინტერესო საგანზე ლაპარაკს დაიწყებდე, ხშირად არც კი იცი, რა უფრო დაგაინტერესებს. ზოგჯერ ვერაფერს ვერ გაუგებ. ჩემის აზრით, უნდა აცალო კაცს, თუკი რამემ დააინტერესა და გატაცებით ჰყვება, გაუშვი _ მოჰყვეს. ძალიან მიყვარს, როცა კაცი გატაცებით ჰყვება. ამას რა სჯობს! თქვენ არ მოსწრებიხართ იმ მასწავლებელს, მისტერ ვინსონს. გაგაგიჟებდათ, ისიც და მთელი ჩვენი კლასიც. რომ ჩაგაცივდებოდათ _ «განაზოგადე, გაამარტივეო», აღარ მოგცემდათ საშველს. მაგრამ ზოგჯერ რომ შეგხვდება ისეთი რამე, ვერაფერს რომ ვერ მოუხერხებ. ესე იგი, სხვისი ხუშტურის მიხედვით ვერც განაზოგადებ და ვერც გაამარტივებ. თქვენ არ მოსწრებიხართ იმ ვაჟბატბს, მისტერ ვინსონს. განათლებულიც იყო და ყველაფერიც, მაგრამ მაშინვე შეატყობდი, რომ ცოტა ჭკუა აკლდა.

_ აბა, ჯენტლმენებო, როგოც იქნა გაღირსეთ ყავა, _ თქვა მისის ანტოლინიმ. ლანგარით შემოიტანა ყავა, ნამცხვარი და ამისთანა რაღაცეები. _ ნუ მომაშტერდით, ჰოლდენ, საშინლად ჩამობრანძული ვარ.

_ გამარჯობათ, მისის ანტოლინი, _ ვთქვი მე და წამოდგომა ვცადე, მაგრამ მისტერ ანტოლინიმ პიჯაკის კალთას დამწია და დამსვა. თმის დასახვევად რომ რკინის პაპილოტებს ხმარობენ, მთელი თავი იმითOჰქონდა დაფარული მისის ანტოლინის, თან ტუჩებიც არ ჰქონდა შეღებილი და ვერ იყო მაინცდამაინც სასიქადულო სანახავი. შებერებულიც ჩანდა.

_ აგერ დაგილაგებთ ყველაფერს. მე წავალ, თქვენ კი დაბრძანდით და შეექეცით, _ ლანგარი სიგარეტების მაგიდაზე დადო, ჭიქები გვერდზე მისწია. _ დედა როგორ არის, ჰოლდენ?

_ კარგად გახლავთ, გმადლობა. დიდი ხანია არ მინახავს, მაგრამ ბოლოს რომ...

_ ა, გენაცვალე, ჰოლდენს თუ რამე დასჭრდეს, თეთრეულის კარადაში აწყვია ყველაფერი, ზემოთა თაროზე. მე დავწვები. ქანცი გამწყდა, _ თქვა მისის ანტოლინიმ. ზედვე ეტყობოდა, რომ საშინლად დაღლილი იყო, _ ლოგინს ხომ გაიშლით თქვენ თვითონ, ბიჭებო?

_ ყველაფერს გავაკეთებთ. შენ გაიქეცი, დაწექი, _ უთხრა მისტერ ანტოლინიმ. მერე აკოცა. ქალმა ღამე ნებისა მისურვა და საწოლ ოთახში გავიდა. ხალხს სულაც არ ერიდებოდნენ, ყველას დასანახად რომ პროშტნიდნენ ერთმანეთს.

ცოტა ყავა მოვსვი და ქვასავით მაგარი ნამცხვარი მოვკბიჩე. მისტერ ანტოლინიმ კი არაფერს არ დააკარა პირი, ისევ ვისკი დალია. ეტყობოდა, მაგარ ვისკის ამზადებდა. ნამდვილად გალოთდება, თუ თავს არ მიხედა.

_ ამ ორი კვირის წინათ მე და მამაშენმა ერთად ვისაუზმეთ, _ მითხრა მან, _ არ გაგიგია?

_ არა, არ გამიგია.

_ ძალიან აწუხებს შენი ამბავი. ეს ალბათ შენც გეცოდინება.

_ ვიცი. ვიცი რომ ძალიან აწუხებს. _ ვუთხარი მე.

_ მანამ დამირეკავდა, ეტყობა, შენი უკანასკნელი დირექტრის სალანძღავი წერილი მიეღო _ არაფერს არ აკეთებსო, სკოლას აცდენსო, გაკვეთილებს არ ამზადებსო. ერთი სიტყვით, თავს არაფერზე არ...

_ სულაც არ გამიცდენია ანკი ვინ გაგაცდენინებდა! ათასში ერთხელ იმ ზეპირს თუ გავაცდენდი, მე რომ გიამბეთ, თორემ სხვა არაფერი გამიცდენია.

ბევრი ლაილაის თავი აღარ მქონია. მუცლის ტკივილი კი დამიყუჩა ცოტათი ყავამ, მაგრამ თავი ისევ მისკდებოდა.

მისტერ ანტოლინიმ მეორე სიგარეტს მოუკიდა. გამწარებით ქაჩავდა. მერე თქვა:

_ უნდა გამოგიტყდე, არც კი ვიცი, რა გითქრა, ჰოლდენ.

_ მესმის. ძნელია ჩემთან ლაპარაკი. მე თვითონ ვხვდები.

_ ასე მგონია, რაღაც საშინელი უფსკრულისკენ მიჰქრიხარ-მეთქი. მაგრამ, სინდისს გეფიცები, მე თვითონ ვერ... არ მისმენ?

_ როგორ არა.

ცდიობდა სერიოზული ყოფილიყო. ამას მაშინვე შეატყობდით.

_ ოცდაათი წლისა რომ გახდები, სულ ადვილი შესაძლებელია, უმიზეზოდ შეიზიზღო ვინმე: ვთქვათ ბარში ზიხარ და ვიღაც შემოდის. საკმარისია რომელიმე კოლეჯის ყოფილ ფეხბურთელად მოგეჩვენოს, რომ მაშინვე შეიზიზღებ. ან იქნებ კაი განათლებაც მიიღო და უსწორო მეტყველებისთვის შეიძულო ხალხი. მაგალითად ასე რომ ლაპარაკობენ ერთმანეთში: «ეს შენი და ჩემს შორის დარჩეს». ან იქნებ კანტორაში მოეწყო სადმე და შენს მეზობელ სტენოგრაფისტს ქინძისთავები დაუშინო. რა ვიცი. მგონი, მიმიხვდი, რისი თქმა მინდა!

_ დიახ. რა თქმა უნდა, _ ვუთხარი მე. მართლაც მივუხვდი, _ მაგრამ ხალხს შეიძულებო, რომ მეუბნებით, ამაში ცდებით. ფეხბურთელები რად უნდა შევიზიზღო. ამაში არა ხართ მართალი. არც იმდენი ხალხი მძულს. ისეთი ხასიათი მაქვს, ცოტა ხნით თუ შევიძულებ ხალხს. პენსიში მაგალითად, ერთი ბიჭი იყო, სტრედლეიტერი, და რობერტ ეკლი კიდევ. ერთიც შემძულებია და მეორეც _ არ დავფიცავ _ მაგრამ ცოტა ხნით. ის კი არა და, დიდხანს თუ ვეღარ ვნახე _ ან ოთახში არ შემოვიდნენ ან სასადილოში ერთი-ორი ჯერი გამოტოვეს, თვალშიც დამაკლდებიან. ნამდვილად დამაკლდებიან.

მისტერ ანტოლინის კარგა ხანს არ გაუღია ხმა. მერე ადგა, ყინულის ნატეხი აიღო, ჭიქაში ჩააგდო და ისევ დაჯდა. ეტყობოდა, რაღაცას ფიქრობდა. ვინატრე ნეტა ახლა მომეშვას და დილით გააგრძელოს ლაპარაკი-მეთქი, მაგრამ მაგრად იყო მომართული. სწორედ მაშინ აეშლება ხოლმე ხალხს ლაპარაკის საღერღელი, როცა გუნებაზე არა ხარ.

_ კეთილი და პატიოსანი. ახლა ერთი წუთით დამიგდე ყური... იქნებ ისე გარკვევით ვერ ჩამოვაყალიბო ჩემი მოსაზრება, როგორც მინდა, მაგრამ ამ ორ დღეში ყველაფერს წერილით მოგწერ. მაშინ კი ნამდვილად მიმიხვდები. მაინც დამიგდე ყური _ ისევ ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო: _ უფსკრული, საითკენაც შენ მიჰქრი _ სულ სხვა უფსკრულია, საშინელი უფსკრული. იქ გადაჩეხილი კაცი თავის დღეში ფსკერს ვერ შეეხება და ვერც იგრძნობს. სულ ვარდება და ვარდება. ეს ისეთ ხალხს მოსდის, ვისაც ცხოვრების გარკვეულ პერიოდში რაღაც ახალი მისწრაფება გასჩენია და ამ მისწრაფების დაკმაყოფილება მის გარემოს ვერ შესძლებია. ან ეჩვენება _ ჩემი გარემო ამას ვერ დამიკმაყოფილებსო. და ამიტომ ხელი ჩაუქნევია, აღარც ცდილობს დაკმაყოფილებას. ჯერ მიღწევას არცა ცდილა და უკვე ხელი ჩაიქნია. მისმენ?

_ დიახ, სერ.

_ ნამდვილად?

_ დიახ.

წამოდგა და კიდევ დაისხა ვისკი. მერე ისევ დაჯდა. კარგა ხანს ხმა არ გაუღია.

_ არ მინდა შეგაშინო, _ მითხრა მან, _ მაგრამ თვალნათლივ ვხედავ, როგორ ვაჟკაცურად ეწირები ყოვლად უღირსსა და უმნიშვნელო საქმეს, _ რაღაც უცნაურად გამიშტერა თვალი. _ ერთი რაღაც რომ დაგიწერო, გულისყურით წაიკითხავ? შეინახავ მერე?

_ დიახ. რა თქმა უნდა. _ ვუთხარი მე. ავუსრულე კიდეც. ახლაც მაქვს ის ქაღალდი, მაშინ ეომ მომცა.

საწერ მაგიდასთან მივიდა ოთახის მეორე კუთხეშუ და არც დამჯდარა, ისე რაღაც დაწერა. მერე მობრუნდა და დაჯდა. ქაღალდი ხელში ეჭირა.

_ უცნაური ის არის, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის არა პოეტს, არამედ ფსიქოანალიტიკოსს _ ვილჰელმ შტეკელს. ნახე, რას... არ მისმენ?

_ გისმენთ, როგორ არ გისმენთ.

_ ნახე, რას ამბობს: «ადამიანის მოუმწიფებლობის ნიშანი ის არის, როცა ისწრაფვის ვაჟკაცურად შეეწიროს საქმეს, ხოლო მომწიფებული ადამიანი ცდილობს მშვიდად იცხოვროს და ამ საქმეს ემსახუროს».

გადმოიხარა და გადმომცა ქაღალდი. მაშინვე წავიკითხე. მადლობა გადავუხადე და ჯიბეში შევინახე. რაც უნდა იყოს, დიდი სიკეთე გამოიჩინა, რომ ასე შეიწუხა ჩემთვის თავი. ნამდვილად. ოღონდ, უბედურება ის იყო, რომ ფიქრის თავი აღარ მქონდა. ჰოი, ბიჭო, როგორ მოვწყდი ერთბაშად.

მისტერ ანტოლინის კი სულაც არ ეტყობოდა დაღლა. თუმცა კაი მაგარი მთვრალი იყო.

_ მე მგონი, მალე დაგიდგება ის დღეც, როცა იძულებული იქნები გადაწყვიტო... საით უნდა წახვიდე. და მაშინ ხელადვე უნდა დაადგე არჩეულ გზას. დაუყოვნებლივ. ერთი წუთიც არ უნდა დაკარგო. შენთვისვე იქნება ცუდი.

თავი დავუქნიე, იმიტომ, რომ პირდაპირ თვლებში შემომყურებდა, მაგრამ მისი სიტყვები მთლად კარგად არ მესმოდა. თითქოს კი ვხვდებოდი, მაგრამ მაშინ კარგად არ ჩავმწვდარვარ მთავარ არსს. საშინლად დაღლილი ვიყავი.

_ ბევრი ჩიჩინი არ მიყვარს, _ თქვა მან, _ მაგრამ ჩემის აზრით, როცა ამ გზას აირჩევ, მაშინვე სკოლაშიაც უნდა მოეწყო. ეს შენთვის აუცილებელია. შენ მეცნიერ ხარ _ სულერთია, მოგწონს ეს სახელწოდება თუ არა. ცოდნას ხარ მოწყურებული. როცა იქნება, უკან მოიტოვებ ამ მისტერ ვინსებს, თავიანთი ზეპირი თხზუ...

_ მისტერ ვინსონი, _ ვთქვი მე. მისტერ ვინსონები უნდა ეთქვა, ვინსები კი არა. მაგრამ მაინც არ უნდა შემეწყვეტინებინა.

_ კარგი _ მისტერ ვინსონები იყოს. უკან მოიტოვებ ამ მისტერ ვინსონებს და თანდათანობით მიუახლოვდები _ რა თქმა უნდა, შენ თვითონვე თუ მოისურვებ და მოიწადინებ _ ცოდნის იმ საფეხურს, რაც ძალიან, ძალიან სასურველი იქნება შენი გულისათვის. ბევრ სხვა რამესთან ერთად, მაშინ იმასაც მიხვდები, რომ ხალხის უსაქციელობასა და უსულგოლობას მარტო შენ კი არ შეუწუხებიხარ, მარტო შენ კი არა აუფორიაქებიხარ და დაუშინებიხარ. მიხვდები, რომ კენტად არა ხარ ამ საქმეში და ეს გაგახარებს და ძალა შეგმატებს. ბევრს, ძალიან ბევრს განუცდია ისეთივე სულიერი და მორალური აფორიაქება, რასაც განუცდია ისეთIვე სულიერი და მორალური აფორიაქება, რასაც ახლა შენ განიცდი. საბედნიეროდ, ზოგს ჩაწერლი აქვს ყოველი ასეთი გასაჭირი. შეგიძლია ისწავლო

მათგან _ თუკი მოისურვებ. ასევე სხვებსაც შეეძლებათ ისწავლონ შენგან, თუ მიწადინებ და გაუზიარებ. ურთიერთდახმარება დიდებული საქმეა. და არა მარტო ცოდნის სამქეში. პოეზიაშიც, ისტორიაშიც, _ შეჩერდა, კარგა ბლომად მოსვა და კვლავ განაგრძო. ჰოი, ბიჭო, მართლაც რა მაგრად იყო მომართული! კიდე კარგი, რომ არ ვაწყვეტინებდი _ სულაც არ მინდა გიმტკიცო, თითქოს მხოლოდ განათლებულსა და მცოდნე ხალხს სეეძლოს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ცხოვრებაში. ეს ტყუილია. მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ განათლებული და მცოდნე ადამიანები, თუ ამათსან ნიჭიერნი და ხელოვანებიც არიან _ თუმცა ეს, საუბედუროდ იშვიათად ხდება ხოლმე _ უბრალოდ ნიჭიერი და ხელოვანი ხალხი. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება მკაფიოდ გამოთქვან აზრი, და ფიქრი როგორმე ბოლომდე მიიყვანონ. რაც მთავარია, ათიდან ცხრა შემთხვევაში მათ უფრო მეტი უბრალოება ახასიათებთ, ვიდრე არამეცნიერ მოაზროვნეებს. ხომ მიმიხვდი?

_ დიახ, სერ.

დიდხანს აღარაფერი უთქვამს. არ ვიცი, გამოგიცდიათ თუ არა ასეთი მდგომარეობა, მაგრამ ძალიან ძნელი კია იჯდე და იცადო, როდის მოიფიქრებს და იტყვის რამესო. მართლაც, რომ ძნელია. თავს ვიკავებდი, რომ არ დამემთქნარებინა. განა მისი ლაპარაკი მომბეზრდა, სულაც არა. მაგრამ ერთბაშად ძილი მომერია.

_ ერთი უპირატესობა კიდევ აქვს აკადემიურ განათლებას: მნიშვნელოვან ცოდნას რომ შეიძენ, წარმოდგენა შეგექმნება – რა შესაძლებლობისაა შენი გონება, რა მოერგება და რა არ მოერგება. რამდენიმე ხნის შემდეგ მიხვდები, რა ფიქრები უფრო მოუხდება შენს ჭკუასა და გონებას. ამით დიდ დროსაც დაზოგავ, აღარ დაგჭირდება ბევრი რჩევა და ცდა _ რა უფრო მომიხდება და რა არ გამომადგებაო. შენს ჭეშმარიტ საზომს გამოიმუშავებ და ჭკუას შესაფერისი სამოსით შემოსავ.

ამ დროს უცებ არ დამამთქნარა! ვიცი, რომ პიროტყვობაა ასეთი რამ, მაგამ რა უნდა მექნა!

მისტერ ანტოლინის არაფერი უთქვამს, გაეცინა მხოლოდ.

_ აბა, _ თქვა და წამოდგა, _ შენი ლოგინი გავშალოთ.

კარადისკენ გაემართა და მეც გავყევი. ბევრი იწვალა ზემო თაროდან ზეწრებისა და საბნების ჩამოსაღებად, მაგრამ ცალ ხელში ვისკიანი ჭიქა ეჭირა და ვერ მოახერხა. აიღო და გამოცალა, ჭიქა იატაკზე დადო და მერე გადმოიღო თეთრეული. მე მივეშველე და სავარძლამდე მივატანინე ყველაფერი. ლოგინს ერთად ვშლიდით ორივე. მაინცდამაინც დიდი სიმარჯვე არ გამოუჩემია. არ ეხერხებოდა ხოლმე ასეთი რამეები. მაგრამ ჩემთვის სულერთ იყო. ისე დავიქანცე, რომ ფეხზე დგომელაც დავიძინედი.

_ გოგოები როგორა გყავს?

_ რა უჭირთ? _ ისედაც საძაგელი მოსაუბრე ვარ და ახლა მითმეტეს დანა პირს არ მიხსნიდა.

_ სალი როგორაა? _ შალი ჰეისს იცნობდა. სადღაც გავაცანი ერთხელ.

_ სალისაც რა უჭირს. სწორედ დღეს შევხვდი. ჰოი, ბიჭო, თითქოს ოცი წელიწადი გასულიყოს მას შემდეგ! ბევრი აღარაფერი დაგვრჩა საერთო.

_ ღმერთივით გოგოა. მეორე გოგო როგორღა გყავს? აი, რომ მიამბობდი, მეინში გავიცანიო.

_ აჰ, ჯეინ გალაჰერი! კარგად არის. ხვალ ალბათ დავურეკავ.

ლოგინის გაშლას მოვრჩით.

_ აჰა, მოისვენე, _ მითხრა მისტერ ანტოლინიმ. _ მაგრამ ამ შენს ფეხებს რაღას უზამ, არ ვიცი, სად დასტევ!

_ არა უშავს რა. მივეჩიე მოკლე საწოლებს, _ ვუთხარი მე. _ დიდი მადლობელი ვარ, სერ. თქვენ და მისის ანტოლინიმ პირდაპირ მიხსენით დღეს.

_ სააბაზანო სადაც არის, იცი. თუ რამე დაგჭირდეს, დამიძახე. ერთ ხანს სამზარეულოში ვიქნები... სინათლე ხომ არ შეგიშლის?

_ არა... რასა ბრძანებთ. ღამე ნებისა.

_ ღამე ნებისა, სერ. დიდი მადლობა.

ის სამზარეულოში გავიდა, მე კი სააბაზანოს მივაშურე, გავიხადე და ყველაფერი. ოღონდ კბილები ვერ გავიხეხე, ჯაგრისი არა მქონია თან. არც პიჟამა მქონდა, მისტერ ანტოლინისაც დაავიწყდა თავისი ეთხოვებინა. სასტუმრო ოთახში შევბრუნდი, სინათლე ჩავაქრე და ტრუსების ამარა შევძვერი ლოგინში. მართლაც ძალიან მოკლე გამოდგა ჩემთვის ეს სავარძელი, მაგრამ ფეხზე დგომელაც რომ ვყოფილიყავი, ისე დავიძინებდი, თვალს არ დავახამხამებდი. ორიოდე წამი მისტერ ანტოლინის სიტყვებზე ვფიქრობდი _ რაღაც საზომს გამოიმუშავებ და ჭკუას მოარეგეო. ნამდვილად ჭკვიანი კაცი იყო. მაგრამ თვალები დამეხუჭა და ჩამეძინა.

მერე რაღაც მოხდა. გახსნებაც კი აღარ მინდა.

უცებ გამეღვიძა. არ ვიცი, რა დრო უნდა ყოფლიყო, მაგრამ გამეღვიძა. თავზე რაღაც ვიგრძენი, ვიღაცის ხელი. ჰოი, ბიჭო, როგორ შემეშინდა. მისტერ ანტოლინის ხელი აღმოჩდა. პირდაპირ იატაკზე ჩამჯდარიყო, სავარძელთან, იმ სიბნელეში, და არ ვიცი მაკოცა, არ ვიცი ხელი გადამისვა ჩემს ოხერ თავზე. ჰოი, ბიჭო, ათას ფუნტზე მაინც შევხტი! სანაძლეოს ჩამოვალ.

_ რას შვრებით? _ შევძახე მე.

_ არაფერს! ისე ვზივარ და შენი ცქერით ვტკბე...

_ არა, მაინც რას შვრებით? _ ისევ ჩავეკითხე. ენა დამება, აღარ ვიცოდი, რა მეთქვა, ერთბაშად გავოგნდი და დავიბენი.

_ რა გაღრიალებს? ისე ვზივარ ჩემთვის და...

_ სულერთია, უნდა წავიდე, _ ვთქვი მე. ჰოი, ბიჭო, როგორ მომეშალა ნერვები! სიბნელეშივე დავიწყე ჩემი ოხერი შარვლის ჩაცმა, მაგრამ ისე ვიყავი აღელვებული, რომ ფეხი ძლივს გავუყარე. გაფუჭებული ხალხის მეტი რა მინახავს, სკოლაშიაც და ყველგან. ჩემდენი ვის ეყოლება ნახული!

_ სად უნდა წახვიდე? _ მკითხა მისტერ ანტოლინიმ. ვითომ ძალიან დამშვიდებულად და გულგრილად ირჯებოდა, მაგრამ მერწმუნეთ, სულაც არ იყო დამშვიდებული.

_ ჩემოდნები და ბარგი სადგურში მაქვს დატოვებული. ბარემ წავალ და გამოვიტან. ყველაფერი იქა მაქვს.

_ დილამდე სად გაგექცევა! დაწექი. მეც წავალ და დავწვები. რა მოგივიდა?

_ რა უნდა მომსვლოდა. ფულიც და ყველაფერიც იმ ჩემოდნებში მაქვს. ახლავე დავბრუნდები. ტაქსში ჩავჯდები და ხელად მოვალ, _ ვუთხარი მე. ჰოი, ბიჭო, კისერი კინაღამ მოვიტეხე იმ სიბნელეში. _ საქმე ისაა, რომ ჩემი ფული კი არ არის, დედაჩემისაა და...

_ ნუ აიხირე, ჰოლდენ. ჩაწექი. მეც უნდა წავიდე და დავწვე. შენი ფული იქვე დაგხვდება დილ...

_ არა, არ გეხუმრებით. უნდა წავიდე, უსათუოდ უნდა წავიდე. _ უკვე ჩაცმული ვიყავი. ოღონდ ყელსახვევი ვერ ვნახე. ვეღარ გავიხსენე, სად დავკიდე

ჩემი ყელსახვევი. ქურთუკი ჩავიცვი. უყელსახვევოდ წავალ, რა მოხდება! მისტერ ანტოლინი ახლა დიდ სავარძელში იჯდა, ჩემი ლოგინიდან მოშორებით და შემომცქეროდა. ბნელოდა, არაფერი ჩანდა, ხეირიანად ვერც ვხედავდი, მაგრამ მაინც ვგრძნობდი, რომ მე მიცქეროდა, ისევ ვისკის წრუპავდა. გარკვევით ვხედავდი, როგორ ეჭირა ხელში თავისი ერთგული ჭიქა.

_ ძალიან, ძალიან უცნაური ბიჭი ხარ.

_ ვიცი, _ ვუთხარი მე. ყელსახვევი აღარც მიძებნია. ისე წამოვედი, უყესახვევოდ. _ მშვიდობით, სერ. დიდი მადლობელი ვარ. დიდი მადლობა.

კარებამდე გამომყვა. ლიფტი რომ გამოვიძახე, ზღუებლთან შეჩერდა და სულ იმას დუდღუნებდა _ «ძალიან, ძალიან უცნაური ბიჭი ხარო». უცნაური! დიახ! მანამ ის ოხერი ლიფტი ამოვიდოა, იქვე იდგა, ზღურბლზე. ჩემს დღეში ამდენი ლოდინი არ დამჭირვებია. ღმერთმანი.

აღარც კი ვიცოდი, რა ოხრობა მეთქვა, მანამ ლიფტს ველოდებოდი, ის კი ზღურბლიდან ფეხს აღარ იცვლიდა, მერე ესღა მოვახერხე:

_ კარგი წიგნები უნდა შევარჩიო და კითხვა დავიწყო. ნამდვილად. _ რამე ხომ უნდა მეთქვა. საშინლად დაბნეული ვიყავი.

_ დაავლე ხელი იმ ჩემოდნებს და უკანვე გამოქანდი. კარებს ღიას დავტოვებ.

_ დიდი მადლობა, _ ვუთხარი მე, _ ნახვამდის. _ როგორც იქნა ლიფტსაც ეშველა. კარი მივხურე და დავეშვი. ჰოი, ბიჭო, როგორ გიჟივით მიკანკალებდა ყველაფერი. ოფლში ვცურავდი. როცა ამნაირი უხამსობა შემემთხვეოდა, სულ ოფლს დამასხამს ხოლმე. ერთი ოცჯერ მაინც შემმთხვევია ამისთანა საზიზღარი საქმე ბავშვობის შემდეგ. საშინელებაა!

25

გარეთ რომ გამოვედი, უკვე თენდებოდა. საშინლად ციოდა, მაგრამ მესიამოვნა კიდეც, რადგან ოფლში ვცურავდი.

არ ვიცოდი, სად ჯანდაბაში წავსულიყავი. სასტუმროში წასვლას და ფიბის დოლარების ხარჯვას გული არ მაძლევდა. ბოლოს, ლექსინგტონამდე ფეხით მივედი და იქიდან მეტროთი ცენტრალური სადგურისკენ გავემართე. იქა მქონდა ჩემოდნები დატოვებული, თან ვიფიქრე _ იმ ფეთიან მოსაცდელ ოთახში ყოველ ფეხის ნაბიჯზე მერხები ყრია და ცოტას წავიძინებ კიდეც-მეთქი. ასეც ვქენი. პირველად არა უშავდა რა, ხალხი იმდენი არ ყოფილა და სკამზე ფეხის გამართვა შეიძლებოდა. მაგრამ სულაც არ მეხალისება ამეების გახსენება. საშინელებაა. ნურც გამოცდით. ნამდვილად გეუბნებით. გული გაგიწყალდებათ.

ცხრა საათამდე მეძინა, მეტი არა. მერე კი მოაწყდა და მოაწყდა ხალხი მოსაცდელ ოთახს, და იძულებული ვიყავი ფეხები დაბლა ჩამომეშვა. ფეხები თუ იატაკზე მაქვს ჩაკიდული, რაღა დამაძინებს! რა უნდა მექნა _ წამოვჯექი. თავი ისევ მტკიოდა. ახლა კიდევ უფრო მაგრად. გული ისე მეწურებოდა, რომ ალბათ ჩემს დღეში არ ვყოფილვარ ასე მოჟამულ გუნებაზე.

სულაც არ მინდოდა, მაგრამ მისტერ ანტოლინიზე ფიქრი დავიწყე _ ნეტა რას ეტყვის მისის ანტოლინის, როცა იგი სასტუმრო ოთახში შევა და იქ აღარ დავხვდები-მეთქი. თუმცა ამ ფიქრს დიდად არ შევუწუხებივარ _ მისტერ ანტოლინი ჭკვიანი კაცი იყო და ვიცოდი, ხელად მოიგონებდა რამეს. შინ წავიდაო, ეტყოდა. ერთი სიტყვით, ამას დიდად არ შევუწუხებივარ. მე იმის გახსენება მტანჯავდა _ როცა გამოვიძინე და ვნახე, თავზე ხელს მითათუნებდა!

ვაი თუ შორსა ვდებ, იქნებ იმ კაცს სულაც არ ჰქონია ბინძური ზრახვები-მეთქი. იქნებ ასეთი ხასიათი აქვს _ მძინარე ხალხისათვის თავზე ხელის სმა უყვარს! გადაჭრით ხომ ვერ იტყვი ამას? ვერა, ვერ იტყვი. ის კი არა და, ერთი პირობა ვფიქრობდი, მოდი ჩემოდნებს გამოვიტან და სიტყვას არ გავტეხ, უკანვე მივბრუნდები-მეთქი. კიდეც რომ იყოს გაფუჭებული კაცი, ჩემთვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია-მეთქი. სულაც არა სწყენია, შუაღამეზე რომ დავურეკე, პირიქით, მაშინვე ის მითხრა, თუ გინდა, ახლავე მოდიო! როგორ იმტვრევდა თავს და რა გამწარებით მირჩევდა, ჭეშმარიტი საზომი უნდა გამოიმუშაო და ჭკუას მოარგოო. ეგეც რომ არ იყოს, მე რომ ჯეიმს კასლის ამბავი გიამბეთ, ხომ ვერავინ გაბედა მასთან მისვლა, ეს კი პირველი მიიჭრა მკვდართან. ასეთი ფიქრები მიტრიალებდა თავში და რამდენსაც მეტს ვფიქრობდი, მით უფრო მეტად მეწურებოდა გული. იქნებ აჯობოს, უკანვე მივბრუნდე-მეთქი! რასაც მეტს ვფიქრობდი, სულ უფრო და უფრო მოვიშალე და ავფორიაქდი. ამ თვალებმაც რომ გამამწარა: უძილობისაგან ჯოჯოხეთურად მკტიოდა და მეწოდა. ამას სურდოც დაერთო, მე კი ერთი ქეციანი ცხვირსახოციც არა მქონია ჯიბეში. ჩემოდანში კი მეწყო, მაგრამ დამეზარა ჩემოდნის გამოტანა და ამდენ ხალხში გახსნა.

იქვე, სკამზე, ვიღაცას ჟურნალი დარჩენოდა და კითხვა დავიწყე, ვიფიქრე, იქნებ ცოტა ხნით მაინც გადამავიწყოს მისტერ ანტოლინის ამბავი და ათასი სხვა ამნაირი უსიამოვნო ფიქრები-მეთქი. მაგრამ ისეთი დაწყვეტილი სტატია შემხვდა, სულ მომშალა და მომათავა. ჰორმონებზე იყო. თუ ჰორმონები ნორმალურად გაქვთ, მაშინ ასეთი და ასეთი სახე და თვალები უნდა გქონდეთ და ამნაირი შესახედავი იყოთო. სწორედ ისეთი შესახედავი არ ვიყავი. მოშლილჰორმონებიანი კაცი ჩაეხატათ იქვე, და იმას ვგავდი. ახლა ჰორმონების დარდმა შემაწუხა. მეორე სტატია წავიკითხე _ როგორ უნდა მიხვდე, გაქვს თუ არა კიბო. პირის ღრუში თუ წყლული გაგიჩნდა და მალე არ მოგიშუშდა, ნამდვილად კიბო გქონიათო. მე კი მთელი ორი კვირაა, პატარა წყლული მაქვს ტუჩზე! მორჩა, კიბო მქონია-მეთქი, გადავწყვიტე. კაი მხიარული ჟურნალი გამოდგა! თავი მივანებე და გარეთ გამოვედი. ორიოდ თვე და კიბო მომიღებს ბოლოს-მეთქი, ვფიქრობდი, ნამდვილად. თავი დავაჯერე, რომ კიბო მქონდა. რაღა თქმა უნდა, დიდად არც ამ ფიქრს გამოუსწორებია ჩემთვის გუნება.

თითქოს წვიმას აპირებდა, მაგრამ მაინც გამოვედი გარეთ. ჯერ ერთი, უნდა მესაუზმნა. სულ არ მშიოდა, მაგრამ რამე ხომ უნდა ვჭამო-მეთქი. ვიტამინებიანი რამე მაინც. აღმოსავლეთ კვარტალებისკენ გავსწიე _ საცა იაფი რესტორნებია. ფული არ მემეტებოდა.

გზაზე ორ ბიჭს უზარმაზარი ნაძვისხე გადმოჰქონდათ საბარგო მანქანიდან. ერთი მათგანი წარამარა გაჰყვიროდა: «ასწი, ასწი ეს ძაღლიშვილი! ცოტა კიდევ ასწი!» ძალიან კი უხდებოდა ამისთანა სიტყვები შობის ხეს. მაგრამ მაინც სასაცილო იყო და გამეცინა კიდეც. ამაზე უარესს ალბათ ვერაფერს ვერ ვიზამდი _ დავიწყე თუ არა სიცილი, მაშინვე გული ამერია. ცოტას გაწყდა, არ წამაღებინა, მაგრამ ისევ გადამიარა. არ ვიცი, რა მომივიდა. ამჟავებული ან ასეთი რამე არაფერი მიჭამია, კუჭიც მაგარი მაქვს. ერთი სიტყვით გადამიარა და გადავწყვიტე რამე მეჭამა. ერთ ძალიან იაფ რესტორანში შევედი და ფუნთუშა და ყავა მოვატანინე. ოღონდ ფუნთუშა არ მიჭამია, ვერ გადავყლაპე. როცა მოშხამულ გუნებაზე ხარ, ყლაპვაც გიჭირს. ოფიციანტი კაი კაცი გამოდგა. ფუნთუშები

უკანვე წაიღო, ფული არ გადაუხდევინებია. მარტო ყავა შევხვრიპე. მერე გამოვედი და მეხუთე ავენიუსკენ გავემართე.

ორშაბათი იყო, შობა ახლოვდებოდა და მაღაზიები სულ დაეღოთ. ასე რომ, მეხუთე ავენიუზე მოწყენილობა მაინცდამაინც არ განმიცდია. შობის სიხარული იგრძნობოდა. გაწლიკული სანტა კლაუსები კუთხეებში მიმდგარიყვნენ და ზარებს რეკდნენ, მოხალისე ქალთა არმიის გოგოებიც გამოსულიყვნენ, _ აი ტუჩებზე რომ არაფერს არ იცხებენ და არ ითხუპნებიან ხოლმე, _ და ისიც ზარებს რეკდნენ. ვიფიქრე, გუშინ რომ საუზმეზე შევხვდი, იქნებ იმ ორ მონაზონს გადავეყარო-მეთქი, ბევრი ვაცეცე თვალები აქეთ-იქით, მაგრამ ვერ ვნახე. ვიცოდი, რომ ვერ ვნახავდი, აკი მითხრეს, ნიუ-იორკში მასწავლებლად უნდა ვიმუშაოთო, მაგრამ მაინც ვეძებდი. ერთი სიტყვით, საშობაო განწყობილება უცებ მეც გადმომედო. მილიონობით ბავშვები გამოსულიყვნენ დედებთან ერთად; შედიოდნენ და გამოდიოდნენ მაღაზიებიდან, ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ ავტობუსებზე. ნეტა ფიბიც აქ იყოს-მეთქი, ვინატრე. არც ისეთი პატარაა, რომ სათამაშოებზე დაკარგოს ჭკუა, მაგრამ სეირის ყურება და ქუჩაში ხეტიალი მაინც უყვარს. შარშან მე გამოვიყვანე ქალაქში საყიდლებზე. ჰოი, რა არ მოვიგონეთ! მგონი ბლუმინგდეილის მაღაზია იყო. ფეხსაცმელების განყოფილებაში შევედით; უსაშველოდ მაღალყელიანი ფეხსაცმელები რომაა, ვითომ ის უნდოდა ფიბის, აი მილიონი თასმის გასაყრელი ნახვრეტი რომ აქვს. გავაგიჟეთ საწყალი გამყიდველი. ოცი წყვილი მაინც მოირგო ფიბიმ და იმ საწყალმა ბიჭმა ოცჯერვე ბოლომდე შეუკრა თითო ცალი ფეხსაცმელი. ძალიან ბინძური ხუმრობა იყო, მაგრამ ფიბი პირდაპირ გიჟდებოდა. ბოლოს ერთი წყვილი მოკასინები ავირჩიეთ და დავავალეთ, შინ გამოეგზავნათ. დიდებული გამყიდველი გამოდგა. მე მგონი, მიხვდა კიდეც, რომ თავს ვიგდებდით, იმიტომ რომ ფიბი განუწყვეტლივ ხითხითებდა.

ერთი სიტყვით, მივდიოდი და მივდიოდი მეხუთე ავენიუზე, არც ყელსახვევი მეკეთა და არც არაფერი. უცებ უცნაური რაღაც დამემართა. კვარტალს რომ გავივლიდი და მეორე მხარზე გადასასვლელად იმ ოხერ ქუჩაზე გადავიდოდი, ყოველთვის ისეთი გრძნობა მომიცავდა, თითქოს მეორე მხარეს გადასვლას ვეღარ ვეღირსებოდი. ასე მეგონა, ვეშვები ქვევით, ქვევით, სულ ქვევით და კაციშვილი ვეღარ დამინახავს-მეთქი. ჰოი ბიჭო, რა დავფეთქდი! ვერც კი წარმოიდგენთ. ისევ ოფლი დამასხა, პერანგი და საცვლები სულ გასაწური გამიხდა. და უცებ რაღაც მოვიგონე. კვარტლის ბოლოს რომ მივუახლოვდებოდი, წარმოვიდგენდი, თითქოს ელის ველაპარაკებოდი, ჩემს ძმას. «ელი, ხელი მომაშველე, არ ჩავვარდე! ელი, ხელი მომაშველე! ელი, ხელი მომაშველე! შენი ჭირიმე, ელი!» ხოლო მეორე მხარეს რომ მივაღწევდი მშვიდობიანად, მადლობას გადავუხდიდი ხოლმე. გავცდებოდი მეორე კვარტალს და ისევ თავიდან ვიწყებდი. მივდიოდი და მივდიოდი. მგონი, მეშინოდა შეჩერებისა... მართალი გითხრათ, კარგად აღარ მახსოვს. მესამოცე ავენიუზე ისე გავცდი ზოოპარკს და ყველაფერს, ერთხელაც არ შევჩერებულვარ. იქ კი სკამზე ჩამოვჯექი. სულს ძლივს ვითქვამდი, ოფლი წურწურით ჩამომდიოდა. მახსოვს, მთელი ერთი საათი ვიჯექი. ბოლოს, ვიფიქრე, ვიფიქრე და გადავწყვიტე, იქაურობას გავცლოდი. აღარც შინ დავბუნებულიყავი და აღარც სხვა სკოლაში შევსულიყავი. მარტო ფიბის ვნახავ, გამოვემშვიდობები, საშობაო საჩუქრების ფულს დავუბრუნებ და შარაზე გავალ, დიდ ავტომანქანებს გადავეყრები, ჩავუჯდები და იალა, დასავლეთისკენ მოვუსვამ-მეთქი. ჯერ ჰოლანდტანელში ჩავალ, ავუწევ

ხელს და გზას გავაგრძელებ, კიდევ სხვა მანქანას, კიდევ... და რამდენიმე დღეში შუაგულ დასავლეთში ამოვყოფ თავს. მშვენიერი სამყოფელია, მზე კაშკაშებს, კაციშვილი ჩემი მცნობი არ არის. რამე საქმეზე მოვეწყობი. ბენზინის საწყობებში სამუშაოს როგორ ვერ ვიშოვი-მეთქი, ვფიქრობდი. გამოივლის ხალხი მანქანებით, ჩავუსხამ ბენზინს და გავუშვებ. ფეხებზე მეკიდა, რა სამუშაოც იქნებოდა! მთავარი ის იყო, არც მე ვეცანი ვინმეს, და მეც არავინ მეცნო. ყველაზე კარგი იქნებოდა, თავი ყრუ-მუნჯად გამესაღებინა. ხალხთან ყოველგვარ სულელურსა და უსარგებლო ლაქლაქს თავს დავაღწევდი. თუ ვინმეს რამე დასჭირდებოდა, ქაღალდს აიღებდა, დამიწერდა და მომცემდა. ბოლოს და ბოლოს ეგეც მობეზრდებათ და სულ გავთავისუფლდები, ჩემს დღეში აღარ დამჭირდება ლაპარაკი. ყველას გაუბედურებული ყრუ-მუნჯი ნაბიჭვარი ვგონივარ და კაცი არ მაქცევს ყურადღებას. ვუსხამ ბენზინს თავიანთ ბითურულ მანქანებში, ჯამაგირს ვიღებ, ფულს ვაგროვებ, სადმე ქოხს ავიშენებ და იქ გავატარებ მთელს ჩემს სიცოცხლეს. ქოხს ტყის ნაპირას დავიდგამ, შიგ ტყეში არა, რადგან სულ მზეში მინდა ვიყო. საჭმელს მე თვითონ მოვიმზადებ. უფრო მოგვიანებით კი, ცოლის შერთვა თუ მომინდა, გამოვძებნი ვინმე ლამაზ გოგოს, ჩემსავით ყრუ-მუნჯს, და შევირთავ. ისიც ჩემთან ერთად იცხოვრებს ქოხში, და რამის თქმა თუ დასჭირდა, მაინც სხვებივით ქაღალდზე უნდა დამიწეროს. ბავშვები თუ გაგვიჩნდა, სადმე გადავმალავთ. წიგნებს ვუყიდით და ჩვენ თვითონვე ვასწავლით წერა-კითხვას.

ამას ვფიქრობდი და თან საშინლად ვღელავდი. მეც ვიცი, რომ ყრუ-მუნჯობის მოგონება სიგიჟეა, მაგრამ ფიქრი მაინც მსიამოვნებდა. დასავლეთისკენ გამგზავრება კი მტკიცედ გადავწყვიტე. ოღონდ ჯერ ფიბის უნდა გამოვმშვიდობებოდი. უცებ ვიშვირე ფეხი და გიჟივით შუა ქუჩაში გავიჭერი _ მართალი თუ გნებავთ, კინაღამ თავი გავწირე _ მეორე მხარეს გადავედი. საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში შევვარდი და ბლოკნოტი და ფანქარი ვიყიდე. მინდოდა მიმეწერა _ გამომსამშვიდობებლად და საშობაო საჩუქრის ფულის უკანვე დასაბრუნებლად სად შევხვედროდი. ამ წერილს სკოლაში მივიტანდი და კანცელარიის თანამშრომელს ფიბისთან გავატანდი. მაგრამ ისე ვიყავი აღელვებული, რომ მაღაზიაში ვეღარ მოვახერხე დაწერა. ბლოკნოტი და ფანქარი ჯიბეში ჩავიდე და რაც ძალი და ღონე მქონდა, მისი სკოლისკენ გავქანდი. მინდოდა მიმესწრო, მანამ შინ წავიდოდა სასაუზმოდ, დრო კი ცოტაღა იყო.

რაღა თქმა უნდა, მისი სკოლა ვიცოდი: მე თვითონ იქ დავდიოდი პატარაობისას. სკოლაში რომ მივედი, რაღაც უცნაური გრძნობა დამეუფლა. არ მეგონა შიგნითა მოწყობილობა თუ მეხსომებოდა, თურმე მშვენივრად მახსოვდა. ისევ ისე დამხვდა ყველაფერი, როგორც დავტოვე. იგივე დიდი სპორტული დარბაზი, ოდნავ ჩაბნელებული, ფანრებზე შემოხვეული მავთულის ბადურები, რომ ბურთი არ მოხვედროდა და ნათურები არ ჩაემტვრია. იატაკი ძველებურადვე თეთრი სათამაშო წრეებით მოხატული. იგივე კალათბურთის რგოლები უბადოდ _ მარტო ფიცრები და რგოლები.

კაცის ჭაჭანება არ იყო _ ალბათ იმიტომ, რომ მეცადინეობა მიმდინარეობდა და საუზმის შესვენება ჯერ არ დაწყებულიყო. მარტო პატარა ბავშვს მოვკარი თვალი, ზანგის ბიჭს, საპირფარეშოსკენ მიცუნცულებდა, ჯიბეში ხის ნომერი მოუჩანდა, _ სწორედ ისე, როგორც ჩემს დროს, _ ეს იყო საპირფარეშოში წასვლის ნებართვა.

ოფლი ახლაც მომდიოდა, მაგრამ ისე ძალიან აღარა. კიბესთან მივედი. პირველივე საფეხურზე ჩამოვჯექი და ჯიბიდან ბლოკნოტი და ფანქარი ამოვიღე. კიბეს ახლაც ისეთივე სუნი ასდიოდა, როგორც ჩემსობას. თითქოს ახლახან დაესველებინოს ვინმეს. ყველგან ასეთი სუნი აქვს ხოლმე სკოლის კიბეებს. ერთი სიტყვით, დავჯექი და დავწერე:

ჩემო ფიბი!

ოთხშაბათამდე ვეღარ დავიცდი, ალბათ დღეს საღამოსვე გავწევ დასავლეთისაკენ. პირველის თხუთმეტზე, თუ მოახერხებ, ხელოვნების მუზეუმის შესასვლელეთან დამხვდი, შენი საშობაო საჩუქრების ფული უნდა მოგცე. ბევრი არ დამიხარჯავს.

შენი ჰოლდენი.

მუზეუმი იქვე იყო, სკოლასთან ახლოს, სასაუზოდ შინ წასული ფიბი სწორედ წინ ჩაუვლიდა. ასე რომ იმედი მქონდა, უსათუოდ შევხვდებოდი.

კიბეებს კანცელარიისკენ ავუყევი. მინდოდა ვინმე მენახა და ფიბისთან წერილი გამეტანებინა. ათად მაინც დავკეცე ქაღალდი, რომ არავის გაეხსნა. ამ ოხერ სკოლებში ვის უნდა ენდოს კაცი! მაგრამ ვიცოდი, რომ ძმის წერილს უსათუოდ გადასცემდნენ.

კიბეზე რომ ავდიოდი, ისევ ამერია გული, წამაღებინებს-მეთქი ვიფიქრე. მაგრამ არაფერი მომსვლია. წამით საფეხურზე ჩამოვჯექი და გამიარა. საფეხურზე რომ ვიჯექი, ისეთი რამე დავინახე, ლამის გავგიჟდი. შენი ასე და ისეო, ვიღაცას დაეწერა კედელზე. ცოტას გაწყდა ჭკუა არ დავკარგე. წარმოვიდგინე როგორ წაიკითხავდა ამას ფიბი, ან სხვა პატარა ბალღები. გაუკვირდებოდათ, ნეტა რას ნიშნავსო. მერე ვიღაც ბნძური ბიჭი გამოჩნდებოდა და ეტყოდა, რასაც ნიშნავს. დაიწყებენ მერე ამაზე ფიქრს და ვინ იცის, მთელი ორი დღე მოეშხამოთ. მინდოდა ერთი წამეხრჩო ამის დამწერი. ალბათ ვინმე გაფუჭებული არამზადა იყო, ღამით მოსაშარდად შეიპარებოდა სკოლაში და მერე ამას წააჯღაბნიდა კედელზე. წარმოვიდგინე, როგორ ჩავავლებდი ხელს, თავს ქვაზე მივახეთქებინებდი, სისხლში ამოვთხვრიდი და იქვე გავათავებდი. მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ საამისოდ ვაჟკაცობა არ მეყოფოდა. წინასწარვე ვიცოდი. ეს რომ გავიფიქრე, კიდევ უფრო მოვიღალე. მართალი თუ გინდათ, ამის წაშლაც კი ვერ გავბედე. შემეშინდა, ვინმე მასწავლებელი დამინახავს წაშლის დროს და ჩემი დაწერილი ეგონება-მეთქი. მაგრამ ბოლოს მაინც წავშალე. მერე ისევ კანცელარიისკენ გავსწიე, ზევით.

დირექტორი არსად სჩანდა, საბეჭდ მანქანას კი ვიღაც ასი წლის დედაბერი უჯდა. მე-4 «ბე» კლასელი ფიბი კოლფილდის ძმა ვარ-მეთქი, ვუთხარი, და ვთხოვე, ეს წერილი გადაეცათ, ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა-მეთქი, ვუთხარი, დედაჩემი ავად გახდა და საუზმე ვერ მოუმზადა, ახლა მე უნდა წავიყვანო სასაუზმეში-მეთქი. კეთილი დედაბერი გამოდგა. ბარათი გამომართვა და მეორე ოთახიდან ვიღაც ქალს გამოუძახა. იმას გაატანა ფიბისთან. ამ ასი წლის დედაბერმა კი საუბარი გამიბა. კეთილი ქალი იყო და ვუამბე, ჩვენ სულ ამ სკოლაში დავდიოდით-მეთქი _ მეც და ჩემი ძმებიც. ახლა სად სწავლობთო, მკითხა. პენსიში-მეთქი, ვიპასუხე. პენსი ძალიან კარგი სკოლაა. ძალიანაც რომ მდომოდა, მაინც ვერ მოვახერხებდი მის ჭკუაზე მოყვანას თუ კარგი სკოლა ჰქონია პენსი, ეგონოს, მე რა მენაღვლება! ასი წლის ადამიანის გარდაქმნა იქნება?! არც მოგისმენს. ცოტა ხნის შემდეგ გამოვემშვიდობე და წამოვედი. სასაცილო კი

იყო _ ბებერი სპენსერივით მომაძახა _ «გზა მშვიდობისაო!» ღმერთო, რა საშინელებაა, როცა სადმე მიდიხარ და _ «გზა მშვიდობისაო» მოგაძახებენ.

დაბლა მეორე კიბით დავეშვი და ახლა სხვა კედელზე დავინახე წარწერა _ შენი ასე და ისეო. ამისი წაშლაც ვცადე, მაგრამ დანით თუ რაღაცათი იყო ამოჭრილი და ვერ მოვახერხე. ან კი რა აზრი ჰქონდა. მილიონი წლის სიცოცხლეც რომ გქონდეს, რაც ქვეყანაზე «შენი ასე და ისე» წერია, იმის ნახევარს ვერ წაშლი. ყოვლად შეუძლებელია.

სპორტდარბაზში საათს შევხედე. თორმეტს ოცი აკლდა. ფიბისთან შეხვედრამდე დრო ბევრი მქონდა, მაგრამ მაინც მუზეუმისაკენ გავემართე. ან კი სად უნდა წავსულიყავი. ერთი პირობა კი ვიფიქრე, მანამ დასავლეთისკენ გავწევდე, მოდი ჯეინ გალაჰერს დავურეკავ-მეთქი, არც ვიცოდი, ჩამოსული თუ იქნებოდა საშობაო არდადეგებზე. ასე რომ, პირდაპირ მიზეუმისკენ გავწიე და იქ დავერჭვე.

მანამ მუზეუმის შესასვლელში ვიდექი და ფიბის ველოდებოდი, ორი ბავშვი მომადგა _ მუმიები სად არის, ხომ არ იცითო, მკითხეს. ერთ მათგანს, სწორედ იმას, მე რომ გამომელაპარაკა, შარვალი გახსნილი ჰქონდა. ვუთხარი, ასეა საქმე-მეთქი და ისიც იქვე შეუდგა შეკვრას _ თან მელაპარაკება და თან იკრავს, იმითაც არ შეუწუხებია თავი, რომ ბოძს მაინც ამოფარებოდა. მომსპო კაცი. სიცილი ძლივს შევიკავე _ შემეშინდა, ისევ არ ამერიოს გული-მეთქი.

_ ჰა, სადა აქვთ ეს მუმიები? _ ისევ ჩამეკითხა ბავშვი, _ არ იცით?

მოდი, ცოტას გავამასხსარავებ-მეთქი, ვიფიქრე.

_ მუმიებიო? მუმიები რა არის? _ ვკითხე მე.

_ როგორ არ იცით. მუმიები _ რომ მოკვდებიან და მერე აკუდამებში მარხავენ.

აკუდამებში! მომსპო და მომათავა. ვითომ, აკლდამებშიო.

_ სკოლაში რატომ არა ხართ, ბავშებო? _ ვკითხე მე.

_ დღეს სკოლა არა გაქვს, _ მიპასუხა იმავე ბავშვმა, მე რომ მელაპარაკებოდა მატყუებდა, თავი მომიკვდეს, ეს პატარა ნაბიჭვარი. მეც, ფიბის მოსვლამდე, საქმე არაფერი მქონია, და გავყევი მუმიების საჩვენებლად. ადრე თვალდახუჭული მიავგნებდი იმ მუმიებს, მაგრამ რამდენი ხანი გავიდა, იქ აღარ ვყოფილვარ.

_ ასე მაგრად გაინტერესებთ მუმიების ნახვა? _ ვკითხე მე.

_ მაშა.

_ შენს მეგობარს ენა არა აქვს?

_ სადაური მეგობარია _ ძმა არის ჩემი.

_ მერე მუნჯია?.. _ იმას გადავხედე, ხმას რომ არ იღებდა, ლაპარაკი არ იცი, ბიჭო?

_ როგორ არ ვიცი, _ მითხრა მან, _ არ მინდა და არ ვლაპარაკობ.

ბოლოს მივაგენით მუმიების ოთახს და შევედით.

_ ეს თუ იცით, ეგვიპტელები თავიანთ მკვდრებს როგორ მარხავდნენ? _ ვკითხე ერთს.

_ ნწუ.

_ უნდა იცოდეთ. ძალიან საინტერესოა. აიღებდნენ რამე ქსოვილს, რაღაც სითხით გაჟღინთავდნენ და სახეზე დააფარებდნენ. მერე წაასვენებდნენ და თავიანთ აკლდამებში დამარხავდნენ _ ათასი წელიც რომ გასულიყო, არც გაიხრწნებოდა და არც არაფერი. ეგვიპტელებს გარდა, არავინ არ იცის ამის გაკეთება. თანამედროვე მეცნიერებმაც კი არ იცის.

მანამ მუმიების განყფილებაში გახვიდოდი, უნდა გაგევლო ძალიან ვიწრო გასავლელი ოთახი, რომლის კედლები ფარაონის სამარხიდან წამორებული ქვის ფილებით იყო მოპირკეთებული. კაი მაგარი შესაშინებელი ადგილი იყო და შევატყვე ამ ჩემს გულად ბიჭებსაც წაუხდათ საქციელი. მაგრად მომეკრნენ და იმ ერთმა, ხმას რომ არ იღებდა, სახელოში ჩამჭიდა ხელი.

_ წავიდეთ, _ უთხრა ძმას, _ ყველაფერი ვნახე. წამო, წავიდეთ _ მიტრიალდა და გაიქცა.

_ მშიშარაა, ერთ მილზე გაურბის ყველაფერს, _ მითხრა მეორემ. _ მშვიდობით! _ და ისიც გაშპა.

მარტოკა დავრჩი ამ სამარხში. მესიამოვნა კიდეც _ სიწყნარე იყო, სიმყუდროვე და უცებ… თქვენს დღეში ვერ მიხვდებით, ისეთი რამე დავინახე კედელზე. ისევ «შენი ასე და ისე…» წითელი ფანქრით თუ რაღაცათი დაეწერათ, ზედ შუშის ყუთს ქვეშ, ქვაზე.

მთელი უბედურებაც ეგ არის. რამდენიც არ უნდა ეძებო, მყუდრო და წყნარ ადგილს ვერ ნახავ. ასეთი ადგილი არ არსებობს. იქნებ მოგეჩვენოს, ვნახეო, მაგრამ მანამ იქამდე მიაღწევდე, გამოძვრება ვინმე ნაბიჭვარი და ზედ ცხვირწინ დაგიწერს «შენი ასე და ისეო»… თქვენ თვითონ ნახეთ და დარწმუნდით. ზოგჯერ ვიფიქრებ ხოლმე _ მოვკვდი უკვე, დამმარხეს, გულზე საფლავის ლოდი დამადეს, ზედ ამოსჭრეს «ჰოლდენ კოლფილდი», ქვეშ _ რომელ წელს დავიბადე, როდის გარდავიცვალე. და ამეების ქვეშ _ «შენი ასე და ისეო…» მიაწერენ. ნამდვილად ასე იქნება. მუმიების განყოფილებიდან რომ გამოვბრუნდი, პირდაპირ საპირფარეშოსკენ გავქანდი. უკაცრავად სიტყვაა და, კუჭი ამეშალა. მაგრამ დიდად არ შევუწუხებივარ ამ კუჭის აშლას _ სხვა რამემ შემაწუხა. საპირფარეშოდან გამოსვლისას, ზედ კარებთან, გული შემიღონდა. ბედი ჩემი, კარგად გადავრჩი. ხომ შეიძლებოდა იატაკზე დამერტყა თავი და იქვე გავთავებულიყავი. კიდევ კარგი მხარით დავეცი. უცნაური ამბავი შემემთხვა. გულის შეღონების შემდეგ უფრო კარგად ვიგრძენი თავი. ნამდვილად. ხელი კი ვიტკინე დაცემის დროს, მაგრამ სამაგიეროდ თავბრუსხვევამ გამიარა.

პირველის ათი წუთი იყო და გარეთ გამოვბრუნდი. შესასვლელში დავუწყე ფიბის ლოდინი. ვაითუ უკანასკნელად უნდა ვნახო-მეთქი, ვფიქრობდი. ფიბიც და ყველა ჩემიანიც. ნახვით იქნება კი ვნახო ოდესმე, მაგრამ ვინ იცის, როდის. მანამ ოცდათხუთმეტი წლისა არ გავხდები, იქნებ არც ჩამოვიდე _ ვინმე ავად თუ არ შეიქნა და და სიკვდილის წინ მომინატრა, თორემ ისე არასდიდებით არ მივატოვებ ჩემს ქოხს და არ წამოვალ. წარმოვიდგინე კიდეც, როგორი იქნებოდა ჩემი ჩამოსვლა. ეს ხომ ნაღდია, რომ დედაჩემი საშინლად აღელდება და ტირილს მორთავს, ხვეწნას დამიწყებს, შინ დარჩი, იმ ქოხში ნუღარ დაბრუნდებიო. მაგრამ მაინც წავალ. მე რომ გავჯიქდები, მტრისას! დედას დავამშვიდებ, მერე სასტუმრო ოთახის მეორე კუთხეში მივალ, ჯიბიდან სათუთუნეს ამოვიღებ და პაპიროსს გავაბოლებ ცივად და გულგრილად. ყველას მივიპატიჟებ _ თუ მოგეგუნებოთ მეწვიეთ-მეთქი, მაგრამ ხვეწნას არ დავუწყებ. ამას კი მოვაწყობ, რომ ფიბი მესტუმროს ხოლმე ყოველ ზაფხულს, და საშობაო არდადეგებზე. სააღდგომოდაც. ზოგჯერ დ.ბ.-ც მეწვიოს, თუ უნდა, წყნარი და მყუდრო ადგილი თუ დასჭირდება სამუშაოდ, მაგრამ ჩემს ქოხში კინპო-სცენარებს არასდიდებით არ დავაწერინებ. მარტო მოთხრობები და წიგნები. ეს წესი უსათუოდ უნდა გავატარო _ ვინც არ უნდა მესტუმროს, არავითარ სიყალბეს ჩემს ქოხში არ

მოვითმენ. თუ ვინმე სიყალბეს და თვალთმაქცობას მოინდომებს _ იმ წუთში ფეხს ამოვაკვეთინებ ჩემი ქოხიდან.

უცებ საათს მოვკარი თვალი საგარდერობოში, პირველს ოცდახუთი აკლდა. შიშმა გამკრა _ ვაითუ დედაბერმა ის მეორე ქალი გააფრთხილა, წერილს ნუ გადასცემო. ვაი თუ მაშინვე ცეცხლში ჩააგდებინა წერილი. მაგრად შევშინდი. ძაან გულით მინდოდა ფიბის ნახვა, მანამ გზას დავადგებოდი. რაც მთავარია, საშობაო საჩუქრების ფული მინდოდა დამებრუნებინა.

ბოლოს, როგორც იქნა, დავინახე. მინის კარებიდან შევნიშნე, ჩემი სანადირო ქუდი ეხურა და იმით ვიცანი. იმ ქუდს ათ მილზე შევნიშნავ.

გამოვედი და შესაგებებლად ქვის კიბეზე დავეშვი. ერთ რამეს ვერასდიდებით ვერ მივხვდი _ ამოდენა ჩემოდანს რომ მოათრევს, ნეტა რად უნდა! ის იყო, მეხუთე ავენიუ გადმოსჭრა და მოცოცავს, ძლივს მოათრევს იმ ოხერ ჩემოდანს. რომ მივუახლოვდი, ვიცანი _ ჩემი ძველი ჩემოდანი იყო, ჰუტონში ნაქონი. ოღონდ ვერ მივხვდი, რა ჯანდაბად უნდოდა.

_ ჰეი! _ შემომძახა ფიბიმ. სულს ვეღარ იბრუნებდა ამ ოხერი ჩემოდნის თრევით.

_ მე კიდე მეშინოდა, ვაითუ არ მოვიდეს-მეთქი, _ ვუთხარი, _ ამ ჩემოდანში რა ჯანდაბა გიდევს? მე არაფერი არა მჭირდება, როგორც მხედავ, ასე მივდივარ. სადგურზე რომ ჩემოდნები მაქვს, ისიც კი არ მიმაქვს. მაინც რა ჯანდაბა გაქვს შიგ?

ფიბიმ ძირს დადო ჩემოდანი.

_ ჩემი ტანსაცმელი, _ მითხრა მან. _ მეც გამოგყვები. ხომ წამიყვან? ხომ?

_ რაო? _ ეს რომ გავიგონე, კინაღამ იქვე ჩავიკეცე. ღმერთმანი. ერთბაშად თავბრუ დამესხა და ისევ გული მიღონდება-მეთქი, მომეჩვენა.

_ უკანა ეზოდან გამოვიპარე, რომ ჩარლინას არ დავენახე. მძიმე არ გეგონოს. ბევრი არაფერი ჩამიდვია _ მარტო ჩემი ორი კაბა, მოკასინები, საცვლები, წინდები და ასეთი რაღაცეებია. ნახე! სულაც არ არის მძიმე. მოკიდე ხელი.. ხომ წამიყვან? ჰა, ჰოლდენ? ხომ წამიყვან? შენი ჭირიმე!

_ არა! ხმა ჩაიკმინდე!

გული მიღონდება-მეთქი, მომეჩვენა, თორემ როგორ დავუღრიალებდი «ხმა ჩაიკმინდეო». მეგონა, ეს არის გული მიღონდება-მეთქი.

_ რატომ არ მიგყევარ შენი ჭირიმე, ჰოლდენ... განა ხელს შეგიშლი _ წამოგყვები და ვიქნები ჩემთვის! შენ თუ მეტყვი, ამ ტანსაცმელსაც არ წამვიღებ... მარტო ერთ...

_ არაფერსაც არ წამოიღებ. და არსადაც არ წამოხვალ. მარტოკა უნდა წავიდე. ასე რომ, ხმა ჩაიკმინდე!

_ წამიყვანე, ჰოლდენ! წამიყვანე, შენი ჭირიმე. ნახე, როგორი კარგი, ძალიან კარგი... შენ ვერც კი...

_ არსადაც არ წახვალ. და კმარა, ხმა ჩაიკმინდე! ჩემოდანი აქ მომეცი, _ ვუთხარი მე. გამოვართვი, ისე მომინდა ერთი მიმეტყიპა! ერთი წუთიც და, ასე მგონია, მივტყეპავდი კიდეც. არ გეხუმრებით.

მაგრამ ტირილი ამოუშვა.

_ მე მეგონა, პიესაში გამოდიოდი სკოლაში ბენედიქტ არნოლდს თამაშობს-მეთქი, ვფიქრობდი, _ ვთხვი მე. ძალიან ბინძურად კი გამომივიდა. _ რა ღმერთი გიწყრება? პიესა აღარ გინდა?

ამაზე კიდევ უფრო ამოიკვნესა გული. მაგრამ მე გამიხარდა. ნეტა იმდენი იტიროს, თვალები სულ დაითხაროს-მეთქი, ვინატრე. ლამის შემძულდა. მე, მგონი, იმან უფრო გამამწარა, რომ წარმოდგენას თავს ანებებდა და ჩემთან წამოსვლას აპირებდა.

_ წამოდი, _ ვუთხარი მე. ისევ მუზეუმის კიბეებს ავუყევი. გადავწყვიტე, ის ოხერი ჩემოდანი, საგარდერობოში მიმებარებინა. სამ საათზე სკოლიდან გამოივლიდა და წაიღებდა. აბა სკოლაში ხომ არ წაათრევდა ჩემოდანს. წამოდი, _ გავუმეორე მე.

მაგრამ ფეხიც არ მოიცვალა, არ გამომყვა. მე მაინც ავედი, ჩემოდანი მეგარდერობეს მივაბარე და უკანვე ჩამოვედი, ზურგი შემაქცია. ამისთანა რამეები მისი მოგონილია! თუ მოეხუშტურა, შეგაქცევს ზურგს და მორჩა.

_ მეც აღარ მივდივარ. გადავიფიქრე. გაჩუმდი, რაღა გაღრიალებს! _ ვუთხარი მე. სასაცილოდ კი გამომივიდა: უკვე აღარ ტიროდა, ეს რომ ვუთხარი. მე კი მაინც ვუთხარი. _ წამოდი სკოლამდე გამოგყვები. აბა! დაგაგვიანდება!..

ხმაც არ გაუცია. ხელზე წავეპოტინე, მაგრამ გამომტაცა ხელი. სახეს მარიდებდა.

_ ისაუზმე? _ ვკითხე მე, _ უკვე ისაუზმე?..

არ მიპასუხა. ქუდი მოიხადა _ ჩემი ნაჩუქარი ქუდი _ და სახეში მომიქნია. მერე ისევ შემაქცია ზურგი. ლამის გავთავდი კაცი, მაგრამ არაფერი მითქვამს. ქუდი ავიღე და ჯიბეში ჩავიდევი.

_ წამოდი-მეთქი, არ გეყურება?! სკოლამდე გამოგყვები, _ ვუთხარი მე.

_ მე აღარ წავალ სკოლაში.

აღარ ვიცოდი რა მეთქვა. ცოტა ხანს უხმოდ ვიდექი.

_ უნდა წახვიდე. უსათუოდ უნდა წახვიდე. წარმოდგენაში გამოსვლა არ გინდა? არ გინდა, ბენედიქტ არნოლდის როლი შეასრულო? ჰა?

_ არა.

_ კი გინდა. ნამდვილად გინდა. გეყოფა ახლა, წამოდი. _ ვუთხარი მე. _ ჯერ ერთი, მეც აღარ მვდივარ, აკი გითხარი. შენ უნდა დავბრუნდე. მიგიყვან სკოლაში და მაშინვე შინ დავბრუნდები. ჯერ სადგურში გავივლი, ჩემოდნებს წამოვიღებ და პირდაპირ...

_ მე კიდე აღარ წავალ სკოლაში. შენ რაც გინდოდეს, ის ქენი, მე სკოლაში აღარ წავალ, _ თქვა მან. _ ასე რომ, ხმა ჩაიკმინდე!

პირველად გავიგონე მისგან ეს სიტყვა. საშინელება იყო. ო, ღმერთო, რა საშინელება იყო! შეგინება მერჩივნა. ჩემკენ მაინც არ იყურებოდა. რამდენს წავეპოტინებოდი მკლავზე ან მხარზე, იმდენს დამისხლტებოდა ხოლმე.

_ მოიხედე. არ გინდა, სადმე გავიაროთ? _ ვკითხე მე, _ არ გინდა, ზოოპარკში წავიდეთ? სკოლაში რომ არ გაგიშვა და ზოოპარკში წაგიყვანო, დაანებებ თავს ამ სულელურ გაბუტვას?

არ მიპასუხა და ისევ გავუმეორე:

_ სკოლა რომ გაგაცდენინო და სასეირნოდ წაგიყვანო, არ დაანებებ თავს ამ სულელურ გაბუტვას? ხვალ ხომ ჭკვიანი გოგო იქნები? ხომ წახვალ სკოლაში?

_ მინდა _ წავალ, არ მინიდა _ არ წავალ! _ თქვა მან. მერე შეტრიალდა და სირბილით გადასჭრა ქუჩა _ არც კი მიუხედ-მოუხედავს, მანქანები თუ მოდისო. ზოგჯერ ასე მოუვლის ხოლმე სიგიჟე.

მაინც არ გამოვედევნე. ვიცოდი, რომ თავისით გამომყვებოდა, ასე რო პირდაპირ ზოოპარკისკენ გავწიე. მე ბაღის გაყოლებაზე მივდევდი ქუჩას, ის კი

გადაღმა მიდიოდა, იმავე მიმართულებით. ჩემკენ ერთხელაც არ გამოუხედავს, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, ცალი თვალი ჩემკენ ეჭირა და მითვალთვალებდა, საით მიდისო. ასე მივადექით ზოოპარკს. მხოლოდ მაშინ თუ შევწუხდებოდი, როცა ორსართულიანი ავტობუსი ჩამიქროლებდა ქუჩაში და ფიბის ჩამოეფარებოდა. მაგრამ ზოოპარკს რომ მივადექით, გავძახე: ფიბი მე ზოოპარკში მივდივარ! შენც წამოდი! არ გამოუხედავს, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ გაიგონა. ხოლო როცა ზოოპარკის კიბეებზე დავეშვი, მივიხედე და ვნახე, ქუჩაზე გადმოდიოდა, ჩემკენ მოემართებოდა.

საძაგელი ამინდი იდგა და მაინცდამაინც ბევრი ხალხი არ იყო ზოოპარკში. მაგრამ ზღვის ლომების აუზთან კარგა ბლომად მოეყარათ თავი. გვერდს ავუვლი-მეთქი ვიფიქრე, მაგრამ ფიბი შედგა და ყურება დაიწყო, როგორა კვებავდნენ ლომებს _ ვიღაც ბიჭი თევზებს უყრიდა აუზში _ ასე რომ, მეც მივბრუნდი. მარჯვე შემთხვევა მომეცა. მივედი, უკან ამოვუდექი და მზარზე ხელი ჩამოვადე. მაგრამ ჩაცუცქდა და დამისხლტა _ თუ მოეხუშტურა, ისეთი მუდოა!.. დგას და უყურებს, როგორ კვებავებ ზღვის ლომებს, მეც უკან ვდგევარ, მაგრამ მხარზე აღარ ვადებ ხელს, არც ვეკარები, ვაითუ გამექცეს-მეთქი. ბავშვებს რას გაუგებ! ფრთხილად უნდა იყო.

აუზს რომ მოვშორდით, გვერდზე გამოყოლა არ ინდომა, მაგრამ არც ძალიან დამშორებია. ტროტუარის ერთ კიდეს ის მიჰყვებოდა, მეორეს _ მე. ვერაფერი სასიამოვნო იყო, მაგრამ წეღანდელივით ერთი მილის დაშორებით სიარულს მაინც ასე სჯობდა. პატარა სერზე ავედით და დათვებს დავუწყეთ ყურება. მაგრამ ბევრი არაფერი ყოფილა სანახავი. მხოლოდ ერთი დათვი იყო გარეთ _ პოლარული დათვი. მეორე კი, მურა დათვი, არასდიდებით არ გამოძვრა თავისი ბუნაგიდან. მარტო წითელი უკანალი მოუჩანდა. ჩემს გვერდზე ერთი ბიჭი იდგა, კოვბოის ქუდი ყურებზე ჩამოეფხატა, აუტყდა მამამისს. ფიბის კარუსეის ფული მივეცი. ერთი ემომხედა, ფული გამომართვა და სირბილით გაექანა კარუსელისკენ. როცა კარუსელი გაჩერდა. ფიბი ცხენიდან ჩამოხტა და ჩემთან მოირბინა.

_ ახლა შენც ჩაჯექი, _ მითხრა მან.

_ არა. მე აქედან გიყურებ. ასე ჯობია, _ კიდევ მივეცი ცოტაოდენი ფული, _ აჰა, ბილეთი აიღე.

ფიბიმ ფული ისევ გამომართვა.

_ მე უკვე აღარ ვარ შენზე გაბრაზებული, _ მითხრა მან.

_ ვიცი. ჩქარა... თორემ დაიძრება.

უცებ მომვარდა და მაკოცა. მერე ხელი გაშალა და თქვა:

_ წვიმს. წვიმა მოდის.

_ ვხედავ.

მერე ისეთი რამე ქნა, რომ კინაღამ მომკლა: ხელი ჯიბეში ჩამიყო, ჩემი წითელი სანადირო ქუდი ამოიღო და თავზე დამახურა.

_ შენ არ გინდა?

_ ცოტა ხანს შენ გეხუროს.

_ კარგი. ჩქარა გაიქეცი, საცაა დაიძრება. შენს ცხენსაც სხვა ვინმე დაიჭერს.

მაინც არ მშორდებოდა.

_ წეღან მართალი მითხარი? მართლა არსად წახვალ? შინ დაბრუნდები? _ მითხა ფიბიმ.

_ ჰო, _ მართალი ვთქვი. არ მომიტყუებია. მართლაც დავბრუნდი შინ. _ აბა ჩქარა!

ფიბი გაიქცა, ბილეთი აიღო და ძლივს მიუსწრო იმ ოხერ კარუსელს. მერე იგრგვლივ შემუარა და ისევ თავის ძველ ცხენზე შესკუპდა. ხელი დამიქნია და მეც დავუქნიე ხელი.

ჰოი, ბიჭო, რა წვიმა დაუშვა! ნამდვილი კოკისპირული. დედები, მამები, ვინც იქ იყო, სულ წამოიშალნენ და კარუსელის სახურავს შეაფარეს თავი, გაწუწვისა შეეშინდათ. მე კი არც გავნძრეულვარ _ კარგა ხანს ვიჯექი იქვე. სულ გავილუმპე. საყელო, შარვალი გასაწურავი გამიხდა. ჩემმა სანადირო ქუდმა ცოტათი კი მიშველა, მაგრამ მაინც მაგრად გავილუმპე. არაფრად არ ჩამოგდია: ფიბი ისე დაჰქროდა კარუსელზე, რომ უცებ ბედნიერად ჩავთვალე თავი. მართალი თუ გინდათ, ისეთი ბედნიერება ვიგრძენი, რომ ცოტას გაწყდა, არ ვიღრიალე. არ ვიცი კი, რატომ. ისეთი ლამაზი ჩანდა, ისე გახარებული ჩამიქროლებდა და ჩამიქროლებდა, ისე უხდებოდა თავისი ლურჯი პალტო! ნეტა, თქვენც იქ ყოფილიყავით.

26

ყველაფერი გიამბეთ, რისი თქმაც მინდოდა. შეიძლებოდა ისიც მეამბნა, შინ დაბრუნების შემდეგ რა გადამხდა თავს, ავად როგორ გავხდი, გაის შემოდგომაზე რომელ სკოლაში მიპირებენ მიბარებას, აქედან რომ გამოვეწერები, მაგრამ, მგონი საჭირო აღარ არის. ნამდვილად. აღარ მაინტერესებს.

ათასი ვინმე მეკითხება, განსაკუთრებით აქაური ფსიქოანალიტიკოსი, მომავალ სექტემბერს სკოლაში რომ შეხვალ, სწავლას თუ მოიწადინებო. მე რომ მკითხოს კაცმა, ყოვლად სულელური კითხვაა. ჯერ არ შესულხარ და წინასწარ საიდან უნდა გაიგო, რას გააკეთებ. არ ვიციო, უნდა უპასუხო. ალბათ, მოვიწადინებ, მაგრამ წინასწარ როგორ უნდა ვთქვა. სულელური კითხვაა, მე და ჩემმა ღმერთმა.

დ.ბ. ხომ სხვებსა სჯობს, მაგრამ შეკითხვებით ისიც აღარ მაძლევს მოსვენებას. წარსულ შაბათს ერთი ინგლისელი გოგო მოიყვანა, მის ფილმში უნდა გადაიღონ. დიდი კოკობზიკა ვინმე ჩანდა, მაგრამ ძალიან ლამაზი კი იყო. ქალების ტუალეტში რომ გავიდა ეს გოგო, დერეფნის ბოლოში, დ.ბ. მეკითხება, ამ ამბებზე რას ფიქრობო _ მე რომ გიამბეთ, იმ ამბებზე. აღარ ვიცოდი, რა ჯანდაბა მეპასუხნა. მართალი თუ გინდათ, მე თვითონ არ ვიცი რასა ვფიქრობ, ახლა ვნანობ, რომ ამდენი ვინმეს ამბავი გიამბეთ. ვინც კი ვახსენე აქ, ახლა ყველა თვალში მაკლია. თვითონ სტრედლეიტერი და ეკლიც კი. ასე მგონია, ის ოხერი მორისიც კი მომენატრა-მეთქი. საოცარია. ნურავის ნურაფერს უამბობთ, თორემ მერე ყველაზე დაგწყდებათ გული.

დასასრული.

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა საიტმა

BIBLIONTEKA.COM